


ოთარ გამყრელიძე
საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის
განმარტება
თბილისი
2005



343(094.4)
ბ-19

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
თინათინ წერეთლის სახელობის
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ოთარ გამყრელიძე

სსიპ-ფრანც რამშტადლის
საზოგადოებრივ ურთიერთობათა
ბიბლიოთეკა
№ 1792

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება

ზოგადი ნაწილი

პირველი წიგნი

-1792-

თბილისი
2005 წ.

შინაარსი

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი
სისხლის სამართლის კოდექსი 7

ზოგადი ნაწილი

კარი პირველი
სისხლის სამართლის კანონი 44

თავი I. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა 44
მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი მიზანი 44

თავი II. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები 47
მუხლი 2. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში 47
მუხლი 3. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა . . . 52
მუხლი 4. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ 59
მუხლი 5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის 65
მუხლი 6. დამნაშავის გადაცემა და ექსტრადიცია 69

კარი მეორე
დანაშაული 74

თავი III. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დანაშაულის კატეგორიები 74

მუხლი 7. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი 74
მუხლი 8. მიზეზობრივი კავშირი 90
მუხლი 9. განზრახი დანაშაული 95
მუხლი 10. გაუფრთხილებლობითი დანაშაული 113
მუხლი 11. პასუხისმგებლობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის 121
მუხლი 12. დანაშაულის კატეგორიები 126

თავი IV. ერთიანი დანაშაულის სახეები 130
მუხლი 13. დენადი დანაშაული 130
მუხლი 14. განგრძობადი დანაშაული 132

თავი V. დანაშაულის სიმრავლე 133
მუხლი 15. არაერთგზისი დანაშაული 133
მუხლი 16. დანაშაულთა ერთობლიობა 137
მუხლი 17. დანაშაულის რეციდივი 145
მუხლი 17[1]. რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი 149

თავი VI. დაუმთავრებელი დანაშაული 151
მუხლი 18. დანაშაულის მომზადება 151
მუხლი 19. დანაშაულის მცდელობა 157
მუხლი 20. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის 167
მუხლი 21. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება 168

თავი VII. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა . . . 176
მუხლი 22. დანაშაულის ამსრულებლობა 176
მუხლი 23. დანაშაულში თანამონაწილეობა 190
მუხლი 24. თანამონაწილის სახეები 192
მუხლი 25. ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა 199
მუხლი 26. ამსრულებლის ექსცესი 203
მუხლი 27. ჯგუფური დანაშაული 205

თავი VIII. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი 212
მუხლი 28. აუცილებელი მოგერიება 212
მუხლი 29. დამნაშავის შეპყრობა 225
მუხლი 30. უკიდურესი აუცილებლობა 230
მუხლი 31. მართლზომიერი რისკი 234
მუხლი 32. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა მართლზომიერი ქმედების დროს 236

თავი IX. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი 240
მუხლი 33. შეურაცხაბა ასაკის გამო 240
მუხლი 34. შეურაცხაბა ფსიქიკური დაავადების გამო . . . 243
მუხლი 35. შეზღუდული შერაცხადობა 248
მუხლი 36. შეცდომა 252
მუხლი 37. ბრძანების ან განკარგულების შესრულება . . . 255
მუხლი 38. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს 258

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსი

1999 წლის 22 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა დასრულდა. ამ დღეს ქვეყნის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსს, რომელიც 2000 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა. ეს ჩვენი ქვეყნის მეოთხე კოდექსია. პირველი სისხლის სამართლის კოდექსი საქართველომ 1922 წელს მიიღო, მეორე – 1928 წელს, მესამე (საბჭოთა კავშირის პერიოდის ბოლო კოდექსი) – 1960 წლის 30 დეკემბერსაა მიღებული. 1960 წელს მიღებულმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა თითქმის ორმოც წელს იმოქმედა და ჩვენს დრომდე მოაღწია.

საბჭოური ეპოქის პირველი ორი კოდექსი (1922, 1928 წწ.) მე-20 საუკუნის 20-იანი წლების საკანონმდებლო რეფორმის ნაყოფია. ეს სისხლის სამართლის კოდექსები ტიპური გამოხატულებაა იმდროინდელი სამართლებრივი ნიჰილიზმისა, იმ ეპოქისა, როცა მაშინდელი მმართველი წრეების წარმოდგენებით და, საზოგადოდ, იმ დროს გაბატონებული იდეოლოგიით სახელმწიფო და სამართალი საბოლოოდ უნდა მოკვდეს.

უფრო მეტიც, სახელმწიფოსა და სამართლის კვდომის პროცესი მაშინდელ საზოგადოებაში იმდენად პრიმიტიულად ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ, ეგონათ, თითქოს ეს კვდომა სულ რაღაც ათ-თხუთმეტ წელიწადს გაგრძელდებოდა. თუ ამ მოვლენას გავითვალისწინებთ, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი ხასიათის უნდა ყოფილიყო მე-20 საუკუნის 20-იანი წლების სისხლის სამართლის კანონმდებლობის (და არა მარტო სისხლის სამართლის) რეფორმა და იმდროინდელ კოდექსებში როგორ იქნებოდა დაცული ადამიანის ძირითადი უფლებები.

იმ დროს ადამიანის ძირითად უფლებებზე, რასაკვირველია, ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. უფრო მეტიც, ეს საკითხი მაშინ საერთოდ არ იდგა. რაც ყველაზე საგულისხმოა, რომელ უფლებებზე შეიძლებოდა მსჯელობა, როცა მაშინ კლასობრივი იდეოლოგია მძვინვარებდა და მუსრს ავლებდნენ ყველას, ვინც პროლეტარიატთან არ იყო დაკავშირებული. ერთი სიტყვით, მაშინ მთელ საბჭოთა რუსეთში და საქართველოშიც, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, არსებითად ფეოდალური იუსტიციის პრინციპები ბატონობდა.

ამიტომ იყო, რომ, 1922 წელს მიღებულ კოდექსზეც რომ აღარაფერი

ვთქვათ, 1928 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებდა ანალოგიის წესით პასუხისმგებლობის პრინციპს. უგულებელყოფდა ბრალეული პასუხისმგებლობისა და, მასთან ერთად, პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპსაც. ეს კოდექსი ძირითადად შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპზე იყო აგებული და სხვ.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლების რეფორმამ იმდროინდელ საბჭოთა რუსეთში დაწყებული დიქტატურისათვის ბრძოლას შეუწყო ხელი. ამ რეფორმის ბაზაზე განხორციელდა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების გახმაურებული უკანონო რეპრესიები. რასაც მარტო საქართველოში, თუ უფრო მეტი არა, ასი ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

საბჭოთა რუსეთში და მისი ზეგავლენით, რასაკვირველია, საქართველოშიც მეორე რეფორმა მე-20 საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს და 60-იანი წლების დასაწყისში გატარდა. ამ რეფორმის შედეგი იყო 1960 წლის 30 დეკემბრის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1961 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა. თუ საქართველოს 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსს საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა 1924 წლის 31 ოქტომბრის სისხლის სამართლის კანონმდებლობის „ძირითადი საწყისები" დაედო საფუძვლად, საქართველოს 1960 წლის 30 დეკემბრის კოდექსი საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის 25 დეკემბრის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების ბაზაზე იყო მიღებული. ეს საკავშირო კანონი ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის საერთო იყო. ასე რომ, როგორც მე-20 საუკუნის 20-იანი წლების, ისე 50-იანი წლების დასასრულს განხორციელებული რეფორმის დროს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ზოგადი ნაწილი მოსკოვში დაიწერა. არსებითად ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი ერთიან პრინციპებზე იყო აგებული. ამით საბჭოთა რუსეთმა შენიღბული სახით მიიღო ერთიანი საკავშირო სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

ამიტომ იყო, რომ საქართველოში მე-20 საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს განხორციელებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა ძალიან სწრაფად გატარდა. 1958 წლის 25 დეკემბრის საკავშირო კანონის გამოცემის შემდეგ სულ რაღაც ორ წელიწადში (1960 წელს) მიიღეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. ყველაზე

რიული დასაწერი მაინც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილია, რაც საქართველომ მაშინ რუსეთისგან გამზადებული მიიღო.

მეორე მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების რეფორმასთან შედარებით, გასული საუკუნის 50-იანი წლების რეფორმა გაცილებით უფრო პროგრესული მოვლენა იყო. სტალინის განდიდებულების შემდეგ საბჭოთა კავშირში დაწყებულმა პოლიტიკურმა ბრძოლამ, რასაც შედეგად მოჰყვა 30-40-იანი წლების უკანონო რეპრესიებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის გაკიცხვა, საფუძველი შეუქმნა შედარებით დემოკრატიულ სამართლებრივ რეფორმას საბჭოთა კავშირში. დაიწყო ახალი ეპოქა, რომელსაც შეიძლება ნეობოლშევიზმი ვუწოდოთ.

გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა ორთოდოქსული ბოლშევიზმის ეპოქა დასრულდა და თანდათან ნეობოლშევიკური იდეოლოგიის დამკვიდრება დაიწყო, სახელმწიფოსა და სამართლის კვდომის იდეაც ისტორიას ჩაბარდა. ამან ხელი შეუწყო სამართლის როლის წინ წამოწევას საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების საქმეში. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი („საფუძვლები") არაერთ პროგრესულ ნორმას შეიცავდა. საბჭოთა იმპერიაში ამ კანონმა პირველმა აკრძალა ანალოგიის პრინციპი სისხლის სამართალში (აგულისხმება ანალოგიის წესით დასჯა). განამტკიცა ბრალეული და პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპები და სხვ.

ასე რომ, 1960 წლის 30 დეკემბრის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მის წინამორბედებთან შედარებით (საქართველოს 1922 და 1928 წწ. სისხლის სამართლის კოდექსებთან შედარებით). საგულისხმოა ერთი ფაქტიც: 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ავტორები, სხვებთან ერთად, იყვნენ აგრეთვე გამოჩენილი ქართველი მეცნიერები თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი. მათ კოდექსის ზოგად ნაწილში ერთგვარი შესწორებები შეიტანეს. მართალია, ეს იმდროინდელი სახელმწიფოებრივი ეტიკეტით თითქმის დაუშვებელი იყო, მაგრამ მათ მაინც შეძლეს ამის გატანა. ამან საქართველოს 1960 წლის კოდექსი, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებთან შედარებით, თავისებურად ორიგინალური გახადა. ასე რომ, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი, როგორც უკვე ვთქვით, მოსკოვში იწერებოდა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის საერთო იყო, ჩვენი კოდექსის (1960 წ.) ზოგად ნაწილს მაინც ატყვია ქართული სამართლებრივი აზროვნების

კვალი.[1] ასეთი იყო, მაგალითად, 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი (იხ. საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი), რომელიც რუსი საბჭოთა იურისტების აშკარა მოწონებას იმსახურებდა.[2] საგულისხმოა, რომ ეს მუხლი ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის კიდევ უფრო განმტკიცებას უწყობდა ხელს, რაც სრულიად უცხო იყო არათუ ადრინდელი, არამედ 50-იანი წლების რეფორმის შედეგად მიღებული სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვისაც.[3]

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მიღებული იყო სულ სხვა იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ვითარებაში და მე-20 საუკუნის 90-იან წლებში უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ცხოვრების შეცვლილ პირობებს. მართალია, ეს კოდექსი, წინამორბედებთან შედარებით, გაცილებით უფრო დემოკრატიული იყო, მაგრამ მას მაინც აჩნდა საბჭოური ეპოქისათვის დამახასიათებელი კლასობრივი იდეოლოგიის ბეჭედი, ის მთლიანად ვერ იყო გათავისუფლებული კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპისაგან და სხვ.

საქართველოს 1960 წლის კოდექსი პოსტსაბჭოურ საქართველოში რვა წელიწადზე მეტ ხანს მოქმედებდა. ამ დროის მანძილზე მასში ბევრი რამ შეიცვალა და ახალი მუხლებიც დაემატა. კოდექსში ამ ცვლილებების აუცილებლობა ცხოვრებამ დააყენა. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1995 წლის კონსტიტუციის მიღებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბების შემდეგ. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის (№1/51) გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა და გაუქმდა 1960 წლის 30 დეკემბრის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე და 96-ე მუხლების ის ნაწილები, რომელიც ქონების კონფისკაციას ითვალისწინებდა. ეს მუხლები ეწინააღ-

[1] მოკავშირე რესპუბლიკას შეეძლო „საფუძვლების“ დებულებათა განვითარება და დაკონკრეტება, მაგრამ კოდექსის კერძო ნაწილის სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულთა ტექსტში, რომელიც საკავშირო კანონმდებლის კომპეტენციას შეადგენდა, რესპუბლიკა ვერაფერს შეცვლიდა (იხ. ვ. მაყაშვილი, მისაღებია თუ არა დოცენტ ბ. ფურცხვანიძის წინადადებანი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1960, №2, 42-ე გვ.)

[2] იხ. Курс советского Уголовного Права, т. II, 1970, М., стр. 331-332.

[3] ანალოგიური მუხლი ამჟამად გვხვდება რუსეთის ფედერაციის 1996წ. 24 მაისის სისხლის სამართლის კოდექსში (იხ. 27-ე მუხ.), რაც ჩვენი კოდექსის აშკარა გაულენით უნდა აიხსნას.

ინეგებოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რომლის მიხედვით საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია „სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ საყოველთაო ანაზღაურებით.“ ამასთან, სისხლის სამართალში ამ დამატებითი სასჯელის დატოვება თანამედროვე სისხლის სამართლით აღიარებული პირადი პასუხისმგებლობის პრინციპს არღვევდა. როცა დამნაშავეს ერთმევა ქონება ანაზღაურების გარეშე (კონფისკაცია), ამით ზარალდება აგრეთვე მისი ოჯახის წევრიც, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია.

1998 წლის 11 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ამ სტრიქონების ავტორმა შეიტანა სარჩელი, რომლითაც 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 96[1] მუხლის გაუქმებას ითხოვდა მისი ანტიკონსტიტუციურობის გამო. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ 96[1] მუხლი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლს, რომელიც აწესებს კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეორე თავი (სადაც მოთავსებული იყო 96[1] მუხლი) უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას აწესებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფის გამო, ვიდრე პირადი ქონების ხელყოფისათვის იყო გათვალისწინებული ამავე კოდექსის მეხუთე თავით. მაშასადამე, ადამიანთა უთანასწორობა კანონის წინაშე იმით გამოიხატებოდა, რომ სახელმწიფო და საზოგადო ქონება, პირად ქონებასთან შედარებით, უპირატესად იყო დაცული.

სანამ საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოში გადაწყდებოდა, საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში. 1998 წლის 18 სექტემბრის კანონით კოდექსის მეხუთე თავი („დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ“) მთლიანად გაუქმდა, ხოლო მეორე თავის ტექსტში სიტყვები „სახელმწიფო და საზოგადო ქონება“ შეიცვალა სიტყვებით „სხვისი ქონება.“ ამით კანონმა ერთი თქვა ქონების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვისადმი შუასაუკუნეობრივ, კლასობრივ მიდგომაზე და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის თანამედროვე პრინციპი აღიარა.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ სასჯელის ისეთ სახეს, როგორიცაა სიკვდილით დასჯა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე სიკვდილით დასჯა 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ოცდაათზე მეტი დანაშაულისათვის იყო გათვალისწინებული. კანონმდებლობაში ამ სასჯელის კრიზისი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კანონმდებლობა სიკვდილით დასჯას ქონებრივი დანაშაულისათვის და, მათ შორის, ქრთამის აღებისათვისაც აწესებდა. ამიტომ სიკვდილით დასჯის გაუქმება სწორედ აქედან იწყება. 1986 წლის 11 ივნისის კანონით გაუქმდა სიკვდილით დასჯა „განსაკუთრებით დიდი ოდენობით" ქრთამის აღებისათვის (იხ. საქართველოს სსკ-ის 189-ე მუხლი, მაშინდელი რედაქცია).

მიუხედავად ამისა, ეს სასჯელი კვლავ რჩებოდა კოდექსის 96^1 მუხლში, რომლითაც „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება" ისჯებოდა. ამ დანაშაულის ჩადენისთვის სიკვდილით დასჯა მხოლოდ 1991 წლის 20 მარტის კანონით გაუქმდა.

სიკვდილით დასჯის არეალის შევიწროების ახალი ეტაპი 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებას უკავშირდება. 1996 წლის 11 დეკემბრის კანონით, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის საფუძველზე, კოდექსის 24-ე მუხლი შეიცვალა და სიკვდილით დასჯა დარჩა მხოლოდ „განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში" (სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლი). 1996 წლის 11 დეკემბრის კანონს, სიკვდილით დასჯის შემცვლელად, უვადო თავისუფლების აღკვეთა შემოაქვს.

სიკვდილით დასჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მთლიანად 1997 წლის 11 ნოემბრის კანონით გაუქმდა. თუმცა 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი დღემდე არ შეცვლილა და ამიტომ რჩება იმის სრული შესაძლებლობა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში კვლავ აღდგეს სასჯელის ეს ღონისძიება, თუ სხვა დანაშაულისათვის არა, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის მაინც. კოდექსში შეტანილ სხვა ცვლილებებზე აქ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ.

მაგრამ, რაც უნდა მნიშვნელოვნად მოგვეჩვენოს ეს ცვლილებები, ის მაინც კოსმეტიკური ხასიათისა იყო, რადგან მთლიანად კოდექსი იმდენად დამძიმებული იყო ძველი, საბჭოური ღირებულებებით, რომ ამ აქტის ახალ პირობებში გამოყენება შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ იყო, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისშივე, როგორც კი საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დღის წესრიგში დადგა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრული რეფორმის გატარება.

* * *

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 დეკემბრის განკარგულებით შეიქმნა სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მომზადებელი სახელმწიფო ქვეკომისია. კომისიამ დაახლოებით ექვსი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი. პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა პროექტს 1999 წლის 22 ივლისს მოაწერა ხელი. თავდაპირველად კოდექსი ძალაში უნდა შესულიყო 2000 წლის 1 იანვრიდან. მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო ამ თარიღმა 2000 წლის 1 ივნისამდე გადაიწია. ამასობაში კოდექსში პირველი ცვლილებები უკვე შევიდა.

1999 წლის საქართველოს 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ დაახლოებით უკანასკნელი სამასი წლის მანძილზე, ვახტანგ მეფის კანონთა წიგნის მიღების შემდეგ, საქართველომ დამოუკიდებლად პირველად გაატარა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა. პირველი სამი კოდექსი (1922, 1928 და 1960წ.წ.), მიუხედავად იმისა, რომ მათ მაინც ატყვიათ (განსაკუთრებით 1960 წელს მიღებულ კოდექსს) ქართული სამართლებრივი აზროვნების ბეჭედი, დამოუკიდებელი საქართველოს კოდექსებად ვერ ჩაითვლება. თუმცა ამ კოდექსებმა მაინც მოამზადა ნიადაგი მომავალი საკანონმდებლო მუშაობისათვის.

1999 წლის 22 ივლისის კოდექსის პროექტი ქვეკომისიაში დაახლოებით ექვსი წლის განმავლობაში მუშავდებოდა, მაგრამ ამ სამუშაოს წინ უძღოდა ქართველ იურისტთა ერთი ჯგუფის უკანასკნელი ოთხი ათეული წლის სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. ერთი სიტყვით, კოდექსის პროექტი, განსაკუთრებით მისი ზოგადი ნაწილი, ქართველ იურისტთა ბოლო ორმოცწლიანი აზროვნების ნაყოფია.

1957 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელსაც პროფესორი თ. წერეთელი ჩაუდგა სათავეში. ეს განყოფილება შემდგომ გაიზარდა და მძლავრ სამეცნიერო ინსტიტუტად გადაიქცა (ამჟამინდელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი). თ. წერეთელმა და ვ. მაყაშვილმა ქართული სისხლის სამართლის მთელი სკოლა ჩამოაყალიბეს, რომელიც აღიარებულია საზღვარგარეთაც. ამ სკოლის წარმომადგენლების მიერ დამუშავებულმა პრობლემატიკამ სახელმწიფო

ქვეკომისიას კოდექსის პროექტის ზოგადი ნაწილის სისტემის აგება გაუადვილა. ამიტომ, ამ მხრივ, ის თითქმის არ ჩამორჩება დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების კოდექსებს. ასე რომ, სისტემურობის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კოდექსი გერმანულ-რომანული სამართლის სისტემის ქვეყნების კოდექსებს უნდა მიეკუთვნოს (უფრო ზუსტად, გერმანული სისტემისას).

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის სისტემის აგებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქვეკომისიაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. უფრო ზუსტად, კამათი მიმდინარეობდა იმაზე, შეგვენარჩუნებინა თუ არა ძველი, საბჭოური სისტემა, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი და დანაშაულის ცნება სხვადასხვა მუხლებით იყო განსაზღვრული (იხ. 1960 წლის სსკ-ის მე-3 და მე-8 მუხლები). საკითხის გადაწყვეტას კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ რუსეთის ფედერაციის პოსტსაბჭოურმა კოდექსმა, რომელიც 1996 წლის 24 მაისს იყო მიღებული, შეინარჩუნა ტრადიციული სისტემა. რუსეთის კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია „ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს შეიცავს."[4] დანაშაულის ცნება კი განსაზღვრულია ამ კოდექსის მე-14 მუხლით.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მუშავდებოდა და მიჩნეულია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკმარისი საფუძველია დანაშაულის ჩადენა. ამიტომ იყო, რომ სახელმწიფო ქვეკომისიამ სწორად გადაწყვიტა ეს საკითხი. კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება". რაც შეეხება „დანაშაულის შემადგენლობას", უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „ქმედების შემადგენლობას", ეს დანაშაულის ცნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით პასუხისმგებლობის ორ საფუძველს – დანაშაულის შემადგენლობასა და დანაშაულს, როგორც ეს რუს იურისტებს გამოუვიდათ. თუ დანაშაულის შემადგენლობა პასუხისმგებლობის საკმარისი საფუძველია, მაშინ რაღა საჭიროა დანაშაულის ცნება? აქედან ერთ-ერთი ცნება აშკარად ზედმეტია.[5]

[4] Но господствующее мнение российских юристов – это утверждение, что основанием ответственности и единственным, является состав преступления. В УК это позиция получила законадательное закрепление (оь. Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, изд. 3-ье, М., 2000, стр. 6).

ამრიგად, საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კოდექსის მე-7 მუხლით აშკარად გამოიკვეთა დანაშაულის ცნების სამნიშნოვანი სტრუქტურა (ეს სტრუქტურა ჯერ კიდევ 1958 წლის საკავშირო კანონის საფუძველზე მიღებული საქართველოს 1960 წლის სსკ-შიც არის მოცემული, იხ. მე-3 და მე-8 მუხლები). ეს სტრუქტურა საფუძვლად დაედო კოდექსის ზოგადი ნაწილის სისტემას. განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს თანამონაწილეობისა და პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემა.

ამ თვალსაზრისით აშკარა სიახლით გამოირჩევა კოდექსის 25-ე მუხლი, რომლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე." ამ სიტყვებში გამოხატულია ის საერთო, რაც თანამონაწილეობისათვის არის დამახასიათებელი და ის განსხვავებულიც, რაც ასევე უნდა ახასიათებდეს მას.

თუ თანამონაწილეთა შორის არ იქნება რაიმე საერთო ნიშანი, მაშინ თანამონაწილეობაც არ გვექნება. ეს საერთოა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ანუ სისხლისსამართლებრივი უმართლობა. დანაშაულის თანამონაწილენი საერთო უმართლობას ახორციელებენ.

მაგრამ, თანამონაწილეთა შორის რომ ყველაფერი საერთო იყოს, მაშინ უარი უნდა გვეთქვა თანამედროვე სისხლის სამართლის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპზე, როგორიცაა პერსონალური, პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი და უნდა დავბრუნებოდით შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს. მაშასადამე, თანამონაწილენი ასრულებენ ერთიან უმართლობას (სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას) და ამ

[5] იხ. Церетели Т.В, Основание уголовной ответственности и понятие преступления, "Правоведение", Л., 1980, №8.

ერთიან უმართლობაში, რომელიც ობიექტურია, არაპერსონალურია, ყველა თანამონაწილეს საკუთარი ბრალი მიუძღვის (პერსონალური ნიშანი).[6]

მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავს აგრეთვე 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, „როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა".

აქ ლაპარაკია უმართლობის დამფუძნებელ ნიშნებზე, რომლებსაც ობიექტური მნიშვნელობა აქვს, როცა ერთ მხარეზე, ვთქვათ, ამსრულებლის მხარეზე არსებული ასეთი ნიშანი მეორე თანამონაწილესაც შეერაცხება, თუნდაც მას ეს ნიშანი არ ახასიათებდეს. მაგალითად, ქურდობის ამსრულებელს აქვს სხვისი ნივთის მითვისების მიზანი, მაგრამ დამხმარე ამ მიზნით არ მოქმედებს. ეს გარემოება ხელს არ შეუშლის დამხმარის პასუხისმგებლობას ქურდობის თანამონაწილეობისათვის, თუ, რასაყვირველია, მას ეს მიზანი შეცნობილი ჰქონდა.[7]

სხვისი ნივთის მითვისების მიზანი ქურდობის უმართლობის დამაფუძნებელი ნიშანია. ამ მიზანს ობიექტური მნიშვნელობა აქვს, რადგან მის გარეშე სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება ქურდობად ვერ დაკვალიფიცირდება.

მაგრამ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა ანგარება, გამეორება (არაერთგზისობა), რეციდივი პერსონალური, პირადი მნიშვნელობა აქვს და ერთი თანამონაწილიდან მეორეზე არ გადაცა. მაგალითად, თუ განზრახ მკვლელობის ამსრულებელი განმეორებით სჩადის ამ დანაშაულს, ხოლო თანამონაწილე პირველად მონაწილეობს მკვლელობაში, ამსრულებლის მოქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ო" პუნქტით, ხოლო თანამონაწილე პასუხს აგებს ამავე კოდექსის 24-ე, 108-ე მუხლებით, თუ მის მოქმედებაში არ არის 109-ე მუხლის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი (ეს აზრია გატარებული 25-ე მუხლის მე-5 პუნქტში).

[6] უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი (იხ. მესამე თავი).

[7] ო. გამყრელიძე, მით. ნაშრომი, მესამე თავი.

ყოველივე ეს დანაშაულის ცნების სამნიშნოვანი სტრუქტურიდან გამომდინარეობს. ამ სამი ნიშნიდან პირველი ორი ნიშანი, როგორც ვთქვით, უმართლობის ცნებას ქმნის, ამიტომ დანაშაულის ცნება ჩვენ შეგვიძლია ასე ავაგოთ: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი, ანდა უმართლობა (ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა ერთად შეერთებული) და ბრალი.

კოდექსში მეტად ორიგინალურად და ახლებურად არის აგებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემა. კანონმდებელი გვთავაზობს ამ გარემოებათა ორკვალიან სისტემას, რომელიც ასევე ეფუძნება დანაშაულის ცნების სამნიშნოვან სტრუქტურას (მე-7 მუხლი). კოდექსის მე-8 თავში ცალკეა მოცემული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები (28–32-ე მუხლები), ხოლო მე-9 თავი ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს (33–38-ე მუხლები) ითვალისწინებს.

ისტორიულად ჩვენი კანონმდებლობა, რუსული საბჭოური სისხლის სამართლის ზეგავლენით, იცნობდა მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობას. ამ სახის უკიდურესი აუცილებლობის დროს პასუხისმგებლობა გამოირიცხებოდა იმის გამო, რომ გადარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დაზიანებული სიკეთე.[8] კოდექსის პროექტში შეტანილი იყო მეორე სახის უკიდურესი აუცილებლობაც, რომელიც ბრალს გამორიცხავდა, მაგრამ პროექტის ამ ვარიანტში, რომელიც პარლამენტს წარედგინა განსახილველად, ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა ალარ ყოფილა შეტანილი. სახელმწიფო ქვეკომისიამ კოდექსში ამ ნორმის შეტანისაგან თავი შეიკავა.

ბრძანების ან განკარგულების შესრულება, რომელიც ადრე მართლწინააღმდეგობის (საზოგადოებრივი საშიშროების) გამომრიცხველ გარემოებათა რიგს მიეკუთვნებოდა, ახალი კოდექსით ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა (იხ. 37-ე მუხლი).

[8] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების ორკვალიანი სისტემა პირველად შემოტანილია ჩემს ალტერნატიულ პროექტში, რომელიც 1996 წლის იანვარში დაიწერა (იხ. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998 წ., პირველი წიგნი). თუმცა კოდექსში ორკვალიანი სისტემის შემოღების იდეა ჯერ კიდევ 1995 წელს გამოთქვით (იხ. ჟურნ. „მართლმსაჯულების მაცნე," 1995 წ., №1).

სსრკ-ში ოპასნი
საზავშვიფო უნივერსიტეტი
ბიბლიოთეკა
№

ასევე მცირეწლოვანება (ასაკი), რომელიც ადრე მიჩნეული იყო დანაშაულის სუბიექტის ნიშნად, სავსებით სამართლიანად ბრალის ნიშნად გამოცხადდა. საგულისხმოა ისიც, რომ, თუ 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით პასუხისმგებლობა იწყებოდა 16 წლის ასაკიდან, ხოლო 14-დან 16 წლამდე ასაკის ადამიანი მხოლოდ ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისათვის აგებდა პასუხს, ახალი კოდექსით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლით განისაზღვრა (იხ. 33-ე მუხლი).

სახელმწიფო ქვეკომისიაში ეს საკითხი საგანგებო მსჯელობის საგანი იყო. საქმე ის არის, რომ ვერ მოინახა მყარი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც უნდა გადაწყვეტილიყო, რომელი დანაშაულის ჩადენისათვის დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა ადამიანს 16 წლის ასაკიდან და რომლისათვის აგებდა ის პასუხს 14 წლიდან.

კანონმდებელმა ახლებურად განსაზღვრა დანაშაულის მცდელობის ცნება. 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მიხედვით, „დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება განზრახ მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო".

ახალმა კოდექსმა ეს ცნება ასე განსაზღვრა: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი" (იხ. მე-19 მუხლი, I ნაწ.).

როგორც მკითხველი ხედავს, ახალი კოდექსის ტექსტში აღარ შესულა სიტყვები: „დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო." ამ სიტყვების ამოღებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ სახელმწიფო ქვეკომისიაში ამ გადაწყვეტილებას წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მცდელობის ცნების ძველი კონსტრუქციის მიხედვით, ისე გამოდის, თითქოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს დანაშაული არ ყოფილა ჩადენილი. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ კოდექსში სპეციალური მუხლის შემოტანა, რომელიც ადამიანს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, სრულიად ზედმეტია.

ახალი ტექსტის მიხედვით დანაშაულის მცდელობა გვექნება ყველა იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული ბოლომდე არ იყო მიყვანილი, მიუხედავად იმისა, ვისი მიზეზით მოხდა ეს, თვითონ დამნაშავის მიზეზით,

საქართველოს სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

რომელმაც უარი თქვა დაწყებულ დანაშაულზე, თუ სხვა მიზეზით. ასეთ შემთხვევაში ადამიანი პასუხს აგებს დანაშაულის მცდელობისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მან ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე. ამ დროს ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (21-ე მუხლი).

სერიოზული სრულყოფა სჭირდებოდა 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლს, რომელიც დამხმარეს მხოლოდ მაშინ ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, როცა დანაშაული ბოლომდე არ იყო მიყვანილი.

მაგრამ დამხმარე ზოგჯერ მაშინაც შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, როცა დანაშაული დამთავრებულია. უმთავრესად ეს ეხება ფიზიკურ დამხმარეს, თუმცა ზოგჯერ არც ინტელექტუალური დამხმარე არ არის მოკლებული ამ შეღავათს. მაგალითად, დამხმარემ ამსრულებელს უკან გამოართვა ადრე მიცემული იარაღი, ამსრულებელმა კი განზრახული დანაშაული მაინც მიიყვანა ბოლომდე. ამიტომ ქვეკომისიამ შესაბამისი მუხლის ასეთი ფორმულირება შეიმუშავა: „დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება" (21-ე მუხლი, მე-3 ნაწ.).

სახელმწიფო ქვეკომისიაში მწვავე კამათი გამოიწვია ჯგუფური დანაშაულის ერთმა საკითხმა (27-ე მუხლი). პროექტში ამ მუხლის მესამე ნაწილის ასეთი ფორმულირება იყო შემოთავაზებული: „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად".

გამოითქვა მოსაზრება, რომ სიტყვები „ერთი ან" ამოღებული ყოფილიყო ტექსტიდან, რადგან ჯგუფი „მყარი" ვერ იქნება, თუკი ის შეიქმნა ერთი დანაშაულის ჩასადენად და მისი ჩადენის შემდეგ დაიშლება. ეს საკითხი „ბანდის" ცნებას უკავშირდება. იტალიური სიტყვა „ბანდა" „მყარი" ჯგუფია. ჯგუფის „სიმყარე" იმას ნიშნავს, რომ ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ჯგუფი არ იშლება და დანაშაულებრივ საქმიანობას აგრძელებს. საბოლოოდ, სიტყვები „ერთი ან" ქვეკომისიამ პროექტიდან ამოიღო და მივიღეთ დღევანდელი ფორმულირება, რაც უთუოდ გამართ-

ლებულია. თუმცა ამ ფორმულირებას აქვს ნაკლიც იმ გაგებით, რომ „ორგანიზებული ჯგუფი" ყოველთვის არ შეიძლება იყოს „მყარი".

28-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „ხელმყოფის დაზიანება, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად, მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შესაძლებელია".

სახელმწიფო ქვეკომისიაში დავა გამოიწვია იმ საკითხმა, კანონის ტექსტში ზუსტად განგვესაზღვრა თუ არა თავდამსხმელის „დაზიანების" მოცულობა, მისი ფარგლები. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩაითვლება თუ არა აუცილებელ მოგერიებად და გათავისუფლდება თუ არა ადამიანი პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, როცა მან თავდამსხმელი მოკლა და ამ გზით მოახერხა წართმეული ქონების უკან დაბრუნება?

ვინაიდან ქვეკომისია ამ საკითხზე ვერ შეთანხმდა, გადაწყდა, კანონის ტექსტში შეგვეტანა ზოგადი ფორმულა – „ხელმყოფის დაზიანება," რომელიც ყოველგვარ ზიანს, მათ შორის, სიცოცხლის მოსპობასაც მოიცავს. ქვეკომისიამ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა სასამართლო პრაქტიკას მიანდო და მიიჩნია, რომ პრაქტიკა უფრო გონივრულ დასკვნამდე მიგვიყვანდა.

საგანგებოდ იმსჯელა ქვეკომისიამ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების საკითხზეც. 1960 წლის კოდექსი 1958 წლის 25 დეკემბრის საკავშირო კანონის საფუძველზე ამ გარემოებათა ზუსტ ჩამონათვალს (დამამძიმებელი გარემოებები) ითვალისწინებდა. გადაწყდა, რომ უარი გვეთქვა ტრადიციულ სისტემაზე. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს სისტემა უსაფუძვლოდ ზღუდავდა მოსამართლის თავისუფლებას. მეორეც, აღნიშნული პრინციპი პირდაპირ თუ არაპირდაპირ პრაქტიკაში მაინც ირღვეოდა; თითქმის ყოველ მეორე განაჩენში ვკითხულობდით: სასამართლომ გაითვალისწინა დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და ა.შ. სამართლო პირდაპირ არ მიუთითებდა, რომელი გარემოებები ჰქონდა მხედველობაში.

სახელმწიფო ქვეკომისიის წინაშე დაისვა აგრეთვე განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებათა ზუსტი ჩამონათვალის გაუქმების საკითხიც, როგორც ამას ვხვდებით დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში (მაგალითად, ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის §75). ასეთ შემთხვევაში იმ საკითხის გადაწყვეტა, დამამძიმებელ

გარემოებებშია თუ არა ჩადენილი განზრახი მკვლელობა, სასამართლოს თავისუფალ შეხედულებაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. მაგრამ ამ სისტემის შემოტანა ჩვენი სამართლებრივი განვითარებისათვის ქვეკომისიამ ჯერჯერობით მაინც ნაადრევად მიიჩნია. ამიტომ ტრადიციული სისტემა ახალ კოდექსში კვლავ შევინარჩუნეთ (იხ. 109-ე მუხლი).

ახალი კოდექსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლიანად გათავისუფლებულია კლასობრივი იდეოლოგიისაგან და დაფუძნებულია ზოგადსაკაცობრიო იდეოლოგიაზე. მაგრამ კოდექსის დემოკრატიულ საფუძველზე აგება სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამით ვასუსტებდეთ სულ უფრო და უფრო მზარდი დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლას.

მაგალითად, სიკვდილით დასჯის გაუქმებას მისი შემცვლელის – თავისუფლების უვადოდ აღკვეთის შემოტანა მოჰყვა, რომელიც სიკვდილით დასჯაზე ნაკლებად ეფექტური სასჯელი როდია. თანამედროვე სამართლებრივი აზროვნებისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთა გაცილებით მისაღებია ისეთ არქაულ სასჯელთან შედარებით, როგორიცაა სიკვდილით დასჯა. ამავე დროს, ის საკმაოდ ეფექტური ღონისძიებაა დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად როგორც ზოგადი, ისე კერძო პრევენციის თვალსაზრისით.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში თავისუფლების უვადოდ აღკვეთის ორგვარი სისტემა არსებობს – შემდგომი გადასინჯვით და გადაუსინჯავად. ახალმა კოდექსმა დაუწესა უვადო თავისუფლების აღკვეთა მისი შემდგომი გადასინჯვით. 72-ე მუხლის თანახმად, „მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან, ფაქტობრივად, მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გაატარებინოს ამ სასჯელის მოხდა" (მე-7 ნაწ.).

ამ ნორმის კერძოპრევენციული მნიშვნელობა აშკარაა. ის გამოსწორებისაკენ უბიძგებს მსჯავრდებულს, რადგან იმედს აძლევს მას, რომ ცხრა კედლებს ოცდახუთი წლის შემდეგ მაინც დააღწევს თავს. ეს თვისება არ ჰქონდა სიკვდილით დასჯას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სიკვდილით დასჯასთან შედარებით ახალ სასჯელს ამ მხრივაც უპირატესობა გააჩნია.

ქვეკომისიაში მწვავე კამათი გაიმართა ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის საკითხზეც. იყო მოსაზრება, რომ ეს სასჯელი ძველებურად თხუთმეტწლიანი ვადით განგვესაზღვრა. ნაწილი ქვეკომისიის წევრებისა მოითხოვდა, რომ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმად

ოცი წელი დაგვეწესებინა.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ, ჯერ ერთი, ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიღებულია ზოგიერთი დემოკრატიული ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკაში (ავსტრია). მეორეც, ის, რომ თხუთმეტწლიანი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში სასამართლოსათვის გაცილებით უფრო ადვილია უვადო თავისუფლების აღკვეთაზე გადასვლა, ვიდრე ოცწლიანი თავისუფლების აღკვეთის დროს. სასამართლო პრაქტიკაში ამან შეიძლება უსაფუძვლოდ გაზარდოს უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევათა რიცხვი. საბოლოოდ დაწესდა, რომ „ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით" (50-ე მუხლი, მე-2 ნაწ.).

სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა, 1960 წლის კოდექსისაგან განსხვავებით, ახლებურად ააგო სასჯელთა სისტემა. თუ ძველ კოდექსში სასჯელთა კიბე მძიმე სასჯელიდან მსუბუქისაკენ მიემართებოდა, ახალი კოდექსით, პირიქით, სასჯელთა კიბე იწყება ყველაზე მსუბუქით და მთავრდება ყველაზე მძიმე სასჯელით. ეს სასჯელებია: ჯარიმა და უვადო თავისუფლების აღკვეთა (იხ. მე-40 მუხლი). ასეთივე სისტემა გეხვდება კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეული მუხლების სანქციებშიც. მაგალითად, 177-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია ასეა ჩამოყალიბებული: „ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით". ამით კანონმდებელი სასამართლოს ეუბნება, რომ სასჯელის შერჩევა დაიწყოს ყველაზე მსუბუქით, იქნებ ეს საკმარისი აღმოჩნდეს და უფრო მძიმეზე გადასვლა არ დასჭირდეს. აქაც თანამედროვე სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელი სასჯელის გამოყენების დემოკრატიული პრინციპია ნაგულისხმევი. საკითხისადმი ასეთი მიდგომა შეესაბამება თანამედროვე სისხლის სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელსაც სასჯელის ეკონომიის პრინციპს უწოდებენ.

სახელმწიფო ქვეკომისიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ პროექტში შეგვეტანა მხოლოდ ორი სახის სასჯელი: ჯარიმა და თავისუფლების აღკვეთა (ვადიანი და უვადო). ამ მოსაზრებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ყოველ ახალ სასჯელს ახალი სამსახურის შექმნა სჭირდება, რაც მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფოს ისედაც ღარიბ ბიუჯეტს. ამ მოსაზრებამ საბოლოოდ მხარდაჭერა ვერ ნახა.

ამჟამად კოდექსის სასჯელთა კიბე სასჯელის ცხრა სახეობას ითვალისწინებს. მათ შორის, ყველაზე მსუბუქი, როგორც ვთქვით, ჯარიმაა,

რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ძალიან გავრცელებულია. ჯარიმის დანიშნა ორმხრივად მომგებიანია. თუ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების საჭიროება არ არსებობს, მსჯავრდებული უბრუნდება თავის ოჯახს და ჯარიმის გადახდით სახელმწიფო ბიუჯეტიც ივსება.

ჩვენმა კოდექსმა ჯარიმის ახლებური სისტემა დააწესა. ერთი მხრივ, სასამართლო ვალდებულია დამნაშავეს მიუსაჯოს დღიურ ანაზღაურებათა შესაბამისი რაოდენობა, ხოლო შემდეგ განუსაზღვროს ფულადი გადასახდელის ოდენობა თითოეული დღიური ანაზღაურებისათვის. კანონმა განსაზღვრა, რომ დღიური ანაზღაურების მინიმუმია ათი დღიური ანაზღაურება, ხოლო მაქსიმუმი – სამას სამოცი დღიური ანაზღაურება. თითოეული დღიური ანაზღაურებისათვის კი დაწესდა ფულადი გადასახდელი, რომლის მინიმუმი ორი ლარი, ხოლო მაქსიმუმი ათი ათასი ლარი უნდა იყოს (იხ. 41-ე მუხლი).

ამით დაცულია სამართლიანობის ზოგადი პრინციპიც, როცა ორ ადამიანს დაახლოებით ერთნაირი სიმძიმის დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელად ერთი და იმავე რაოდენობის დღიური ანაზღაურება დაენიშნება სასჯელად, ხოლო, მათი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, თითოეულ მათგანს ყოველი დღიური ანაზღაურებისათვის შესაბამისი ფულადი გადასახდელი განესაზღვრება. ასე რომ, ერთ დამნაშავეს, მაგალითად, ერთი დღიური ანაზღაურებისათვის შეიძლება განესაზღვროს ორი ლარი, ხოლო მეორეს – ათი ათასი ლარი. ამით ჯარიმის ეს სისტემა სავსებით შეესაბამება ჩვენში ახლახანს აღორძინებულ მეურნეობრივ თავისუფლებას, რომელიც ადამიანთა შორის მნიშვნელოვან ქონებრივ განსხვავებას ქმნის.

სახელმწიფო ქვეკომისიაში ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით, თანამედროვე ეპოქის შესაფერისი პროექტი წარგვედგინა პარლამენტისათვის. ამიტომ ვცდილობდით, პროექტში, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ტრადიციული ინსტიტუტის გარდა, აგრეთვე სხვა წამახალისებელი ღონისძიებანიც გაგვეთვალისწინებინა.

როგორც ცნობილია, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის გარდა, ყველა დანარჩენი წამახალისებელი ღონისძიება კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეულ მუხლებშია გათვალისწინებული. თავდაპირველად, პროექტში, რომელიც პარლამენტს წარედგინა განსახილველად, ოცამდე ასეთი წამახალისებელი ღონისძიება იყო შეტანილი.

პარლამენტმა ყველა ეს ნორმა დააკანონა. მაგრამ კოდექსის მიღების შემდეგ (თუმცა მის ძალაში შესვლამდე). ერთმა წამახალისებელმა ღონისძიებამ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრთა უკმაყოფილება გამოიწვია და ამ ნორმის ამოღება გადაწყვიტეს. საკითხი ეხებოდა იმ შენიშვნებს, რომლებიც დართული ჰქონდა კოდექსის 143-ე და 144-ე მუხლების ტექსტებს.

143-ე მუხლის (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) შენიშვნის მიხედვით, „თუ ადამიანის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთიდან 72 საათის განმავლობაში დამნაშავე ნებაყოფლობით გაათავისუფლებს მას, ის გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები და არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი.“ ანალოგიური შენიშვნა ჰქონდა აგრეთვე 144-ე მუხლის (მძევლად ხელში ჩაგდება) ტექსტსაც.

ამ შენიშვნების გამო ჯერ კიდევ კოდექსის ძალაში შესვლამდე პარლამენტის იურიდიული კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე მწვავე დებატები გაიმართა. მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ ამ შენიშვნებს, ნაცვლად გაძლიერებისა, შეუძლია შეასუსტოს ხსენებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა. მათი აზრით, დამნაშავეთა მიმართ ასეთი შეღავათები ხელს შეუწყობდა ამ დანაშაულთა გამრავლებას, რადგან ადამიანის გამტაცებელი, თუკი მას არ დავაპატიმრებდით, გათამამდებოდა და ახლა მეორე დანაშაულს ჩაიდენდა და ა.შ. ამის საფუძველზე 143-ე და 144-ე მუხლების ხსენებული შენიშვნები ამოიღეს (იხ. 1999 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ I, 2000 წ., №18, მუხლი 45).

ეს მსჯელობა, რასაკვირველია, დაუსაბუთებელი და ნაჩქარევი იყო. სამწუხაროდ, დეპუტატთა ის ნაწილი, ვინც ამ შენიშვნების წინააღმდეგ გამოდიოდა, ყოფილი პოლიციელები და პროკურორები იყვნენ, რომლებსაც დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი ხნის გამოცდილება აქვთ და ამიტომ დამნაშავის ფსიქოლოგია კარგად უნდა იცოდნენ.

ჯერ ერთი, ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლას ხელს უნდა უშლიდეს, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტიც, რომელიც ალბათ უკვე ორი საუკუნეა გვხვდება ცივილიზებული ქვეყნების კანონმდებლობაში. ეს ნორმა საბჭოურ კანონმდებლობაშიც იყო შეტანილი და რაიმე გაუგებრობა არ გამოუწვევია. ისიც ხომ შეგვეძლო დაგვეწუნებინა იმ მოტივით, თითქოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული კაცი გათამამდება და მეორედაც ჩაიდენს დანაშაულს? ასეთი რამ პრაქტიკულად არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს.

მეორეც, ის, რომ ადამიანის გამტაცებელი, მართალია, გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ ის უკვე მხილებულია და ყველამ იცის მისი ვინაობა. განმეორებით მისთვის ამ დანაშაულის ჩადენა ადვილი როდია. ბევრი ასეთ კაცს მოერიდება და მასთან ურთიერთობას აღარ დაამყარებს, აღარ მოტყუვდება. პოლიციასაც შეუძლია მას თვალყური ადევნოს. თანაც ადამიანის გატაცება, ისიც გამოსყიდვის მიზნით, ხის ქვეშ მზესუმზირის კნატუნი ხომ არ ჰგონია ვინმეს?! ის საკმაოდ რთული ჩასადენია და ამ დანაშაულის მომზადებას დიდი დრო სჭირდება. ასე რომ, ამ დანაშაულის გამეორება საკმაოდ ძნელია და პოლიციაში და პროკურატურაში ნამსახურევ კაცს არ უნდა გაუჭირდეს ამის მიხვედრა. ასეთი კაცი დამნაშავის ფსიქოლოგიას სხვაზე უკეთ უნდა იცნობდეს.

რაც მთავარია, როცა კანონში ასეთი შენიშვნა შეაქვთ, მაშინ მხედველობაში მიიღება სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანები. აქ სასწორზე იდება ორი სიკეთე: 1) დამნაშავის დასჯა და 2) მსხვერპლის, ესე იგი გატაცებულის თავისუფლება. რომელ სიკეთეს უნდა მიეცეს ამ შემთხვევაში უპირატესობა?

თუკი მხედველობაში მივიღებთ, რომ სისხლის სამართლის ძირითადი ამოცანა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ადამიანისა და საზოგადოების დაცვაა და დამნაშავის დასჯას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ის ამ მიზანს ემსახურება, მაშინ უპირატესობა თავისუფლებაღკვეთილის, მსხვერპლის თავისუფლებას უნდა მიეცეს. დამნაშავის დასჯა თვითმიზანი არ უნდა იყოს. თუკი დამნაშავის დაუსჯელობით მსხვერპლს რაიმე ეშველება, მაშინ დასჯისაგან თავი უნდა შევიკავოთ, უნდა გავითვალისწინოთ ტყვეობაში მყოფის მდგომარეობა, როცა მას აკავებენ იმის გამო, რომ გამტაცებელს დასჯის ეშინია. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, დამნაშავის დაუსჯელობას რა სიამოვნებით დათანხმდებოდა ტყვე, თუკი მას გაათავისუფლებდნენ!

კოდექსის მეხუთე კარი მთლიანად არასრულწლოვნის პასუხისმგებლობისადმია მიძღვნილი (80–100-ე მუხლები). 1960 წლის კოდექსის ანალოგიურად არასრულწლოვანია ის, ვინც 14-დან 18-მდე წლის ასაკშია, მაგრამ, თუ ძველი კოდექსით არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა მიესჯებოდა ათ წლამდე ვადით, ახალი კოდექსის თანახმად,

16-დან 18 წლამდე ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მას შეიძლება თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადითაც დაენიშნოს, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი წლისა (88-ე მუხლი). სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით ეს პოზიცია, ჩემი აზრით, უთუოდ გამართლებულია.

ახალი კოდექსით სხვაგვარად არის აგებული არასრულწლოვნის მიმართ გამოსაყენებელი აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების სისტემა. შემოტანილია ისეთი იძულებითი ღონისძიება, როგორიცაა, მაგალითად, ქცევის შეზღუდვა (იხ. 95-ე მუხლი). ამ მუხლით მოცემულია არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვის ღონისძიებათა მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალი. სასამართლოს თავისი შეხედულებითაც „შეუძლია შეზღუდოს არასრულწლოვნის ქცევა". ასე რომ, კოდექსი ითვალისწინებს არასრულწლოვნის თავისუფლების შეზღუდვის ორ სახეს. პირველია – თავისუფლების შეზღუდვა (იხ. 86[1] მუხლი), რომელიც სისხლის სამართლის სასჯელს წარმოადგენს; მეორეა – ქცევის შეზღუდვა (95-ე მუხლი), რომელიც სასჯელი კი არა, გამაფრთხილებელი ღონისძიებაა.

მაშასადამე, არასრულწლოვნის მიმართ კანონი ორი სახის ზემოქმედებას იყენებს: 1) სასჯელი, დასჯა და 2) გამაფრთხილებელი ღონისძიება. ორივე ეს ღონისძიება ზოგ შემთხვევაში სრულწლოვნის მიმართაც შეიძლება იქნეს გამოყენებული. უმთავრესად ეს ეხება ფსიქიკურად დაავადებულს, როცა, ვთქვათ, დანაშაული ჩადენილია შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში ან, როცა „პირს ესაჭიროება განკურნება ალკოჰოლიზმისაგან ან ნარკომანიისაგან" (იხ. 101-ე მუხლი). ამგვარად, კოდექსი აღიარებს დამნაშავის მიმართ გამოსაყენებელ ღონისძიებათა ორკვალიან სისტემას (სასჯელი და გამაფრთხილებელი ღონისძიება).

* * *

ახლებურად ჩამოყალიბდა კოდექსის კერძო ნაწილის სისტემა. რუსული სოციალიზმის იდეოლოგიურ საფუძველზე აგებული 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი წინ აყენებდა სახელმწიფო ინტერესების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვას. ახალმა კოდექსმა ამ კლასობრივ იდეოლოგიაზე უარი თქვა და წინა პლანზე ადამიანის, მისი უფლებების დაცვა დააყენა. თუკი 1960 წლის კოდექსის

კერძო ნაწილი იწყებოდა სამშობლოს ღალატის მუხლით (65-ე მუხლი), ახალი კოდექსის კერძო ნაწილი იწყება 108-ე მუხლით, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის. ამ სისტემას საფუძვლად უდევს ის აზრი, რომ ადამიანი კი არ არსებობს სახელმწიფოსათვის, არამედ სახელმწიფო არსებობს ადამიანისათვის, მისი უფლებების დაცვისათვის.

კოდექსის მე-7 კარი მთლიანად (108-ე, 176-ე მუხლები) ეთმობა პასუხისმგებლობას ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. ეს კარი იწყება სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავით (XIX თავი) და მთავრდება ოჯახისა და არასრულწლოვნის ხელმყოფი დანაშაულებით (XXIV თავი). ამ კარში მოთავსებულია ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (XX თავი), ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დანაშაულები (XXI თავი), დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (XXII თავი), დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (XXIII თავი), დაბოლოს, როგორც ვთქვით, მოცემულია ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (XXIV თავი).

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში შემოვიდა რამდენიმე ახალი პრივილეგირებული შემადგენლობა, რომლებიც 1960 წლის კოდექსში ცალკე არ იყო გამოყოფილი. ასეთია, მაგალითად, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (110-ე მუხლი). ამ მუხლით ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული განზრახ მკვლელობისათვის „მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით" (ბერძ. ევთანაზია ანუ „ტკბილი სიკვდილი").

სახელმწიფო ქვეკომისიაში არსებობდა მოსაზრება, რომ ეს მუხლი ორნაწილიანად ჩამოყალიბებულიყო. პირველ ნაწილში შევიდოდა საზოგადოდ განზრახი მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით. მაგალითად, მსხვერპლი ავად არის, მაგრამ სურს თავის მოკლა. იგი თვითმკვლელობას ვერ ახერხებს და ამის გამო სხვას სთხოვს დახმარებას. ეს იქნებოდა პრივილეგირებული შემადგენლობა, თუმცა ამისათვის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა დაწესდებოდა, ვიდრე ევთანაზიის გამო, რომელიც მუხლის მეორე ნაწილით იქნებოდა გათვალისწინებული (110-ე მუხლი). ამ მოსაზრებას ქვეკომისიაში მხარი არ დაუჭირეს და მივიღეთ 110-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია. ვფიქრობ, სასამართლო პრაქტიკამ

საჭიროა ანგარიში გაუწიოს იმ გარემოებას, რომ მკვლელობა ჩადენილია მსხვერპლის თხოვნით და დამნაშავე 108-ე მუხლის სანქციის ფარგლებში, შესაბამისად, უფრო მსუბუქად დასაჯოს.

რეფორმის სრულ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ კოდექსის 112-ე მუხლი, რომელიც შემსუბუქებულ პასუხისმგებლობას აწესებს დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობისათვის. მართალია, ეს შემადგენლობა არ გვხვდებოდა 1960 წლის საქართველოს კოდექსში, მაგრამ მას ითვალისწინებდა ამ კოდექსის 1960 წლის პროექტი (იხ. 98-ე მუხლი). სამწუხაროდ, ეს შემადგენლობა იმ დროს სრულიად დაუსაბუთებელი, მაგრამ საკმაოდ მწვავე კრიტიკის საგანი გახდა იურისტთა წრეში ჯერ კიდევ პროექტის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო") შეტანამდე.[9] ამ შემადგენლობამ, როგორც ჩემთვის შემდეგ ცნობილი გახდა, უმაღლესი საბჭოს სესიაზეც ვერ დაიმსახურა მოწონება. საბოლოოდ ის პროექტიდან ამოიღეს. 1999 წლის კოდექსის პროექტში 112-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

ახლებურად ჩამოყალიბდა 1960 წლის კოდექსის 106-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან შედარებით, კოდექსის 111-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობა. 106-ე მუხლი, როგორც ცნობილია, ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის უცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება პრივილეგირებულ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნებოდა.

[9] იხ. ბ. ფურცხვანიძე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი," 1960, №1; ავტორი დედის მიერ ახალშობილის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას გამართლებულად მიიჩნევდა „საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში... რადგან მარტოხელა ქალის, განსაკუთრებით სოფლად, დედაქალის მატერიალური მდგომარეობა მძიმე იყო... შემდეგ წლებში მასების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებასა და სახელმწიფოს მხრივ დედისა და ბავშვისადმი მზრუნველობის გაძლიერების პირობებში, სასამართლოს ასეთი პრაქტიკა ყოვლად გაუმართლებელი შეიქნა".

ჩვილის მკვლელობის პრივილეგირებულ შემადგენლობად გამოყოფის წინააღმდეგია აგრეთვე თ. ჯუსოევი (იხ. მისი „ახალშობილის მკვლელობის საკითხისათვის", ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1989, №1). ამ უსამართლო მოსაზრებას დასაბუთებული პასუხი გასცა პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა ვ. შყაშკილმა, რომლის აზრით, ქალის მატერიალური მდგომარეობა აქ არაფერ შუაშია. „ქალი მშობიარობის მოშენტში და ერთ ხანს მშობიარობის შემდეგ სავსებით ვერ ფლობს თავის თავს. ეს მდგომარეობა შემცირებული შერაცხადობის შემთხვევაა (იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი," 1960, №2, 42-ე გვ.).

ახალმა კოდექსმა 1960 წლის კოდექსის 106-ე მუხლის რედაქცია ნაწილობრივ შეავიწროვა, როცა სიტყვები „ახლობლების მიმართ" შეცვალა სიტყვებით „ახლო ნათესავის მიმართ". „ახლო ნათესავის" ცნება დაზუსტებულია მოქმედი კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნით.

სხვა მხრივ ახალი კოდექსის 111-ე მუხლის დისპოზიცია აშკარად გაფართოებულია. თუ, მაგალითად, 1960 წლის კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული უნდა იყოს „დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით", ახალი კოდექსის 111-ე მუხლით ძლიერი სულიერი აღელვება შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე „სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ".

გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის ფორმულირება ვიწროა და არ მოიცავს ეგრეთ წოდებულ ადიულტერს ანუ ცოლქმრულ ღალატს.[10]

სახელმწიფო ქვეკომისიამ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ერთხმად გადაწყვიტა გაეფართოებინა პროექტის შესაბამისი მუხლის (კოდექსის 111-ე მუხლი) დისპოზიცია და დაემატებინა სიტყვები – „სხვა ამორალურმა ქმედებამ", რაც ცოლქმრულ ღალატს მოიცავს. მაგრამ ქვეკომისია მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა და ხსენებული მუხლის ტექსტს დაუმატა კიდევ სიტყვები – „აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრამვამ".

ამავე დროს, 111-ე მუხლი ჩამოყალიბდა ორნაწილიანად. მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს გაძლიერებულ პასუხისმგებლობას, როცა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების შედეგად ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა მოხდა.

საგულისხმოა ისიც, რომ, 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ასევე ორნაწილიანია ახალი კოდექსის 116-ე მუხლიც (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით). ამ მუხლის მეორე ნაწილი სასჯელის მაქსიმუმად ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს გაუფრთხილებლობით ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის

[10] იხ. მ. ლეკვეიშვილი, მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი აღელვების საფუძველზე, ჟურ. „საბჭოთა სამართალი," 1976, №5. ამის წინააღმდეგ იხ. ტ. ლემონჯავა, აფექტის მიზეზად ადიულტერის ჩათვლისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი," 1978, № 1.

მოსპობისათვის. ჩვენი აზრით, ხსენებული მუხლების ასეთი ფორმულირება სავსებით გამართლებულია სასჯელის ზოგადი პრევენციის თვალსაზრისით.

1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ამ თავში შემოტანილია აგრეთვე სრულიად ახალი პრივილეგირებული შემადგენლობა – მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით (114-ე მუხლი). ასეთი შემადგენლობის კოდექსში შემოტანა მით უფრო საგულისხმოა, რომ ზოგად ნაწილში პირველადაა გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის ისეთი გამომრიცხველი გარემოება, როგორიცაა დამნაშავის შეპყრობა (29-ე მუხლი).

კოდექსის XXIII თავი აწესებს პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებისა და თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის. ახლებურად ჩამოყალიბდა ისეთი დანაშაულის სისტემა, როგორიცაა უკანონო თავისუფლების აღკვეთა. ცალკე გამოიყო პასუხისმგებლობა „მძევლად ხელში ჩაგდებისათვის“ (144-ე, 329-ე მუხლები). ამავე დროს განსაზღვრულია მძევლის ცნება, რომელიც გულისხმობს უკანონო თავისუფლების აღკვეთის იმ შემთხვევას, როცა თავისუფლებააღკვეთილის გათავისუფლება რაიმე პირობას, ვთქვათ, თანხის გადახდას ან პოლიტიკურ ულტიმატუმს უკავშირდება. დანარჩენ შემთხვევაში გვექნება ადამიანის უკანონო თავისუფლების აღკვეთის სხვა სახეობა, რაც მძევლობას არ გულისხმობს (143-ე მუხლი).

პირველად წესდება ჩვენს კოდექსში პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის. თუმცა 1928 წლის საქართველოს კოდექსში დაწესებული იყო პასუხისმგებლობა ერთი სახის დანაშაულის – ქრთამის პროვოკაციისათვის (125-ე მუხლი), მაგრამ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ეს შემადგენლობა საერთოდ აღარ შეუტანიათ.

თავდაპირველად სახელმწიფო ქვეკომისიაში იყო აზრი, რომ პროექტში, 1928 წლის კოდექსის ანალოგიურად, ისევ შემოგვეტანა ქრთამის პროვოკაცია. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ყველა დანაშაულის პროვოკაცია გამოგვეცხადებინა დასჯად ქმედებად, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით გამართლებულია ადამიანის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით. ამ ქმედების დანაშაულად გამოცხადება სავსებით ეთანხმება ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის თანამედროვე იდეას.

აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ დამუშავებულია. პროვოკაცია ორი სახისაა. პირველი სახის პროვოკაცია გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა სრულიად ალალმართალი კაცი აცდუნეს და წააქეზეს

დანაშაულის ჩასადენად მისი შემდგომი მხილებისა და დასჯის მიზნით.

მეორე სახის პროვოკაცია ისეთი შემთხვევაა, როცა აგენტ-პროვოკატორს შეაგზავნიან ხოლმე დანაშაულებრივ ჯგუფში დამნაშავეთა გამოვლინების მიზნით. სწორედ ეს მეორე სახის პროვოკაცია არ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას.

ამ სისტემის გათვალისწინებით არის აგებული 1999 წლის 22 ივლისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი, რომლითაც პროვოკაციის შემადგენლობა ასეა აღწერილი: „დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით“.

„კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევის“ (158-ე მუხლი) და „პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევის“ (159-ე მუხლი) ტრადიციული შემადგენლობების გვერდით, კოდექსის ამავე 23-ე თავში თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ისეთი შემადგენლობებიც გვხვდება, როგორიცაა „სიტყვის თავისუფლების ხელყოფა“ (153-ე მუხლი), „ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა“ (154-ე მუხლი) და „დევნა“ (156-ე მუხლი) და სხვ. ამ ქმედებათა დასჯადად გამოცხადება უთუოდ ხელს შეუწყობს პიროვნების შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფლებას და წინ წასწევს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს კოდექსში იმ ტრადიციულმა მუხლებმა, რომლებიც პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვას ემსახურება. ასეთი მუხლებია ცილისწამება და შეურაცხყოფა. სახელმწიფო ქვეკომისია ერთხმად იდგა იმ პოზიციაზე, რომ ტრადიცია არ დაერღვია და ეს ორივე შემადგენლობა დაეტოვებინა კოდექსში.

უფრო მეტიც, გამოითქვა მოსაზრება, რომ ახალ ეპოქაში, როცა ცენზურა აიკრძალა და სიტყვის თავისუფლებას უსაზღვრო გაქანება მიეცა, პიროვნების პატივისა და ღირსების უკეთ დაცვის მიზნით შემოგველო აგრეთვე პასუხისმგებლობა დიფამაციისათვის. როგორც ცნობილია, დიფამაცია ცილისწამებისაგან იმით განსხვავდება, რომ, თუ ცილისწამება მონაჭორია, ესე იგი მონაგონის, არარსებულის გავრცელებას გულისხმობს, დიფამაცია ნიშნავს სინამდვილეში მომხდარი ფაქტის (დიფამაცია ლათინური სიტყვაა და მისი ქართული შესატყვისია „ვამხელ“) გამოაშკარ- კებას. ქვეკომისიას ჩვენ შევთავაზეთ დიფამაციის ზოგადი შემადგენლობის პროექტი, რომელიც ასეთი შინაარსისა იყო: „დიფამაცია, ესე იგი სხვისი საზელგამტეხი ცნობის გავრცელება ან გავრცელების მუქარა რაიმე მართლსაწინააღმდეგო მიზნის მისაღწევად“.

დიფამაციის კრიმინალიზება ყოველთვის იწვევდა პრესის მუშაკთა უკმაყოფილებას, თითქოს ის ხელს უშლის სიტყვის თავისუფლებას, რადგან დასჯით ემუქრება იმას, ვინც სინამდვილეში მომხდარ ფაქტს გაავრცელებს. ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ დიფამაციის ცნებაში შემოვიტანეთ მართლწინააღმდეგობის მიზანი. თუ ამ ფაქტის გავრცელება მოხდება მართლზომიერად, ესე იგი საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნით, ვთქვათ, საქმის აღძვრისათვის, პიროვნების საზოგადოებრივი გაკიცხვისათვის და ა.შ., მაშინ ის არ დაისჯება. თუკი დიფამაცია ხდება მართლსაწინააღმდეგო მიზნით, მაშინ მისმა გამავრცელებელმა პასუხი უნდა აგოს. ჟურნალისტი, ცხადია, არ უნდა მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგოდ, მას ხომ საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზანი უნდა ამოძრავებდეს! ამ დებულების სისწორეს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობაც ადასტურებს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალმა კოდექსმა დიფამაციის ზოგად შემადგენლობაზე უარი თქვა, კოდექსში მაინც გვხვდება დიფამაციისათვის პასუხისმგებლობის ცალკეული შემთხვევები. მაგალითად, კოდექსის 139-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულებისათვის. ამ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი ხერხია „სახელგამტეხი ცნობის გახმაურების" მუქარა. ხომ შეიძლება მსხვერპლი არ დათანხმდეს დამნაშავის წინადადებას და დამნაშავემ აღასრულოს მუქარა, გაამჟღავნოს დაზარალებულის პატივისა და ღირსების დამამცირებელი ფაქტი. საგულისხმოა, რომ ეს ფაქტი სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს.[11] ამავე დროს, მუქარა ამ ფაქტის გამჟღავნებისა და მისი გამჟღავნებაც ამ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგოა.

181-ე მუხლით, პასუხისმგებლობას იწვევს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა. ამ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს აგრეთვე მსხვერპლის „სახელგამტეხი ცნობის გახმაურების" მუქარა. აქაც ეს ცნობა, ცილისწამებისაგან განსხვავებით, სინამდვილის ფაქტს უნდა ასახავდეს და ასეთი

[11] ნათია კილასონია წერს: „ცილისწამება გამოიხატება მონაჭორის გავრცელებაში, დიფამაციის დროს კი გავრცელებული ცნობები, მართალია, სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ მაინც საჭიროებს კრიმინალიზაციას" (იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ჟურ. „ალმანახი," 1999, №2, 95-ე გვ.). თუმცა, როგორც ავტორი შენიშნავს, ახალი კოდექსის პროექტში დიფამაციად (143-ე მუხ.) მიჩნეული იყო „სხვისი სახელის გამტეხი ნამდვილი ან მცდარი ინფორმაციის გავრცელება" (იქვე, 98-ე გვ.).

მუქარა მართლსაწინააღმდეგოა, რადგან ანტისაზოგადოებრივ მიზანს ისახავს.

სამწუხაროდ, ახალი კოდექსი აღარ ითვალისწინებს შეურაცხყოფის ზოგად შემადგენლობას. პასუხისმგებლობა მხოლოდ შეურაცხყოფის ერთი კერძო შემთხვევისათვის (იხ. კოდექსის 366-ე მუხლი) დარჩა. ეს ახალგაზრდათა იმ ჯგუფის მოქმედების (თავისუფლების ინსტიტუტი) შედეგად მოხდა, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა სახელმწიფო ქვეკომისიაზე და ამოაღებინა პროექტიდან შეურაცხყოფის შემადგენლობა. ასეთი ცვლილების მოტივია სიტყვის თავისუფლება, თითქოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება შეურაცხყოფისათვის ხელს უშლიდეს სიტყვის თავისუფლებას.

2000 წლის აგვისტოში გუდაურში საქართველოს კონსტიტუციის მე-5 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ერთ-ერთ საკითხად სიტყვის თავისუფლება და შეურაცხყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განიხილებოდა. კონფერენციაზე ამ საკითხის ირგვლივ ცხარე დებატები გაიმართა.[12]

ახალგაზრდათა ხსენებული ჯგუფის სახელმწიფო ქვეკომისიაზე ზემოქმედების შედეგია აგრეთვე ისიც, რომ საგრძნობი და, მე ვიტყოდი, არცთუ მისაღები ცვლილება განიცადა ცილისწამების შემადგენლობამ. მართალია, ცილისწამების სრული დეკრიმინალიზება ახალ კოდექსში თავდაპირველად არ მომხდარა, მაგრამ ამ ქმედების შემადგენლობა, 1960 წლის კოდექსთან შედარებით, აშკარად ვიწროდ იყო წარმოდგენილი. ისჯებოდა მხოლოდ „ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით" (იხ. კოდექსის 148-ე მუხლი). სამწუხაროდ, 2004 წლის 24 ივნისის კანონით პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის საერთოდ გაუქმდა.

კოდექსის მერვე კარი ეკონომიკურ დანაშაულებს ეძღვნება. აქ, პირველ რიგში, საკუთრების დაცვის საკითხი დგას, რაც სრულიად ლოგიკურია. საკუთრება ადამიანის განუყრელი სიკეთეა, რომლის გარეშეც ის ვერ იარსებებს. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობისა და სხვა შემადგენლობების დისპოზიცია, 1960 წლის კოდექსისაგან განსხვავებით, ახლებურად არის ფორმულირებული.

[12] იხ. ლევან რამიშვილი, ცუდი იდეების წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი საშუალება კარგი იდეების ქადაგებაა; ოთარ გამყრელიძე, რამდენად მიზანშეწონილია ცილისწამებისა და შეურაცხყოფის დეკრიმინალიზება? ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", სპეც. გამოშვება, 2000, №4.

მაგალითად, „ქონება“ შეიცვალა სიტყვით „ნივთი.“ სამოქალაქო კანონმდებლობა ქონების ცნებას ასე განსაზღვრავს: „ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე..“ (იხ. სამოქალაქო კოდექსი, 147-ე მუხლი). ქურდს არ შეუძლია მოიპაროს ყოველგვარი ქონება, ვთქვათ, „არამატერიალური ქონებრივი სიკეთე“.

ქურდს არც ყოველგვარი ნივთიერი ქონების მოპარვა შეუძლია. სამოქალაქო კანონმდებლობა იძლევა ნივთის კლასიფიკაციას მოძრავ და უძრავ ნივთებად (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 148-ე მუხლი). ასე რომ, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის საგანი ყოველთვის „მოძრავი ნივთია“.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხსენებულ შემადგენლობათა აუცილებელ ნიშნად შემოტანილია სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.“ ეს მიზანი 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში არ გვხვდებოდა, რაც საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით კოდექსის დიდი ნაკლი იყო.

1999 წლის 22 ივლისის კოდექსის პროექტში შეტანილი იყო ახალი შემადგენლობა – უვარგისი იარაღით თავდასხმა (180-ე მუხლი). ამ შემადგენლობის ყაჩაღობისაგან ცალკე გამოყოფა ნაკარნახევი იყო იმით, რომ უვარგისი იარაღით თავდასხმის დროს დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას რეალური საფრთხე არ ექმნება, რაც ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია.[13]

ამ შემადგენლობას გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქოს ასეთ შემთხვევაში ყაჩაღური თავდასხმები გახშირდებოდა.[14] ეს, რასაკვირველია, ვერაფერი საბუთია ხსენებული შემადგენლობის დასაწუნებლად. უვარგისი იარაღით თავდასხმა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, არ შეიძლება ისეთსავე პასუხისმგებლობას იწვევდეს, როგორც ცოცხალი მიზნის დასაზიანებლად ვარგისი იარაღით თავდასხმა.

საბოლოოდ, პროექტის იმ ვარიანტიდან, რომელიც პარლამენტში შევიდა განსახილველად, ეს შემადგენლობა ამოიღეს. როგორც ჩანს, ზოგიერთი ჩვენი პრაქტიკოსი იურისტი ასეთი სიახლის მიღებისათვის მზად არ აღმოჩნდა. მომავალში ეს საკითხი აუცილებლად უნდა მოგვარდეს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ სასამართლო პრაქტიკას, ვიდრე ეს საკითხი საკანონმდებლო წესით მოგვარდებოდეს. ვფიქრობთ, სასამართლომ სასჯელის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ თავდასხმა მოხდა უვარგისი იარაღით და, შესაბამისად, შეუმსუბუქოს დამნაშავეს სასჯელის ზომა. თუმცა ეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში მოეთხოვება სასამართლოს, როცა უვარგისი იარაღით თავდასხმა ყაჩაღობად (179-ე მუხლი) არის დაკვალიფიცირებული.

კოდექსის მერვე კარის მომდევნო თავები ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის (XXVI თავი), აგრეთვე, ფულად-საკრედიტო სისტემაში (XXVII თავი), საფინანსო საქმიანობის სფეროში (XXVIII თავი), სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგო დანაშაულთა ჩადენის გამო (XXIX თავი). აქ დაწესებულია პასუხისმგებლობა ისეთი ქმედებების ჩადენის გამო, რომლებიც სრულიად უცხო იყო 1960 წლის კოდექსისათვის.

სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივ დაცვას დღეს, როცა კერძო წარმოება, თავისუფალი ეკონომიკა ასე გაძლიერდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თუ მეწარმე არ იქნა დაცული ქურდისა და ყაჩაღისაგან, ისე კერძო ბიზნესი ვერ განვითარდება, ქვეყანა წინ ვერ წავა. თანამედროვე პირობებში, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება ამ სფეროს წინსვლაზე დიდად არის დამოკიდებული.

სიახლეს შეიცავს კოდექსის მეცხრე კარიც. აქ შევიდა საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული ზოგი ისეთი ქმედება, რომლებიც ასევე უცხო იყო ადრინდელი კანონმდებლობისათვის. ასეთია, მაგალითად, მთელი ოცდამეხუთე თავი, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა კომპიუტერული დანაშაულის ჩადენისათვის (იხ. 284-ე, 285-ე, 286-ე მუხლები). ეს დანაშაულებრივი ქმედებები ტექნიკური პროგრესის უახლესი განვითარების ნაყოფია.

---

[13] იხ. ოთარ გამყრელიძე, უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის (ჟურნ. „პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი,“ 1997, №1; ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, 1998); გოჩა გიორგაძე, ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებანი (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ჟურნ. „ალმანახი,“ 1999, №12).

[14] „სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი შემადგენლობის შეტანა, – წერდა დ. სილაგაძე, – აუცილებლად გამოიწვევს შენიღბული ყაჩაღობების ზრდას და არნახულად გაუმჯობესებს მართლმსაჯულებისა და სამართლის დამცავ ორგანოებს ამ მძიმე დანაშაულთან ბრძოლას“ (იხ. დ. სილაგაძე, რამდენიმე შენიშვნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტთან დაკავშირებით, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 1998, №№244, 246, 251).

კოდექსის იმავე მეცხრე კარში ვხვდებით ქმედების ისეთ ახალ შემადგენლობას, როგორიცაა მეკობრეობა (228-ე მუხლი). ეს შემადგენლობა ყაჩაღობის სპეციალური შემთხვევაა და ისტორიულად ცნობილი იყო ზღვის ყაჩაღობად. აქვე გვხვდება ისეთი ტრადიციული დელიქტი, როგორიცაა ბანდიტიზმი (224-ე მუხლი), რომელიც 1960 წლის კოდექსში, მაშინდელი საკანონმდებლო გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ..სხვა სახელმწიფო დანაშაულთა" თავში იყო მოქცეული. სავსებით სწორად მოიქცა კანონმდებელი, როცა ბანდიტიზმის შემადგენლობა სახელმწიფო დანაშაულებს აღარ მიაკუთვნა და ის საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში შეიტანა.

კოდექსის მეცხრე კარის ოცდამესამე თავი მთლიანად ნარკოტიკულ დანაშაულებს ეძღვნება. საგულისხმოა, რომ 1960 წლის საქართველოს კოდექსში თავდაპირველად ნარკოტიკულ დანაშაულთა მხოლოდ ორი შემადგენლობა იყო შეტანილი: შხამიანი ან ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო დამზადება ან გასაღება (252-ე მუხლი) და ხაშხაშის ან ინდური კანაფის უნებართვოდ დათესვა (253-ე მუხლი). ამ დანაშაულთა რიცხვის მატება კოდექსში მხოლოდ 1974 წლიდან დაიწყო. 1999 წლის 22 ივლისის კოდექსის 23-ე თავი კი უკვე თხუთმეტ მუხლს მოიცავს. ნარკოტიკული ნივთიერების გვერდით კოდექსში დაწესებულია პასუხისმგებლობა ისეთი ქმედებების ჩადენისათვის, როგორიცაა ნარკოტიკული ნივთიერების ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო შემოტანა, გადაზიდვა და სხვ. ასე რომ, ნარკოტიკულ, შხამიან და ძლიერმოქმედ ნივთიერებათა გვერდით პირველად დაწესდა ისეთი ნივთიერების უკანონო გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა, როგორიცაა ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ნარკოტიკული საშუალების ანალოგი.

კოდექსის მეათე კარი მთლიანად ეთმობა პასუხისმგებლობას იმ დანაშაულთა ჩადენისათვის, რომლებიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგაა მიმართული. ეს კარი სულ ოც მუხლს მოიცავს და მეტ-ნაკლებად ბუნების ყველა კომპონენტს იცავს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. კოდექსით პირველად დაწესდა პასუხისმგებლობა „საქართველოს „წითელ ნუსხაში"[15] შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლისათვის" (302-ე მუხლი) და „დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევისათვის" (305-ე მუხლი). სიახლეა აგრეთვე პასუხისმგებლობა ეკოციდის გამო. მაგრამ ეს შემადგენლობა შეტანილია იმ კარში, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ დასჯას კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენისათვის (იხ. მე-14 კარი, 409-ე მუხლი).

კოდექსის მეთერთმეტე კარი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სახელმწიფოს საწინააღმდეგო დანაშაულებისათვის. არსებითად შეცვლილია სახელმწიფო დანაშაულთა სისტემაც, რომელშიც ცალკე თავებად შედის ისეთი დანაშაულები, როგორიცაა დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ (XXXVII თავი), ტერორიზმი (XXXVIII თავი), სამოხელეო დანაშაული (XXXIX თავი) და დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (XL თავი). როგორც ცნობილია, 1960 წლის კოდექსი სამოხელეო და მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულებს სახელმწიფო დანაშაულთა სისტემას არ მიაკუთვნებდა. მეთერთმეტე კარი მოიცავს იმ დანაშაულებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ხელისუფლების საპარლამენტო და აღმასრულებელ შტოსთან და იცავს ამ შტოებს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

რაც შეეხება კოდექსის მეთორმეტე კარს, იგი მოიცავს სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულებს. მეცამეტე კარი ეძღვნება სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, ხოლო ბოლო, მეთოთხმეტე კარი აწესებს პასუხისმგებლობას კაცობრიობის საწინააღმდეგო დანაშაულთა ჩადენისათვის.

* * *

სახელმწიფო ქვეკომისია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ახალი კოდექსი, რომლის პროექტსაც იგი ამზადებდა, სრულფასოვანი დოკუმენტი ყოფილიყო მოზღვავებული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად. კოდექსი, ამავე დროს, თანამედროვე ეპოქის დემოკრატიულ პრინციპებზე უნდა ყოფილიყო აგებული. ამასთან ერთად, სახელმწიფო ქვეკომისია პროექტზე მუშაობისას დიდ ყურადღებას აქცევდა საკანონმდებლო ტექნიკის საკითხებს. საკანონმდებლო ტექნიკის, ანუ კანონმდებლის

[15] ეს ტერმინი ახალია. ადრე გამოიყენებოდა ტერმინი „წითელი წიგნი." „საქართველოს სსრ წითელი წიგნი" საქართველოს მინისტრთა საბჭომ 1977 წელს დაამტკიცა. ცალკე წიგნად ის 1982 წელს გამოიცა (იხ. ოთარ გამყრელიძე, „საქართველოს სსრ წითელი წიგნის სრულყოფისათვის", ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1990, №1).

აზრის გამოსახვის ფორმის პრობლემა ქვეკომისიის საქმიანობის შუაგულში იდგა. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით სრულყოფილად დაწერილი კოდექსი აადვილებს მის პრაქტიკულ გამოყენებას.

რაც მთავარია, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსი შესაფერისი ქართულით უნდა ყოფილიყო დაწერილი. ეს საკითხი მწვავედ იმიტომ იდგა, რომ წინა კოდექსების პროექტები რუსულად დაიწერა და მერე ითარგმნა ქართულად. ამიტომ იყო, რომ შეუფერებელი თარგმანების წყალობით ქართული იურიდიული ენა ძლიერ შეირყვნა და დანაგვიანდა რუსული კალკებით. ამ მოვლენამ თავის მხრივ, დიდი გავლენა იქონია საერთოდ თანამედროვე ქართულზეც. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ გამოჩენილი ფრანგი მწერლის ვ. ჰიუგოს გამონათქვამს: ფრანგული ენა ვისწავლე ნაპოლეონის კოდექსით!

უპირველეს ყოვლისა, შევეხოთ ტერმინებს. ისტორიულად სისხლის სამართლის კოდექსის მეორე ნაწილის დასახელებად რუსული „особенная часть"-ის ზეგავლენით იხმარებოდა „განსაკუთრებული ნაწილი". სახელმწიფო ქვეკომისიამ ამ ტერმინის სანაცვლოდ შემოიტანა „კერძო ნაწილი." „განსაკუთრებული" აღმატებით ხარისხს აღნიშნავს, ის გამოხატავს უჩვეულოს, გამორჩეულს, საუკეთესოს. კოდექსის მეორე ნაწილში კი არაფერი გამორჩეული და საუკეთესო არ გვხვდება. ზოგადი პრინციპებისაგან განსხვავებით, რომელიც მოცემულია კოდექსის ზოგად ნაწილში, აქ აღწერილია კონკრეტული ქმედებების შემადგენლობები, ესე იგი კერძო შემთხვევები. ახალმა კოდექსმა „თანამდებობრივი დანაშაულის" ნაცვლად, პირველად აღადგინა ძველი ქართული იურიდიული ტერმინი „მოხელე." „სამოხელეო დანაშაული" (იხ. XXXIX თავი, სამოხელეო დანაშაული).

1960 წლის კოდექსში იყო ტერმინი „დახმარების აღმოუჩენლობა" (130-ე მუხლი). ეს ტერმინი რუსული „неоказание помощи"-ს ქართული კალკია. ამის სანაცვლოდ ჩვენ შემოვიტანეთ ტერმინი „დაუხმარებლობა" (129-ე მუხლი).

რუსული „порча земли"-ს (297-ე მუხლი) ნაცვლად ჩვენ შევთავაზეთ ქვეკომისიას ახალი ქართული ტერმინი „მიწის გაუვარგისება". ეს ტერმინი სრულიად ბუნებრივად არის მიგნებული: მიწის სავარგული, ვარგისი, უვარგისი, გაუვარგისება. საგულისხმოა, რომ ეს ტერმინი ქვეკომისიამ პროექტის სხვა მუხლშიც გამოიყენა. მაგალითად, კოდექსის 278-ე მუხლის სათაურია „სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისათვის

გაუვარგისება".

რუსული „халатность" ქართულად ითარგმნებოდა „დაუდევრობად" (იხ. 1960 წლის კოდექსის 188-ე მუხლი). ჩვენ ამ ტერმინის ნაცვლად შემოვიტანეთ „სამსახურებრივი გულგრილობა" (342-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავის სამსახურებრივ საქმიანობას უგულოდ, გულგრილად ეკიდება, უყურადღებოდ ექცევა.

რუსული „заведомо ложный донос", „заведомо ложное показание"-ს ზეგავლენით 1960 წლის კოდექსში გვხვდებოდა ტერმინი „შეგნებულად ცრუ დასმენა" (196-ე მუხლი), „შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა" (197-ე მუხლი). ჩვენ ეს ტერმინები გავაქართულეთ და ასე ვიყენებთ: „ცრუ დასმენა" (373-ე მუხლი), „ცრუ ჩვენება" (370-ე მუხლი). სიცრუეს არ ესაჭიროება წინასართი სიტყვა „შეგნებულად". რადგან „შეუგნებელი" სიცრუე არ არსებობს. ამას ადასტურებს ისეთი ფრაზეული მოქართულე, როგორიცაა შ. რუსთაველი. „ვგმობ კაცსა ტყუისსა, ცრუსა და ღალატიანსა", „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხშირსა, მერმე ხორცსა", – ამბობს პოეტი.

1960 წლის კოდექსში გამოყენებული ტერმინი „დანაშაულის განუცხადებლობა" შევცვალეთ ტერმინით „დანაშაულის შეუტყობინებლობა" (176-ე მუხლი). კი არ აცხადებენ რაიმეს, არამედ ატყობინებენ. ამიტომ შეუტყობინებლობა უფრო ბუნებრივი ქართულია.

„ძრახვების" ნაცვლად ყველგან შემოვიდა „ნივთი" (მოძრავი ან უძრავი). „მოძრავი ნივთი" (177-ე, 178-ე, 179-ე მუხლები), „ნივთის დაზიანება ან განადგურება" (187-ე მუხლი).

რუსული „злостное уклонение", რომლის ქართულ შესატყვისად ადრე გამოიყენებოდა „ბოროტად თავის არიდება", ჩვენი ინიციატივით ცვლილებებისაგან შეიცვალა ტერმინით „ჯიუტად თავის არიდებით". მაგალითად, ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (176-ე მუხლი). ადამიანი კი არ ბოროტობს ამ დროს, არამედ ჯიუტობს. ბოროტებას ქართულში არ გააჩნია ის მნიშვნელობა, რაც ამ სიტყვას რუსულ ენაში აქვს.

ტრადიციული „სამშობლოს ღალატის" ნაცვლად შემოვიდა „სახელმწიფოს ღალატი" (იხ. 307-ე მუხლი). ანალოგიური ტერმინი შემოიღო რუსეთის ფედერაციის პოსტსაბჭოურმა კოდექსმაც (275-ე მუხლი). მიუხედავად ამისა, ქართული „სახელმწიფოს ღალატი" რუსულის კალკი არაა. ამ ცვლილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. კაცი შეიძლება სახელმწიფოს ღალატობდეს, მაგრამ ეს სამშობლოს ღალატად არ

ჩაითვალოს. ანალოგიური ტერმინი გამოიყენება გერმანულ იურიდიულ ენაშიც (იხ. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §81. Hochverrat gegen Bunds – "სახელმწიფოს ღალატი").

დღემდე ვერ მოხერხდა ისეთი ტერმინის გაქართულება, როგორიცაა „ბანდიტიზმი." დაბოლოება „იზმი" რაიმე მოძღვრების აღმნიშვნელი უფროა (მაგ.: „მარქსიზმ-ლენინიზმი" და სხვ.). მე ვფიქრობ, ამის ნაცვლად ქართულად უნდა დაიწეროს „ბანდიტობა," როგორც იწერება მაგალითად, „ხულიგნობა," „მეკობრეობა," „ყაჩაღობა" და სხვ., „ხულიგანი" და „ხულიგნობა", „მეკობრე" და „მეკობრეობა". „ბანდა", „ბანდიტი" და „ბანდიტობა". სახელმწიფო ქვეკომისიამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე რუსულიდან კალკირებულ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ზიანის მიყენება" (причинение вреда") და უარი თქვა მასზე. ამის სანაცვლოდ კოდექსში ყველგან იხმარება სიტყვა „დაზიანება." მაგალითად, 1960 წლის კოდექსის ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა „ზიანის მიყენება," ახალ კოდექსში უკვე ვხვდებით „მნიშვნელოვნად დააზიანა," უკიდურეს შემთხვევაში – „მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია." ქართულის თვალსაზრისით, ეს უთუოდ გამართლებულია.

ყურადღება მივაქციე აგრეთვე რეალურ მრავლობითს, რომელიც ქართული ენისათვის დამახასიათებელია. ქართულ ენას, სხვა ენებისაგან განსხვავებით, აქვს უნარი მხოლობითით გამოხატოს მრავლობითი. მაგალითად, 1960 წლის კოდექსში რუსულის ზეგავლენით გვხვდებოდა ასეთი სიტყვათშეხამება: „წესების დარღვევა". ბუნებრივი ქართულით უნდა იყოს „წესის დარღვევა". აქ მხოლობითში გამოთქმული „წესი" მრავლობითსაც გულისხმობს. გარდა ამისა, ამას იურიდიული მნიშვნელობაც აქვს. როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როცა ადამიანმა მხოლოდ ერთი წესი დაარღვია? ამიტომ ახალ კოდექსში ყველგან ჩაიწერა „წესის დარღვევა" (იხ. მაგ.: 275-ე, 276-ე მუხლები და სხვ.). ეს გამოთქმა ერთი „წესის" დარღვევასაც გულისხმობს და ერთზე მეტისაც.

კოდექსის კერძო ნაწილი ორი განსხვავებული ტიპის შემადგენლობებისაგან შედგება. პირველია, ასე ვთქვათ, კლასიკური დელიქტები, მაგალითად, მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა, ყაჩაღობა, ბანდიტობა და სხვ., ხოლო მეორე ტიპის დელიქტებს მიეკუთვნება ბლანკეტური მუხლები. ასეთია, მაგალითად, ნადირობის, ავტოტრანსპორტის მოძრაობისა და ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროში მოქმედი წესების დარღვევა. დასავლეთის ქვეყნების კოდექსებში გვხვდება მხოლოდ კლასიკური დელიქტები, რაც შეეხება ბლანკეტურ მუხლებს, ისინი კოდექსში არ შე-

[illegible] და ცალკე კანონების სახითაა გამოცემული, რომელსაც თან [illegible] შესაბამისი წესები, რაც პრაქტიკულად მათ გამოყენებას აადვილებს. ეს საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია. სახელმწიფო ქვეკომისიაში ამ საკითხზე იყო მსჯელობა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბლანკეტური [illegible] გამოგვეყო ცალკე კანონების სახით.[16] მაგრამ ეს იმდენად [illegible] და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვდა, რომ ქვეკომისია ამისათვის [illegible] არ აღმოჩნდა და გაკვალული გზით წავიდა.

სახელმწიფო ქვეკომისიაში მწვავე კამათი გამოიწვია კოდექსში ცნების შეტანის საკითხმა. ჩემი აზრით, ცნება შეიძლება ორი სახის იყოს: მეცნიერული და იმპერატიული, ანუ სავალდებულო. მეცნიერული ცნების კანონში შეტანას კანონმდებელი უნდა მოერიდოს, რადგან ეს შეზღუდავს ან ვიწრო გამოვიდეს, ან ფართო და სასამართლო პრაქტიკაში შეიქმნას სირთულეები. როგორც ჩანს, ამას გულისხმობდნენ რომაელი იურისტები, როცა ჩამოაყალიბეს ფორმულა Omnis definition in jure (lege) periculosa est (ყოველგვარი განსაზღვრება სამართალში (კანონში) სახიფათოა). მეცნიერული ცნების კოდექსში შეტანა იმიტომაც არის სახიფათო, რომ ერთ მეცნიერს ამა თუ იმ მოვლენის ცნება შეიძლება სრულიად ჰქონდეს წარმოდგენილი და არ ემთხვეოდეს მეორე მეცნიერის მიერ შემუშავებულ ცნებას. ასეთი მეცნიერული ცნების ნიმუშად შეიძლება მოვიხმაროთ 1999 წლის კოდექსის მე-8 მუხლი, რომელიც მიზეზობრივი კავშირის ცნებას განსაზღვრავს. ამ მუხლის მე-2 ნაწილით „მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგის [illegible] კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამკვეთი ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა".

ეს განსაზღვრება აშკარად ვიწროა და გამოდგება მხოლოდ თანამონაწილეობისათვის, მაგრამ ვერ გამოდგება შედეგთან ამსრულებლის ქმედების მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის. ვთქვათ, პეტრემ პავლეს ესროლა [illegible] მოკვლის მიზნით. პავლე დაიჭრა, წაიყვანეს საავადმყოფოში და [illegible] ავარიაში დაიღუპა. მე-8 მუხლის მიხედვით, პეტრემ პასუხი უნდა აგოს დამთავრებული მკვლელობისათვის, რადგან მისი მოქმედება იყო შედეგის აუცილებელი პირობა. პეტრეს რომ არ დაეჭრა, პავლე ავარიაში არ მოყვებოდა და არ დაიღუპებოდა. თანაც ამსრულებლის მოქმედების

[16] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, 2002, მე-7 გვ.

მიზეზობრიობის დასადგენად ექსპერტიზის დანიშვნა საჭირო არ იქნებოდა.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ასევე აშკარად ვიწროდაა განსაზღვრული შუალობითი ამსრულებლის ცნება კოდექსის 22-ე მუხლით. ამ მუხლში ნათქვამია, რომ ამსრულებელია „აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“.

ამ ცნების საწინააღმდეგოდ ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანი სხვას ატყუებს და აქეზებს მას დანაშაულის ჩასადენად. მაგალითად, პეტრე ატყუებს პავლეს და ეუბნება, რომ ბუჩქში კურდღელია და თოფი ესროლოს. სინამდვილეში, ბუჩქის უკან პეტრეს მტერია, რომლის მოკვლაც მას სურს და ამას აკეთებს პეტრეს ხელით. ამ შემთხვევაში წამქეზებელი, ესე იგი პეტრე, იქნება განზრახი მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი, ხოლო დანაშაულის ჩადენის იარაღია პავლე, რომელიც ამავე დროს პასუხს აგებს გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის. პავლე იარაღის როლსაც ასრულებს და შეიძლება პასუხიც აგოს გაუფრთხილობითი მკვლელობისათვის.

სამწუხაროდ, კოდექსის 22-ე მუხლის ფორმულირება ასეთი კვალიფიკაციის შესაძლებლობას არ იძლევა. ეს იმის ბრალია, რომ აღნიშნული მუხლის ფორმულირება სიტყვა-სიტყვით ემთხვევა რუსეთის ფედერაციის 1996 წლის 24 მაისის კოდექსის 33-ე მუხლის ტექსტს. ჩვენთან ეს პრობლემა მეცნიერულად საკმაოდ დამუშავებულია, რაც ასეთი მცდარი ფორმულირების საფუძველს არ იძლეოდა. 22-ე მუხლის რედაქცია აუცილებლად უნდა დაიხვეწოს. აშკარად რუსული სამართლის ზეგავლენითაა გაპარული კოდექსის ტექსტში აგრეთვე ტერმინი „სპეციალური სუბიექტი“ (იხ. 25-ე მუხლის მე-6 ნაწილი). დანაშაულის სუბიექტია ადამიანი, რომლის დაყოფა „სპეციალურ“ და „არასპეციალურ“ სუბიექტად მიუღებელია. ამის ნაცვლად უნდა შემოვიღოთ ტერმინი „სპეციალური ამსრულებელი“.

იმპერატიული ცნების ნიმუშები უხვად გვხვდება კოდექსის კერძო ნაწილში. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ 179-ე მუხლი, სადაც კანონმდებელი განსაზღვრავს ყაჩაღობის ცნებას. ყაჩაღობა აქ ისეა განსაზღვრული, რომ ამ დანაშაულის დამთავრების მომენტი მცდელობის სტადიაზეა გადატანილი. ყაჩაღობა ხელყოფს ორ სიკეთეს და ამიტომ არის, რომ კანონმდებელი დამნაშავეს გაძლიერებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. 179-ე მუხლის ასეთი ფორმულირება საკანონმდებლო ტექნიკის

სრულიად გამართლებულია ამ მძიმე დანაშაულთან ბრძოლისათვის. ზოგადი პრევენციის თვალსაზრისით, ყველა ადამიანემ, ვინც ყაჩაღური თავდასხმისათვის ემზადება, უნდა იცოდეს, რომ მას თავისთავად თავდასხმის ფაქტი, ვიდრე სხვის ნივთს დაეუფლებოდეს, დამთავრებულ დანაშაულად ჩაეთვლება და ამის საფუძველზე გაძლიერებული პასუხისმგებლობა დაეკისრება.

ოთარ გამყრელიძე
2001–2005 წწ.

ზოგადი ნაწილი

კარი პირველი
სისხლის სამართლის კანონი

თავი I
საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი მიზანი

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.

2. ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

3. ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

1.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც სამართლის ნებისმიერი დარგის კოდექსი, ერთგვაროვანი სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების სისტემატიზებული კანონია (იხ. 1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს ნორმატიული აქტების კანონი, მე-9 მუხლი, მე-6 ნაწ.), რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ადგენს („სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის“ ცნების შინაარსის საკითხზე იხილეთ ამ კოდექსის მე-7 მუხლის განმარტება. „სასჯელის“ და „სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ღონისძიების“ ცნებების საკითხზე იხილეთ, შესაბამისად, კოდექსის 39-ე და 101–107-ე მუხლების განმარტება).

კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეული მუხლებით აღწერილია ის ქმედებები, რომელთა ჩადენა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და იქვე დასახელებულია სასჯელის სახე და ზომა, რომელსაც სასამართლო აქ აღწერილი ქმედების ჩადენის დროს იყენებს.

ყოველი ახალი კანონი, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხის-

ვებას აწესებს, სისხლის სამართლის კოდექსში უნდა შევიდეს. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს იმ პრინციპს, რომელიც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება. მაგალითად, გერმანიაში არსებული ბლანკეტური კანონები სისხლის სამართლის კოდექსში არ შედის და ისინი კოდექსისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. ასეთია, მაგალითად, სამეწარმეო კანონი. ეს კანონი ადგენს მეწარმეობის წესს და იქვე განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ანუ იგი თავალისწინებს სასჯელის სახესა და ზომას ამ წესის დარღვევისთვის.

1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს ნორმატიული აქტების კანონის თანახმად, ნორმატიული აქტების იერარქიაში იურიდიული ძალის მიხედვით კოდექსს, როგორც კანონს, მეოთხე ადგილი უჭირავს 1) საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის, 2) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების და 3) ორგანული კანონის შემდეგ (იხ. ხსენებული კანონის მე-19 მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონი უნდა შეესაბამებოდეს დასახელებულ ნორმატიულ აქტებს. წარსულში, როცა ჯერ კიდევ არ იყო მიღებული 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი და 1960 წლის მიღებული კოდექსი მოქმედებდა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებებით კოდექსის რამდენიმე მუხლის ანტიკონსტიტუციურობა დაადასტურა.

1.2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებში იგულისხმება ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებსაც საქართველო შეუერთდა და მათი რატიფიკაცია მოახდინა. მნიშვნელობაშია ხელშეკრულებები, რომლებსაც საქართველო შეუერთდა დამოუკიდებლობის აღდგენისა და საერთაშორისო აღიარების შემდეგ. საქართველოს სასამართლომ, როცა ამის აუცილებლობაა, საერთაშორისო სამართლის ნორმა უნდა გამოიყენოს თავის პრაქტიკაში.

საერთაშორისო სამართლის ნორმას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს, თუკი აღმოჩნდება წინააღმდეგობა ამ ნორმასა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმას შორის. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მიხედვით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.

ზოგჯერ სასამართლოს შეუძლია საქართველოს საერთაშორისო

ხელშეკრულება ან შეთანხმება ისევე უშუალოდ გამოიყენოს, როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმა. ეს შეიძლება მაშინ, როცა რასაკვირველია, შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტი ამას ხელს არ უშლის. მაგალითად, საქართველოს სასამართლოს შეუძლია უშუალოდ გამოიყენოს გაეროს 1968 წლის 26 ნოემბრის ომისა და ადამიანობის საწინააღმდეგო დანაშაულის კონვენცია, რომლის მიხედვით, აქ მითითებული ქმედების ჩამდენის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობა არ ვრცელდება.

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა საქმე გვაქვს ქმედების კონკრეტულ შემადგენლობასთან. მაგალითად, ჟენევის 1949 წლის კონვენციებსა და მათ დამატებით ოქმებში აღწერილია დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები. ამ შემადგენლობათა უშუალოდ გამოყენების უფლება საქართველოს სასამართლოს არ ჰქონდა, ვიდრე ისინი საგანგებოდ არ შევიდა საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კოდექსში. (იხ. 411–413-ე მუხლები).

ამიტომ, როცა პარლამენტში იხილება საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც იწვევს ცვლილებას სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში, აქვე უნდა იხილებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ცვლილების კანონპროექტიც (იხ. საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ კანონი, 35-ე მუხლი, მე-3 ნაწ.).

1.3. ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. სიტყვები „დანაშაულებრივი ხელყოფა“ ფართოდ უნდა გავიგოთ. აქ მარტო დანაშაულის ჩადენა როდი იგულისხმება, როცა ადამიანს ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უმართლობა (სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება) ბრალად შეერაცხება და დაისჯება. მხედველობაში მიიღება ისეთი შემთხვევაც, როცა უმართლობა, მართალია, მის ჩამდენს ბრალად არ შეერაცხება და ის ამის გამო არ დაისჯება, მაგრამ მის მი-

[1] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, 2002, მე-6 გვ.

[2] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, იქვე. რუსეთის ფედერაციის 1996 წლის, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება ამ საკითხისადმი ასეთ დიფერენციაციას არ აკეთებს (იხ. Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, 3-ье изд., М., 2000, вступительная статья, стр. IX).

სასამართლო გამოიყენებს გამაფრთხილებელ ღონისძიებას, რათა ... ანალოგიური ან სხვაგვარი სისხლისსამართლებრივი ... აღარ გაიმეოროს (სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება და სხვ.).

... სისხლის სამართალი, სამართლის სხვა დარგებისაგან ... იცავს საზოგადოებას, ადამიანს, მის უფლებებს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. თუ სამართლის სხვა დარგებისათვის დამახასიათებელია, განმსაზღვრელია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ... მოწესრიგების ფუნქცია, სისხლის სამართალს, უპირველეს ... გააჩნია დაცვითი ფუნქცია. სისხლის სამართალი იცავს ... მართლწესრიგს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და ამით ... საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას, გზას უკეტავს ... სისხლის სამართლისათვის დაცვითი ფუნქცია პირველადია, ... რეგულირების ფუნქცია – მეორადი. ამით განსხვავდება სისხლის ... სამართალი სამართლის სხვა დარგებისაგან.

თავი II
სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები

მუხლი 2. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში

1. ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს.

2. დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებდა ... შესრულებელი ან თანამონაწილე, ანდა უნდა ემოქმედა მას. შედეგის ... დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს.

2.1. ამ მუხლის პირველი ნაწილის ტექსტი გამოხატავს თანამედროვე ... სისხლის სამართლის ორ უმნიშვნელოვანეს პრინციპს: 1) არ არის დანაშაული კანონის გარეშე და 2) არ არის სასჯელი კანონის გარეშე. ... თანამედროვე სისხლის სამართალი უარყოფს ანალოგიის წესით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და ანალოგიის წესით სასჯელის გამოყენებას.

კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, პასუხისმგებლობის დაკისრებისა ... სასჯელის გამოყენების დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ... კანონით, რომელიც მოქმედებდა ქმედების ჩადენის დროს. ანალოგია

გამოიყენება მხოლოდ პიროვნების სასარგებლოდ, როცა კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს. ქმედება ნიშნავს ადამიანის მოქმედებას ან უმოქმედობას.

სისხლის სამართლის კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ის ნორმატიული აქტია, რომელიც ადგენს, რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად და აწესებს მისთვის შესაბამის სასჯელს. სისხლის სამართლის კანონს წარმოადგენს, მაგალითად, 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, აგრეთვე სხვა აქტი, რომლითაც პარლამენტს ცვლილება-დამატებანი შეაქვს ამ კოდექსში.

კანონპროექტი საკანონმდებლო წესის დაცვით (იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 67-ე მუხლი) შედის პარლამენტში. კანონის მიღების შემდეგ ის 7 დღის ვადაში წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც ხელს აწერს კანონს 10 დღის ვადაში და აქვეყნებს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს (იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 68-ე მუხლი).

კანონი დადგენილი წესის დაცვით (იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 68-ე მუხლი) მიღების შემდეგ ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში. ოფიციალურ ორგანოდ საქართველოში ითვლება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", სადაც საქართველოს ნორმატიული აქტი (მათ შორის სისხლის სამართლის კანონიც) პირველად ქვეყნდება სახელმწიფო ენაზე. არასახელმწიფო ენაზე გამოქვეყნებული კანონის „ტექსტს არა აქვს ოფიციალური ძალა" (იხ. საქართველოს ნორმატიული აქტების კანონი, მე-40 მუხლი).

საქართველოს ნორმატიული აქტების კანონის 61-ე მუხლის მიხედვით „საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს — „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" გამოცემამდე ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლებოდა მისი ტექსტის გამოქვეყნება გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა" ან ამ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემელი) ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №33, 31 ივლისი, 1997 წ.)".

ამ ტექსტის თანახმად უნდა გავაკეთოთ ლოგიკური დასკვნა, რომ ამჟამად, როცა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" უკვე დიდი ხანია გამოდის, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" და „პარლამენტის უწყებანი" აღარ ჩაითვლებიან ოფიციალურ ორგანოებად. ამიტომ ამ ორგანოებში გამოქვეყნებული კანონის ტექსტს ოფიციალური ძალა არა აქვს.

კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს, თუ კანონის ტექსტში სხვა ვადა არ არის დათქმული

საქართველოს კონსტიტუცია, 68-ე მუხლი). მაგალითად, 1999 წლის 22 იულისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში შევიდა მიღებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, კერძოდ, 2000 წლის 1 იანვრიდან.

ამ შემთხვევაში, როცა საკანონმდებლო აქტი პირველად აწესებს ან ამკაცრებს (სისხლისსამართლებრივ) პასუხისმგებლობას, ეს აქტი არ შეიძლება ძალაში შევიდეს თხუთმეტ დღეზე უფრო ადრე (იხ. საქართველოს ნორმატიული აქტების კანონის 45-ე მუხლი, მე-3 ნაწ.).

მეთხუთმეტე დღე ნიშნავს კანონის გამოქვეყნების შემდეგ თოთხმეტი დღის გასვლას. გამოქვეყნების დღე ამ შემთხვევაში სათვალავში არ შედის. ამიტომ, თუ, ვთქვათ, კანონი გამოქვეყნდა თვის პირველ რიცხვში, თოთხმეტი დღის ათვლა დაიწყება ამავე თვის ორი რიცხვიდან. ეს ნიშნავს, გამოქვეყნებიდან თოთხმეტი დღე გავა თხუთმეტ რიცხვში და კანონი ძალაში შევა მეთხუთმეტე დღეს, ესე იგი თექვსმეტი რიცხვიდან.

გამოქვეყნების დღე, როგორც ვთქვით, მხედველობაში არ მიიღება. მაშასადამე, ათვლა დაიწყება გამოქვეყნების მეორე დღიდან. როდის იწყება მეორე დღე? მეორე დღე იწყება გამოქვეყნების პირველი დღის დასრულს, ესე იგი ღამის ოცდაოთხი საათის შესრულებიდან.

საქართველოს ნორმატიული აქტების კანონის 45-ე მუხლის თანახმად, „ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, — ნიშნავს, — ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე".

როცა კანონის ძალაში შესვლის ვადაზე ვლაპარაკობთ ხოლმე, მხედველობაში გვაქვს კანონის რეპრესიულობის მომენტი. განსაკუთრებით მხედველობაშია მისაღები ეს დებულება მაშინ, როცა საქმე ეხება სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის საკითხს. ამიტომ დაწესებულება, რომ კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს ან ცოტა უფრო დიდი ხნის შემდეგ. ამ იდეიდან გამომდინარე, შეიძლება კანონი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე, თუკი ის ათავისუფლებს ადამიანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან მისთვის სხვაგვარ შეღავათს აწესებს.

ეცრო ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე მსხვილი საკანონმდებლო აქტი, ვთქვათ, სისხლის სამართლის კოდექსი, შეიცავს ნორმებს, რომლებიც ათავისუფლებს ადამიანს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ასეთ დროსაც ეს ნორმები გამოქვეყნებისთანავე შევიდეს ძალაში და არ უნდა დაელოდოს მთელი კოდექსის ძალაში შესვლას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 5 ოქ-

ტომბრის განაჩენით რ.ჩ.-ს მსჯავრი დაედო 1960 წლის სისხლის სა მართლის კოდექსის 205-ე მუხლის მე-3 ნაწილით შვილის – ა.ჩ-ს და ნაშაულის წინასწარშეუპირებელი დაფარვისათვის. 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის შენიშვნის თანახმად „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული". სისხლის სამართლის კოდექსი ამ დროისათვის (1999 წლის 5 ოქტომბერი) ჯერ კიდევ არ მოქმედებდა. მიუხედავად ჩვენი დასაბუთებული რჩევისა, მოსამართლემ ვერ შეძლო ამ შენიშვნის გამოყენება და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ განსასჯელს თავისუფლების აღკვეთა პირობით მიუსაჯა.

კანონი მოქმედებს უვადოდ, თუ კანონმდებლობით ან თვით ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი. კანონი შეიძლება მოქმედებდეს რაიმე ვადითაც, რომლის გასვლის შემდეგ სისხლის სამართლის კანონი ძალას კარგავს (იხ. საქართველოს ნორმატიული აქტების კანონის 46-ე მუხლი).

სისხლის სამართლის კანონი ძალას კარგავს მაშინაც, როცა ახლად მიღებული კანონი მას ძალადაკარგულად აცხადებს (საქართველოს ნორმატიული აქტების კანონი, 50-ე მუხლი).

სისხლის სამართლის კანონი ძალას კარგავს იმ შემთხვევაშიც, როცა იმავე სფეროს მომწესრიგებელი ახალი კანონი გამოდის და იწყებს მოქმედებას (მაგალითად, 1999 წლის კოდექსის ამოქმედებით ძალა დაკარგა 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა). მაგრამ, როცა საქმე ეხება ისეთ დიდ საკანონმდებლო აქტს, როგორიცაა სისხლის სამართლის კოდექსი, ის მექანიკურად მაშინვე კი არ კარგავს ძალას, როგორც კი ახალი კოდექსი ამოქმედდება. ძველი კოდექსის მუხლები შესაბამისი დროის მანძილზე ჯერ კიდევ მოქმედებენ იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც ამ კოდექსის ძალაში ყოფნის დროს იყო ჩადენილი (იხ. ამ კოდექსის მე-3 მუხლის განმარტება). ზოგჯერ კი, პირიქით, ახალი კოდექსის მუხლებს ეძლევათ ძალა იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც ამ კოდექსის ამოქმედებამდე იყო ჩადენილი (იხ. მე-3 მუხლის განმარტება).

2.2. დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როცა მოქმედებდა ამსრულებელი ან თანამონაწილე, ანდა უნდა ემოქმედა მას. შედეგის დადგომის

[3] იხ. დაწვრილებით ამ საკითხზე ო. გამყრელიძე, კანონის ძალაში შესვლის საკითხისათვის, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია," 2001, № 4.

[illegible] მოქმედებას არა აქვს. ეს ნორმა, უპირველეს ყოვლისა, ეხება [illegible] ტებს. შედეგი ხშირად დროის თვალსაზრისით დაცილებულია მოქმედებას. ამიტომ ამსრულებელი ან თანამონაწილე შეიძლება [illegible] ერთი კანონის მოქმედების დროს, ხოლო შედეგის განხორციელების დროს ეს კანონი შეიცვალოს. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა [illegible] ამსრულებლის ან თანამონაწილის მოქმედების დროის კანონს.

[illegible] დანაშაულებრივი ნების გარეგან გამოვლინებას გულისხმობს. ასევე ითქმის უმოქმედობაზეც. ეს ის შემთხვევაა, როცა ამსრულებელს ან თანამონაწილეს ევალებოდა მოქმედება და მან არ იმოქმედა, [illegible] თავისი მოვალეობა. ამ შემთხვევაში ადამიანი უმოქმედობს [illegible] ნებას ამით ავლენს.

[illegible] საკითხი დანაშაულის დამთავრების მომენტს არ უკავშირდება, [illegible] ამას ლ. სურგულაძე ფიქრობს.

[illegible] თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული, – წერს იგი, – ამსრულებლის დამთავრებულად ითვლება მის მიერ სააღსრულებო მოქმედების [illegible] მომენტში, ხოლო დანარჩენ თანამონაწილეთათვის – მათ მიერ [illegible] მოქმედების მომენტში".[4] ყველა თანამონაწილისათვის დანაშაული [illegible] მაშინ არის დასრულებული, როცა ამსრულებელი ბოლომდე [illegible] კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების [illegible] ებას. ეს პირდაპირ გამომდინარეობს თანამონაწილეობის [illegible] პრინციპიდან. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა [illegible] ერთი და იმავე კანონის საფუძველზე აგებს პასუხს.

[illegible] რუსი ავტორი ერთმანეთში ურევს პასუხისმგებლობის [illegible] და დანაშაულის ჩადენის დროის საკითხს. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსის განმარტების ავტორი არ ეთანხმება კოდექსის მე-9 მუხლის დებულებას, რომლის [illegible] ითაც „დანაშაულის ჩადენის დროა საზოგადოებრივად საშიში [illegible] ების (უმოქმედობის) ჩადენის დრო, შედეგის დადგომის მიუხედა-

რუსეთის კოდექსის განმმარტებლის აზრით, კოდექსის მე-9 მუხლი [illegible] ეგება მე-8 მუხლს, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. ისე გამოდის, თითქოს „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის შეიძ-

[4] ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, 1997, 23-ე გვ.
[5] Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации. 3-ье изд., М., 2000, стр. 7.

ლება დადგეს მაშინაც, როცა ამისათვის არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საფუძველი".[6]

აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, რადგან მე-9 მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული: ის კანონი, რომელიც მოქმედების ჩადენის დროს იყო ძალაში, თუ ის, რომელიც შედეგის განხორციელებისას მოქმედებდა. მე-9 მუხლის ფორმულირებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის აზრი, თითქოს აქ პასუხისმგებლობის საფუძვლად მხოლოდ ქმედებაა მიჩნეული, შედეგის მიუხედავად.

დენადი დანაშაულის (მე-13 მუხლი) ჩადენის დროს გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის შეწყვეტის, ესე იგი დამთავრების დროს. მაგალითად, დეზერტირის მიმართ გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებდა დეზერტირის დაპატიმრების ან ბრალის აღიარებით მისი გამოცხადების დროს (დეზერტირობა, 389-ე მუხლი).

განგრძობადი დანაშაულის (მე-14 მუხლი) ჩამდენის მიმართ გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებდა დამნაშავის მიერ უკანასკნელი დანაშაულებრივი აქტის შესრულების დროს. ვთქვათ, ბიბლიოთეკარმა გადაწყვიტა მოიპაროს ენციკლოპედიის თორმეტტომეული. ყოველდღიურად ის თითო ტომს იდებს ჩანთაში და მიაქვს ჩუმად. მეათე ტომი რომ მოიპარა, დანაშაული გაიხსნა. დამნაშავე დაისჯება ამ დროისათვის მოქმედი კანონით, იმის მიუხედავად, კანონმა გააძლიერა თუ შეამსუბუქა პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის (ქურდობა, 177-ე მუხლი).

უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა (223-ე მუხლი) დენად დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. ამიტომ ამ ფორმირების ხელმძღვანელის ან მონაწილის მიმართ გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებდა ამ დანაშაულის შეწყვეტის დროს. ასეთივე კატეგორიის დანაშაულია აგრეთვე ბანდიტიზმი (224-ე მუხლი), ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარება (236-ე მუხლი) და სხვ.

მუხლი 3. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

[6] იქვე, მე-7 გვ.

2. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

3. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.

4. აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I, 2000, № 18, მუხ. 45; საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I, 2000, №20, მუხ. 51)

3.1. სისხლის სამართლის კანონი მოქმედებას იწყებს იმ დღიდან, რომელი დღიდანაც მას სათანადო წესის დაცვით მოქმედების ძალა მიენიჭა. ამ თვალსაზრისით ის მომავლისკენ მიმართული აქტია, მაგრამ ზოგჯერ სისხლის სამართლის კანონი წარსულისკენაც იყურება და მის ძალაში შესვლამდე ჩადენილი ქმედების მიმართაც გამოიყენება. კანონის თვისებას, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია იმ ქმედების მიმართ, რომლის ჩადენის დროს ეს კანონი არ მოქმედებდა, კანონის უკუძალა ეწოდება.

მაგრამ სისხლის სამართლის კანონს ყველა შემთხვევაში როდი ეძლევა უკუძალა. კანონს უკუძალა მხოლოდ მაშინ მიეცემა, როცა საერთოდ აუქმებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას რომელიმე ქმედების ჩადენისათვის ან ამსუბუქებს სასჯელს. მაგალითად, 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა გააუქმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეურაცხყოფისათვის, რომელიც დანაშაულად იყო გამოცხადებული 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით (138-ე მუხლი).

ვთქვათ, 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის საფუძველზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე შეურაცხყოფისათვის. მაგრამ, ვიდრე ამ საქმის წარმოება დამთავრდებოდა და განაჩენი გამოვიდოდა, 1999 წლის 22 ივლისის კოდექსი ამოქმედდა. ასეთ შემთხვევაში საქმე უნდა შეწყვეტილიყო ამ კოდექსის მე-3 მუხლისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის

„ა" პუნქტის საფუძველზე („არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება"). ასე უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა ხდება ქმედების სრული დეკრიმინალიზება.

საკანონმდებლო პრაქტიკაში ზოგჯერ ქმედების ნაწილობრივი დეკრიმინალიზება გვხვდება. მაგალითად, 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა შეზღუდა პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის, როცა დანაშაულად გამოაცხადა „ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით" (იხ. 148-ე მუხლი).[7] ამიტომ თუ, ვთქვათ, 1960 წლის კოდექსის მოქმედების დროს ცილისმწამებელი სხვა ადამიანს ისეთი მოქმედების ჩადენას აბრალებდა, რომელიც დანაშაულს არ წარმოადგენს (მაგალითად, რაიმე ამორალური ქცევის ჩადენას), მაშინ ის პასუხს აღარ აგებდა ახალი კოდექსის 148-ე მუხლით. 1960 წლის საქართველოს კოდექსის 206-ე მუხლით ისჯებოდა შესაბამისი ორგანოსათვის განუცხადებლობა იმისა, რომ მზადდება ან ჩადენილია ამ მუხლით ჩამოთვლილი რომელიმე დანაშაული. ახალმა კოდექსმა მოახდინა ამ დანაშაულის ნაწილობრივი დეკრიმინალიზება. ამ კოდექსის 376-ე მუხლით პასუხისმგებლობაა დაწესებული მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების შეუტყობინებლობისათვის. რაც შეეხება უკვე ჩადენილი დანაშაულის შეუტყობინებლობას სათანადო ორგანოსათვის, ის 1999 წლის კოდექსით დანაშაულად აღარ ითვლება.

საკანონმდებლო პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე, ასე ვთქვათ, მოჩვენებითი დეკრიმინალიზების შემთხვევები, რამაც არ უნდა შეგვაცდინოს. მაგალითად, 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლით დაწესებული იყო პასუხისმგებლობა ქალის მოტაცებისათვის მასთან ქორწინების მიზნით. 1999 წლის კოდექსში ამ შემადგენლობას ვეღარ ვნახულობთ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მოხდა ამ ქმედების დეკრიმინალიზება. ამჟამად ასეთი ქმედება 143-ე მუხლით დაკვალიფიცირდება. ეს ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთაა.

მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს უკუძალა ეძლევა აგრეთვე მაშინ, როცა ახალი კანონი სასჯელს ამსუბუქებს. სასჯელის შემსუბუქება სხვადასხვაგვარად შეიძლება მოხდეს. აქ მოსალოდნელია ორი ძირითადი ვარიანტი: 1) როცა ძველი კანონით დაწესებული სასჯელის სახე ახალმა კანონმა უფრო მსუბუქი სახეობის სასჯელით

[7] ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა მოღიანად გაუქმდა 2004 წლის 24 ივნისის კანონით.

შეცვალა და 2) ახალმა კანონმა შეამცირა სასჯელის ვადა, როცა, მაგალითად, სასჯელი ვადიანია (უფრო მსუბუქი სასჯელის ცნება იხ. მე-40 მუხლის განმარტებაში).

სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ კოდექსის 110-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობა – მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, რომელიც სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. 1960 წლის კოდექსით ასეთი ქმედებისათვის შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა იყო დაწესებული (105-ე მუხლი).

1999 წლის კოდექსი ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას აწესებს დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობისათვის (112-ე მუხლი). წარსულში ეს ქმედება 1960 წლის კოდექსის 105-ე მუხლით დაკვალიფიცირდებოდა და დაისჯებოდა შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ფარგლებში.

1960 წლის კოდექსით განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, თუ მოკლული იყო ერთი ადამიანი, ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. მოქმედი კოდექსით ასეთი ქმედებისათვის დამნაშავეს შეიძლება მიესაჯოს სამ წლამდე თავისუფლების შეზღუდვა ან ოთხ თვემდე ტუსაღობა, ანდა თავისუფლების აღკვეთა ერთიდან სამ წლამდე (იხ. 111-ე მუხლის პირველი ნაწ.). გარდა ამისა, გაფართოებულია ამ მუხლის დისპოზიცია და მასში მოქცეულია ზოგიერთი ისეთი ქმედება (მაგ.: „ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ"), რომელიც ადრე 1960 წლის კოდექსის 105-ე მუხლით დაკვალიფიცირდებოდა.

ყველა აქ ჩამოთვლილ შემთხვევაში სასჯელის ზომა აშკარად შემსუბუქებულია. ამიტომ, თუ ეს ქმედებები ჩადენილია 1960 წლის კოდექსის მოქმედების დროს, როცა ისინი 105-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირებულიყო, რომლითაც დაწესებული იყო თავისუფლების აღკვეთა შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, მოქმედი კოდექსით სასჯელი ამ ქმედებებისათვის აშკარად შემსუბუქებულია. ამიტომ ახალ კანონს მათ მიმართ მიეცემა უკუძალა.

მ.ბ.-ს მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მეორე ნაწილით (მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დიდი რაოდენობით დამალვა (შემცირება), რომელიც აწესებდა პასუხისმგებლობას თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ხუთ წლამდე ან ჯარიმით ორი ათასიდან ორი ათას ხუთას ლარამდე. ახალმა კო-

დექსმა შეამსუბუქა პასუხისმგებლობა ამ ქმედებისათვის და დააწესა ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე. თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიამ გამოიყენა 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მეორე ნაწილი და მ.ბ-ს 2001 წლის 6 აპრილის განაჩენით ჩაუთვალა წინასწარ პატიმრობაში გატარებული ორი წელი შვიდი თვე და ცხრა დღე და დარბაზიდან გაათავისუფლა.

პრაქტიკაში შეიძლება შეგეხვედეს უფრო რთული საკითხებიც. მაგალითად, ახალმა კანონმა ძველი სისხლის სამართლის კანონთან შედარებით, შეამსუბუქა თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმი, მაგრამ გააძლიერა მინიმუმი. ვთქვათ, ძველი კანონით რომელიმე ქმედებისათვის დაწესებული იყო თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე. ახალმა კანონმა ეს ვადა შეცვალა და დააწესა თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან ათ წლამდე. რომელი კანონია უფრო მსუბუქი? რომელი უნდა გამოიყენოს სასამართლომ? აქ მხოლოდ ერთადერთი გამოსავალია. სასამართლომ კომპლექსურად უნდა გამოიყენოს ორივე კანონი. მან უნდა აიღოს ძველი კანონით დაწესებული მინიმუმი, ესე იგი სამი წელი, და ახალი კანონით დაწესებული მაქსიმუმი, ესე იგი რვა წელი, და დაუნიშნოს დამნაშავეს თავისუფლების აღკვეთა სამიდან რვა წლამდე ვადის ფარგლებში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი გამოიყენება მაშინაც, როცა ახალი კანონი სხვაგვარად აუმჯობესებს დამნაშავის მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში კანონს მიეცემა უკუძალა. ეს დებულება იმ პრინციპს ეფუძნება, რომ აკრძალულია უკუძალის მინიჭება კანონისათვის ორ შემთხვევაში: 1) როცა ის პირველად აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას და 2) როცა აძლიერებს პასუხისმგებლობას.[8] ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 13 სექტემბრის განაჩენით 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით რ.კ-ს მისჯილი ჰქონდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საგარეჯოს რაიონის სასამართლოს 2002 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით ის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლდა.

პროკურორი კერძო საჯასაციო საჩივრით მოითხოვდა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს დადგენილების გაუქმებას, რადგან სასამართლომ გვერდი აუარა 1999 წლის საქართველოს კოდექსის 98-ე მუხლს,

[8] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, 2002, მე-10 გვ.

რომელიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ მაშინ, როცა მას სასჯელის ვადის ორი მესამედი აქვს მოხდილი.

რ.კ.-ს მოხდილი ჰქონდა ამ დროისათვის მისჯილი სასჯელის ნახევარზე მეტი, რაც 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით სრულიად საკმარისი იყო მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ 2002 წლის 26 დეკემბრის განჩინებით არ დააკმაყოფილა პროკურატურის კერძო საჩივარი. განჩინებაში ნათქვამია, რომ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე მუხლი რ.კ-ის მიერ „ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობებს აუარესებს". ამიტომ, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის დებულებიდან გამომდინარე, სასამართლოს არ ჰქონდა მისი (ესე იგი 98-ე მუხლის. ო.გ.) გამოყენების უფლება".

აქ მოტანილი შემთხვევა იმასაც მიგვანიშნებს, რომ, თუ, ერთი მხრივ, ახლადმიღებული სისხლის სამართლის კანონს შეიძლება მიეცეს უკუძალა იმ ქმედების მიმართ, რომლის ჩადენის დროს ეს კანონი არ მოქმედებდა, მეორე მხრივ, უკვე გაუქმებულ კანონს ზოგჯერ უხანგრძლივდება მოქმედების ვადა. გაუქმებული კანონის მოქმედების ვადის გახანგრძლივება ხდება მაშინ, როცა ახალი კანონი ამძიმებს სასჯელს და მას უკუძალა არ შეიძლება მიეცეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია გამოიყენოს გაუქმებული კანონი, რომლის მოქმედების დროს იყო ქმედება ჩადენილი. ასე რომ, თუ კანონს, ერთი მხრივ, აქვს უკუძალა, მეორე მხრივ, მას წინაძალაც გააჩნია.

3.2. თუ ახალი კანონი ამსუბუქებს სასჯელს, რომელიც უკვე მისჯილი აქვს დამნაშავეს, და ის მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ახალი კანონის სანქციის ფარგლებში. ეს ნორმა გამოიყენება მაშინ, როცა დამნაშავეს მისჯილი აქვს სასჯელი და ის მას უკვე იხდის, ესე იგი განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული. თუ განაჩენი კანონიერ ძალაში არ არის, მაშინ ეს საკითხი ჩვეულებრივ საქმის სააპელაციო ან საკასაციო განხილვის დროს გადაწყდება.

რაც შეეხება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ პერიოდს, ახალი, უფრო მსუბუქი კანონის სანქციის ფარგლებში სასჯელის შემცირება შეიძლება მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცე-

სო კოდექსის 593-ე მუხლით ახლადგამოვლენილი გარემოების საფუძველზე. ამ მუხლის თანახმად, ახლადგამოვლენილი გარემოებაა „ბ) კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ახალი კანონის მიღება, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას".

ეს შეღავათი ეძლევა ადამიანს მხოლოდ მაშინ, როცა ის სასჯელს იხდის და ვერ ისარგებლებს ამ უფლებით სასჯელმოხდილი. მაგალითად, თუ ახალმა კანონმა გააუქმა ჯარიმა, რომელიც გადახდილია, მაშინ დამნაშავეს თანხა უკან აღარ დაუბრუნდება. მაგრამ, თუ ჯარიმა ჯერ კიდევ არ არის გადახდილი ან გადახდილია მხოლოდ ნაწილობრივ და ამ დროს გამოვიდა კანონი, რომელმაც გააუქმა ეს სასჯელი, მაშინ ადამიანს ჯარიმა მთლიანად ან მისი გადაუხდელი ნაწილი აღარ გადახდება.

3.3. ხდება ხოლმე, როცა დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე კანონი, რომელიც ამ დანაშაულისათვის აწესებს პასუხისმგებლობას, რამდენჯერმე იცვლება. ამ დროს სასამართლომ უნდა შეამოწმოს თითოეული მათგანი და მათ შორის ყველაზე უფრო მსუბუქი კანონი გამოიყენოს. უფრო მსუბუქია კანონი, როგორც უკვე ვთქვით, რომელიც უფრო მსუბუქ სასჯელს აწესებს. აქ შეიძლება კანონის გამოყენების საკითხი დგება. შეიძლება ისეთი კანონია, რომელიც არც ქმედების ჩადენის დროს მოქმედებდა და არც განაჩენის გამოტანის დროს არ მოქმედებს.

მაგალითად, ქმედების ჩადენის დროს ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა იყო დაწესებული. გამოძიების პროცესში გამოცემულმა კანონმა ამ დანაშაულისათვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა დააწესა. ხოლო განაჩენის გამოტანის დროისათვის ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელმაც გააძლიერა პასუხისმგებლობა და რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთა გაითვალისწინა. სასამართლომ უნდა გამოიყენოს შეიძლება, უკვე გაუქმებული კანონი და დამნაშავეს ხუთი წლის ფარგლებში თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯოს. კანონს ამ შემთხვევაში წინააძალა მიეცემა.

3.4. მაგრამ სასჯელის მიმართ გამოყენებული წესი არ შეიძლება გამოვიყენოთ გამაფრთხილებელი ღონისძიების მიმართაც. ასეთია აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. ეს ღონისძიებები ყოველთვის გამოიყენება იმ კანონის საფუძველზე, რომელიც სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს მოქმედებდა.

აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების სახეები ჩამოთვლილია კოდექსის 91-ე მუხლით. ხოლო მათი გამოყენების წესი 92–96-ე მუხლებითაა განსაზღვრული.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახეები და მათი გამოყენების წესი კოდექსის მეექვსე კარშია (101–107-ე მუხლი) მოცემული.

მუხლი 4. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ

1. იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე საქართველოს კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილ დანაშაულზე.

3. იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა ხომალდზე, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს სახელმწიფო ალმით ან ამოსაცნობი ნიშნით, ანდა ასეთი ხომალდის წინააღმდეგ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. თუ უცხო ქვეყნის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა, აგრეთვე სხვა პირმა, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინეს, მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

4.1. ამ კოდექსით პასუხისმგებლობა დაეკისრება ყველას, ვინც დანაშაულს საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდენს. პასუხისმგებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე, მიუხედავად იმისა, მუდმივად ცხოვრობს თუ არა ის ამ ტერიტორიაზე, აგრეთვე სხვა ქვეყნის მოქალაქე. ერთადერთი გამონაკლისი, ვინც ამ ტერიტორიაზე

ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს არ აგებს. დიპლომატიური იმუნიტეტით მოსარგებლეა (ელჩი, მისი ოჯახის წევრები და სხვ.).

4.2. საქართველოს ტერიტორია, როგორც ყოველი სხვა სახელმწიფოს ტერიტორია, სამი განზომილებისაგან შედგება. ეს არის: 1) ხმელეთი, 2) წყალი და 3) ჰაერი.

ხმელეთი საქართველოს ტერიტორიას მიეკუთვნება სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში თავისი შიდა წყლებითა და წიაღისეულით.

წყალი, როცა სახელმწიფოს კუთვნილ წყლებზეა საუბარი, ორი სახისაა: 1) შიდა წყლები და 2) ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა).

შიდა წყლებია მდინარეების, ტბების, სხვა წყალსაცავების წყლები, რომლებიც მთლიანად საქართველოს ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული (იხ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 1998 წლის 17 ივლისის კანონი, მე-3 მუხ. ა) პუნქ.) ამის მიხედვით საქართველოს შიდა წყლებს უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, ბაზალეთის ტბა, ეგრეთ წოდებული თბილისის ზღვა, შაორჰესის წყალსაცავი და სხვ., მდინარეები რიონი, ენგური, არაგვი, ქსანი და ა.შ.

შიდა წყლებს მიეკუთვნება აგრეთვე „შავი ზღვის წყლები ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილ სწორ ამოსავალ ხაზებს შორის" (იხ. ხსენებული კანონის მე-3 მუხ. ბ) პუნქ.)

ამავე კანონის „გ)" პუნქტის საფუძველზე შიდა წყლებს მიეკუთვნება ასევე „საქართველოს პორტის წყლები, რომლებიც შემოსაზღვრულია ზღვის მხარეს პორტის ჰიდროტექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობის უკიდურეს წერტილებზე გამავალი ხაზით".

საქართველოს ტერიტორიული წყლებია (ტერიტორიული ზღვა) „შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი" (იხ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 1998 წლის 17 ივლისის კანონის მე-4 მუხლი, მე-2 ნაწ.). ამავე კანონის თანახმად საქართველოს კუთვნილებაა 24 საზღვაო მილის მანძილზე არსებული მიმდებარე ზონა, 200 საზღვაო მილი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოქმედებს აგრეთვე საქართველოს კონტინენტურ შელფსა და საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილ დანაშაულზეც.

კონტინენტური შელფი არის ზღვის ფსკერი, რომელიც ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის მთელ ბუნებრივ სიგრძეზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საზღვაო მილის მანძილზე ან ვრცელდება არა უმეტეს 200 საზღვაო მილის მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე (იხ. საქართველოს 1998 წლის 17 ივლისის „სახელმწიფო საზღვრის კანონის" მე-7 მუხლი).

საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის საზღვაო სივრცე, რომელიც აითვლება იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა და რომელთა სიგანე არ აღემატება 200 საზღვაო მილს (იხ. ხსენებული კანონის მე-6 მუხლი).

საჰაერო სივრცე ნიშნავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრების (სახმელეთო და საზღვაო) ფარგლებში ვერტიკალურად არსებულ სივრცეს. საჰაერო სივრცე გაიზომება ქვევიდან ზევით, ესე იგი ვერტიკალურად. რაც შეეხება საჰაერო სივრცის სიმაღლეს, ისტორიულად ეს სიმაღლე იზომებოდა თვითმფრინავის აფრენის ჭერის მიხედვით. მაგრამ მას შემდეგ, რაც კოსმოსის ათვისება დაიწყო, საჰაერო სივრცის ჭერის საკითხი სადავო გახდა, რადგან ვერ დადგინდა ვერავითარი ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა, სად მთავრდება საჰაერო სივრცე და სად იწყება კოსმოსური სივრცე.

ეს საკითხი დღესაც გადაუჭრელია. რუსი იურისტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საჰაერო და კოსმოსური სივრცეები პირობითად უნდა გაიმიჯნოს. მათი აზრით, საჰაერო სივრცე სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიიდან ვერტიკალურად უნდა აითვალოს და 100–110 კმ სიმაღლემდე გავრცელდეს.[9] ასე რომ, საჰაერო სივრცე კოსმოსისაგან ჯერ-ჯერობით მკვეთრად გამიჯნული არ არის.

ტერიტორიულ პრინციპს უკავშირდება დანაშაულის ჩადენის ადგილის საკითხი. ისტორიულად ამ საკითხზე ერთმანეთს ებრძოდა ორი მიმართულება: 1) მოქმედებისა და 2) შედეგის თეორია. მოქმედების თეორიის მიხედვით, დანაშაული ჩადენილია იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც დამნაშავემ იმოქმედა. შედეგის განხორციელების ადგილს მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, დამნაშავემ ბათუმში მოკვლის მიზნით საწამლავი

[9] საბჭოთა რუსეთმა ეს საკითხი 1979 წლის 20 ივნისს გაეროს კოსმოსური კომიტეტისათვის წარდგენილი სამუშაო დოკუმენტით დააყენა (იხ. Международное Космическое Право, М., 1985, стр. 140).

მისცა მსხვერპლს, რომელიც ტრაპიზონში გარდაიცვალა. მოქმედების თეორიის მიხედვით, დამნაშავე საქართველოს კანონით დაისჯება.

შედეგის თეორიის თანახმად დასახელებულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა თურქეთის კანონმდებლობით განისაზღვრება, რადგან დისტანციური დელიქტის დროს გადამწყვეტია არა მოქმედების, არამედ შედეგის განხორციელების ადგილი.

დღეისათვის ორივე ეს თეორია დაწუნებულია და მიღებულია სუვერენობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც დამნაშავის დასჯის უფლება აქვს არა მარტო იმ ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზე იმოქმედა დამნაშავემ, არამედ იმასაც, სადაც შედეგი განხორციელდა.[10] დამნაშავე პასუხს აგებს ყველგან, ყველა იმ სახელმწიფოს კანონით, რომლის ტერიტორიაზეც დანაშაულის ერთი ნაწილი მაინც განხორციელდება.

1999 წლის 22 ივლისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა გაიზიარა სუვერენობის პრინციპი. მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით პასუხს აგებს ის, ვინც დანაშაული დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე.

დაიწყო იმას ნიშნავს, რომ დამნაშავემ მოქმედება დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო შედეგი განხორციელდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მაგალითად, დამნაშავემ საქართველოს ტერიტორიაზე საწამლავი მისცა მსხვერპლს, რომელიც მოსკოვში გარდაიცვალა.

გრძელდებოდა ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როცა დანაშაული დაიწყო სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გაგრძელდა საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ აქ არ დასრულებულა და დამნაშავემ დანაშაულებრივი საქმიანობა გააგრძელა მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მაგალითად, დეზერტირი წამოვიდა აზერბაიჯანის ტერიტორიიდან, გაიარა საქართველო და გადავიდა თურქეთში.

შეწყდა ნიშნავს იმას, რომ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დაწყებული დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდებოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო შეწყდა. მაგალითად, თურქეთის ტერიტორიიდან შემოსული დეზერტირი საქართველოს ტერიტორიაზე დააპატიმრეს.

[10] ეს იდეა ქართულ იურიდიულ აზროვნებაში პირველად ოთხმოციანი წლების ბოლოს შემოვიდა. იხ. ოთარ გამყრელიძე, დანაშაულის ჩადენის ადგილის ცნებისათვის, ჟურ. „საბჭოთა სამართალი", 1989, № 2; „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის", პირველი წიგნი.

დამთავრდა გულისხმობს შემთხვევას, როცა დანაშაული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაიწყო და საქართველოს ტერიტორიაზე დასრულდა. მაგალითად, მსხვერპლი, რომელსაც მოკვლის მიზნით საწამლავი მისცეს ტრაპიზონში, ბათუმში გარდაიცვალა. მაშასადამე, დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე დამთავრდა.

სუვერენობის პრინციპის საფუძველზე, საქართველოს კანონით პასუხს აგებს თანამონაწილე, რომელიც საზღვარგარეთ მოქმედებდა, თუკი ამსრულებელმა დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა ან უნდა ჩაედინა.[11] ჩვენი კანონით დაისჯება აგრეთვე ამსრულებელი, რომელმაც, მართალია, დანაშაული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩაიდინა, მაგრამ მისმა წამქეზებელმა ან დამხმარემ საქართველოს ტერიტორიაზე იმოქმედა.

უმოქმედობის დროს დანაშაულის ჩადენის ადგილია იმ სახელმწიფოს ტერიტორია, სადაც დამნაშავეს უნდა ემოქმედა, ან სადაც შედეგი განხორციელდა, ან უნდა განხორციელებულიყო.

4.3. საქართველოს ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენს ჩვენი **მოძრავი** ტერიტორია, რომელიც ორი სახისაა: 1) **მცურავი** ტერიტორია (წყლის ხომალდი) და 2) **მფრინავი** ტერიტორია (თვითმფრინავი, შეუღლმფრენი და სხვ.). საქართველოს ტერიტორიად ჩაითვლება ისეთი ხომალდი, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს სახელმწიფო ალმით ან სხვა ამოსაცნობი ნიშნით. საქართველოს კანონით დაისჯება არა მარტო ის, ვინც ასეთ ხომალდზე ჩაიდენს დანაშაულს, არამედ ისიც, ვინც ასეთი ხომალდის წინააღმდეგ იმოქმედებს. აქ იგულისხმება, მაგალითად, მეკობრეობა, რომელიც ზღვის ყაჩაღობად არის ცნობილი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლით ისჯება „მეკობრეობა, ესე იგი წყლის ხომალდზე ან სხვა მცურავ საშუალებაზე თავდასხმა სხვისი ნივთის დასაუფლებლად, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით" (პირველი ნაწილი).

ვინაიდან კანონი არ აკონკრეტებს, აქ იგულისხმება არა მარტო სამოქალაქო, არამედ სამხედრო ხომალდიც. რახან ხომალდი ჩვენი ტერიტორიაა, მასზე გავრცელდება ჩვენი იურისდიქცია, მიუხედავად ამ ხომალდის ადგილსამყოფლისა. მაგალითად, მცურავი ტერიტორია შეიძლება იმყოფებოდეს ჩვენს სანაპირო წყლებში, ღია ზღვაში (ნეიტრა-

[11] შერაბ ტურავა, მით. ნაშრომი, მე-14 გვ.

ლური წყლები) ან სხვა სახელმწიფოს სანაპირო წყლებში (ორმაგი ტერიტორია). ერთადერთ გამონაკლისს ამ საერთო წესიდან წარმოადგენს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება". რომლითაც შეიძლება დადგენილი იყოს, რომ საქართველოს მოძრავ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ გამოყენებული იქნებოდა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობა.[12]

4.4. საქართველოს კანონმდებლობით პასუხს არ აგებს საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის ის, ვინც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს, თუ ამისათვის არ არის იმ სახელმწიფოს ხელისუფლების ნებართვა, რომელსაც იმუნიტეტით მოსარგებლე წარმოადგენს. ასეთი შემთხვევა იყო საქართველოს სახელმწიფო პრაქტიკაში. ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს პრეზიდენტმა იმუნიტეტი მოუხსნა ჩვენი საელჩოს წარმომადგენელს ამერიკის შეერთებულ შტატებში (იხ. გ. მახარაძის საქმე). გ. მახარაძე გაასამართლეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადენილი ავტოავარიისათვის, რასაც ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. გასამართლების შემდეგ იგი გადმოიყვანეს საქართველოში. დარჩენილი სასჯელის ნაწილი შემდეგ მან საქართველოში მოიხადა.

დიპლომატიური იმუნიტეტი „დიპლომატიურ ურთიერთობათა 1961 წლის ვენის საერთაშორისო კონვენციითაა" განსაზღვრული. დიპლომატიური იმუნიტეტის მიზანია საელჩოს თანამშრომელთა შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფა. ამისათვის დიპლომატიური წარმომადგენლობა თავისუფლდება ადგილობრივი, ესე იგი ადგილსამყოფელი ქვეყნის იურისდიქციის შეზღუდვისაგან.

ვენის კონვენცია არა მარტო პირად ხელშეუხებლობას ანიჭებს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელს, არამედ იცავს აგრეთვე წარმომადგენლობის შენობას, ტრანსპორტსა თუ სხვა ნივთს ადგილსამყოფელი ქვეყნის რაიმე სამართლებრივი ზემოქმედებისაგან. აკრძალულია მათი გაჩხრეკა, მათზე ყადაღის დადება და სხვ.

[12] მერაბ ტურავას მიაჩნია, რომ ორმაგ ტერიტორიაზე, ესე იგი იმ შემთხვევაში, როცა ჩვენი მოძრავი ტერიტორია იმყოფება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სუვერენობის პრინციპის საფუძველზე გამოიყენება ორივე ქვეყნის – საქართველოსა და ხომალდის ადგილსამყოფლის კანონმდებლობა. ორივე ქვეყანას აქვს დამნაშავის დასჯის უფლება (იხ. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, მე-16 გვ.). სამწუხაროდ, იგი არ ასაბუთებს ამ მოსაზრებას. სუვერენობის პრინციპის გამოყენება აქ არაფერ შუაშია. ჩემი აზრით, ამ საკითხს სწორად წყვეტს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის განმარტების ავტორი (იხ. Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации. 2000, М., стр. 12).

დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალი სამ კატეგორიად იყოფა: 1) დიპლომატიური აგენტი. 2) დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და 3) წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალი. მომსახურე პერსონალს მიეკუთვნება. მაგალითად, მძღოლი. მზარეული და ა.შ. თუ ეს პერსონალი ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეა. იგი არ სარგებლობს იმუნიტეტით. მაგრამ „დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ადგილსამყოფელი სახელმწიფო თავს იკავებს წარმომადგენლობის შენობაში მისი დაპატიმრებისა ან მის მიმართ სხვა რაიმე იძულებითი ზომების გამოყენებისაგან".[13]

დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე. თუკი ის დანაშაულს საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდენს, გამოცხადდება persona non grata-დ (არა სანდო პიროვნება) და გაძევებული იქნება საქართველოდან. იგი პასუხს აგებს თავისი სახელმწიფოს კანონით.

მუხლი 5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის

1. საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით.

2. საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

3. საზღვარგარეთ დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებიც მუდმივად არ

[13] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. ლექსიკონი-ცნობარი. 2003, 98-ე გვ.

ცხოვრობენ საქართველოში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

(საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I, 2000, № 20, მუხ. 51)

5.1. საქართველოს კანონმდებლობის გამოყენება შეიძლება არა მარტო მაშინ, როცა ამ კოდექსით აღწერილი ქმედება საქართველოს ტერიტორიაზეა ჩადენილი, არამედ მაშინაც, როცა ის ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაა ჩადენილი. ამ დროს პასუხისმგებლობა დგება მოქალაქეობის პრინციპის საფუძველზე. თუკი ჩვენი მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩაიდენს ამ კოდექსით აღწერილ რომელიმე ქმედებას, რომელიც ჩადენის ადგილზეც დანაშაულად ითვლება, ის საქართველოს კანონმდებლობით აგებს პასუხს.

საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი საქართველოს კანონმდებლობით აგებს პასუხს მაშინაც, როცა ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება მან, თუმცა საზღვარგარეთ, მაგრამ ნეიტრალურ ტერიტორიაზე ჩაიდინა. ვთქვათ, ღია ზღვაში, ანუ ნეიტრალურ წყლებში ცურვის დროს ვინმემ ჩაიდინა მკვლელობა (ცურვის დროს მეორე მცურავი დაახრჩო ან არ დაეხმარა იმას, ვინც იხრჩობოდა).

ეს პრინციპი არ გავრცელდება იმ მოქალაქეობის არმქონე პირზე, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად არ ცხოვრობს. მუდმივად ცხოვრების ნიშანი არ სჭირდება საქართველოს მოქალაქეს. ასე რომ, პირველს ჩვენს იურისდიქციასთან აკავშირებს მუდმივად ცხოვრების ნიშანი, ხოლო მეორეს – მოქალაქეობა.

თუ საქართველოს მოქალაქე ან ჩვენთან მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომელიც დანაშაულად ითვლება როგორც ქმედების ჩადენის სახელმწიფოს, ისე საქართველოს კანონმდებლობით, მაშინ მას პასუხისმგებლობა დაეკისრება ტერიტორიულობის პრინციპითაც და მოქალაქეობის პრინციპითაც. მაგრამ თანამედროვე სისხლის სამართალი არ ცნობს ერთი ქმედებისათვის ორჯერ პასუხისმგებლობას („won bis in idem"). საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის ძალით „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის" (მე-4 ნაწ.). მაგრამ როგორც მ. ტურავა წერს, „ერთი და იმავე ქმედებისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის კონსტიტუციური პრინციპი მოქმედებს სახელმწიფოს შიგნით და არა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში და არც ad hoc თუ მუდმივმოქმედ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებაში".[14]

1993 წლის 22 თებერვალს გაეროს უშიშროების საბჭოს 808-ე რეზოლუციით დაფუძნებული ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდების მე-10 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ადამიანი, რომელიც გასამართლებული იყო ეროვნული კანონმდებლობით, საერთაშორისო ტრიბუნალმა შეიძლება გაასამართლოს იმავე ქმედებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი: ა) ქმედება ეროვნულ სასამართლოში დაკვალიფიცირებული იყო „ჩვეულებრივ დანაშაულად" ან ბ) ეროვნულ სასამართლოში განსჯადობა არ იყო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ დაეფარა ბრალდებული საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან საქმე არ იყო გამოძიებული საფუძვლიანად.[15]

ხსენებული წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „Ne bis in idem"-ის პრინციპი დაცული უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როცა პიროვნება ხსენებული წესდების შესაბამისად თავიდანვე გასამართლებული იყო „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევისათვის".[16] სამამულო კანონმდებლობით ამავე ქმედებისათვის განმეორებით პასუხისმგებლობა არ შეიძლება.

5.2. თუ საქართველოს მოქალაქემ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არმქონე პირმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც იქ არ ისჯება, მაშინ პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილია: ა) მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და ბ) ქმედება მიმართულია საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ.

მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ცნება მოცემულია მე-12 მუხლის განმარტებაში. თუკი ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული,

[14] მერაბ ტურავა, მით. ნაშრომი, 24-ე გვ.

[15] იხ. მერაბ (ვეფხია) გვარამია, საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია, 2002, 55-ე გვ.

[16] მერაბ (ვეფხია) გვარამია, მით. ნაშრომი, 54-ე გვ.

რომელიც ჩადენის ადგილზე არ ისჯება. საქართველოს კანონმდებლობით ამისათვის მისი ჩამდენი პასუხს მაინც არ აგებს. საქართველოს ინტერესების წინააღმდეგაც რომ იყოს ეს ქმედება მიმართული.

რაც შეეხება „საქართველოს ინტერესებს." ეს ცნება ფართოდ უნდა გავიგოთ. „აქ იგულისხმება არა მხოლოდ საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის, არამედ, აგრეთვე, ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა", – წერს მ. ტურავა.[17]

საქართველოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, როცა ეს ქმედება დანაშაულადაა გამოცხადებული „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით." მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულება უშუალოდ გამოიყენება საქართველოში. პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, რომ ცალკეული შემადგენლობები პირდაპირ იყოს გადმოტანილი ჩვენს კანონმდებლობაში, როგორც ეს ზემოთ ითქვა.

5.3. საქართველოს კანონმდებლობა, ტერიტორიულობისა და მოქალაქეობის პრინციპების გარდა, აღიარებს აგრეთვე რეალობის პრინციპსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედება არც ჩვენს ტერიტორიაზეა ჩადენილი და არც ჩვენს მოქალაქეს ან ჩვენთან მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს არ ჩაუდენია. მიუხედავად ამისა, ეს ქმედება რეალურად (ამიტომ ჰქვია მას რეალობის პრინციპი) საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდაა მიმართული. აქაც პასუხისმგებლობის საფუძველია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

არა აქვს მნიშვნელობა იმას, ქმედება დანაშაულადაა თუ არა გამოცხადებული იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ის იყო ჩადენილი.

უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს ჩვენს ტერიტორიაზე, პასუხს აგებს აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედების საზღვარგარეთ ჩადენისათვისაც (უნივერსალურობის პრინციპი). აქ იგულისხმება საერთაშორისო დანაშაულები. ასეთი დანაშაულებია აღწერილი, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 404–413-ე მუხლებში.

[17] მერაბ ტურავა, საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (იხ. კრ. საქართველო და საერთაშორისო სამართალი, თბ., 2001, 201-ე გვ.).

მუხლი 6. დამნაშავის გადაცემა და ექსტრადიცია

1. საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად არ შეიძლება იქნენ ექსტრადირებულნი სხვა სახელმწიფოში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საქართველოს მოქალაქის, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემა ხორციელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით (რომის სტატუტით) და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

2. დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად შეიძლება ექსტრადირებულნი იყვნენ სხვა სახელმწიფოში ან გადაეცნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.

3. არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

(საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I. 2000. № 20. მუხ. 51; საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I. 2003. № 26. მუხ. 191.)

6.1. ტერმინი „დამნაშავის გადაცემა" ფართოდ უნდა გავიგოთ. აქ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო დამნაშავე, ესე იგი ის, ვის მიმართაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაშია, არამედ ბრალდებულიც.

ეს მუხლი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონით მე-6 მუხლის ტექსტში შემოტანილია ტერმინი „ექსტრადიცია."

„ექსტრადიცია" ლათინურ ძირზე აღმოცენებული სიტყვაა და ქართულად იგივეა, რაც „გადაცემა". ასე რომ, მე-6 მუხლის სათაური ქართულად ასე იკითხება: „დამნაშავის გადაცემა და გადაცემა." კანონის ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კანონმდებელს კანონის ტექსტში ამ ტერმინის შემოტანა იმისთვის დასჭირდა, რომ დამნაშავის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემისაგან განესხვავებინა.[18]

საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად „არ შეიძლება იყვნენ ექსტრადირებულნი სხვა სახელმწიფოში", თუ გადაცემის (ექსტრადიციის) ვალდებულება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის დადგენილი. ეს ნორმა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლს, რომლის მიხედვითაც „საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა" (მე-4 ნაწ.).[19]

საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონით სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის ტექსტი გაფართოვდა. ახალი ტექსტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე ან ჩვენთან მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი შეიძლება გადაეცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. ამ შემთხვევაში გადაცემა ხდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების (რომის სტატუტის) საფუძველზე და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას შეუერთდა. მათ შორისაა რომის 1998 წლის 17 ივლისის „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი". სტატუტი წესდებაა, რომლის საფუძველზეც რომში დაარსებული მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო მოქმედებს.[20]

6.2. დამნაშავის გადაცემა სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. გადაცემა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელი საშუალებაა საერთაშორისო დონეზე. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია გადასცეს ბრალდებული მომთხოვნ სახელმწიფოს ან საერთაშორისო სასამართლოს, თუ დანაშაული მომთხოვნი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ჩადენილი ან, თუმცა დანაშაული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ჩადენილი, მაგრამ მომთხოვნი სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული.

უცხო ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირი საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად გადაეცემა მომთხოვნ სახელმწიფოს ან საერთაშორისო სასამართლოს.

ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში დამნაშავე არ გადაეცემა. 1970 წელს საბჭოთა კავშირის მოქალაქეებმა მამა-შვილმა ბრაზინსკასებმა ბათუმიდან თვითმფრინავი გაიტაცეს და ტრაპიზონის (თურქეთი) აეროდრომზე დაეშვნენ. საბჭოთა კავშირმა თურქეთს მიმართა დამნაშავეთა გადაცემის მოთხოვნით. თურქეთმა ამ თხოვნას უარით უპასუხა იმ საფუძვლით, რომ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის დამნაშავეთა ურთიერთგადაცემის ხელშეკრულება დადებული არ იყო.

გარდა ხელშეკრულებისა, თურქეთს სხვა საფუძველიც ჰქონდა უარი ეთქვა საბჭოთა კავშირის თხოვნაზე. საქმე ის არის, რომ ბრაზინსკასებმა ეგრეთ წოდებული დისტანციური დელიქტი ჩაიდინეს. მათი დანაშაული, რომელიც ბათუმში დაიწყო, თურქეთის ტერიტორიაზე გაგრძელდა. ამიტომ თურქეთის სასამართლომ ბრაზინსკასები ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე დასაჯა.

მაგრამ, თუ სახელმწიფოს კეთილი ნება იქნება, შესაძლებელია დამნაშავის გადაცემა დიპლომატიური არხებით მოგვარდეს.[21] სანიმუშოდ

[18] მართალია, სიტყვა „ექსტრადიცია" ნიშნავს ჩვენი მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემას, მაგრამ კონსტიტუციის მე-13 მუხლი ისევე ქართულ „გადაცემას" იყენებს. ვფიქრობთ, ტერმინოლოგიის ასეთი აღრევა სასურველი არ არის. მით უმეტეს, რომ ტერმინი „გადაცემა" ზუსტად გამოხატავს მოვლენას.

[19] „ექსტრადიციისა" და „გადაცემის" სხვადასხვა შემთხვევაში გამოყენების წესი 1998 წ. 17 ივლისის რომის სტატუტიდან მომდინარეობს, იხ. მერაბ (ვეფხია) გვარამია, საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია, 78-ე გვ.

[20] იხ. ამ საკითხზე დაწვრილებით მერაბ (ვეფხია) გვარამია. მით ნაშრომი, 69–82-ე გვ.

[21] იმ ქვეყნისათვის სამართლებრივი დახმარების საკითხი, რომელთანაც არ არის დადებული ხელშეკრულება, „შეიძლება გადაწყდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ან საქართველოს გენერალურ პროკურორსა და აღნიშნული სახელმწიფოს შესაბამის თანამდებობის პირთა შორის სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დადებული შეთანხმებით" (იხ. საქართველოს სსსკ-ის 247-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

შეიძლება დავასახელოთ შემთხვევა. როცა ისრაელმა საბჭოთა კავშირს გადასცა დამნაშავენი. რომლებმაც თვითმფრინავით ბავშვები გაიტაცეს, მიიღეს დიდძალი ფული და ისრაელში გაფრინდნენ. ისრაელმა საბჭოთა კავშირს გადასცა დამნაშავენი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის, არათუ გადაცემის ხელშეკრულება, დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ იყო დამყარებული.[22]

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა არეგულირებს აგრეთვე დამნაშავის გადმოცემის საკითხებსაც. მაგალითად, არ შეიძლება სხვა სახელმწიფოსაგან გადმოცემული გადაეცეს მესამე სახელმწიფოს, თუ ამისათვის არ არის გადმომცემი სახელმწიფოს თანხმობა (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 255-ე მუხლის პირველი ნაწ.). ეს წესი არ გავრცელდება იმ დამნაშავეზე, რომელმაც გადმოცემის შემდეგ ახალი დანაშაული ჩაიდინა (იხ. მით. მუხლის მე-2 ნაწ.).

6.3. სხვა ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს. ამ საერთო წესიდან კანონით დადგენილია მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი. აქედან საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს მხოლოდ ორ შემთხვევას. კონსტიტუციის 47-ე მუხლით „დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება“ (იხ. მე-3 ნაწ.).

დამნაშავის გადაცემა სხვა სახელმწიფოსათვის სამართლებრივი დახმარების ერთ-ერთი სახეა. ჩვენი სახელმწიფო დემოკრატიული სახელმწიფოა და არ ცნობს „პოლიტიკური მრწამსისათვის“ ადამიანის დევნა-შევიწროებას, ამიტომ ვერ დაეხმარება სხვა სახელმწიფოს ასეთი ადამიანის დევნაში. პირიქით, ასეთ ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით პოლიტიკური თავშესაფრის უფლებაც კი ეძლევა (იხ. საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „პოლიტიკური მრწამსისათვის“ დევნილი დაუსჯელი უნდა დარჩეს. თუკი მას თავის სამშობლოში ან სხვაგან ისეთი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომელიც ჩვენი კანონმდებლობითაც ისჯება, ის პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით (მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპი).[23]

[22] Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, стр. 15.

[23] მერაბ ტურავა, საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლიმენტაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (იხ. კრ. საქართველო და საერთაშორისო სამართალი, 2001, 203-ე გვ.).

მეორე გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებული არ არის კონსტიტუციით, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლითაა დადგენილი, არის ის შემთხვევა, როცა მოქალაქის გადაცემა არ დაიშვება, თუ იქ მას ამ დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა ემუქრება. საქართველომ, როგორც ცნობილია, სიკვდილით დასჯა 1997 წლის 10 ნოემბრის კანონით აკრძალა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 2002 წლის საქართველოს მხრიდან რამდენიმე ჩეჩენი ბრალდებულის გადაცემა რუსეთის ფედერაციისათვის, სადაც სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გაუქმებული, თუმცა დღეისათვის ეს სასჯელი იქ არ გამოიყენება.[24]

ასეთ შემთხვევაშიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით. დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით (მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპი) იმ განსხვავებით, რომ ჩვენი სასამართლო დამნაშავის მიმართ სიკვდილით დასჯას ვერ გამოიყენებს.

მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება. ასეთი ადამიანი, რასაკვირველია, დარჩება ჩვენს სახელმწიფოში ყოველგვარი დასჯის გარეშე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დამატებით ითვალისწინებს გადაცემაზე უარის თქმის კიდევ ორ ისეთ შემთხვევას, რომლებსაც არ იცნობს არც საქართველოს კონსტიტუცია და არც სისხლის სამართლის კოდექსი.

პირველი შემთხვევა გულისხმობს იმის გადაცემაზე უარის თქმას, ვის მიმართაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის განაჩენი ან დადგენილება (განჩინება) იმავე დანაშაულისათვის, რომლის გამოც დამნაშავის გადაცემას ითხოვენ (იხ. საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლის „გ“ პუნქტი). ამავე მუხლის „დ“ პუნქტით გადაცემაზე უარის თქმის საფუძველია აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა.

[24] რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 2 თებერვლის დადგენილებით რუსეთის ფედერაციის სასამართლოებს უფლება არა აქვთ გამოიყენონ სიკვდილით დასჯა მანამ, სანამ რუსეთის ყველა მოქალაქეს არ ექნება ამ ქვეყნის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, რომ მათი საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ (იხ. Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, 2000, ст. VII).

კარი მეორე

დანაშაული

თავი III
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დანაშაულის კატეგორიები

მუხლი 7. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

2. დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

7.1. კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა. თავის მხრივ, დანაშაულის ცნების სტრუქტურა სამი ნიშნისაგან შედგება. ეს ნიშნებია: 1) ქმედების შემადგენლობა, ანუ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი შემადგენლობის ნიშნებისადმი; 2) ქმედების მართლწინააღმდეგობა და 3) ბრალი. დანაშაულის ცნების სტრუქტურის ამ სამივე ნიშნის თანაარსებობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ და საკმარის საფუძველს.

ა) ქმედების შემადგენლობა. ამ ტერმინის ნაცვლად ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში რუსული საბჭოური ლიტერატურის ზეგავლენით გამოიყენება ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობა." მაგრამ ეს ტერმინი მოვლენას ზუსტად ვერ გამოხატავს. საქმე ის არის, რომ დანაშაულის პირველი ნიშანი „ქმედება" შეიძლება ისე განხორციელდეს, რომ იგი არ იყოს მართლსაწინააღმდეგო, არ ეწინააღმდეგებოდეს სამართალს. ზოგჯერ კი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სხვადასხვა გარემოების გამო არ შეერაცხება ბრალად მის ჩამდენს. ასეთ შემთხვევაში დანაშაული

არ არის ჩადენილი და, მაშასადამე, არც დანაშაულის შემადგენლობა იქნება განხორციელებული. ამიტომ სიზუსტისათვის უმჯობესია ამ მოვლენას „დანაშაულის შემადგენლობა" კი არა, „ქმედების შემადგენლობა" ეწოდოს, როგორც ეს გერმანულ ლიტერატურაშია მიღებული (Tatbestand, ქმედების შემადგენლობა).

ქმედების შემადგენლობა ორი მხარისაგან შედგება. ესენია: ქმედების ობიექტური მხარე და ქმედების სუბიექტური მხარე. თითოეული ამ მხარის აღნაგობა, სტრუქტურა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი კანონით ესა თუ ის ქმედება.

ქმედების ობიექტური მხარე. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ქმედების აღწერილობის თვალსაზრისით ორი სახის დელიქტებს გამოყოფს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება შედეგიანი დელიქტები, ხოლო მეორე ჯგუფს – საფრთხის შემქმნელი დელიქტები. საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თავის მხრივ, კიდევ იყოფა კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებად და აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებად.[1] ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე შედგეან დელიქტებში (მაგალითად, მკვლელობა) სამი ელემენტისაგან შედგება: 1) საკუთრივ ქმედება, 2) შედეგი და 3) მიზეზობრივი კავშირი მათ შორის.

ქმედება ზოგადი ცნებაა და მოიცავს მოქმედებასა და უმოქმედობას. ქმედების შემადგენლობის დაკანონებას დანაშაულის ცნების სტრუქტურის ერთ-ერთ სავალდებულო ნიშნად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის თავისუფლების გარანტიისათვის. ჩვენი სისხლის სამართალი ქმედების სისხლის სამართალია. პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს კანონით ზუსტად აღწერილი ქმედების ჩადენა და არა პიროვნების საშიში მდგომარეობა,[2] არა ვინმესათვის არასასურველი აზრის გამოთქმა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აზრის გამოთქმა თავისთავად გამოხატავს კანონით გათვალისწინებულ დამთავრებულ დანაშაულს, ხელყოფს კონ-

---

[1] თ. წერეთელი საფრთხის შემქმნელ დელიქტს შედეგარეშე შემადგენლობას უწოდებს (იხ. თ. წერეთელი, დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი, 58–მე-60 გვ.). აშკარად ცდება ჯ. ბაბილაშვილი, როცა ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნად „ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესის დარღვევა" მიაჩნია (იხ. ჯამლეთ ბაბილაშვილი, სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, 2002, 47-უ გვ.). „წესის" დარღვევა ქმედების მართლწინააღმდეგობაზე მიუთითებს, რომელიც ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის კი არა, დანაშაულის ცნების დამოუკიდებელი ნიშანია.

[2] თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, მე-7 გვ.

კრეტულ სამართლებრივ სიკეთეს. აზრის გამოთქმაა, მაგალითად, დანაშაულის ჩადენისათვის წაქეზება (წამქეზებელი), დამნაშავისათვის რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ., მაგრამ აქ აზრის გამოთქმა თავისთავად ქმედებაა.

მოქმედი სისხლის სამართლით აკრძალულია პასუხისმგებლობის დაკისრება ანალოგიის წესით, რომელიც მიღებული იყო ჩვენი კანონმდებლობით 1958 წლამდე. ამჟამად მოქმედებს პრინციპი – არ არსებობს დანაშაული, რომლის ქმედების შემადგენლობა პირდაპირ არ არის აღწერილი სისხლის სამართლის კანონით. მაგრამ დასაშვებია ანალოგიის პრინციპის გამოყენება პიროვნების სასარგებლოდ, როცა დგება მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ან სასჯელის შემსუბუქების საკითხი. მაგალითად, ანალოგია შეიძლება გამოვიყენოთ მაშინ, როცა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით (იხ. საქართველოს სსკ-ის 32-ე და 38-ე მუხლების განმარტება).

ქმედების შემადგენლობას აქვს აგრეთვე პროცესუალური მნიშვნელობაც. სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების ჩადენა არის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას „დანაშაულის ნიშნების არსებობისას". მართალია, აქ მრავლობითი ფორმა „დანაშაულის ნიშნებია" გამოყენებული, მაგრამ საქმის აღძვრისათვის მისი ერთი ნიშნის– ქმედების შემადგენლობის განხორციელებაც კი საკმარისია (როგორც ჩანს, კანონი აქ ქმედების შემადგენლობის ნიშნებს გულისხმობს). რაც შეეხება დანაშაულის მეორე და მესამე ნიშანს – მართლწინააღმდეგობას და დამნაშავის ბრალს, ის შეიძლება საქმის აღძვრის შემდეგ დადგინდეს.[3]

ეს პრინციპი მოქალაქის თავისუფლების გარანტიაა. ადამიანი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით პირდაპირ აღწერილი ქმედების შემადგენლობის განხორციელების გამო. ეს, რასაკვირველია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საქმის აღძვრის მომენტისათვის ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანი სრულყოფილად იყოს გამოკვეთილი.

სამაგიეროდ პასუხს არ აგებს ის სახელმწიფო მოხელე, ვინც საქმე

[3] იხ. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, 219-ე გვ.

კანონიერად, ესე იგი კანონით აღწერილი ქმედების ჩადენის საფუძველზე აღძრა, თუნდაც შემდეგ ეს საქმე შეწყდეს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო.

ქმედების შემადგენლობის მეორე ელემენტს ეგრეთ წოდებულ შედეგიან დელიქტებში კანონით პირდაპირ აღწერილი შედეგი წარმოადგენს. ისეთ შემადგენლობას, რომლის საკანონმდებლო განსაზღვრებაში აუცილებლად არის აღწერილი კონკრეტული შედეგი, ზოგჯერ მატერიალურ შემადგენლობასაც უწოდებენ.[4]

ძირითადად შედეგი გამოხატავს ქმედების მეოხებით გამოწვეულ რაიმე ცვლილებას გარე სამყაროში. ასეთია, მაგალითად, მკვლელობა, როდესაც ხდება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ქურდობა, როცა ქურდი სხვის ნივთს დაეუფლება და სხვ. ერთი სიტყვით, შედეგი როგორც გარე სამყაროში მომხდარი ცვლილება ფაქტობრივი ხასიათის მოვლენაა, იგი რეალურ სამყაროში მომხდარი ფაქტია.

მაგრამ ზოგჯერ ფაქტობრივი, აღწერილობითი თვისების გარდა, შედეგისათვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს ნორმატიულობა, ესე იგი შეფასებითი ნიშანი. მაგალითად, ქურდობა, რამაც „მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია" (იხ. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწ., „გ" პუნქტი). სასამართლომ უნდა შეაფასოს მითვისებულმა სხვისმა ნივთმა არსებითად დააზიანა თუ არა ნივთის პატრონი. ზოგჯერ 10 ლარის ღირებულების ნივთის მითვისება შეიძლება არსებით ზიანს წარმოადგენდეს პატრონისათვის, ზოგჯერ კი 100 ლარის ღირებულებაც არ იყოს მნიშვნელოვანი ზიანი.

ვინაიდან შედეგის ცნების ნორმატიული განსაზღვრება ხშირად იწვევს გაუგებრობებს პრაქტიკაში, რასაც სასამართლო შეცდომები მოსდევს ხოლმე, კანონმდებელი ცდილობს ზოგ შემთხვევაში მაინც შედეგის ცნების შეფასებითი განსაზღვრება შეცვალოს აღწერილობითი განსაზღვრებით (მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, „დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით").

შედეგის სახით ზოგჯერ ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნად შეიძლება მოგვევლინოს კონკრეტული საფრთხის შექმნა სამართლებრივი სიკეთისათვის. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 229-ე მუხლი

[4] თ. წერეთელი ამ შემთხვევისათვის გვთავაზობს ტერმინს „დანაშაულის შედეგი ვიწრო მნიშვნელობით" (იხ. მით. ნაშრომი, 53-ე გვ.).

ითვალისწინებს გაზის, ბენზინის, ნავთის ან სხვა ნივთიერების განზრახ აფეთქებას, თუკი ამას შეგნებულად მოჰყვა სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის საფრთხის შექმნა (1-ლი ნაწ.).

ქმედების ეს შემადგენლობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს; კონკრეტულად ამ ვითარებაში არსებობდა 229-ე მუხლის პირველი ნაწილით ჩამოთვლილი რომელიმე სიკეთის განადგურების რეალური შესაძლებლობა და რომ დამნაშავეს ამის შესაძლებლობა შეცნობილი ჰქონდა.

კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების გვერდით, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე ისეთ დელიქტებს, რომლებიც ქმნიან აბსტრაქტულ საფრთხეს. ასეთია, მაგალითად, ცრუ ჩვენება (370-ე მუხლი). ეს ქმედება ქმნის რაიმე სიკეთის დაზიანების აბსტრაქტულ საფრთხეს. აბსტრაქტულობა იმით გამოიხატება, რომ ზოგჯერ მოწმის ცრუ ჩვენებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში. ყველა მოწმემ რომ ცრუ ჩვენება მისცეს საერთოდ პროცესზე, სასამართლო ვერ იმუშავებს. ამიტომ ცრუ ჩვენება ისჯება იმის მიუხედავად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეუშალა თუ არა ხელი ამ მოქმედებამ სასამართლოში ჭეშმარიტების დადგენას.

როცა ჩადენილია შედეგიანი (ვთქვათ, მკვლელობა) ან კონკრეტული საფრთხის დელიქტი, მაშინ აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს ან ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის. რაც შეეხება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს, აქ მიზეზობრივი კავშირის დადგენა საჭირო არ არის. საკმარისია დადგინდეს მხოლოდ ქმედება (ვთქვათ, ცრუ ჩვენება). მიზეზობრივი კავშირის საკითხზე იხილეთ მე-8 მუხლის განმარტება.

ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე. ქმედება არის სოციალური ცხოვრების ფაქტი, რომელსაც ადამიანი სჩადის განზრახ ან გაუფრთხილებლად. განზრახვის საკითხზე იხილეთ დაწვრილებით მე-9 მუხლის განმარტება. კოდექსის კერძო ნაწილში განზრახვა სხვადასხვა ფორმით არის გამოხატული. ზოგჯერ განზრახვა შემადგენლობაში პირდაპირ არის დასახელებული. მაგალითად, 108-ე მუხლის დისპოზიცია ასეა ფორმულირებული: „განზრახ მკვლელობა".

110-ე მუხლის დისპოზიციას კანონმდებელი ასე აღწერს: „მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით". აქ სიტყვა „განზრახ" ნახსენები არ არის,

მაგრამ იგი უთუოდ იგულისხმება („მკვლელობა..... ჩადენილი..... მიზნით"). მიზანი განზრახვის გარეშე არ არსებობს.

133-ე მუხლის დისპოზიცია ორი სიტყვისაგან შედგება. ესენია „უკანონო აბორტი." აბორტი, კანონიერი იქნება ის თუ უკანონო, განზრახი მოქმედებაა.

ზოგჯერ განზრახვის რომელიმე ელემენტის საგანგებო მითითება აუცილებელია იმისათვის, რომ ერთი შემადგენლობა მეორისაგან განვასხვავოთ. მაგალითად, ქურდობის (177-ე მუხლი) შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სუბიექტური მხარის ისეთი ელემენტი, როგორიცაა სხვისი ნივთის მითვისების მიზანი. ასევე აუცილებელია მიზანი ძარცვის (178-ე მუხლი), ყაჩაღობის (179-ე მუხლი) და თაღლითობის (180-ე მუხლი) შემადგენლობებისათვის. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებიან ეს შემადგენლობები კოდექსის 184-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობისაგან, რომლითაც პასუხისმგებლობაა დაწესებული ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის „მისაკუთრების მიზნის გარეშე".

1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ყაჩაღობის, ისევე, როგორც სხვა მონათესავე დელიქტების შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად საგანგებოდ არ გამოყოფდა მითვისების მიზანს. ეს გარემოება სასამართლო პრაქტიკაში იწვევდა გაუგებრობებს ქმედების კვალიფიკაციის დროს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა მანქანის გატაცება მითვისების მიზნის გარეშე ყაჩაღობად დაკვალიფიცირდა. ეს შეცდომა შემდეგ გამოსწორდა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დახმარებით. ამჟამად მოქმედი კოდექსით, როგორც ვნახეთ, საკანონმდებლო ტექნიკის ეს ნაკლი გამოსწორდა და მითვისების მიზანი პირდაპირ აისახა შემადგენლობის საკანონმდებლო ფორმულირებაში. შემადგენლობის სუბიექტური მხარე მარტო განზრახვით არ ამოიწურება, ის ზოგჯერ შეიძლება განუზრახველად განხორციელდეს (იხილეთ ამ საკითხზე მე-10 მუხ. განმარტება).

ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშნები. აქამდე ჩვენ ვიხილავდით ქმედების ფაქტობრივ ნიშნებს. მაგრამ ქმედების შემადგენლობა მარტო ფაქტობრივი (ფაქტობრივში სუბიექტურიც იგულისხმება) ნიშნებისაგან როდი შედგება. შემადგენლობაში ფაქტობრივის გვერდით, ნორმატიული ნიშნებიც გვხვდება. ზემოთ ჩვენ, შედეგზე რომ ვმსჯელობდით, გაკვრით აღვნიშნეთ შედეგის ნორმატიული, შეფასებითი გაგება. მაგალითად, „მნიშვნელოვანი ზიანი".

შემადგენლობის შეფასებით ნიშნებს უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, ნიშანი „სხვისი", ასეთი ნიშანი გვხვდება ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის და სხვა შემადგენლობებში. ასეთია, მაგალითად, „სხვისი ნივთის მითვისება." მკვლელობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია „სხვისი სიცოცხლე". ნიშანი „სხვისი" გრძნობის ორგანოებით არ აღიქმება და ამიტომ ის არ არის ფაქტობრივი. იგი მხოლოდ გონებით მიიღწევა.

ნორმატიულ ნიშნებს უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, განზრახი მკვლელობა „განსაკუთრებული სისასტიკით" (იხ. საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ე" პუნქტი). „სისასტიკე" შეფასებითი ცნებაა. შეფასებას გულისხმობს ავრეთვე სიტყვა „განსაკუთრებული." ეს სიტყვები ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს. სასამართლო პრაქტიკაში დიდი დაკვირვებაა საჭირო, რომ შეცდომა არ მოხდეს. ჯერ უნდა დადგინდეს, რომ მკვლელობა მოხდა „სისასტიკით", შემდეგ უნდა დადგინდეს, რომ ეს „სისასტიკე" იყო „განსაკუთრებული". წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება შემადგენლობის ან ნიშნის გაუბრალოება, რადგან ყველა განზრახი მკვლელობა თავისთავად სისასტიკეა, სისასტიკით სიცოცხლის მოსპობაა.

უმოქმედობა. როგორც ზემოთ ვთქვით, ქმედება ზოგადი ცნებაა, რომელიც მოიცავს მოქმედებას და უმოქმედობას. სისხლის სამართალმა იცის ორი სახის უმოქმედობა: 1) წმინდა უმოქმედობა და 2) შერეული უმოქმედობა.

მაგრამ ყოველგვარი უმოქმედობა როდი ქმნის შემადგენლობას. უმოქმედობა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შემადგენლობად და მაშინ შეიძლება დაედოს საფუძვლად პასუხისმგებლობას, როცა ადამიანს მოქმედების ვალდებულება ჰქონდა და არ იმოქმედა. გამოყოფენ სამ ტიპურ ვითარებას, რომლებიც ასეთ ვალდებულებას წარმოშობენ: 1) ოჯახური მდგომარეობა (მაგ.: შვილისათვის სარჩოს გადახდის ვალდებულება, იხ. 176-ე მუხლი); 2) სამსახურებრივი ან პროფესიული მდგომარეობა (მაგ.: ექიმი ვალდებულია დაეხმაროს ავადმყოფს, იხ. 130-ე მუხლი – ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება და სხვ.); 3) ადამიანის წინა მოქმედება (მაგალითად, მძღოლი ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვინც მანქანით დააზიანა).[5]

მოქმედების მოვალეობა შეიძლება წარმოიშვას ზოგადადამიანური ურთიერთობიდანაც. როცა დახმარების არავითარი სპეციალური მოვალეობა არ არსებობს. ამის მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი – დაუხმარებლობა. განსხვავებით

[5] იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 41-ე გვ.

128-ე მუხლისაგან, აქ არ გვხვდება პირობა: „თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა". ეს ისეთი შემთხვევაა, როცა, მაგალითად, ადამიანი წყალში იხრჩობა ან მას გადაუდებლად ესაჭიროება საავადმყოფოში მოყვანა და ამის მხილველი არ მოქმედებს, არ ეხმარება. თუმცა შეეძლო დახმარებოდა მოყვასს.

ბ) **ქმედების მართლწინააღმდეგობა.** დანაშაულის მეორე ნიშანს ქმედების მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს. სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედება თავისთავად როდი ეწინააღმდეგება სამართალს. ის ტიპურად კი არის მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ ასეთი ქმედება ზოგჯერ შეიძლება მართლზომიერადაც იყოს ჩადენილი (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და სხვ.). ამიტომ მართლწინააღმდეგობას ზოგჯერ პრაქტიკაში სპეციალური მტკიცება სჭირდება.

ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს მხედველობაშია მისაღები ამ ქმედების ჩადენის აკრძალვა, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა. მართლწინააღმდეგობის დადგენა ნიშნავს იმის დადგენას, დაარღვია თუ არა კაცმა აკრძალვა. დამნაშავე ასრულებს (და არ არღვევს) სისხლის სამართლის კანონს,[6] ანუ ქმედების შემადგენლობას და არღვევს ნორმას, აკრძალვას, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა.

ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილი ქმედების შემადგენლობათა ბუნება. ამ თვალსაზრისით თუ განვსჯით, კოდექსში აღწერილი ქმედების შემადგენლობები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1) კლასიკური დელიქტების შემადგენლობები და 2) ეგრეთ წოდებული ბლანკეტური მუხლები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, გაუპატიურება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვ. მეორე ჯგუფში ისეთი შემადგენლობები მოიაზრება, რომელთა მართლწინააღმდეგობა ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში დადგენილი

[6] ვერ დავეთანხმებით თ. წერეთლის აზრს, თითქოს „დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედობა, რომელიც აკრძალულია სასჯელის მუქარით" (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 43-ე გვ.). სასჯელი აკრძალვას არ აწესებს. სასჯელი ემუქრება უკვე აკრძალული ქმედების ჩამდენს. ასევე არასწორია რუსეთის ფედერაციის 1996 წ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის ფორმულირება: „Преступлением признается виновно совершенное общественно опасное деяние, запрещенное настоящим Кодексом под угрозой наказания," გამოთქმა „კოდექსით აკრძალული" აქაც არასწორად არის გამოყენებული.

ქცევის წესის დარღვევით გამოიხატება (მაგალითად, საბაჟო წესის დარღვევა, ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესის დარღვევა და სხვ.).

პირველი ჯგუფის დელიქტების შემადგენლობათა მართლწინააღმდეგობა ჯერ კიდევ ბიბლიიდან მომდინარეობს, რომელსაც ხშირად მოსეს სამართალსაც უწოდებენ. ასეთი აკრძალვებია, მაგალითად, „არა კაც კლა", „არ იპარო," და სხვ. (ათი მცნება). ეს აკრძალვები ისე შეისისხლხორცა თანამედროვე საზოგადოებრივმა აზროვნებამ, რომ მათი სპეციალურ ნორმატიულ აქტში ფიქსირებაც აღარ არის საჭირო. თუმცა თანამედროვე კონსტიტუციური კანონმდებლობა პირდაპირ აკანონებს ამ აკრძალვებს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დადგენილია: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი". კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია" და ა.შ.

როგორ უნდა დადგინდეს მაინც მართლწინააღმდეგობა, როცა ჩადენილია კლასიკური დელიქტის შემადგენლობა? ეს საკითხი პრაქტიკულად დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული. მართლწინააღმდეგობის დადგენა აქ ხდება ნეგატიურად და არა პოზიტიურად. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგოა ყველა შემთხვევაში, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და სხვ.). ნეგატიური ნიშანია „არ არსებობს". თუ, მაგალითად, ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს (მოწმეთა დაკითხვა და სხვ.) ამოტივტივდა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც გამომძიებელს მიანიშნებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობაზე, ის ვალდებულია ამ კუთხით გაამახვილოს ყურადღება და გულდასმით შეამოწმოს საქმის ყველა მასალა. ამ დროს გამოძიება ამოწმებს, არის თუ არა ქმედება მართლსაწინააღმდეგო. სხვა შემთხვევაში კლასიკური დელიქტის შემადგენლობის დადგენა თავისთავად, ავტომატურად მიანიშნებს, რომ ქმედება ჩადენილია მართლსაწინააღმდეგოდ. მაშასადამე, თუ არ არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაშინ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის ნიშნის დადგენას ბლანკეტურ შემადგენლობებში, იქ გამოძიება უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ დადგენილ ქცევის წესს და პოზიტიურად უნდა დაასაბუთოს, რომ ბრალდებულს (განსასჯელს) დარღვეული აქვს ამ „წესების" რომელიმე მუხლი. აქ მართლწინააღმდეგობის ნიშნის დადგენა,

კლასიკური შემადგენლობისაგან განსხვავებით, პოზიტიური და არა ნეგატიური გზით ხდება. მიუხედავად ამისა, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემა აქაც ისევე მოქმედებს, როგორც კლასიკურ შემადგენლობებში.

მართლწინააღმდეგობა წმინდა ფორმალური ხასიათისაა და ის თავისი ბუნებით ობიექტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალი ერთნაირ სახის აწესებს ყველას მიმართ, იქნება ის მცირეწლოვანი თუ ღრმად მოხუცი, ავადმყოფი თუ ჯანმრთელი, გენიოსი თუ ჭკუასუსტი. მართლსაწინააღმდეგოა ადამიანის ყოველგვარი მოქმედება, როგორ ფსიქიკურ მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს ის ჩადენილი, განზრახ თუ განუზრახველად.

1999 წლის კოდექსმა საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ნაცვლად, რომელიც დანაშაულის ერთ-ერთ ნიშნად ითვლებოდა 1960 წლის კოდექსით, შემოიტანა მართლწინააღმდეგობის ცნება. საბჭოურ სისხლის სამართალში მიღებული იყო, რომ მართლწინააღმდეგობას, როგორც ფორმალურ ნიშანს, დანაშაულის ნიშნად აღიარებდა ეგრეთ წოდებული „ბურჟუაზიული" სისხლის სამართალი. თურმე ნუ იტყვით, ამას იმიტომ აკეთებდნენ იქ, რომ დაეფარათ ნამდვილად საზოგადოებრივად საშიში ქმედებები, რომლებსაც ბურჟუაზიის წარმომადგენლები სჩადიოდნენ მუშათა კლასის წინააღმდეგ. რაც შეეხება საბჭოურ სისხლის სამართალს, ის თურმე ისეთ ქმედებებს აცხადებს დანაშაულად, რომლებიც ფორმალურად კი არა, ნამდვილად მთელი საზოგადოების, ყველასათვის საზიანოა, საშიშია.

სინამდვილეში ეს იყო მეცნიერული პრობლემის უხეში პოლიტიზირება და ხალხის მოტყუება. კოდექსში მართლწინააღმდეგობის ცნების შემოტანა მოხდა იმის გამო, რომ პრაქტიკულად მისი გამოყენება გაცილებით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე საზოგადოებრივი საშიშროებისა. მაგალითად, ამ ცნებას შეეძლო პროცესზე შეექმნა ერთგვარი სირთულე ბრალის მტკიცების დროს. ბრალის აუცილებელი ელემენტია, როგორც ვიცით, მართლწინააღმდეგობის შეგნება. დამნაშავეს კი შეეძლო ეთქვა, რომ მას არ ჰქონდა საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება დანაშაულის ჩადენის (ვთქვათ, ჩადენილია პოლიტიკური ტერორი, მოკლულია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი და სხვ.) დროს. მას ჰქონდა რწმენა, რომ მოქმედებდა საზოგადოების სასარგებლოდ.

ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას, რაც მთავარია, არ უარყოფს არც დასავლეთის კანონმდებლობა და არც ჩვენი სისხლის

სამართალი უარყოფს მას. საქმე ისაა, რომ საზოგადოებრივ საშიშროებას აქვს ერთი კარგი თვისება, რომლის პრაქტიკული დანიშნულებაც უდავოა. ქმედების მართლწინააღმდეგობა ფორმალური ცნებაა, რომლის დახარისხება მძიმე და მსუბუქ მართლწინააღმდეგობად არ შეიძლება მაშინ, როცა ქმედება შეიძლება იყოს საზოგადოებრივად მეტად საშიშიც ან ნაკლებად საშიშიც. ქმედება ან ეწინააღმდეგება სამართალს ან არ ეწინააღმდეგება. არ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ერთი ქმედება ნაკლებად ეწინააღმდეგებოდეს სამართალს, ხოლო მეორე ქმედება მეტად ეწინააღმდეგებოდეს. ამა თუ იმ დაწესებულების კარზე ხშირად შეხვდებით წარწერას: „გარეშე პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია". სიტყვა „სასტიკად" აქ სრულიად უადგილოდ არის გამოყენებული, რადგან „აკრძალვამ" არ იცის „სისასტიკე" და „ლმობიერება." ესა თუ ის მოქმედება ან აკრძალულია ან არ არის აკრძალული.

საზოგადოებრივი საშიშროება მართლწინააღმდეგობის მატერიალური გამოხატულებაა. ამ ცნებების გვერდით ჩვენ შემოგვაქვს სისხლისსამართლებრივი უმართლობის[7] ცნება, რომელიც მოიცავს დანაშაულის ორ ნიშანს: 1) სისხლის სამართლის კანონით აღწერილ ქმედებას და 2) მართლწინააღმდეგობას. უმართლობას უკვე აქვს ხარისხები: მეტი სიმძიმის უმართლობა და ნაკლები სიმძიმის უმართლობა. მაგალითად, ორი კაცის მკვლელობა უფრო მძიმე უმართლობაა, ვიდრე ერთი კაცის მკვლელობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორი კაცის მკვლელობა საზოგადოებრივად უფრო საშიშია, ვიდრე ერთი კაცის მკვლელობა. ასე რომ, ჩვენ საზოგადოებრივი საშიშროების ცნებაზე სრულიადაც არ გვითქვამს უარი. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ჯ. ბაბილაშვილს, რომელიც არ მიიჩნევს სწორად მოქმედი კოდექსის მე-7 მუხლის ფორმულირებას, სადაც დანაშაულის ცნების ნიშნად, ტრადიციული „საზოგადოებრივი საშიშროების" ნაცვლად, შემოტანილია „მართლწინააღმდეგობა".[8]

კიდევ ვიმეორებ, ეს ცვლილება პრაქტიკული თვალსაზრისით ძლიერ მომგებიანია, მით უმეტეს ითქმის ეს ავტოსატრანსპორტო დანაშაულის მიმართ, რომელსაც ჯ. ბაბილაშვილმა მთელი მონოგრაფია მიუძღვნა. მაგალითად, როგორ უნდა დაადგინოს სასამართლომ, რომ მძღოლი მოქმედებდა საზოგადოებრივად საშიშად, თუნდაც მაშინ, როცა ავტოავარი-

[7] იხ. ამ საკითხზე დაწვრილებით ოთარ გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, 1989.

[8] ჯ.ბაბილაშვილი, სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, 2004, 30-31-ე გვ.

ის შედეგად ადამიანი დაიღუპა? ვთქვათ, ორი ავტომანქანა ერთმანეთს შეეჯახა და ამის შედეგად დაიღუპა კაცი. როგორ გავიგოთ, რომელი მძღოლი მოქმედებდა საზოგადოებრივად საშიშად? არსებობს ამის დადგენის ერთადერთი გზა. ავიღოთ მოძრაობის წესები და დავადგინოთ, რომელმა მძღოლმა რომელი წესი დაარღვია. თუ დავადგენთ, რომ ერთ-ერთმა მძღოლმა დაარღვია გზაზე მოძრაობის ესა თუ ის წესი, რასაც კაცის სიკვდილი ან სხვა შედეგი მოჰყვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენ ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე. მაშასადამე, საზოგადოებრივ საშიშროებას ვერ დავადგენთ მართლწინააღმდეგობის ნიშნის დადგენის გარეშე. საზოგადოებრივ საშიშროებას წინ უძღვის მართლწინააღმდეგობა.

გ) ბრალი. დანაშაულის მესამე ნიშანია ბრალი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ბრალის ცნებას არ განსაზღვრავს. აქ მოცემულია მხოლოდ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებები, როგორც ეს იყო 1960 წლის კოდექსში. მიუხედავად ამისა, საბჭოურ მეცნიერებაში ამ ცნებებზე დაყრდნობით გაბატონებულად ითვლებოდა ბრალის ფსიქოლოგიური თეორია. რაც შეეხება ახალი კოდექსის მოქმედების დროს, აქ საკითხისადმი მიდგომა შეიცვალა. „ახალი კოდექსის მიხედვით – წერს მ. ტურავა – ბრალი არის შეფასებითი, ნორმატიული კატეგორია (უარყოფილია ბრალის ფსიქოლოგიური თეორია). ამას ადასტურებს ის, რომ ახალი კოდექსის მეცხრე თავი ეძღვნება ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს".[9]

მას შემდეგ, რაც კაცობრიობა ობიექტური შერაცხვიდან სუბიექტურ შერაცხვაზე გადავიდა, დღემდე არსებობს ბრალის ცნების სამგვარი გაგება: 1) წმინდა ფსიქოლოგიური თეორია, 2) შერეული ანუ ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორია (რ. ფრანკი) და 3) წმინდა ნორმატიული თეორია. ამჟამად საქართველოში ეს უკანასკნელი გაგება, ანუ ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია მკვიდრდება.[10]

ბრალი არის ბრალდებულის (განსასჯელის) გაკიცხვა ჩადენილი უმართლობის გამო. გაკიცხვა ამ შემთხვევაში უმართლობის უარყოფითი შეფასება ხდება ინდივიდუალურ, პერსონალურ დონეზე მაშინ, როცა

[9] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, მე-4 გამოცემა, 2002, 86-ე გვ.

[10] მერაბ ტურავა, იქვე, 85-ე გვ. ოთარ გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია," 2002, №№3, 4.

უმართლობა ობიექტური. არაპერსონალური შეფასებაა. ასე რომ, სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შეფასება ორსაფეხურიანია. ორ საფეხურად მიმდინარეობს. ჯერ ფასდება ქმედება ობიექტური სამართლის მიხედვით, იმის დასადგენად, ეწინააღმდეგება თუ არა ის მოქმედ სამართალს. ესე იგი არის თუ არა ის მართლსაწინააღმდეგო. შემდეგ ფასდება უმართლობა პერსონალურ დონეზე ბრალის დასადგენად. ამის შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიან სისტემას: მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი (იხ. კოდექსის მე-8 და მე-9 თავები).

ბრალის ნორმატიული ცნების დამკვიდრების შემდეგ განზრახვა და გაუფრთხილებლობა აღარ წარმოგვიდგება ბრალის ფორმებად, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიღებული. ამიტომ დასადგენია განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ადგილი დანაშაულის ცნების სტრუქტურაში. ბრალის ნორმატიული ცნების მომხრეები ხსენებულ ცნებათა ადგილად დანაშაულის ცნების სტრუქტურაში ქმედებას მიიჩნევენ. მაგალითად, მ. ტურავა წერს: „ახალი კოდექსით განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ წარმოადგენს ბრალის ფორმებს, არამედ იგი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვა და გაუფრთხილებლობა დგინდება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნისა და სურვილის სახით...“.[11]

მაშასადამე, ავტორის აზრით, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ქმედების დონეზე დგინდება. ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ განზრახვა ქმედების შემადგენელი ელემენტია. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქმედება სოციალური ცხოვრების ფაქტია, რომელსაც ადამიანი სჩადის განზრახ ან განუზრახველად.[12] მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ დებულებას, თითქოს გაუფრთხილებლობაც, განზრახვის მსგავსად, ქმედების ელემენტია და ქმედების დადგენის დროს უნდა დგინდებოდეს.

განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიური კატეგორიაა. ის შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. კეთილიც და ბოროტიც (dolus malus). ამიტომ მას შეფასება სჭირდება. განზრახვას, როგორც წმინდა ფსიქოლო-

[11] მერაბ ტურავა, მით. ნაშრომი, 38-ე გვ.

[12] არ არის მართალი თ. დონჯაშვილი, რომელიც წერს, თითქოს „ქართველმა კანონმდებელმა გაიზიარა გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში შემუშავებული თეორია მოქმედების შესახებ, რომელსაც „ფინალური მოძღვრება“ ეწოდება“ (იხ. მისი წიგნი „საქართველოს სისხლის სამართალი“, 115-ე გვ.).

გიურ კატეგორიას, რომელიც ქმედების ელემენტია. შეფასება სჭირდება და ეს შეფასება უნდა მოხდეს ბრალის დადგენის დროს.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით გაუფრთხილებლობის მიმართ. არ შეიძლება მისი დაყოფა დადებით და უარყოფით გაუფრთხილებლობად. გაუფრთხილებლობა ყოველთვის გულისხმობს ქმედების უარყოფით შეფასებას. ეს შეფასება კი ბრალის დონეზე უნდა მოხდეს. ქმედების დონეზე თუ ვიმსჯელებთ, ეს არის ადამიანის ქმედება, რომელიც ჩადენილია განუზრახველად. მაგალითად, კანონით აღწერილი შედეგი, ვთქვათ, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოწვეულია განუზრახველად. მხოლოდ ბრალის დონეზე უნდა გადაწყდეს, გამოწვეულია ეს შედეგი გაუფრთხილებლობით თუ გაუფრთხილებლობაც გამორიცხულია.

ასე რომ, გამოძიება ჯერ დაადგენს სისხლის სამართლის კანონით აღწერილ ქმედებას თავისი ობიექტური და სუბიექტური მხარეებით. შემდეგ დაადგენს ამ ქმედების მიმართებას სამართალთან და, თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, დაიწყებს ბრალის დადგენას. თუ ქმედება განზრახაა ჩადენილი, შეაფასებს ამ განზრახვას იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეერაცხება ის მის ავტორს ბრალად. თუ ქმედება განუზრახველადაა ჩადენილი, მაშინაც შეფასების ობიექტია დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგის მიმართ. ამ დროსაც შეფასება შეიძლება იყოს უარყოფითი, რასაც ჩვენ გაუფრთხილებლობას ვუწოდებთ, ან დადებითი, რაც ბრალს გამორიცხავს (ნახ. 36-ე მუხლის განმარტება).

როცა უმართლობას დაადგენს, სასამართლო იწყებს ამ უმართლობის ბრალად შერაცხვას მისი ჩამდენისათვის, თუკი, რასაკვირველია, არ არის ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. შერაცხვის დროს მხედველობაშია მისაღები: 1) ჩადენილი უმართლობის ხარისხი, 2) ბრალის ხარისხი. ამის მიხედვით შერაცხვა შეიძლება იყოს: 1) სრული, 2) გაძლიერებული ან 3) შემცირებული. შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრება და სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრა ამ გრადაციაზეა დამოკიდებული. უმართლობის ბრალად შერაცხვას წინ უნდა უძღოდეს მართლწინააღმდეგობის შეგნების დადგენა, ესე იგი იმის დადგენა, იცოდა თუ არა განსასჯელმა, რომ ჩაიდინა აკრძალული ქმედება, დაარღვია აკრძალვა.

სრული შერაცხვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩადენილი უმართლობის ხარისხი. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს განზრახვა, რაც უმართლობის სრული შერაცხვის შესაძლებლობას ქმნის. მაგალითად,

ორი კაცის განზრახ მკვლელობა უფრო მეტი ხარისხის უმართლობაა, ვიდრე ერთი კაცის განზრახ მკვლელობა (იხ. საქართველოს სს კოდექსის 109-ე მუხლის „ა" პუნქტი). ამის შესაბამისად, ორი კაცის განზრახ მკვლელობის დროს იზრდება ბრალის ხარისხიც. ის უფრო მეტად გასაკიცხია, ვიდრე ერთი კაცის განზრახ მკვლელობა, თუ რომელიმე სხვა გარემოება არ ამძიმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას.

ზოგჯერ დამნაშავეს ჩადენილი უმართლობა შეიძლება გაძლიერებულად ან შემცირებულად (შეზღუდულად) შეერაცხოს, ესე იგი მისი ბრალის ხარისხი მეტი ან ნაკლები იყოს ისე, რომ ეს მეტ-ნაკლებობა ბრალისა არ იყოს დამოკიდებული უმართლობის ხარისხზე. მაგალითად, 1) როცა განზრახ მკვლელობა ჩადენილია შურისძიების მოტივით, საქმე გვაქვს სრულ შერაცხვასთან და ქმედება დაკვალიფიცირდება კოდექსის 108-ე მუხლით, მაგრამ, თუ განზრახ მკვლელობა ჩადენილია ანგარების მოტივით, დამნაშავეს ის გაძლიერებულად შეერაცხება. ბრალის ხარისხი აქ წინა შემთხვევასთან შედარებით მომეტებულია, მეტია. მიუხედავად იმისა, რომ უმართლობის ხარისხი არ შეცვლილა (იხ. 109-ე მუხლის „ი" პუნქტი).

მეორე მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა უმართლობის ხარისხი არ იცვლება, მაგრამ ბრალის ხარისხი შემცირებულია და ამის საფუძველზე ჩადენილი უმართლობა შეზღუდულად შეერაცხება მის ჩამდენს.[13] ამის ნიმუშია, სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და სხვ. უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობა, რისთვისაც პასუხისმგებლობაა დაწესებული 111-ე მუხლით, შემცირებულად შეერაცხება მის ჩამდენს. ძლიერი სულიერი მღელვარება, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი საქციელით, ამცირებს არა უმართლობის, არამედ ბრალის ხარისხს.

7.2. შემცირებული (შეზღუდული) შერაცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს აგრეთვე უმართლობის დაბალი ხარისხი, უფრო მეტიც, ზოგჯერ უმართლობის ხარისხი შეიძლება ისე შემცირდეს, რომ საერთოდ გამოირიცხოს ადამიანისათვის ჩადენილი ქმედების ბრალად შერაცხვის საფუძველი. სწორედ ასეთი შემთხვევაა გათვალისწინებული მე-7 მუხლის

[13] იხ. ოთარ გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", 2002, №№ 3, 4.

მე-2 ნაწილით, სადაც ლაპარაკია „მცირემნიშვნელოვან" ქმედებაზე. ასეთი ნორმა ჯერ კიდევ 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (იხ. მე-8 მუხლის მე-2 ნაწ.) იყო გათვალისწინებული.

დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს კანონით აღწერილ ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე ზიანის გამო არ არის აუცილებელი მისი ჩამდენის დასჯა. მაგალითად, ბაზარში ვიღაცამ ისარგებლა იმით, რომ ხელით მოვაჭრემ იქით გაიხედა და მისი ტომრიდან ჩუმად რამდენიმე ცალი ვაშლი ამოიღო.

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2003 წლის 11 მარტის განჩინებით გაუქმდა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 დეკემბრის განაჩენი კ. კვირკვაიას მიმართ. კ. კვირკვაიას რაიონული სასამართლოს განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" და „გ" პუნქტებით და მე-3 ნაწილის „დ" პუნქტით. კ. კვირკვაიას მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ მან მოიპარა ვაზა, რომელშიც იყო ცხრამეტი ცალი ყვავილი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ნაქურდალი ყვავილების საერთო ღირებულება სამ ლარამდე იყო და გაათავისუფლა კ. კვირკვაია პასუხისმგებლობისაგან ქმედების მცირემნიშვნელობის გამო მე-7 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ 2001 წლის 28 სექტემბერს დ.ფ-შვილს, ლ. ფ-შვილსა და ი.კ-ძის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით. განაჩენში ნათქვამია, რომ, მართალია, დ.ფ-შვილის, ლ. ფ-შვილის და ი.კ-ძის ქმედება ფორმალურად შეიცავს საქართველოს სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს (ელექტროდენით 5 ცალი თევზის უკანონო მოპოვება), მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა განსასჯელთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ეს განაჩენი საქართველოს პროკურატურამ გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საკასაციო პალატაში და იშუამდგომლა მისი გაუქმება, მაგრამ საკასაციო პალატა არ დაეთანხმა საჩივარს და განაჩენი უცვლელად დატოვა.[14]

[14] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №3, 257–259-ე გვ.

მაგრამ მცირემნიშვნელოვნად ვერ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როცა ქურდმა ადამიანს ხელი ჩუმად ჩაუყო ჯიბეში და ერთი ლარი მოპარა, რადგან დაზარალებულს ჯიბეში მეტი ფული არ ედო. მაშასადამე, მცირემნიშვნელოვნად ისეთი ქმედება ჩაითვლება, როცა ქურდს წინასწარ ჰქონდა გამიზნული მცირე მნიშვნელობის დაზიანება. მაგალითად, ქურდმა წინასწარ იცოდა, რომ იპარავდა სამ ცალ ან ხუთ ცალ ვაშლს.

ზემოხსენებული საქმე მცირემნიშვნელოვნად არ ჩაითვლებოდა, 5 თევზის დაჭერის შემდეგ ბრაკონიერები რომ პოლიციას დაეკავებინა და არ მიეცა საშუალება გაეგრძელებინათ უკანონო თევზაობა.

მუხლი 8. მიზეზობრივი კავშირი

1. თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის.

2. მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

3. უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

8.1. ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელია მაშინ, როცა შედეგიანი დელიქტია ჩადენილი. მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელია მაშინაც, როცა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედებით შექმნილია მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე.

მიზეზობრივი კავშირი, მიზეზობრიობა საზოგადოდ ფილოსოფიური კატეგორიაა და ორ მოვლენას შორის გენეტიკურ კავშირს აღნიშნავს.

გენეტიკური კავშირი აქ წმინდა ბიოლოგიური გაგებით კი არ იგულისხმება, არამედ ის უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ. გენეტიკური კავშირი ნიშნავს იმას, რომ ერთი მოვლენა წარმოშობს მეორეს, მიუხედავად იმისა, ხდება ეს ფიზიკურ, ბიოლოგიურ თუ სოციალურ სფეროში. მაგალითად, ბიოლოგიური მიზეზობრიობა გვაქვს მაშინ, როცა დედა შვილს შობს. ფიზიკური მიზეზობრიობის ნიმუშია ისეთი შემთხვევა, როცა მეხი დაეცემა ხეს და ცეცხლს გაუჩენს. სოციალური მიზეზობრიობის მაგალითია მკვლელობა, მაგალითად, თოფის გასროლას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, მაგრამ აქ შერეულ მიზეზობრიობასთან უფრო გვაქვს საქმე, როცა სოციალურ სფეროში ფიზიკური მიზეზობრიობის კანონზომიერებაა გამოყენებული (თოფის გავარდნას მოჰყვა ცვლილება გარე სამყაროში).

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მიზეზობრიობის პრობლემა საკმაოდ კარგადაა დამუშავებული (თ. წერეთელი). სწორედ ამის გამოა, რომ თ. წერეთლის შეხედულებამ გავლენა მოახდინა მოქმედ კანონმდებლობაზეც. სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი ამის უტყუარი საბუთია.

8.2. ქმედება მიზეზობრივად მაშინაა დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო შედეგთან ან კონკრეტულ საფრთხესთან, როცა ეს ქმედება იყო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელი პირობა (condicio sine qua non). მაგრამ პრაქტიკულად ეს არის მიზეზობრივი კავშირის დადგენის პირველი საფეხური. ის გარემოება, რომ მოქმედების გარეშე კანონით გათვალისწინებული შედეგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ განხორციელდებოდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მიზეზობრიობის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას. მაგალითად, ჩვენ თანამონაწილის მიმართ შეგვიძლია ვთქვათ: წამქეზებელს რომ არ წაექეზებინა ამსრულებელი, მკვლელობაც არ მოხდებოდა, დამხმარეს რომ თოფი არ მიეწოდებინა ამსრულებლისათვის მსხვერპლის მოკვლის მიზნით, ის მკვლელობას ვერ ჩაიდენდა. აქ აუცილებელი პირობის თეორია, რომლის საფუძველზეც აგებულია მე-8 მუხლის ტექსტი, თავის დანიშნულებას ასრულებს. მაგრამ მიზეზობრიობის ასეთი გაგება ვერ გამოდგება ამსრულებლის პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის.

მაგალითად, ვინმემ მოკვლის მიზნით ესროლა რევოლვერი ადამიანს და დაჭრა. დაჭრილი, რომელიც საავადმყოფოში მიჰყავდათ, გზაზე ავტოავარიის შედეგად დაიღუპა. მე-8 მუხლის ტექსტის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ის, ვინც მსხვერპლი დაჭრა,

პასუხს აგებს დამთავრებული განზრახი მკვლელობისათვის. მისი მოქმედება იყო მსხვერპლის დაღუპვის აუცილებელი პირობა. რევოლვერის მსროლელს რომ მსხვერპლი არ დაეჭრა, მას საავადმყოფოში არ წაიყვანდნენ, ავარიაშიც არ მოჰყვებოდა და არ დაიღუპებოდა, მაგრამ ასეთი მიზეზობრიობა არ არის საკმარისი, რომ ადამიანმა პასუხი აგოს დამთავრებული მკვლელობისათვის.

სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა ავტოავარიის შედეგად დაიღუპა მგზავრი, რომელიც მძღოლის გვერდით იჯდა. ექსპერტიზით დადგინდა, რომ მგზავრი დაიღუპა არა ავტომანქანების შეჯახების შედეგად მიღებული ტრამვით, არამედ მას შიშით გული გაუსკდა და მოკვდა. ასეთ შემთხვევაში მძღოლს არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მკვლელობა, იგი პასუხს არ აგებს მკვლელობისათვის.

მაგრამ, თუკი მე-8 მუხლის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაში ავტოავარიასა და მგზავრის სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს და ამიტომ მძღოლმა პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით.

ასეთ შემთხვევებში მიზეზობრიობის დასადგენად სასამართლომ აუცილებლად უნდა დანიშნოს შესაბამისი ექსპერტიზა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 358-ე მუხლით გათვალისწინებულია ის შემთხვევები, როცა მომკვლევმა, გამომძიებელმა ან პროკურორმა უნდა დანიშნოს ექსპერტიზა შესაბამისი შედეგის მიზეზის დასადგენად. ექსპერტიზა, რასაკვირველია, იცვლევს ამსრულებლის მოქმედებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 358-ე მუხლის თანახმად ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა ისეთი ფაქტების დასადგენად, როგორიცაა „სიკვდილის მიზეზი, სხეულის დაზიანების ხასიათი და სიმძიმის ხარისხი", „იყო თუ არა ორსულობა და მისი ხელოვნურად შეწყვეტის მიზეზი", „ფულადი ნიშნებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყალბება". „აფეთქების, ხანძრის, კატასტროფისა და სხვა საგანგებო შემთხვევის გამომწვევი ტექნიკური მიზეზები".

358-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და შესაბამის ორგანოებს ევალებათ დანიშნონ ექსპერტიზა „სხვა საგანგებო შემთხვევის გამომწვევი ტექნიკური მიზეზების" („თ" პუნქტი) დასადგენად. ამიტომ გამოძიებას ევალება თავისი მიხედულებით დანიშნოს ექსპერტიზა, როცა ეს აუცილებელია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის 2002 წლის 3 სექტემბრის განჩინებაში

ნათქვამია: „წინასწარი გამოძიების მიერ არ არის განსაზღვრული ალუმინის შიფერის დაზიანების ხარისხი და ღირებულება, ასევე განსაზღვრული არ არის ხე-მასალის დაზიანების ხარისხი და ოდენობა. აღნიშნული გამომძიებელმა შეაფასა თავისი შეხედულებით, მისი დადგენის მიზნით კი საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება". ამის და სხვა გარემოების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2002 წლის 17 ივნისის განჩინება მ.გ-ძის საქმეზე გააუქმა და საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიებისათვის.[15]

შედეგი შეიძლება იყოს ორი სახის: 1) ფაქტობრივი (მაგალითად, სიცოცხლის მოსპობა მკვლელობის დროს) და 2) ნორმატიული, ანუ შეფასებითი (მაგალითად, მნიშვნელოვანი ზიანი და სხვ.). ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ მე-7 მუხლის განმარტება.

მიზეზობრივი კავშირის დასადგენად ექსპერტიზის დანიშვნა შეიძლება აუცილებელი გახდეს, როცა ფაქტობრივი შედეგია დასადგენი, მაგრამ ნორმატიული, ანუ შეფასებითი შედეგის დასადგენად ექსპერტიზა არ შეიძლება დაინიშნოს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი, სადაც ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ერთ-ერთ სახედ მითითებულია „სახის წარუშლელი დამახინჯება". აქ ორი სახის შედეგია ერთად შერწყმული. სახე დამახინჯებულიც არის და ეს დამახინჯება წარუშლელიცაა, არ გამოსწორდება, პირვანდელი მდგომარეობა არ აღდგება, „წარუშლელობა" ფაქტობრივი შედეგია და ის ამიტომ სამედიცინო ექსპერტიზის მეოხებით უნდა დადგინდეს. რაც შეეხება „დამახინჯებას," ის ნორმატიულია, შეფასებითია და მისი დადგენა ექსპერტიზის დასკვნით დაუშვებელია. ის სასამართლომ უნდა შეაფასოს.

8.3. უმოქმედობის მიზეზობრიობა. ადამიანის უმოქმედობა ფართო ცნებაა. ამიტომ არ შეიძლება, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ შედეგთან მიზეზობრივად ყოველგვარი უმოქმედობა იყოს დაკავშირებული. კანონის თანახმად უმოქმედობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს მიზეზობრივად დაკავშირებული ასეთ შედეგთან ან შედეგის წარმოშობის კონკრეტულ საფრთხესთან, როცა ადამიანს ჰქონდა „მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედე-

[15] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №10, 1606-ე გვ.

ბით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული". ასე რომ, თუ მიზეზობრიობა მოქმედების დროს ფაქტობრივი ხასიათისაა და რეალურ ცხოვრებაში მიმდინარეობს, უმოქმედობის მიზეზობრიობა ნორმატიული ხასიათისაა. თუმცა ნორმატიული მიზეზობრიობა შემდეგ ფაქტობრივი ხასიათს იძენს და რეალურ ცხოვრებაში იწვევს ცვლილებებს.

სისხლის სამართლის კანონი იცნობს ორი სახის უმოქმედობას: 1) წმინდა უმოქმედობის დელიქტს[16] და 2) შერეული უმოქმედობის დელიქტს (იხ. მე-7 მუხლის განმარტება). როცა უმოქმედობის მიზეზობრიობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა წმინდა უმოქმედობის, არამედ შერეული უმოქმედობის დელიქტი. წმინდა უმოქმედობის დელიქტი შედეგგარეშე დელიქტია, რომლის შემადგენლობა მოიცავს მხოლოდ კანონით აღწერილ უმოქმედობას შედეგის გარეშე (მაგალითად, დაუხმარებლობა, 129-ე მუხლი).

შერეული უმოქმედობა ისეთი დელიქტია, რომლის ჩადენა შეიძლება მოქმედებითაც და უმოქმედობითაც. ამის ნიმუშია მკვლელობა (108-ე მუხლი). შერეული უმოქმედობის დელიქტის აღწერის დროს კანონმდებელი უმთავრესად უთითებს შედეგს. ტიპურად ამ შედეგის განხორციელება, რასაკვირველია, მოქმედებით ხდება, მაგრამ შეიძლება იგივე შედეგი უმოქმედობითაც განხორციელდეს. მაგალითად, კოდექსის 108-ე მუხლით დადგენილია პასუხისმგებლობა განზრახ მკვლელობისათვის. აქ არ არის მითითებული ქმედების სახე – მოქმედებით უნდა განხორციელდეს ეს შედეგი თუ უმოქმედობით. ამიტომ აქ მოქმედებაც იგულისხმება და უმოქმედობაც.[17]

გარდა ამისა, წმინდა უმოქმედობის დროს ადამიანს პასუხისმგებლობა მხოლოდ უმოქმედობისათვის ეკისრება; შერეული უმოქმედობის დროს კი ის პასუხს მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელებისათვის აგებს. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლით ისჯება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის დაუხმარებლობა. დაუხმარებლად დარჩენილი კიდევაც რომ დაიღუპოს, დამნაშავე

[16] უზუსტობაა გაპარული მერაბ ტურავას წიგნში – სისხლის სამართალი, სადაც უმოქმედობადაა მიჩნეული 127-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობა – „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება," სიტყვა „ჩაყენება" მიგვანიშნებს, რომ აქ „მოქმედება" იგულისხმება და არა „უმოქმედობა" (იხ. მერაბ ტურავას წიგნის 2002 წლის გამოცემა, 31-32-ე გვ.).

[17] შედეგზე მითითება ყოველთვის არ გულისხმობს ამ შედეგის უმოქმედობით განხორციელებას (მაგალითად, გაუპატიურება, 137-ე მუხ. და სხვ.).

შედეგისათვის მაინც არ აგებს პასუხს. ის მაინც უმოქმედობისათვის დაისჯება, რადგან ასეთ დროს უმოქმედობა არ არის მიზეზობრივ კავშირში შედეგთან.

სპეციალური მოვალეობა მოქმედებისა, რომლის დარღვევა დასაბამს აძლევს მიზეზობრიობას უმოქმედობასა და შედეგს შორის, სხვადასხვა საფუძველს შეიძლება ემყარებოდეს. ლიტერატურაში სავარაუდოდ მითითებულია ადამიანთა ურთიერთობის ის სფეროები, სადაც მოქმედების ასეთი სპეციალური მოვალეობა წარმოიშობა (იხ. ამ საკითხზე მე-7 მუხლის განმარტება).

როგორც ზემოთ მოქმედების მიზეზობრიობაზე მსჯელობის დროს ვთქვით, აქაც იგივე უნდა გავიმეოროთ: უმოქმედობა, ანუ მოვალეობის შეუსრულებლობა არ შეიძლება ყველა შემთხვევაში გახდეს შედეგის მიზეზი. მაგალითად, როცა გვინდა დავადგინოთ უმოქმედობითაა თუ არა გამოწვეული მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება თუ სხვა შედეგი, აუცილებელია ექსპერტიზის დანიშნა (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 358-ე მუხლი).

მუხლი 9. განზრახი დანაშაული

1. განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.

2. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

3. ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

9.1. თანამედროვე სისხლის სამართალი განზრახვის ორ სახეს იცნობს: 1) პირდაპირ და 2) არაპირდაპირ განზრახვას. სასამართლო პრაქტიკაში უფრო ხშირად გვხვდება პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული. პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული უფრო მძიმედ ითვლება, ვიდრე არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული,

რაც უნდა აისახოს კიდეც დამნაშავისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს.

9.2. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, როცა მოქმედს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა და სურს ეს შედეგი. მაშასადამე, პირდაპირი განზრახვა ორ ელემენტს მოიცავს: შედეგის გაცნობიერებას და მის სურვილს. მაგალითად, ქურდმა, რომელიც სხვის ბინაში შედის, იცის, რომ უნდა წაიღოს სხვისი მოძრავი ნივთი მითვისების მიზნით და სურს კიდეც ამ ნივთის მითვისება.

საქართველოს 1999 წლის კოდექსი განზრახვას ბრალის ფორმად აღარ მიიჩნევს, ყოველ შემთხვევაში, ამაზე პირდაპირი მითითება კოდექსში არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, მე-9 მუხლის მიხედვით განზრახვის ინტელექტუალური მომენტი მოიცავს არა მარტო ქმედებისა და შედეგის ფაქტობრივი ხასიათის, არამედ შემადგენლობის ამ ნიშნების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებასაც. მაგრამ „ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება" განზრახვის კი არა, ბრალის ნიშანია.

განზრახვა, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ. მე-7 მუხლის განმარტება), ყოველგვარი შეფასებისაგან თავისუფალი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ეს ასეა ქმედების შემადგენლობის ნიშნების დადგენის ეტაპზე. შეცნობილი ჰქონდა თუ არა მოქმედს მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ეს ბრალის მსჯელობის დროს უნდა გაირკვეს, როცა ჩადენილი უმართლობა ფასდება და ბრალი დგინდება.[18]

ასე რომ, განზრახვა ყოველთვის არ გულისხმობს ბოროტ განზრახვას („dolus malus"). როგორც ამას გერმანელი იურისტი ჰ. ველცელი ამბობდა, განზრახვა ზოგჯერ კეთილია, ზოგჯერ ბოროტი და ეს უნდა გაირკვეს ბრალის მსჯელობის დროს. ბრალი შეფასებითი, ნორმატიული ცნებაა, ხოლო განზრახვა ფაქტობრივი გარემოებაა.

[18] იხ. ჩემი ალტერნატიული პროექტის მე-10 მუხლი (ოთარ გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი საბელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, 274-ე გვ.). რუსეთის ფედერაციის 1996 წ. სისხლის სამართლის კოდექსი ბრალის ტრადიციულ ფსიქოლოგიურ ცნებას გვთავაზობს (იხ. 24-ე მუხ.). უფრო მეტიც, 25-ე მუხლი იქ ასეა განმარტებული: დამნაშავეს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მის მიერ ჩადენილი „ქმედება აკრძალულია სასჯელის მუქარით" (იხ. Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, 2000, стр. 25). ამ მსჯელობას რომ დაეუჯეროთ, უმრავლეს დამნაშავე დარჩება დაუსჯელი, რადგან ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ, რაც ჩაიდინა, სისხლის სამართლის წესით ისჯება.

განზრახვის ინტელექტუალური მომენტი გულისხმობს გათვალისწინებას, შეცნობას იმისა, რასაც მოქმედი აკეთებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ქმედების გათვალისწინებას.[19] ადამიანს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს, რას მოქმედებს, როგორ ხერხს ხმარობს მიზნის მისაღწევად.

შედეგიანი დელიქტის შემადგენლობის განხორციელების დროს განზრახვის ინტელექტუალური მომენტი, ქმედებასთან ერთად, უნდა მოიცავდეს აგრეთვე შედეგს და მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის.

პირდაპირი განზრახვის მეორე ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე ნებელობითი მხარე, სურვილი იმისა, რასაც მოქმედი აკეთებს. ერთი სიტყვით, შედეგის (ქმედების) გათვალისწინება და სურვილი პირდაპირი განზრახვის აუცილებელი ნიშნებია.

პირდაპირი განზრახვისათვის საკმარისია, რომ მოქმედი ითვალისწინებდეს შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. არ არის, მაგალითად, აუცილებელი, მკვლელს სჯეროდეს, რომ მისი ნასროლი ტყვია მსხვერპლს აუცილებლად მოხვდება და მოკლავს. საკმარისია მოქმედი მსხვერპლის მოკვლის შესაძლებლობას ითვალისწინებდეს და მისი სიცოცხლის მოსპობის სურვილი ჰქონდეს.

მეორე მხრივ, განზრახვის ინტელექტუალური მომენტისათვის საკმარისია მოქმედს წარმოდგენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების ნიშნები. თუმცა სასამართლო არ არის ვალდებული ამტკიცოს, რომ განსასჯელმა იცოდა ჩადენილი ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი, რომ ეს ქმედება სისხლის სამართლის კანონით დანაშაულადაა გამოცხადებული და ისჯება. უფრო მეტიც, ზოგჯერ ადამიანი კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობას ისეთ ვითარებაში ახორციელებს, რომ სულ არ ფიქრობს სასჯელსა და პასუხისმგებლობაზე (მაგალითად, ძლიერი სულიერი აღელვების დროს ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში და სხვ.). აქ უნდა გავიხსენოთ ცნობილი გამოთქმა: კანონის უცოდინარობა არ გამორიცხავს პასუხისმგებლობას.

თუ ჩვენ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით აღწერილი ქმედების შემადგენლობების სუბიექტურ მხარეს დავაკვირდებით, და-

[19] მართლწინააღმდეგობის განზრახვის ელემენტად გამოცხადებას უარყოფს აგრეთვე მ. ტურავაც, რომელსაც მიაჩნია, რომ განზრახვა ორი ელემენტისაგან შედგება: 1) ცოდნა იმისა, რასაც ადამიანი აკეთებს და 2) სურვილი ამის გაკეთებისა (იხ. მ. ტურავა, მით. ნაშრომი, მე-40 გვ.).

ვინახავთ, რომ აქ განზრახი დელიქტების ორი სახეობა იკვეთება. პირველი სახე დელიქტისა არის ის, რომლის ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხდება. ამ სახის დელიქტი მიზნით ისეა დადეტერმინირებული, რომ მისი ჩადენა არც არაპირდაპირი განზრახვით და, მით უმეტეს, არც გაუფრთხილებლობით არ შეიძლება. ეს არის გამიზნითი დელიქტები. ასეთი შემადგენლობებია, მაგალითად, ქურდობა (177-ე მუხლი), ძარცვა (178-ე მუხლი), ყაჩაღობა (179-ე მუხლი) და სხვ. სხვისი მოძრავი ნივთის მითვისების მიზანი ამ შემადგენლობათა აუცილებელი ნიშანია. ეს ნიშანი გამორიცხავს მათ განხორციელებას არაპირდაპირი განზრახვით.

მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება განხორციელდეს ისეთი ძალადობითი დელიქტის შემადგენლობაც, როგორიცაა, მაგალითად, გაუპატიურება (137-ე მუხლი). აქ მიზანი, მართალია, პირდაპირ ნახსენები არ არის, მაგრამ იგულისხმება. ანალოგიური შემადგენლობებია აღწერილი აგრეთვე 138-ე (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება), 139-ე (სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება) და სხვა მუხლებითაც. ასეთ შემადგენლობებში ძალადობითი ხერხი თავისთავად გულისხმობს მიზანმიმართულებას, გამიზნულობას, რაც ასევე გამორიცხავს მათ განხორციელებას არაპირდაპირი განზრახვით.

მეორე სახის დელიქტებს მიეკუთვნება შერეული სახის დელიქტები, რომელთა შემადგენლობების განხორციელება სუბიექტურად შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვითაც. უფრო მეტიც, ამ სახის დელიქტის შემადგენლობა შეიძლება განუზრახველადაც (გაუფრთხილებლობით) იქნეს ჩადენილი.

ასეთი ქმედების შემადგენლობა აღწერილია, მაგალითად, 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 109-ე მუხლებით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში). აქ განზრახვაში პირდაპირი განზრახვაც იგულისხმება და არაპირდაპირიც. 116-ე მუხლით კი აღწერილია სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

კანონმდებელი ზოგჯერ შერეულ დელიქტთა შემადგენლობებშიც გამოყოფს ისეთ შემადგენლობას, რომელიც გამიზნითია და ამიტომ მისი ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. მაგალითად, 110-ე მუხლით ასეთი შემადგენლობაა აღწერილი: „მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით“. აქ მიზანზე მითითება გამორიცხავს ამ შემადგენლობის არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებას. მიზანზე მითითებით კანონმდებელი ზოგჯერ აძლიერებს პასუხისმგებლობას, ზოგჯერ კი ამსუბუქებს. მსხვერპლის თხოვნით მკვლელობა განზრახ მკვლელობის ის სახეა, როცა ამ მიზანზე დაყრდნობით კანონმდებელი ამსუბუქებს პასუხისმგებლობას.

შემადგენლობის სუბიექტური მხარის აღწერის დროს კანონმდებელი ზოგჯერ მიუთითებს მოტივზე, რომელიც, მიზნის ანალოგიურად, ამსუბუქებს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ განზრახ მკვლელობა ანგარებით (109-ე მუხ.. „ი“ პუნქტი). ანგარება მატერიალური გამორჩენაა. ამიტომ ამ მოტივით მკვლელობა უთუოდ მცირე გაკიცხვის ღირსია და ამძიმებს ბრალის ხარისხს.

ზოგჯერ კანონმდებელი ქმედების შემადგენლობის აღწერის დროს იხსენიებს მოქმედის ემოციურ მდგომარეობას. ასეთია, მაგალითად, „უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვება“ (იხ. 111-ე მუხლი). „განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში....“ და სხვ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება „უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში“ (121-ე მუხლი).

ზოგჯერ კანონის ტექსტში პირდაპირ არ არის მითითებული შემადგენლობის სუბიექტური მხარის ისეთ ნიშნებზე, როგორიცაა მიზანი, მოტივი, სულიერი აღელვება. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლომ (ან წინასწარმა გამოძიებამ) საგანგებოდ არ შეისწავლოს, არ იკვლიოს რა მიზანი ჰქონდა დასახული განსასჯელს, რა მოტივით მოქმედებდა ის. ერთი სიტყვით, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს განსასჯელის სულიერი მდგომარეობა ქმედების ჩადენის დროს.

მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობის სუბიექტური მხარე ერთი სიტყვით არის გამოხატული: „განზრახ მკვლელობა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე კანონმდებელს ფართოდ აქვს გაგებული. აქ ყოველგვარი სუბიექტური ნიშანი იგულისხმება, მათ შორის ის ნიშნებიც, რომლებიც 109-ე და ამის მომდევნო სხვა სპეციალური მუხლებით არის გათვალისწინებული. ამიტომ, თუ ზოგჯერ ვერ ხერხდება განზრახ მკვლელობის სპეციალური მუხლით დაკვალიფიცირება (ვგულისხმობ სუბიექტურ ნიშანს), მაშინ დამნაშავე პასუხს აგებს 108-ე მუხლით.

რაიონული სასამართლოს განაჩენით განზრახ მკვლელობა დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

საქმის მასალებით მტკიცდებოდა, რომ დაზარალებულმა შეაგინა დამნაშავეს, რომელმაც უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე მოკლა იგი. საქმის სააპელაციო განხილვის დროს ერთ-ერთმა მოწმემ დაადასტურა, რომ პირველად დამნაშავემ შეაგინა დაზარალებულს და მანაც სწორედ ამის საპასუხოდ შეაგინა დამნაშავეს. ამ საპასუხო შეგინებამ კი გამოიწვია მკვლელის უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვება.

დაზარალებულის დამცველმა პროცესზე მოიყვანა პროფესორ თ. შავგულიძის სიტყვები: „აფექტი არ არის გამართლებული და ამიტომ დამნაშავეს არ შეუძლია დაეყრდნოს ძალადობის ან შეურაცხყოფის ფაქტს, თუკი დადგენილია, რომ იგი შელაპარაკების ან ჩხუბის ინიციატორია, ხოლო შეურაცხყოფა ან ძალადობა დაზარალებულის მხრიდან წარმოადგენს მხოლოდ საპასუხო რეაქციას".[20]

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2002 წლის 18 ნოემბრის განაჩენმა ამ დებულებას ასეთი პასუხი გასცა: „სასამართლო შემადგენლობა დაზარალებულის ადვოკატის პოზიციის საპასუხოდ აღნიშნავს, რომ კ. ყარყარაშვილის ჩვენება სასამართლომ რომც გაიზიაროს, რ. შინდელაშვილის ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ყოფნა მაინც მისატევებლად უნდა ჩაითვალოს".

როგორც ვხედავთ, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დაზარალებულის დამცველის პოზიცია და რ. შინდელაშვილის ქმედება კოდექსის 108-ე მუხლიდან 111-ე მუხლზე გადააკვალიფიცირა. ეს კვალიფიკაცია, რასაკვირველია, სწორი არ არის. მსგავს შემთხვევაში ქმედება, მიუხედავად დამნაშავის უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვებისა, მაინც კოდექსის 108-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს.

სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი შემადგენლობა ისეა აღწერილი, რომ სუბიექტური მხარე საერთოდ არ არის ნახსენები. მაგალითად, „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად" (იხ. სს კოდექსის 127-ე მუხლი). აქ საერთოდ არაფერია ნათქვამი ქმედების სუბიექტურ მხარეზე. როგორ უნდა გავარკვიოთ აქ მხოლოდ ქმედების განზრახ ჩადენა იგულისხმება თუ განუზრახველობაც.

ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა მოვიშველიოთ სს კოდექსის მე-10 მუხლი, სადაც ნათქვამია: „გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია

[20] Т. Г. Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность, стр. 192.

ამ კოდექსის შესაბამის მუხლში" (იხ. მე-4 ნაწ.). მაშასადამე, 127-ე მუხლით აღწერილი ქმედება მხოლოდ განზრახ უნდა იყოს ჩადენილი; ასევე განზრახ უნდა იქნეს ჩადენილი „ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება" (130-ე მუხლი), „უკანონო აბორტი" (133-ე მუხლი) და მრავალი სხვა ქმედება, რომლის შემადგენლობის აღწერისას კანონმდებელი სუბიექტურ მომენტს არ განსაზღვრავს.

როგორც ვნახეთ, პირდაპირი განზრახვის აუცილებელი ელემენტებია სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ნიშნების გათვალისწინება და მათი რეალურ ცხოვრებაში განხორციელების სურვილი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შემადგენლობის ყველა ნიშნის განხორციელების მიმართ სურვილი აქტიურად უნდა იყოს გამოხატული და გამოძიებამ ან სასამართლომ ეს სურვილი საგანგებოდ უნდა დაადგინოს. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა განზრახ მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით „მცირეწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა" („დ" პუნქტი). სრულიადაც არ არის აუცილებელი შემადგენლობის ამ ნიშნების განხორციელების სურვილი. საკმარისია გამოძიებამ დაამტკიცოს დამნაშავის მიერ იმის ცოდნა, რომ კლავდა მცირეწლოვანს ან უმწეო მდგომარეობაში მყოფს.

ზოგჯერ კონკრეტული ქმედების შემადგენლობის განხორციელებით მოქმედი მიზნად ისახავს რაიმე სხვა შედეგის მიღწევას. მაგალითად, განზრახ მკვლელობა ანგარებით (109-ე მუხლი, „ი" პუნქტი). მოქმედს სურს მიისაკუთროს სხვისი ქონება. ამისათვის იგი კლავს მესაკუთრეს. ასეთ შემთხვევაში მკვლელობა პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, რადგან მოქმედს აქვს არა მარტო ქონების მიღების, არამედ მესაკუთრის სიცოცხლის მოსპობის სურვილიც.[21]

ჩვენ აქამდე ვიხილავდით პირდაპირი განზრახვის ისეთ შემთხვევას, როცა გათვალისწინების, ანუ ინტელექტუალურ მომენტთან ერთად აუცილებელია სურვილიც, აგრეთვე ნებელობითი მომენტიც. თანაც, პირდაპირი განზრახვის დროს, როგორც ვთქვით, მოქმედს წარმოდგენილი აქვს, რომ შედეგი შეიძლება განხორციელდეს. ასეთ დროს საკმარისია, თუ იგი ითვალისწინებდა შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად პირდაპირ განზრახვას მიეკუთვნება ისეთი შემთხვევაც, როცა მოქმედს, მართალია,

[21] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 56-57-ე გვ.

არ სურდა თავისი ქმედების შედეგი, მაგრამ „ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას". მაგალითად, თვითმფრინავში ჩადებულია ასაფეთქებელი მოწყობილობა რომელიმე მგზავრის მოკვლის მიზნით (ტერორი). ეს მოწყობილობა აფეთქდება იმ დროს, როცა თვითმფრინავი ჰაერში ავა და, მაშასადამე, რამდენიმე კილომეტრით იქნება დაცილებული დედამიწას. მოქმედს არა აქვს სხვა მგზავრების და ეკიპაჟის წევრების მოკვლის სურვილი, თუმცა წარმოდგენილი აქვს მათი დაღუპვის გარდაუვალობა. ამ შემთხვევაში ამფეთქებელი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით ყველას მიმართ.

ეს შემთხვევა აშკარად განსხვავდება არაპირდაპირი განზრახვისაგან. მართალია, არაპირდაპირი განზრახვის დროსაც მოქმედს არ სურს შედეგი, მაგრამ იგი ითვალისწინებს, რომ შედეგი შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არ განხორციელდეს. მაგრამ იქ, სადაც შედეგის განხორციელების გარდაუვალობაა წარმოდგენილი, ვერ ვიტყვით, რომ ეს არის არაპირდაპირი განზრახვა. აქ სურვილი თუმცა პირდაპირ არ არის გამოხატული, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ მოქმედს ამ შედეგის განხორციელება არ უნდოდა. თუ არ არის სურვილი, სამაგიეროდ არის ნდომა (не желание, а хотение). მართალია, თვითმფრინავის ამფეთქებელს ზემოთ მოტანილ მაგალითში შეუძლია თქვას, რომ მას არ სურდა სხვა მგზავრების და ეკიპაჟის წევრების დაღუპვა, მაგრამ ვერ იტყვის, რომ არ უნდოდა მათი დაღუპვა, სხვაგვარად იგი მიზანს ვერ მიაღწევდა.[22]

საბოლოოდ ჩვენ შეგვიძლია პირდაპირი განზრახვის სამი სახე ჩამოვაყალიბოთ: 1) როცა შედეგის განხორციელება ადამიანის მოქმედების საბოლოო მიზანია. მაგალითად, მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით, ან ეჭვიანობით, 2) როცა შედეგის განხორციელება წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას ადამიანისათვის სხვა რაიმე მიზნის მისაღწევად. მაგალითად, განზრახ მკვლელობა ანგარებით და 3) როცა მოქმედს წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მის მოქმედებას აუცილებლად, გარდუვალად მოჰყვება შემადგენლობით დასახელებული შედეგი.[23]

[22] რუსული ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა ამ საკითხზე იხ. ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, 68–75-ე გვ.

[23] იხ. ო. გამყრელიძე, მით. ნაშრომი, 75-ე გვ. შედეგის განხორციელების გარდაუვალობის წარმოდგენა რომ პირდაპირ განზრახვას მიეკუთვნება, ეს აზრი დიდი ხანია გაბატონებულად ითვლება ქართულ ლიტერატურაში.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ცნობილია აგრეთვე განზრახვის დაყოფა: 1) განსაზღვრულ, ანუ კონკრეტიზირებულ; 2) განუსაზღვრელ და 3) ალტერნატიულ განზრახვად.

1) განსაზღვრული განზრახვა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა მოქმედს განსაზღვრული, დაკონკრეტებული აქვს შედეგი. მაგალითად, მანქანის გატაცება მითვისების მიზნით.

2) განუსაზღვრელი, არაკონკრეტიზირებულია ისეთი განზრახვა, როცა მოქმედს ზუსტად არა აქვს განსაზღვრული, რა შედეგი მოჰყვება მის მოქმედებას. სანიმუშოდ ასახელებენ სხეულის დაზიანებას, როცა მოქმედს ზუსტად არა აქვს წარმოდგენილი სხეულის რა ხარისხის დაზიანებას იწვევს მსხვერპლი (მძიმეს, ნაკლებად მძიმეს, თუ მსუბუქს). ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება დამდგარი შედეგის მიხედვით, რადგან სამივე შედეგი მოცული იყო მოქმედის განზრახვით.

3) ალტერნატიულია განზრახვა, როცა მოქმედის წარმოდგენით ორი სხვადასხვა შედეგი ნათლად არის გამოკვეთილი. მაგალითად, დამნაშავეს მისდევს პოლიციელი. სირბილის დროს დამნაშავე დროდადრო მობრუნდება და პოლიციელს ესვრის რევოლვერს. მისთვის სულ ერთია პოლიციელი მოკვდება თუ დაიჭრება. მთავარია, ჩამოიცილოს მდევარი. ასეთი ქმედება ტრადიციულად შედეგის მიხედვით კვალიფიცირდება.[24]

ვ. ჭიჭინაძე მეგობართან ერთად შევიდა სასურსათო მაღაზიაში და ორი ბოთლი შამპანური და ერთი შოკოლადის ფილა მოითხოვა. ვინაიდან ჭიჭინაძემ ფული არ გადაიხადა, პროდუქტი უკან დააბრუნებინეს. გაწყენებულმა ჭიჭინაძემ დახლს ფეხი ამოარტყა, მოქნეული ფეხი გამყიდველ ქალსაც მოხვდა. მოსულები გაიქცნენ. მათ გამოეკიდა მაღაზიის მეპატრონე ბურდული. როცა ის გაქცეულებს დაეწია, ჭიჭინაძე შემობრუნდა, დანა დაარტყა მდევარს მუცელში და დაჭრა. მეორე მოქნევით მან მდევარი მკლავში დაჭრა.

წინასწარმა გამოძიებამ ვ. ჭიჭინაძის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ" პუნქტით და მე-19, 108-ე მუხლებით დააკვალიფიცირა.

[24] ზოგიერთი რუსი ავტორი ასეთ შემთხვევას მკვლელობის მცდელობად აკვალიფიცირებს (იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, 2000, стр. 41), მაგრამ აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, პირდაპირი განზრახვითაა გამოწვეული ეს შედეგი თუ არაპირდაპირით. გაქცეულის მიზანია ჩამოიცილოს მდევარი, მისთვის სულერთია მდევარი მისი სროლით მოკვდება თუ დაიჭრება ან შეშინდება და დევნას თავს დაანებებს. შედეგის მიმართ აქ უფრო არაპირდაპირი განზრახვა დასტურდება, რაც მცდელობას გამორიცხავს.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2003 წლის 19 მაისის განაჩენით ვ. ჭიჭინაძეს მოუხსნა 178-ე და მე-19, 108-ე მუხლები და მისი ქმედება 117-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირა. ეს კვალიფიკაცია სასამართლომ შედეგის მიხედვით განსაზღვრა.

ერთმანეთისაგან ანსხვავებენ აგრეთვე წინასწარ მოფიქრებულ და უცრად აღმოცენებულ განზრახვას. წინასწარ მოფიქრებულია განზრახვა, როცა მოქმედი წინასწარ ჩაიფიქრებს რა უნდა მოიმოქმედოს და მერე იწყებს მოქმედებას. მოფიქრებაში იგულისხმება მოქმედების დაგეგმვა, ხერხის შერჩევა და სხვ. უცრად აღმოცენებულია განზრახვა, როცა ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებას მაშინვე მოსდევს მოქმედება. ზოგჯერ ეს დაკავშირებულია აღელვებასთან. მაგალითად, მკვლელობა უცარი, ძლიერი სულიერი აღელვების დროს (111-ე მუხლი).

ზოგჯერ მოქმედს წარმოდგენილი არა აქვს, რა მოცულობით აზიანებს დაზარალებულს. მხედველობაში მაქვს ისეთი შემთხვევა, როცა დამნაშავე თუმცა განზრახ მოქმედებს, მაგრამ მოქმედების პროცესში, ესე იგი დანაშაულის დამთავრებამდე ზიანის მოცულობა ზუსტად არა აქვს გაცნობიერებული, ასეთი შემთხვევები ქურდობისათვისაა ტიპური.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 4 მარტის განაჩენით დ. პაპავას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტით დაედო მსჯავრი და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. დ. პაპავამ მ. კიკნაძეს ავტობუსით მგზავრობის დროს ჯიბიდან ამოაცალა საფულე, რომელშიც 200 ამერიკული დოლარი და 185 ლარი აღმოაჩნდა. თანხა სასამართლომ „მნიშვნელოვან ზიანად" შეაფასა. მსჯავრდებულის დამცველმა ეს განაჩენი თბილისის საოლქო სასამართლოში იმ მოტივით გაასაჩივრა, რომ დ. პაპავამ არ იცოდა საფულეში რა რაოდენობის თანხა იყო და ამიტომ მისი განზრახვა არ მოიცავდა 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტს, რომელიც დაზარალებულის მნიშვნელოვანი დაზიანების გამო გაძლიერებულ პასუხისმგებლობას აწესებს. თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ 2002 წლის 16 მაისის განაჩენით დამცველის ამ შუამდგომლობას სავსებით სწორად უარით უპასუხა.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს 2002 წლის 3 სექტემბრის განაჩენით მ. მახნიაშვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტით 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაედო მსჯავრი. მ. მახნიაშვილმა გ. ირემაშვილს ავტომანქანიდან ჭურთუკი

მოპარა, რომელშიც 115 ლარი იდო. მიუხედავად ამისა, ქურდს ამ თანხის მოპარვა ბრალად შეერაცხა და საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორია. როცა ქურდი ვინმეს ჯიბეში ხელს უყოფს ან ბინაში საქურდლად შედის, რაც იქ დახვდება ყველაფერს წაიღებს. მას წაღებული ნივთის ღირებულება ბრალად მთლიანად შეერაცხება.

სპეციალური განზრახვა. სხვაგვარად უნდა გადაწყდეს იმ მოძრავი ნივთის დაუფლებასთან დაკავშირებული საკითხი, რომელსაც მატერიალური ღირებულება არ გააჩნია. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს იგივე მ. მახნიაშვილის საქმე. მოპარულ ქურთუკში, როგორც ზემოთ ვთქვით, ფულთან ერთად, აგრეთვე საბუთები – ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და მანქანის მართვის მოწმობა აღმოჩნდა. ამ ნაწილში მ. მახნიაშვილის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირდა.

363-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობაა დაწესებული პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის „გატაცებისათვის." ამ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე უთუოდ განზრახვას გულისხმობს. განზრახვა უნდა იყოს პირდაპირი, რადგან არაპირდაპირი განზრახვით რაიმეს მითვისება წარმოუდგენელია. სხვისი საბუთის მითვისების სუბიექტური მხარე უნდა გულისხმობდეს მოქმედის მხრივ წინასწარ იმის წარმოდგენას, რომ იგი სხვის საბუთს მითვისების მიზნით ეუფლება.

მ. მახნიაშვილის მიზანი იქით იყო მიმართული, რომ ქურდობის შედეგად მატერიალური გამორჩენა მიეღო. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ქურთუკში საბუთი იდო და არც აინტერესებდა ეს. ამიტომ არის ხოლმე, რომ ქურდი მოპარულ ხელჩანთაში ნანახ საბუთს გადააგდებს ხოლმე, მას ის არ სჭირდება. მ. მახნიაშვილის ქმედება 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით სწორად არ იყო დაკვალიფიცირებული. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს სპეციალური განზრახვა, ესე იგი დამნაშავეს თავიდანვე უნდა ჰქონდეს იმის წარმოდგენა, რომ დაეუფლოს სხვის საბუთს.

შეცდომა. შეცდომა არის კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი ნიშნების თუ იურიდიული შეფასების არასწორი წარმოდგენა. შეცდომა ამის მიხედვით ორი სახისაა – ფაქტობრივი და იურიდიული. ერთ-ერთი სახის იურიდიული შეცდომის საკითხზე იხილეთ 36-ე მუხლის განმარტება. ფაქტობრივი შეცდომა, თავის მხრივ, კიდევ იყოფა ცალკეულ სახეებად. აქ იგულისხმება ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების არასწორი წარმოდგენა.

თავის მხრივ, შესაძლებელია ფაქტობრივი შეცდომის სამგვარი კლასიფიკაცია: 1) მოქმედების ან უმოქმედობის, 2) მიზეზობრივი კავშირის და 3) შედეგის არასწორი წარმოდგენა.

მოქმედების არასწორი წარმოდგენა შეიძლება იყოს, მაგალითად, ქურდობის დროს. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. შეიძლება მოქმედი ცდება და ჰგონია, რომ სხვის მოძრავ ნივთს ეუფლება „ფარულად", სინამდვილეში კი მას უყურებენ. ასეთი შეცდომა გავლენას ვერ მოახდენს კვალიფიკაციაზე. ქმედება მაინც 177-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.

ნიშანი „ფარული" ამ შემთხვევაში ქმედების ჩადენის ხერხია. ხერხისაგან უნდა განვასხვავოთ ქმედების ჩადენის იარაღი და საშუალება (იხ. ამ საკითხზე მე-19 მუხლის განმარტება).

შემდეგი სახის შეცდომა, როგორც ვთქვით, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არასწორ წარმოდგენას გულისხმობს. როცა მიზეზობრიობაზე მსჯელობენ, ჩვეულებრივ, მხედველობაში აქვთ მიზეზობრივი კავშირი ამსრულებლის ქმედებასა და შედეგს შორის. ეს იმიტომ ხდება, რომ თანამონაწილის მოქმედება ამსრულებლის მოქმედებაზეა დამოკიდებული, ესე იგი ის აქცესორულია და ამიტომ აქ ეს პრობლემა დიდ სირთულეს არ იწვევს. როცა წამქეზებელი აქეზებს სხვას, ესე იგი ამსრულებელს მკვლელობისათვის, ჩვეულებრივ, შეიძლება არც იყოს იმაზე მოლაპარაკება, თუ რა საშუალებითა და ხერხით ჩაიდენს ის მკვლელობას. ამიტომ თანამონაწილეს, ამ შემთხვევაში წამქეზებელს, შეიძლება ძალიან ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს მიზეზობრივი კავშირის განვითარებაზე ამსრულებლის ქმედებასა და შედეგს შორის.

უფრო კონკრეტულად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი მიზეზობრივი კავშირის განვითარება დამხმარეს, რომელიც კონკრეტულ რჩევა-დარიგებას აძლევს, იარაღს აწვდის ამსრულებელს ან ასრულებს სხვაგვარ კონკრეტულ ქმედებას. ასევე ითქმის ორგანიზატორზეც, რომელიც ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩადენის მთელ პროცესს და უფრო ზუსტად იცის, ვინ რა მოქმედება უნდა შეასრულოს.

მიზეზობრიობაში შეცდომა არის არასწორი, მცდარი წარმოდგენა მიზეზობრივი კავშირის განვითარებისა. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მოქმედმა უნდა გაითვალისწინოს ყოველგვარი წვრილმანი ამ მიზეზობრიობის მიმდინარეობისა. საკმარისია, თუ მოქმედს გათვალისწინებული ჰქონდა ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრიობის ზოგადი

კანონზომიერება.[25] იმ შემთხვევაში, თუ მოხდა არსებითი გადახვევა ამ კანონზომიერებიდან, მაშინ შედეგის შერაცხვის საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს. მაგალითად, ვინმემ მოკვლის მიზნით ესროლა მსხვერპლს და დარწმუნებულმა, რომ იგი მოკლა, გზაზე დაგდებული მიატოვა. დადგინდა, რომ გზაზე დაგდებულ, ჯერ კიდევ ცოცხალ მსხვერპლს გამვლელმა მანქანამ გადაუარა და მოკლა. ასეთ შემთხვევაში ის, ვინც მას ტყვია ესროლა მოკვლის მიზნით, პასუხს აგებს მკვლელობის მცდელობისათვის.

შემდეგი სახის შეცდომა არის კანონით აღწერილი შედეგის არასწორი წარმოდგენა. მაგალითად, ვინმე თავისი წარმოდგენით იპარავს ნარკოტიკულ ნივთიერებას. სინამდვილეში იგი დაეუფლა სულ სხვა ნივთიერებას, რომელიც არავითარ ნარკოტიკს არ წარმოადგენს. აქ საქმე გვაქვს მცდელობასთან.

შეცდომის ნაირსახეობა არის იმ პიროვნების არასწორი წარმოდგენა, რომელიც განიცდის ხელყოფას. მაგალითად, ვინმეს სურს მოკლას თავისი დაუძინებელი მტერი, მაგრამ სიბნელის გამო ვერ გაარჩია და სხვა მოკლა. ეს ქმედება განზრახ მკვლელობის დამთავრებულ შემადგენლობად დაკვალიფიცირდება. ასეთი შეცდომა კვალიფიკაციაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს.

შეცდომა შეიძლება შეეხოს ისეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, როგორიცაა, მაგალითად, დიდი ოდენობა და სხვ., რომელიც მოქმედს არასწორად ჰქონდა წარმოდგენილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა განზრახ მკვლელობისათვის „წინასწარი შეცნობითი ორსული ქალისა" (პუნქტი „ბ"). ვინმეს ჰგონია, რომ კლავს ორსულს, სინამდვილეში ქალი არ არის ორსულად. თუ ამ მკვლელობას არ ახლავს სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი, ქმედება 108-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. ეს ქმედება ორსულობის ნაწილში იურიდიულად ისე უნდა შეფასდეს, როგორც delictum putativum. ადამიანს ჰგონია, რომ დანაშაულს სჩადის, სინამდვილეში ქმედება დანაშაულს არ წარმოადგენს. მოქმედი აქ პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.

140-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედებისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან. პასუხს არ აგებს ამ მუხლით ის, ვინც

[25] Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, 2000, стр. 42.

ცდება და ჰგონია, რომ სქესობრივ კავშირს ამყარებს თექვსმეტ წელს მიუღწეველთან, მაშინ, როცა სქესობრივი კავშირი ხდება თექვსმეტ წელს მიღწეულთან. ასეთი შემთხვევა ტიპური delictum putativum-ია. ასევე არ აგებს პასუხს ისიც, ვინც, მართალია, თექვსმეტ წელს მიუღწეველთან ამყარებს სქესობრივ კავშირს, მაგრამ ცდება და ჰგონია, რომ ის თექვსმეტი წლისაა.

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობა, როცა თავდამსხმელი ცდება და დაზარალებულს არ აღმოაჩნდება რაიმე ფასეულობა, რომელსაც ყაჩაღი უნდა დაეუფლოს? ვფიქრობთ, აქ მაინც უნდა გვქონდეს 179-ე მუხლის დამთავრებული შემადგენლობა, ვინაიდან ამ მუხლის ტექსტის მიხედვით თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად მისაკუთრების მიზნით უკვე დამთავრებული დელიქტია.

აქამდე ჩვენ ვიხილავდით შეცდომის ისეთ სახეებს, რომლებიც ქმედების განზრახ ჩადენისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ქმედება შეიძლება განუზრახველადაც იყოს ჩადენილი. შედეგი ასეთ დროს მოქმედს შეიძლება შეერაცხოს ბრალად, ზოგჯერ კი არ შეერაცხოს, მაგრამ ყველა ეს შემთხვევა შეცდომის ნაირსახეობას წარმოადგენს. ეს შეცდომა ზოგჯერ მიუტევებელია და პასუხისმგებლობას იწვევს გაუფრთხილებლობისათვის, ზოგჯერ კი იგი მისატევებელია და პასუხისმგებლობა გამოირიცხება.[26]

შეცდენა. რატომღაც განზრახვის ცნებაში, შეცდომის გვერდით, არ მოიაზრებენ მსხვეპლის შეცდენას, როცა მოქმედი შეაცდენს, ატყუებს სხვას და ამ გზით სასურველ მიზანს აღწევს. შეცდენა რამდენიმე სახისაა. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

დაზარალებულის შეცდენა. ზოგჯერ დამნაშავე ატყუებს დაზარალებულს და თავს ესხმის მას უვარგისი იარაღით, რომელიც გამოუსადეგარია მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაზიანებლად. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ასეთი ქმედება? ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში ასეთ დროს ქმედებას ყაჩაღობად აკვალიფიცირებენ, რაც სწორი არ უნდა იყოს, რადგან ყაჩაღობა ორ სიკეთეს – ქონებას და დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ხელყოფს. აქ კი ერთი სიკეთის – საკუთრების ხელყოფასთან გვაქვს საქმე.

უვარგისი იარაღით, მაგალითად, სათამაშო რევოლვერით თავდასხმა ძარცვად უნდა დაკვალიფიცირდეს, რადგან ძარცვა ყაჩაღობისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ძარცვის დროს გამოყენებული ძალადობა ან ძალადობის მუქარა არ არის საშიში დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი).[27]

საბრალდებო დასკვნით მ. დევნოსაძეს და ზ. ბერიაშვილს ბრალი ედებოდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის (ყაჩაღობა) პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 სექტემბრის განაჩენით მ. დევნოსაძის და ზ. ბერიაშვილის ქმედებები 179-ე მუხლიდან 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებზე გადაკვალიფიცირდა. განაჩენში ნათქვამია: „განსასჯელებს ბრალად ედებათ დანაშაულის ჩადენა საფანტიანი პისტოლეტის გამოყენებით. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით კი მ. დევნოსაძიდან ამოღებული პისტოლეტი არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და, ბუნებრივია, აღნიშნული იარაღით ძალადობა და მუქარა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალურ საფრთხეს არ უქმნიდა დაზარალებულს, რაც ყაჩაღობის მაკვალიფიცირებელი ნიშანია“. ამ განაჩენით სასამართლო სწორად განმარტავს კანონს, როცა ამტკიცებს, რომ დაზარალებულის „სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალური საფრთხე“ ყაჩაღობის აუცილებელი ნიშანია (სასამართლო ხმარობს სიტყვას „მაკვალიფიცირებელი“, რაც ზუსტი არ არის).

მაგრამ ეს საკითხი ყველა შემთხვევაში ერთნაირად ვერ გადაწყდება. მაგალითად, ქალს ემუქრებიან სათამაშო იარაღით გაუპატიურებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ქალი შეშინდა და დანებდა თავდამსხმელს, ქმედება გაუპატიურებად დაკვალიფიცირდება. აქ მთავარია ის, რომ სქესობრივი აქტი ქალის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა. მოტყუების ფაქტი ვერ იმოქმედებს კვალიფიკაციაზე. ამ ფაქტმა შეიძლება სასჯელის ზომაზე მოახდინოს ზეგავლენა.

[26] საბჭოური პერიოდიდან დაწყებული იყენებენ ტერმინებს: გაუფრთხილებლობა და შემთხვევა (casus). იხ. ნ. სარია, შეცდომის ცნება და მნიშვნელობა სისხლის სამართალში, სადაც ცალკე პარაგრაფებადაა გამოყოფილი „შეცდომა და გაუფრთხილებლობა“ და „შეცდომა და შემთხვევა“ (107–115-ე გვ.), სინამდვილეში ერთია მიუტევებელი შეცდომა, მეორე კი – მისატევებელი. იხ. ამ საკითხზე 36-ე მუხლის განმარტება.

[27] იხ. დაწვრილებით ოთარ გამყრელიძე, უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის (კრ. „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“, პირველი წიგნი, 209–212-ე გვ.). ჩემი აზრით, უმჯობესია, თუ ასეთ შემთხვევას კანონმდებელი ცალკე შემადგენლობად ჩამოაყალიბებს კოდექსში. ეს წინადადება აისახა 1999 წ. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში, მაგრამ პროექტის საპარლამენტო განხილვის დროს არ დაკანონდა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ პუნქტით კვალიფიცირდება თავისუფლების უკანონო აღკვეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით. კვალიფიკაცია გაუპატიურების ანალოგიურად, არც აქ შეიცვლება იმის მიხედვით, თუ როგორი იარაღით მოხდება „ძალადობის მუქარა“ თავისუფლების უკანონო აღკვეთის მიზნით (იხ. აგრეთვე 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ პუნქტი).

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 184-ე მუხლის შემადგენლობა. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით დაწესებულია პასუხისმგებლობა ავტომანქანის დაუფლებისათვის „მისაკუთრების მიზნის გარეშე“ ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ან ასეთი ძალადობის მუქარით. ამ მუხლის მე-3 ნაწილით კვალიფიცირდება იგივე ქმედება, რომელიც ჩადენილია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით.

როგორ უნდა შეფასდეს ისეთი შემთხვევა, როცა ხსენებული ქმედება სათამაშო იარაღითაა ჩადენილი? 184-ე მუხლის მე-2 ნაწილით უნდა დაკვალიფიცირდეს ის, თუ ამავე მუხლის მე-3 ნაწილით? ჩემი აზრით, ეს შემთხვევაც ყაჩაღობის ანალოგიურად უნდა გადაწყდეს. ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით.

დაზარალებულის შეცდენის, მოტყუების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს თაღლითობის შემადგენლობა, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით, ქონებრივი დაზიანება მოტყუებით (185-ე მუხლი), მოტყუების ელემენტს შეიცავს აგრეთვე ცრუ მეწარმეობის შემადგენლობა (193-ე მუხლი), ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა (370-ე მუხლი), ცრუ დასმენა (373-ე მუხლი) და სხვ.

მოტყუების ხერხი ამ დელიქტებში ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. შეცდენის, მოტყუების ხერხის გამოუყენებლად ამ შემადგენლობათა განხორციელება შეუძლებელია. ეს ხერხი ქმედების შემადგენლობაში ბევრ შემთხვევაში პირდაპირ არის გამოხატული, როგორც ეს ვნახეთ ზემოთ მითითებულ მუხლებში. მაგრამ ზოგჯერ მოტყუების ელემენტი პირდაპირ არ ჩანს. ასეთია, მაგალითად, ბავშვის შეცვლა (174-ე მუხლი). ამ მუხლის შემადგენლობა ასეა აღწერილი: „ბავშვის შეცვლა ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით“. ბავშვის შეცვლა, ამ ტექსტის მიხედვით, მშობელთან შეთანხმებით კი არ ხდება, არამედ მისი მოტყუებით.

შეცდენა, მოტყუება ყოველთვის როდი გამოიყენება ამა თუ იმ

შემადგენლობის განხორციელების აუცილებელ ხერხად. მაგალითად, ქურდობა ტიპურად ძალადობასთან არის დაკავშირებული. რასაც დაზარალებული ხშირად უშუალოდ განიცდის. მაგრამ ზოგჯერ შეიძლება დაზარალებული შეაცდინონ და სიცოცხლე მოუსწრაფონ ისე, რომ თვითონ ვერც გაიგოს, რომ მას კლავენ, მაგალითად, მოკვლის მიზნით მსხვერპლს, წამლის ნაცვლად, შეატყუონ საწამლავი და სხვ.

დანაშაულის პროვოკაცია. ზოგჯერ წამქეზებელი წაქეზებულს შეაცდენს და დანაშაულს ჩაადენინებს (უმთავრეს შემთხვევაში ამ დროს წაქეზებული მომზადების ან მცდელობის სტადიამდეა მისული). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აგენტი-პროვოკატორის პრობლემასთან. პროვოკატორის მიზანია დამნაშავის მხილება და მისი დასჯა (დაწვრილებით ამ საკითხზე ნახეთ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის განმარტება).

შეცდენის ხერხი შეიძლება გამოიყენოს ადამიანმა პროვოკაციის მიზნის გარეშეც. ეს ის შემთხვევაა, როცა ვინმე აქეზებს სრულწლოვანს დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ არ უმხელს თავის ნამდვილ მიზანს. მაგალითად, ერთი მონადირე აქეზებს მეორეს, ესროლოს იქვე ბუჩქს, სადაც ახლა კურდღელი შეკარდა. სინამდვილეში იცის, რომ იქ ადამიანია, რომლის მოკვლა მას სურს (შეალობითი ამსრულებლობა). წაქეზებული ტყუვდება და კლავს კაცს (ამ საკითხზე ნახეთ 22-ე მუხლის განმარტება).

9.3. მე-9 მუხლის მესამე ნაწილით განსაზღვრულია არაპირდაპირი განზრახვის ცნება, რომელიც სამ ნიშანს მოიცავს: 1) შედეგის დადგომის შესაძლებლობის გაცნობიერება, 2) რომ ეს შედეგი მოქმედს არ სურდა და 3) ის შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა ამ შედეგის დადგომას.

აქ მითითებული პირველი ნიშანი სწორედ ის ნიშანია, რომლითაც არაპირდაპირი განზრახვა პირდაპირ განზრახვას უკავშირდება და რომლის მეშვეობითაც ის განზრახვის საერთო ცნებაში ერთვება. შედეგის წარმოდგენის გარეშე, ანუ მის გაუცნობიერებლად განზრახვა არ არსებობს. აქ უნდა ითქვას ისიც, რომ არაპირდაპირი განზრახვა დამახასიათებელია მხოლოდ შედეგიანი (მატერიალური) შემადგენლობისათვის. შემადგენლობა, რომლის საკანონმდებლო აღწერილობა მოქმედებით ან უმოქმედობით ამოიწურება, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამავე დროს, აქ არ იგულისხმება შედეგის ყოველგვარი გაცნობიერება. არაპირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელია მხოლოდ შედეგის განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინება.

რაც შეეხება ნებელობით მხარეს, არაპირდაპირი განზრახვის დროს

მოქმედს არა აქვს შედეგის განხორციელების სურვილი. მით უმეტეს, გამორიცხულია აქ შედეგის განხორციელების მიზანი, რაც მხოლოდ გამიზნითი დელიქტისათვის არის დამახასიათებელი (ქურდობა და სხვ.), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ამ დროს რაიმე მიზანს არ ისახავდეს. მაგალითად, ვინმემ მიზნად დაისახა სახლის აფეთქება და ითვალისწინებს, რომ სახლში წევს ავადმყოფი, რომელიც შეიძლება დაიღუპოს, თუმცა არ სურს ეს. სახლის აფეთქების მიმართ გვექნება პირდაპირი განზრახვა, ვინაიდან ის იყო მოქმედის მიზანი, ხოლო, თუ ავადმყოფი დაიღუპება. ამ შედეგის მიმართ ქმედება არაპირდაპირი განზრახვით დაკვალიფიცირდება.

აქ მოქმედის მიზანი – სახლის აფეთქება – მართლსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივია, მაგრამ ზოგჯერ ქმედების ძირითადი მიზანი შეიძლება მართლზომიერიც კი იყოს, რასაც შეიძლება მოჰყვეს მართლსაწინააღმდეგო შედეგი არაპირდაპირი განზრახვით.[28]

კანონი, როგორც ვნახეთ, არაპირდაპირი განზრახვის ნებელობითი მხარის ორ ნიშანს გამოჰყოფს: ა) შეგნებული დაშვება შედეგისა და ბ) გულგრილი დამოკიდებულება მის მიმართ. ორივე შემთხვევაში მოქმედისათვის სულერთია, რა მოხდება, მისი მიზანი სხვა რამისკენაა მიმართული.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში საგანგებოდ არსად არ არის ნათქვამი, რომ ესა თუ ის შედეგი შეიძლება განხორციელდეს არა მარტო პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვითაც. ეს მხოლოდ მუხლის განმარტების მიხედვით შეიძლება იქნეს დადგენილი. ამისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ ქმედების შემადგენლობა ობიექტური მხრივ იყოს შედეგიანი, ხოლო სუბიექტური მხრივ – განზრახი. მაგალითად, განზრახ მკვლელობა (108-ე მუხლი). სიტყვა „განზრახვა“ აქ მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ განზრახვას. მაგრამ, როცა შემადგენლობაში დასახელებულია რაიმე შედეგის მიღწევის მიზანი, მაშინ ამ შემადგენლობის განხორციელება არაპირდაპირი განზრახვით არ შეიძლება. მაგალითად, მკვლელობა „მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით“ (110-ე მუხლი).

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შეცდომები არაპირდაპირი განზრახვის დადგენის დროს. საბრალდებო დასკვნით, ბ. ჯოლბორდი და გ. ცუცქირიძე (სხვებთან ერთად) რუსთავის ახლოს ტყეში სვამდნენ

[28] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 58-59-ე გვ.

არაყს (შობის წინა დღე იყო). მათ იჩხუბეს. გ. ცუცქირიძემ ბ. ჯოლბორდი წააქცია და თავში ფეხებით სცემა. ბოლოს ნაცემი და დასისხლიანებული ბ. ჯოლბორდი გ. ცუცქირიძემ მიატოვა და წავიდა. მეორე დღეს ბ. ჯოლბორდი მკვდარი ნახეს.

საბრალდებო დასკვნით, გ. ცუცქირიძის ქმედება არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობად შეფასდა და სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაკვალიფიცირდა. ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით გამოძიებით დადგენილია, რომ გ. ცუცქირიძე წაქცეულ ბ. ჯოლბორდს თავში ფეხებს გამეტებით ურტყამდა, რამაც ტვინში სისხლის ჩაქცევა და მისი სიკვდილი გამოიწვია.

ასეთ პირობებში მსხვერპლის ღამით უპატრონოდ მიტოვების დროს დამნაშავეს შეუძლებელია არ ჰქონოდა წარმოდგენილი სასიკვდილო შედეგი. ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლო დაეთანხმა სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნას და 2002 წლის 3 აპრილის განაჩენით დამნაშავის ქმედება 108-ე მუხლიდან 119-ე მუხლზე გადააკვალიფიცირა. ეს კვალიფიკაცია არასწორია.

მუხლი 10. გაუფრთხილებლობითი დანაშაული

1. გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

2. ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

3. ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

4. გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.

10.1. თანამედროვე სისხლის სამართალი გაუფრთხილებლობის ორ სახეს იცნობს: ა) თვითიმედოვნებას და ბ) დაუდევრობას. სასურველი

იყო, რომ ტერმინი „თვითმედოვნება." რომელიც რუსული самонадеянность-ის კალკია, „წინდაუხედაობით" შეგვეცვალა. ეს ტერმინი უფრო ზუსტად გამოხატავს იმ აზრს, რაც „თვითმედოვნებაშია" ნაგულისხმევი.

ასეა თუ ისე, გაუფრთხილებლობა თავისი ორი გამოვლინებით არსებითად განსხვავდება განზრახვისა და მისი სახეებისაგან. განზრახვა შეფასებისაგან ნეიტრალური ცნებაა. მას ჯერ კიდევ სჭირდება შეფასება. განზახვა შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც, გასაკიცხი. რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, ის უკვე გაკიცხვაა, რაღაცის უარყოფითი შეფასება. როგორც ზემოთ ვთქვით (იხ. მე-7 მუხლის განმარტება), ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ ან განუზრახველად. განუზრახველი ქმედება და მისგან გამოწვეული შედეგი ზოგჯერ შეიძლება შეერაცხოს მოქმედს ბრალად, ხოლო ზოგჯერ არ შეერაცხოს. როცა ასეთი შედეგი ბრალად შეერაცხება მოქმედს, მაშინ გვექნება გაუფრთხილებლობა. ასეთ დროს დამდგარი შედეგის მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულება იქნება გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება. ადამიანს საყვედურობენ, რომ ის გაუფრთხილებლად მოიქცა. საყვედური ბრალის გამოხატულებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ განუზრახველი ქმედება ზოგჯერ არ შეერაცხება ბრალად მის ჩამდენს. ასევეა განზრახი ქმედებაც, რომელიც ზოგჯერ შეერაცხება ბრალად მის ჩამდენს და ზოგჯერ არა. მაშასადამე, განზრახული და განუზრახველი ქმედებები უნდა დავაყენოთ ერთმანეთის გვერდი-გვერდ და არა განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც ეს ტრადიციულად ხდება.[29]

უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკულად უნდა დადგინდეს, ჩადენილია თუ არა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობა, რაც გულისხმობს საკუთრივ ქმედებას, შედეგს და მიზეზობრივ კავშირს მათ შორის. ეს არის შემადგენლობის ობიექტური მხარე. ამის შემდეგ დგინდება შემადგენლობის სუბიექტური მხარე. როცა დავადგენთ, რომ ქმედება განუზრახველია, ვიწყებთ ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენას.

მართლწინააღმდეგობა ასეთ დროს დგინდება ცხოვრების ამა თუ იმ

[29] იხ. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ოთარ გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია," 2002, № 3-4. „არ არსებობს ბოროტი და კეთილი გაუფრთხილებლობა, – წერს თ. დონჯაშვილი, – გაუფრთხილებლობა თავის თავში უკვე შეიცავს შეფასების მომენტს" (იხ. თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, 178-ე გვ.).

სფეროში მოქმედი სხვადასხვა დაწერილი თუ დაუწერელი წესების დარღვევის მიხედვით. მაგალითად, სატრანსპორტო სფეროში ჩვენ ძირითადად გვაქვს დაწერილი წესები, რასაც ტრანსპორტის მოძრაობის წესებს უწოდებენ. მაგრამ აქაც გვხვდება შემთხვევა, როცა კანონმდებელი (წესების დამდგენი ორგანო) ზოგჯერ მძღოლს ავალებს თვითონ მიიღოს სწორი ორიენტაცია ადგილზე შექმნილი ვითარების მიხედვით.

ასეთივე დაწერილი თუ დაუწერელი წესები მოქმედებს მშენებლობის სფეროში, ქარხანა-ფაბრიკებში, სადაც რთული ტექნიკის მომსახურება ხდება და სხვ. დაუწერელი წესები უფრო მეტად საყოფაცხოვრებო სფეროში გვხვდება. მაგალითად, არ შეიძლება მრავალსართულიანი სახლის ზედა სართულიდან საერთოდ რაიმეს და განსაკუთრებით მძიმე ნივთების გადმოყრა. ამას შეიძლება მსხვერპლი მოჰყვეს. როცა დადგინდება, რომ განუზრახველი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, ვიწყებთ ბრალის მსჯელობას. ვამოწმებთ, მართლსაწინააღმდეგო შედეგი მოქმედის გაუფრთხილებლობითი ქცევით ხომ არ არის გამოწვეული.

10.2. წინდაუხედაობა (თვითმედოვნება) არაპირდაპირ განზრახვას ემიჯნება. შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების ერთი ელემენტი წინდაუხედაობის დროს დაახლოებით ისევეა გამოხატული, როგორც არაპირდაპირი განზრახვის დროს. დაახლოებითო, იმიტომ ვამბობთ, რომ შედეგის განხორციელების შესაძლებლობის წარმოდგენა წინდაუხედაობის დროს აბსტრაქტულია, მაშინ, როცა არაპირდაპირი განზრახვის დროს ეს წარმოდგენა კონკრეტულია. „მაშინ, როდესაც ევენტუალური განზრახვის დროს – წერდა ვ. მაყაშვილი – დამნაშაეს წარმოდგენილი აქვს კონკრეტული საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა, დანაშაულებრივი თვითმედოვნების დროს იგი ითვალისწინებს მხოლოდ აბსტრაქტულ შესაძლებლობას, ე.ი. ითვალისწინებს, რომ საზოგადოდ ამგვარ მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ასეთი შედეგი".[30]

მეორე განმასხვავებელი ნიშანი არაპირდაპირ განზრახვასა და წინდაუხედაობას შორის ნებელობით მხარეშია საძიებელი. არაპიდაპირი განზრახვის დროს მოქმედი უშვებს შედეგს, ეგუება მის განხორციელებას, გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას. რაც შეეხება წინდაუხედაობას, ამ დროს მოქმედი დარწმუნებულია, რომ შედეგი, რომელიც მის მართლსაწინააღმდეგო ქცევას შეიძლება მოჰყვეს, არ დადგება, არ განხორციელ-

[30] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 66-67-ე გვ.

დება. მოქმედი ამ დროს თავისი ქცევის გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ იღებს, როცა დარწმუნდება, რომ შედეგი არ განხორციელდება. მაგრამ ეს რწმენა, ეს ვარაუდი, უსაფუძვლოა, მცდარია.

მაგრამ რწმენა, რომ შედეგი არ განხორციელდება, არ უნდა იყოს აბსტრაქტული, ის უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ გარემოებებს. ასეთი გარემოებები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ,,დარწმუნება, რომელიც ასაბუთებს თვითიმედოვნებას და გამორიცხავს ევენტუალურ განზახვას, – წერდა ვ. მაყაშვილი, – არ შეიძლება გავაიგივოთ ლიტონ იმედთან, ვინაიდან იგი ემყარება არა გარემოებათა შემთხვევით დამთხვევას, არამედ კონკრეტულად განსაზღვრულ ფაქტორებს, სუბიექტის პირად თვისებებს ან გარეგან ძალებს, რომლებსაც დამნაშავის რწმენით შეუძლიათ ხელი შეუშალონ ზიანის რეალურად განხორციელებას“.[31]

მაშასადამე, რწმენა, რომელიც ამოძრავებს მოქმედს, ემყარება მის პირად თვისებებს ან გარეგან ძალებს. პირადი თვისებაა, მაგალითად, მოქმედის კარგი სროლის უნარი (რომ იტყვიან, ტყვიას ტყვიაში აჯენსო). ვ. მაყაშვილს მოჰყავს ასეთი საყურადღებო მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: ,,ჩ. სტუმრად იყო ფ.-სთან. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, იმ ხანებში ნანახი კინოსურათის ზეგავლენით, გადაწყვიტეს ნერვების გამოსაცდელი ექსპერიმენტი ჩაეტარებინათ. ამ მიზნით ჩ. დაჯდა სკამზე კედელთან და ფ.-მ მოწინააღმდეგე მხრიდან ორჯერ გაისროლა მისი მიმართულებით მცირეკალიბრიანი შაშხანა. შემდეგ მათ ადგილები შეიცვალეს და გაისროლა უკვე ჩ.-მ. ტყვია თვალში მოხვდა ფ.-ს, რომელიც იქვე მკვდარი დაეცა. ჩ. არ უშვებდა ფ.-ს სიკვდილის შესაძლებლობას, მას არ ჰქონდა ასეთი შედეგის განხორციელების ევენტუალური განზრახვა, რადგან იმედი ჰქონდა თავისი უნარისა და გამოცდილებისა (კარგი მსროლელი იყო); ამავე დროს სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ფ. ისეთსავე თავდაჭერილობას გამოიჩენდა, როგორც მან (ჩ.-მ) გამოიჩინა, და ტყვიის გასროლის მომენტში არ გაინძრეოდა. მაგრამ ჩ.-ს ვარაუდი უსაფუძვლო აღმოჩნდა. ჩ.-მ უხეშად დაარღვია გამაფრთხილებელი ზომები“.[32]

ამ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ ფ., როცა სროლა გადაწყვიტა, ორ კონკრეტულ გარემოებას ეყრდნობოდა. იგი მოქმედებდა იმ რწმენით, რომ იყო კარგი მსროლელი და ამავე დროს, მისი ვარაუდით, ჩ. გამოიჩენდა თავდაჭერილობას და სროლის მომენტში არ გაინძრეოდა. მაგრამ ეს ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა და ფ. მოიქცა წინდაუხედავად. მას უნდა გაეთვალისწინებინა ეს შედეგი და შეეძლო კიდეც მისი გათვალისწინება.

[31] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 65-ე გვ.

[32] ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, 55-56-ე გვ.

10.3. გაუფრთხილებლობის მეორე სახეა დაუდევრობა. წინდაუხედაობა, ერთი მხრივ, ემიჯნება არაპირდაპირ განზრახვას, ხოლო, მეორე მხრივ, დაუდევრობას. მაშინ, როცა წინდაუხედაობის დროს მოქმედს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, აბსტრაქტულად მაინც, წარმოდგენილი აქვს, მაგრამ იქცევა იმ რწმენით, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებს, დაუდევრობის დროს მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების შესაძლებლობა მას საერთოდ არა აქვს წარმოდგენილი. მაგრამ მოქმედს შეეძლო წარმოედგინა ამ შედეგის განხორციელების შესაძლებლობა; შეეძლო მისი თავიდან აცილება და ვალდებულიც იყო აეცილებინა. სწორედ სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა, რასაც აქ ვხედავთ, არის გაკიცხვის საფუძველი, რაც ბრალის (გაუფრთხილებლობის) არსს გამოხატავს.

შედეგის განხორციელების წარმოდგენა თავისთავად გულისხმობს მიზეზობრივი კავშირის წარმოდგენის შესაძლებლობას მოქმედის მართლსაწინააღმდეგო ქცევასა და შედეგს შორის. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ამის წარმოდგენას მოქმედი ამ კონკრეტულ ვითარებაში ვერ შეძლებდა. ასეთ დროს ბრალი გამორიცხულია. ბ.-მა სილა გააწნა გ.-ს, რომელიც მის ცხენს დააჭენებდა. გ. შეშინებული გაიქცა, ყორეზე გადახტომისას ფეხი მოიტეხა და საავადმყოფოში სისხლის მოწამვლისაგან გარდაიცვალა. სასამართლომ ეს ქმედება ასე შეაფასა: ,,რამდენადაც ბ.-ს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ გ. ცხენიდან ჩამოხტომის შემდეგ გაიქცეოდა და ფეხს მოიტეხდა, შემდეგ მას სისხლი მოწამლებოდა და ამისაგან გარდაიცვლებოდა, ამდენად ბ.-ის მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა“.[33]

ამ მსჯელობაში ერთი უზუსტობაა მხოლოდ. აქ ,,დანაშაულის შემადგენლობა“ კი გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს ბრალი, რომელიც შემადგენლობის კი არა, დანაშაულის ცნების დამოუკიდებელი ნიშანია. მოქმედს არ შეეძლო მიზეზობრივი კავშირის ასეთი უწვეულო განვითარების წარმოდგენა. ამიტომ გ.-ის სიკვდილი მას ბრალად არ შეერაცხება.

იმ შემთხვევაში, როცა ვლაპარაკობთ შეცდომაზე სისხლის სამართალში, ყოველთვის განუზრახველი ქმედება უნდა ვიგულისხმოთ. ეს არის

[33] ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, მით. ნაშრომი, 57-58-ე გვ.

შემთხვევა. როცა შედეგი მოქმედის განზრახვით არ არის გამოწვეული. შეცდომა კი ორგვარია: მისატევებელი და მიუტევებელი. სწორედ მიუტევებელი შეცდომა გახლავთ გაუფრთხილებლობა. შეცდომა აქ ორი სახის შეიძლება იყოს. პირველი სახის შეცდომა ფაქტობრივია. მაგალითად, მონადირე ესვრის ბუჩქს, სადაც დათვი ჰგონია. სინამდვილეში იქ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც მოკვდა.

საბჭოთა რუსეთის სასამართლო პრაქტიკაში იყო ასეთი საქმე. ტისულის რაიონის სასამართლოს განაჩენით კარაულოვსა და შირშოვს მსჯავრი დაედოთ რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით (გაუფრთხილებლობითი მკვლელობა). კარაულოვმა დილით ადრე მდინარის მეორე ნაპირზე შენიშნა ბუჩქების რხევა, დალანდა შავი სილუეტი და გაიგონა ტოტების ლაწა-ლუწი. მან იფიქრა, რომ ეს დათვი იყო. გაიქცა და შეატყობინა შირშოვს. მოიტანეს სანადირო თოფები და ესროლეს ბუჩქს, მაგრამ როცა მივიდნენ, იქ დათვის ნაცვლად, მკვდარი კაცი დახვდათ.[34]

ცხოვრებაში შეიძლება შეგხვდეს შემთხვევა, როცა მოქმედს სწორად აქვს წარმოდგენილი თავისი ქცევის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ ვერ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომელიც მის ქცევას შეცდომით მოსდევს, როცა ეს შედეგი განუზრახველადაა გამოწვეული. ამის ნიმუშია სწორედ ზემოთ დასახელებული კარაულოვისა და შირშოვის საქმე. მათ იცოდნენ, რომ თოფს ესროდნენ დათვს. აქ შეცდომა ქცევას არ ეხება. შეცდომა მხოლოდ შედეგის გამოწვევაშია.

მაგრამ გვხვდება შემთხვევა, როცა განუზრახველად, ესე იგი შეცდომით, არა მარტო შედეგია გამოწვეული, არამედ თვით ეს შედეგი მოქმედის განუზრახველი, გაუცნობიერებელი ქცევის ნაყოფს წარმოადგენს. მაგალითად, ექიმი შეცდომით ავადმყოფს, წამლის ნაცვლად, საწამლავს აძლევს, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვება.

ამ შემთხვევაში მარტო ქცევა კი არ არის გაუცნობიერებელი, არამედ მოქმედი ვერც თავისი ქცევის მართლწინააღმდეგობას ვერ აცნობიერებს. მან არ იცის, რომ ავადმყოფს საწამლავს აძლევს, რითაც არღვევს აკრძალვას (ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. 36-ე მუხლის განმარტება).

წინდაუხედაობა (თვითიმედოვნება) და დაუდევრობა გაუფრთხილებლობის ორი სხვადასხვა სახეა. წინდაუხედაობა გაუფრთხილებლობის უფრო მძიმე შემთხვევაა და ამიტომ უფრო მეტად გასაკიცხია, ვიდრე დაუდევრობა. ამის შესაბამისად წინასაწარმა გამოძიებამ და სასამართლომ გაუფრთხილებლობის ყველა შემთხვევაში ნათლად უნდა გამოკვეთოს, წინდაუხედაობით არის გამოწვეული შედეგი თუ დაუდევრობით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის.

[34] ო. გამყრელიძე, დანაშაულის შეუსრულებლობა და თანაამსრულებლობა, 140-ე გვ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების ერთ-ერთ საფუძვლად დაასახელა ის გარემოება, რომ „გამოძიების მიერ ა.კ.-ძის მიმართ შერაცხული ბრალდების ფორმულირებაში, ასევე სასამართლოს განაჩენში მითითებული არ არის, გაუფრთხილებლობის რომელი სახით (დაუდევრობა თუ თვითიმედოვნება) იქნა მის მიერ დანაშაული ჩადენილი“.[35]

10.4. მე-10 მუხლის თანახმად, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, როცა ეს პირდაპირაა მითითებული კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში. მაგალითად, 116-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას ითვალისწინებს აგრეთვე 119-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება სასიკვდილო შედეგით). აქ სიტყვა გაუფრთხილებლობა, მართალია, ნახსენები არ არის, მაგრამ იგულისხმება სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე. ამას მოსდევს 124-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობით.

170-ე მუხლით ისჯება შრომის დაცვის წესის დარღვევა. ამ მუხლში სიტყვა „გაუფრთხილებლობა“ ნახსენები არ არის, მაგრამ ნათქვამია, რომ პასუხისმგებლობას იწვევს შრომის დაცვის წესის დარღვევა, „რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა“. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის იგულისხმება გაუფრთხილებლობა, რადგან 116-ე მუხლის მიხედვით ვიცით, რომ სიტყვა „მკვლელობა“ ყოველთვის განზრახვასთან

[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №1, მე-11 გვ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა არ დაეთანხმა ამ საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას. საკასაციო პალატის 2001 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაში ნათქვამია: „რაც შეეხება იმას, ბრალდებულმა დანაშაული დაუდევრობით ჩაიდინა თუ თვითიმედოვნებით, უნდა შეფასოს სასამართლომ მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.“ (იქვე, მე-13 გვ.).

არის დაკავშირებული.[36]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაწესებულია პასუხისმგებლობა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის, თუ ამას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა. სიტყვები „ადამიანის სიცოცხლის მოსპობა," როგორც ვთქვით, გაუფრთხილებლობით მკვლელობას გულისხმობს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 276-ე მუხლი 116-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობის სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს.

მაგრამ თუ გავიხსენებთ ჩვენს მსჯელობას არაპირდაპირი განზრახვისა და წინდაუხედაობის გამიჯვნის საკითხზე, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ტრანსპორტის მოძრაობის წესის დარღვევას შეიძლება მოჰყვეს სხვისი სიცოცხლის მოსპობა არაპირდაპირი განზრახვით. მაგალითად, როცა მძღოლი არღვევს მოძრაობის წესს და არავითარ კონკრეტულ გარემოებას არ ემყარება, არა აქვს კონკრეტულ გარემოებაზე დაყრდნობით შექმნილი რწმენა, რომ შედეგს თავიდან აიცილებს, მან პასუხი უნდა აგოს არაპირდაპირი განზრახვით გამოწვეული შედეგისათვის. როგორ უნდა დავაკვალიფიციროთ ასეთი ქმედება?

აშკარაა, რომ ამ ქმედების 276-ე მუხლით დაკვალიფიცირება არ შეიძლება, რადგან ეს მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის. სამწუხაროდ, ჩვენს პრაქტიკაში ეს საკითხი არ დგება. ტრანსპორტის მოძრაობის წესის დარღვევით გამოწვეული შედეგისათვის დამნაშავეს პასუხისმგებლობას აკისრებენ მხოლოდ 276-ე მუხლით.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 მარტის განაჩენით გ. გორდაშვილს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით. გ. გორდაშვილი რუსთავი-მარტყოფის გზაზე ავტომანქანით მსვლელობის დროს შეეცადა გადაესწრო წინ მიმავალი ავტომანქანა „კამაზისათვის". გადასწრებისას მან დაარღვია ავტომანქანით მოძრაობის წესის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი. გასწრებამდე ის „არ დარწმუნდა". რომ მოძრაობის ზოლი იყო თავისუფალი მსვლელობისათვის საკმაო მანძილზე და ამ მანევრით დაბრკოლებას არ შეუქმნიდა საპირისპირო მხრიდან მომავალ მანქანას. იგი შეეჯახა საპირისპირო მხრიდან თავის სამოძრაო ზოლზე მომავალ მანქანას, რასაც შედეგად ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა.[37]

თუკი გ. გორდაშვილი გადასწრების დროს „არ დარწმუნდა", რომ მოძრაობის ზოლი თავისუფალი იყო მსვლელობისათვის საკმაო მანძილზე, როგორ შეგვიძლია ეს ქმედება წინდაუხედაობად (გაუფრთხილებლობად) ჩავთვალოთ? ეს ხომ პირდაპირ მიგვანიშნებს არაპირდაპირ განზრახვაზე, რაც 108-ე მუხლით კვალიფიკაციას მოითხოვს! (იხ. წინა გვერდებზე ჩვენი მსჯელობა არაპირდაპირი განზრახვისა და წინდაუხედაობის გამიჯვნის საკითხზე). ამიტომ ავტოსატრანსპორტო წესის დარღვევით გამოწვეული შედეგის მიმართ მძღოლის ფსიქიკური დამოკიდებულება ყოველთვის უნდა შემოწმდეს ამ თვალსაზრისით.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის

1. თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანამდევი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება.

2. განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა.

11.1. მე-11 მუხლი ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის კიდევ უფრო განმტკიცებას ემსახურება. ანალოგიური მუხლი პირველად საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში შემოვიდა (მე-11

[36] თ. დონჯაშვილის აზრით, როცა კანონი რომელიმე ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენას ითვალისწინებს, მაგრამ არ ითვალისწინებს ამ ქმედების განზრახ ჩადენას, ეს იქნება საკანონმდებლო სარვეზი. ასეთი საკანონმდებლო პრაქტიკა ჩვენთვის უცნობია. ცოტა ქვემოთ იგი წერს: „ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის კრიზისი სწორედ დაუდევრობას უკავშირდება. დაუდევრობის დროს არ არსებობს ფსიქიკური კავშირი ქმედებასა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის" (181-ე გვ.), მაგრამ 183-ე გვერდზე თ. დონჯაშვილი ლაპარაკობს „დაუდევრობის ნებელობით მხარეზე" (იხ. მისი წიგნი „საქართველოს სისხლის სამართალი").

მე-19 ს.-ის 90-იან წლებში გერმანიაში ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის კრიზისი რომ დაიწყო, ფსიქოლოგიური მეცნიერება, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ განზრახვის სფეროში ტრიალებდა, მაშინ ფსიქიკური გათანაბრებული იყო ცნობიერთან. მაგრამ ვითარება შეიცვალა, როცა აღმოაჩინეს არაცნობიერი ფსიქიკა. იხ. უფრო დაწვრილებით Миндия Угрехелидзе, Проблема неосторожной вины в уголовном праве, სადაც ავტორი პრობლემას დ. უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე აშუქებს.

[37] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №10, 1693-1694-ე გვ.

მუხლი). მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევები, როცა ძირითადი შედეგი გა მოწვეულია განზრახ, მაგრამ მას მოჰყვა დამატებითი შედეგი, რომელიც დამნაშავის განზრახვით არ იყო მოცული. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლით აღწერილი შემად გენლობა, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას, თუ მას მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

სიტყვები ,,სიცოცხლის მოსპობა", თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის ფორმულირებას, გამოიყენება მხოლოდ ამ შედეგის გაუფრთხილებლობით გამოწვევის მიმართ. რაც შეეხება სიტყვა ,,მკვლელობას", ამ სიტყვას კანონმდებელი ყოველთვის განზრახულ შედეგს (სიკვდილს) უკავშირებს.

მაგრამ ,,სიცოცხლის მოსპობა" ყოველთვის გაუფრთხილებლობით არ ხდება. შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას მსხვერპლის სიკვდილი გაუფრთხილებლობის გარეშეც მოჰყვეს. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა შედეგი, ესე იგი ადამიანის სიკვდილი, მოქმედის ქცევასთან შეიძლება მიზეზობრივად კი იყოს დაკავშირებული, მაგრამ ამ შედეგის მიმართ მას არც გაუფრთხილებლობითი ბრალი არ მიუძღვოდეს.

ამიტომ სასამართლო ვალდებულია საგანგებოდ იმსჯელოს და უტყუარად, დამაჯერებლად დაასაბუთოს, რომ ეს შედეგი მოქმედის გაუფრთხილებლობითაა გამოწვეული, რომ მას შეეძლო და ვალდებულიც იყო გაეთვალისწინებინა ის. ამის დასაბუთება აუცილებელია იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ მძიმე შედეგის ობიექტური შერაცხვა.

თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ მძიმე შედეგის (სიკვდილის) მიმართ დამნაშავეს არ უმოქმედია გაუფრთხილებლობით, მაშინ ქმედებას 119-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირებს და მას მხოლოდ სხეულის განზრახ დაზიანებისათვის დასჯის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2000 წლის 4 თებერვლის განაჩენით რ.გ.-შვილს საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით (განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით) და 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ხულიგნობა დანის გამოყენებით) დაედო მსჯავრი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ განაჩენი უცვლელად დატოვა.

რ.გ.-შვილმა ნ.-ძეს მარჯვენა თეძოს ფოსოში დანა დაარტყა და მძიმედ დაზიანა. დაჭრილი ნ.-ძე საავადმყოფოში მიყვანიდან ოთხი საათის შემდეგ გარდაიცვალა. ჩვენ საკასაციო პალატის განჩინებიდან არ ჩანს, რომ გ.-შვილს ჰქონდა ნ.-ძის მოკვლის განზრახვა....თეძოს ფოსოს დაზიანება მართლაც არ მიუთითებს მოკვლის განზრახვაზე. უფრო სწორედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ თეძოში დანის დარტყმისას დამნაშავე მოქმედებდა დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების განზრახვით. ,,ამიტომ დამნაშავეს პასუხი უნდა ეგო სსკ-ის 110-ე მუხლის მეორე ნაწილით"[38] (1999 წლის კოდექსის 119-ე მუხლი).

მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე 133-ე მუხლის (უკანონო აბორტი) მესამე ნაწილი, რომელიც გაძლიერებულ პასუხისმგებლობას აწესებს იმ შემთხვევისათვის, როცა უკანონო აბორტს ქალის სიკვდილი მოჰყვა. აქაც უნდა დადგინდეს დამნაშავის გაუფრთხილებლობა ქალის სიკვდილის მიმართ.

სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ე" პუნქტით გაძლიერებული პასუხისმგებლობაა დაწესებული გაუპატიურებისათვის, თუ ამას ქალის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა (ვთქვათ, ქალმა თავი მოიკლა). მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე გაუპატიურების შემდეგ მსხვერპლს მოკლავს დანაშაულის დაფარვის მიზნით, ქმედება დაკვალიფიცირდება არა 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ე" პუნქტით, არამედ დანაშაულთა ერთობლიობით – 137-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით და 109-ე მუხლის ,,ლ" პუნქტით.

137-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ვ" პუნქტით გაუპატიურების დამამძიმებელი გარემოებებია ,,დაზარალებულისათვის შიდსის შეყრა, მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი". ამ შედეგების მიმართ განზრახვა გამორიცხულია. ამიტომ მათ მიმართ სასამართლო ვალდებულია დაადგინოს დამნაშავის გაუფრთხილებლობითი ბრალი.

საბჭოთა რუსეთის სასამართლო პრაქტიკაში იყო ერთი შემთხვევა, როცა გაუპატიურებას მოჰყვა დაზარალებულის სულიერი დაავადება – შიზოფრენია. ქალს ეს დაავადება წინათაც ჰქონია, მაგრამ გაუპატიურების შედეგად დაავადება მას უფრო გაუმწვავდა და გაუხანგრძლივდა. ყველა ინსტანციის სასამართლო ბრალს მხოლოდ გაუპატიურების ფაქტის

[38] იხ. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, 2002, 141-142-ე გვ.

გამო ასაბუთებდა. მძიმე შედეგის შიზოფრენიის მწვავე ფორმით გა-
ლინების მიმართ ყველა ინსტანციის სასამართლო მხოლოდ ამ
კმაყოფილდებოდა. რომ გაუპატიურებას შედეგად მოჰყვა ფსიქ
დაავადება. მაგრამ ბრალის საკითხზე არც ერთ სასამართლო ინსტ
არ უმსჯელია. მით უმეტეს, რომ დამნაშავემ დაზარალებული ამ
გაიცნო და არ შეიძლებოდა სცოდნოდა მისი ადრინდელი
დაავადების ამბავი.[39]

137-ე მუხლის ანალოგიური მაკვალიფიცირებელი ნიშნები გა
აგრეთვე 138-ე მუხლში (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი
დება).

143-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა თავისუფლების
უკანონოდ აღკვეთისათვის. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" პუნქტით
ჯება უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, თუ ამ ქმედებამ მსხვერპლის
სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. მძიმე შედეგის ცნება მო
იცავს ისეთ შემთხვევებს, როცა, მაგალითად, დაზარალებული სულიერად
დაავადდა ან თავი მოიკლა. ყველა ამ შედეგის მიმართ დამნაშავეს
უნდა ჰქონდეს მხოლოდ გაუფრთხილებლობითი ბრალი. იმ შემთხვევაში,
თუკი დამნაშავე მსხვერპლს განზრახ მოკლავს, ჩადენილი ქმედებები და
ნაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს – 143-ე მუხლის
შესაბამისი ნაწილით და 109-ე მუხლის „ლ" პუნქტით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლით პას
ხისმგებლობაა დაწესებული გაზის, ბენზინის, ნავთის ან სხვა ნივთიერების
განზრახ აფეთქების და ამით შეგნებულად სიცოცხლის, ჯანმრთელობის
ან ქონებისათვის საფრთხის შექმნის გამო. ამიტომ, თუკი ჩამოთვლილი
შედეგები განხორციელდება, მოქმედი პასუხს აგებს ამ შედეგების
განზრახ გამოწვევისათვის.

რაც შეეხება ამ მუხლის მეორე ნაწილს, სადაც ლაპარაკია იმავე
ქმედებაზე, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შე-
დეგი მოჰყვა, ამ შედეგების მიმართ განზრახვა გამორიცხულია. მაგრამ,
მათი ობიექტური შერაცხვა რომ არ მოხდეს, სასამართლო ვალდებულია
კონკრეტულად დაასაბუთოს, რომ ამ შედეგების მიმართ მოქმედს გაუფრ-
თხილებლობითი ბრალი ჰქონდა.

მე-11 მუხლი ისეთ შემთხვევას გულისხმობს, როცა შემადგენლობის
ძირითადი შედეგი განზრახულია, რასაც მოსდევს შედეგი, რომელიც ამ

[39] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 77-ე გვ.

ზრახვით არ იყო მოცული. მაგრამ ეს მუხლი განვრცობითად უნდა
გამართოთ და ისეთი შემადგენლობის მიმართაც უნდა გავავრცელოთ,
სადაც შედეგი როგორც ძირითადი, ისე დამატებითი, ესე იგი მაკვალიფიცირე-
ბელი შედეგი დამნაშავის გაუფრთხილებლობითი ქცევითაა გამოწვეული.

ხშირად შემადგენლობის ძირითადი შედეგის მიმართ კანონი პირდაპირ
მიუთითებს გაუფრთხილებლობით ბრალს, ხოლო მაკვალიფიცირებელი
შედეგისადმი ამაზე არაფერს ამბობს და სიტყვა „გაუფრთხილებლობას"
პირდაპირ არ ახსენებს. მაგალითად, კოდექსის 188-ე მუხლით ისჯება
ავტომობილის ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით, რამაც
მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია". ამ მუხლის მე-2 ნაწილით ისჯება
იგივე ქმედება, ჩადენილი ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყა-
როსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით", ხოლო მე-3 ნაწილით დაწესე-
ბულია პასუხისმგებლობა იმ შემთხვევისათვის, როცა 188-ე მუხლის
მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას „ადამიანის სიცოცხლის
მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა".

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორმაგ გაუფრთხილებლობასთან. პირველ
ორ ნაწილში კანონმდებელი გაუფრთხილებლობაზე პირდაპირ მიანიშნებს,
მე-3 ნაწილში კი მხოლოდ შედეგებს ასახელებს და ბრალის (გაუფრთხი-
ლებლობის) საკითხზე არაფერს ამბობს. მაგრამ სისხლის სამართლის
კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე აქაც აუცილებელია გაუფრთხილებ-
ლობითი ბრალის დასაბუთება.

11.2. მე-11 მუხლის პირველ ნაწილში ლაპარაკია მხოლოდ შედეგზე.
შედეგი ისეთი ფაქტია, რომელიც მიზეზობრივად არის დაკავშირებული
კანონით აღწერილ ქმედებასთან. მაგრამ ქმედების შემადგენლობაში
შეიძლება კანონმდებელი ითვალისწინებდეს სხვაგვარ მაკვალიფიცირებელ
ნიშანს, რომელიც შედეგს იმ გაგებით, როგორც ახლა ვთქვით, არ
წარმოადგენს. ასეთი ნიშნებია, მაგალითად, ასაკი, ორსულობა და სხვ.
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მაკვალიფი-
ცირებელი ნიშნებია მკვლელობა „დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით
ორსული ქალისა" („ბ" პუნქტი) და „დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით
მცირეწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა" ("დ"). ანალოგიური
სახის ნიშნები სხვა მუხლებშიც გვხვდება (იხ. 117-ე მუხლის მე-2 ნა-
წილის „ბ" და "დ" პუნქტები, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" და „დ"
პუნქტები და სხვ.). აქ კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ
დამნაშავეს დაზარალებულის ორსულობის ფაქტი ან მისი არასრულწლო-
ვანება მკვლელობის დროს შეცნობილი უნდა ჰქონდეს. ამიტომ სასამართ-

ლომ ეს გარემოება უტყუარად უნდა დაასაბუთოს განაჩენში.

მაგრამ კოდექსის კერძო ნაწილის ზოგიერთ მუხლში დასახელებული ნიშნების „წინასწარი შეცნობის" აუცილებლობა პირდაპირ მითითებული არ არის. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილით ისჯება „გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი". 259-ე მუხლის მე-2 ნაწილით ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშნად ითვლება „ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა – ა) მცირეწლოვანის თანდასწრებით". 171-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა არასრულწლოვნის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმისათვის, 143[2] მუხლით ისჯება „არასრულწლოვნით ვაჭრობა" და სხვ.

მართალია, არც ერთ აქ დასახელებულ მუხლში არაფერია ნათქვამი იმაზე, უნდა ჰქონდეს თუ არა ეს ნიშნები დამნაშავეს შეცნობილი როცა დანაშაულს სჩადის, მაგრამ სასამართლო ვალდებულია ყველა შემთხვევაში უტყუარად დაადგინოს, რომ „არასრულწლოვნების", „მცირეწლოვნების", „ორსულობის" და სხვა ანალოგიური ნიშნები მოცული იყო დამნაშავის განზრახვით. დამნაშავემ უნდა იცოდეს წინასწარ, რომ იმ ადამიანს, ვისაც იგი ჰყიდის, არასრულწლოვანია, ესე იგი ის ჯერ კიდევ არ არის თვრამეტი წლის; ის, ვისი თანდასწრებითაც ცხოველს სასტიკად ეპყრობიან, მცირეწლოვანია, ესე იგი ჯერ კიდევ არ არის თოთხმეტი წლის და სხვ.

მუხლი 12. დანაშაულის კატეგორიები

1. ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული;

ბ) მძიმე დანაშაული;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

2. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

3. მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით

სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

4. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I. 2000, №18, მუხ. 45).

12.1. საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც საბჭოთა კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონის („საფუძვლები") საფუძველზე იყო აგებული (იგულისხმება კოდექსის ზოგადი ნაწილი), დანაშაულთა კლასიფიკაცია არასრულყოფილად იყო ფორმულირებული, რაც სასამართლო პრაქტიკაში ბევრ გაუგებრობას ქმნიდა. კოდექსის 81-ე მუხლი მძიმე დანაშაულის კატეგორიას ჩამოთვლითი პრინციპით განსაზღვრავდა. ეს პრინციპი მოკლებულია სიზუსტეს და კანონმდებელს ყოველთვის შეიძლება გამორჩეს ზოგიერთი ისეთი ქმედება, რომელიც მიზანშეწონილია მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნოს. კიდევ უფრო ბუნდოვანი იყო კოდექსის მე-12 მუხლის ფორმულირება, რომლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიება, თუ არასრულწლოვნის ჩადენილი ქმედება „დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს". პრაქტიკაში ძნელი გასარკვევი იყო, რას ნიშნავს ქმედების „დიდი საზოგადოებრივი საშიშროება".

მოქმედმა კოდექსმა ამ საკითხის გადასაწყვეტად ფორმალური პრინციპი აირჩია, რაც სასამართლო პრაქტიკაში ყოველგვარ გაუგებრობას თავიდან გვაცილებს. ფორმალური პრინციპის მიხედვით კი დანაშაულის ესა თუ ის კატეგორია სასჯელის ზომის მიხედვით განისაზღვრება. მე-12 მუხლი გამოყოფს დანაშაულის სამ კატეგორიას: 1) ნაკლებად მძიმე დანაშაული, 2) მძიმე დანაშაული და 3) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

12.2. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის კანონით დაწესებული სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. ასეთია, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, რომლის ჩადენისათვის კანონი ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას აწესებს. ასეთივე სასჯელია

დაწესებული აგრეთვე განზრახ მკვლელობისათვის უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (111-ე მუხლი), დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობისათვის (112-ე მუხლი) და სხვ.

12.3. მძიმე კატეგორიის დანაშაულია ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით დაწესებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას. მძიმე დანაშაულად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის კანონით მაქსიმალურ სასჯელად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი განზრახ ჩადენილი მძიმე დანაშაულის სასჯელის მხოლოდ მაქსიმალურ ზომას (ათი წელი) აწესებს, რადგან მინიმალური ზომა (ხუთი წელი) მე-12 მუხლის მე-2 ნაწილითაა განსაზღვრული. რაც შეეხება გაუფრთხილებლობით ჩადენილ მძიმე დანაშაულს, კანონმდებელი ამ შემთხვევაში სასჯელის მხოლოდ მინიმალურ ზომას – ხუთ წელზე ზევით თავისუფლების აღკვეთას განსაზღვრავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთი გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადითაა დაწესებული, მაინც მძიმე დანაშაულად ჩაითვლება და არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.

მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით მაქსიმალურ სასჯელად დაწესებულია ოთხიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის სიმთვრალეში დარღვევისათვის, თუ ამას შედეგად ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა. ეს დანაშაული გაუფრთხილებლობითი დანაშაულია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის მაქსიმალური ზომა აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, ის მაინც მძიმე კატეგორიის დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება.

12.4. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული. როგორც ვხედავთ, გაუფრთხილებლობით ჩადენილი არც ერთი დანაშაული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას არ მიეკუთვნება.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა კოდექსის კერძო ნაწილის ზოგიერთ მუხლში განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაული ისეა ერთმანეთში შერწყმული, რომ ძნელია იმის გარკვევა, რომელი მათგანი რომელ

კატეგორიას მიეკუთვნება. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით რვიდან თვრამეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული იმ შემთხვევისათვის, როცა მძევლად ხელში ჩაგდებას დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა. 144-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედების ჩადენა ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ამის გამო ეს ქმედება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. 144-ე მუხლის მე-2 ნაწილით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული. მაშასადამე, ამ მუხლის მე-2 ნაწილით აღწერილი ქმედება უკვე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია. 144-ე მუხლის როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილით აღწერილი ქმედებები განზრახი დანაშაულებია. რაც შეეხება მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს, აქ უკვე საქმე გვაქვს გაუფრთხილებლობასთან. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ნაწილობრივ (მხედველობაში მაქვს ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი) მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. ამიტომ 144-ე მუხლის პირველი ნაწილით და მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტით აღწერილი ქმედებები, თუ ისინი არ შეიცავენ ამ მუხლის მეორე ნაწილის ან მესამე ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ ნიშნებს, მხოლოდ მძიმე კატეგორიის დანაშაულებად უნდა ჩაითვალონ.

მაგრამ, თუკი დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი 144-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე გარემოებას დაერთო, მაშინ ქმედება ამ მუხლის მეორე და მესამე ნაწილთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება. მთლიანობაში, აქ უკვე განსაკუთრებით მძიმე დანაშაული იქნება ჩადენილი.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაული იქნება ჩადენილი მაშინაც, როცა დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი ორგანიზებული ჯგუფის მიერ მის მძევლად აყვანას მოჰყვა. ასეთ შემთხვევაში ქმედება 144-ე მუხლის ორივე, „ა“ და „ბ“ პუნქტებით დაკვალიფიცირდება. ეს ქმედება უკვე განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულად ჩაითვლება.

თავი IV
ერთიანი დანაშაულის სახეები

მუხლი 13. დენადი დანაშაული

1. დენადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება.

2. დენადი დანაშაული დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან.

13.1. დენადი დანაშაული შეიძლება დაიწყოს მოქმედებით, მაგრამ ერთი მოქმედების დამთავრების შემდეგაც გაგრძელდეს მისი ჩადენა. დენადი დანაშაული ხანგრძლივი დროით გრძელდება ხოლმე და ამით განსხვავდება იმ დანაშაულთაგან, რომლებიც მოკლე დროში მთავრდება (მაგალითად, მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ.). ასეთ დენად დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მუხლი), მძევლად ხელში ჩაგდება (144-ე მუხლი), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (147-ე მუხლი), დევნა (156-ე მუხლი), უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა (223-ე მუხლი), ბანდიტიზმი (224-ე მუხლი), ცეცხლსასროლი იარაღის ტარება (236-ე მუხლი), დეზერტირობა (389-ე მუხლი) და სხვ.

ზოგიერთი დენადი დანაშაული ისეთია, რომელიც უმოქმედობით იწყება და უმოქმედობითვე გრძელდება. მაგალითად, ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (176-ე მუხლი), საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქართველოში დაუბრუნებლობა (215-ე მუხლი), საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა (217-ე მუხლი), გადასახადისათვის თავის არიდება (218-ე მუხლი) და სხვ.

13.2. ორივე სახის დენადი დანაშაულისათვის დამახასიათებელია მათი ჩადენის ხანგრძლივობა. ამ სახის დანაშაული დამთავრებულია, როცა იგი შეწყდება. შეწყდება ეს დანაშაული მხოლოდ მაშინ, როცა დამნაშავეს შეიპყრობს ოფიციალური სახელმწიფო ორგანო, თვითონ გამოცხადდება ბრალის აღიარებით, ანდა ისეთ მოქმედებას ჩაიდენს, რაც დანაშაულის ჩადენის შეწყვეტის ტოლფასია. მაგალითად, ის, ვინც ცეცხლსასროლ იარაღს უკანონოდ ატარებდა, ეს იარაღი მდინარეში

გადააგდო და მისი გამოყენება შეუძლებელი გახდა. დანაშაული დამთავრებული იქნება მაშინაც, თუკი დამნაშავე იარაღს ნებაყოფლობით ჩააბარებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს (იხ. 236-ე მუხლის შენიშვნა).

დენადი დანაშაულის ჩადენის ხანგრძლივობა იმ სპეციფიკური მდგომარეობით არის გამოწვეული, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ამ შემთხვევაში დროის მოკლე მონაკვეთში კი არ მთავრდება, არამედ გრძელდება მანამ, ვიდრე არ გაივლის ამ ხელყოფის საფრთხე. მაგალითად, ბანდიტობა (ბანდიტიზმი) მყარი დანაშაულებრივი ჯგუფია, რომელიც შექმნილია მრავალი დანაშაულის ჩასადენად. ამიტომ ეს გაგრძელდება მანამ, ვიდრე ბანდა ან თვითონ არ დაიშლება, ანდა მის თარეშს სპეციალური ორგანოები არ აღკვეთენ.

ასევეა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაც. ვიდრე კაცი ცეცხლსასროლ იარაღს უკანონოდ ატარებს, არსებობს მუდმივი საფრთხე, რომ ამ იარაღით ვინმე მოკლან ან ჯანმრთელობა დაუზიანონ.

ზოგიერთი სამართლებრივი სიკეთე ისეთია, რომ მისი ხელყოფა ერთი მოქმედებით არ მთავრდება და ეს ხელყოფა შეიძლება თვეებისა და წლების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს. მაგალითად, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება და სხვ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით, მაგალითად, მკვლელობაზე, რომელიც ხშირად რამდენიმე წამშიც კი შეიძლება დასრულდეს.

დენადი დანაშაულის ჩადენის ხანგრძლივობა ზეგავლენას ახდენს მის დისტანციურობაზეც. მაგალითად, თუ დამნაშავე მკვლელობას თბილისში ჩაიდენს და შემდეგ, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, თურქეთში გაიქცევა, ის მხოლოდ საქართველოს კანონით აგებს პასუხს. მაგრამ, თუკი დეზერტირი ვაზიანში მდგარი სამხედრო ნაწილიდან გაიქცევა და თურქეთის ტერიტორიაზე გადავა, ის სუყველგანობის პრინციპის საფუძველზე არა მარტო საქართველოს კანონით, არამედ თურქეთის კანონმდებლობითაცაა პასუხისმგებელი. დანაშაულს დამნაშავე არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ თურქეთის ტერიტორიაზეც სჩადის (ნახ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის განმარტება).

დენადი დანაშაული თავისებურებას ავლენს აგრეთვე მაშინ, როცა ამ დანაშაულს თანამონაწილენი სჩადიან. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა თავდაპირველად დანაშაული მხოლოდ ერთმა პიროვნებამ დაიწყო, თანამონაწილე კი კარგა ხნის შემდეგ ჩაერთო. ეს თვისება, რასაკვირველია, მხოლოდ დენად დანაშაულს არ ახასიათებს. თანამონაწილე,

კერძოდ, დამხმარე შეიძლება ყოველთვის ჩაერთოს დანაშაულში, მაგრამ მხოლოდ დანაშაულის დამთავრებამდე. მაგალითად, დაწყებული მკვლელობის, ქურდობის დროს და სხვ., მაგრამ დენადი დანაშაულისათვის ეს თვისება უფრო დამახასიათებელია. ვთქვათ, საქართველოს ტერიტორიაზე მოტაცებული ადამიანი თურქეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს. სადაც დამნაშავეებს ადგილობრივი მცხოვრები დაეხმარა და ბინა დაუთმო ან რჩევა-დარიგება მისცა და სხვ. ბანდიტური ჯგუფის წევრი შეიძლება გახდეს ვინმე ამ ჯგუფის შექმნის შემდეგაც, მაგრამ დანაშაულის დამთავრებამდე და ა.შ.

დენადი დანაშაულის პირველი სახე მოქმედებით იწყება და შემდეგ გრძელდება ან ახალი მოქმედებებით (მაგალითად, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, როცა თავისუფლებააღკვეთილს სხვა ადგილას ან საზღვარგარეთ გაიყვანენ) ან უმოქმედობით (მაგალითად, დეზერტირობა). მეორე სახე დენადი დანაშაულისა უმოქმედობით იწყება და უმოქმედობითვე მთავრდება (ალიმენტის ან გადასახადის გადახდისაგან ჯიუტად თავის არიდება).

დენადი დანაშაულის კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ მისი ჩადენა მხოლოდ განზრახვის სფეროში ხდება.

მუხლი 14. განგრძობადი დანაშაული

1. განგრძობადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას.

2. განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან.

14.1. განგრძობადი დანაშაული, დენადის მსგავსად, განზრახი დანაშაულია. ეს მომენტი კანონის ტექსტში პირდაპირაა მითითებული. განგრძობადია ორი ან მეტი ისეთი ქმედებისაგან შემდგარი დანაშაული, რომლებიც „ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით" არის მოცული. მაგალითად, ბიბლიოთეკის მუშაკმა მიზნად დაისახა ფარულად გაიტანოს ბიბლიოთეკიდან ქართული ენციკლოპედიის თორმეტტომეული და მიითვისოს, მაგრამ, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, განზრახვა რომ სხვებისაგან შეუმჩნეველად მოიყვანოს სისრულეში, ეს ტომეულები ცალ-ცალკე გააქვს ბიბლიოთეკიდან. ვთქვათ, დღეს ერთი ტომი წაიღო შინ, რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც კი მოხერხებული დრო შეარჩია, მეორე ტომი

გაიტანა და ა.შ.

განგრძობადი დანაშაული უნდა განვასხვაოთ დანაშაულის გამეორებისაგან (არაერთგზისობა). ჩვენს მაგალითში ტომეულების ცალ-ცალკე გატანა ბიბლიოთეკიდან დანაშაულის გამეორებას კი არ წარმოადგენს, არამედ აქ ერთიანი დანაშაულის ცალკეულ ეპიზოდებთან გვაქვს საქმე.[40] ეს ეპიზოდები დამნაშავის ერთიანი განზრახვით არის შეკავშირებული, მაშინ, როცა გამეორების დროს ყოველი დანაშაულებრივი ეპიზოდი დამოუკიდებელი განზრახვით არის მოცული.

განგრძობადი დანაშაულის ჩადენის დროს შეიძლება მოხდეს, რომ თანამონაწილე, ვთქვათ, დამხმარე დანაშაულში ჩაერთოს არა პირველივე ეპიზოდიდან, არამედ მეორე ან მესამე ეპიზოდიდან. ასეთ შემთხვევაში დამხმარეს არ შეერაცხება ბრალად წინა ეპიზოდები, რომლებშიც მას მონაწილეობა არ მიუღია.

14.2. განგრძობადი დანაშაულის დამთავრების მომენტი დამოკიდებულია განზრახვის მოცულობაზე, თუ დამნაშავეს რაიმემ ხელი არ შეუშალა. მაგალითად, თუ დამნაშავეს ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ ჩაედინა ათი ეპიზოდი და მან დანაშაულის ათივე ეპიზოდი განახორციელა, დანაშაული, რასაკვირველია, დამთავრებული იქნება. მაგრამ, თუ მან ეს ვერ მოასწრო და მეხუთე ეპიზოდის ჩადენის შემდეგ დააკავეს, ამ შემთხვევაშიც დანაშაული დამთავრებულია. შესაძლებელია, რომ დამნაშავემ თავისი ნებით ჩანაფიქრი ბოლომდე არ განახორციელოს და ბოლო რამდენიმე ეპიზოდი აღარ ჩაიდინოს. ასეთ შემთხვევაშიც დანაშაული დასრულებულია უკანასკნელი ეპიზოდის ჩადენის მომენტიდან.

თავი V
დანაშაულის სიმრავლე

მუხლი 15. არაერთგზისი დანაშაული

1. არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია, ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.

[40] დენადი და განგრძობადი დანაშაულების საკითხზე იხ. გ. ტყეშელიაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის.

2. დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ ქმნონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

3. თუ არაერთგზისი დანაშაული ამ კოდექსით გათვალისწინებულია გარემოებად, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, პირის მიერ ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული დაკვალიფიცირდება ამ კოდექსის მუხლის შესაბამისი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი არაერთგზისი დანაშაულისათვის.

15.1. ტერმინი „არაერთგზისი დანაშაული" ადრე ჩვენს კანონმდებლობაში არ გამოიყენებოდა. 1960 წლის კოდექსში ამის სანაცვლოდ მიღებული იყო „დანაშაულის გამეორება". უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ რას ნიშნავს სიტყვა გამეორება (არაერთგზის). ეს ნიშნავს შესაბამისი დანაშაულის ერთხელ მეტად ჩადენას, ესე იგი გამეორებას ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

გამეორება, დანაშაულთა ხასიათის მიხედვით, სამი სახის შეიძლება იყოს: 1) იგივეობრივი, 2) ერთგვაროვანი და 3) არაერთგვაროვანი გამეორება.

იგივეობრივია გამეორება, როცა ერთი და იმავე სახის დანაშაულია გამეორებული. მაგალითად, კაცმა, რომელსაც ქურდობა ჰქონდა ჩადენილი, კვლავ ჩაიდინა ეს დანაშაული, ანდა განზრახ მკვლელობა ჰქონდა ჩადენილი და ისევ განზრახ მოკლა კაცი.

ერთგვაროვანია ისეთი დანაშაული, როცა, მართალია, ერთი და იმავე სახის დანაშაული არ არის გამეორებული, მაგრამ პირველად და მეორედ ჩადენილი დანაშაულები გვაროვნულად ერთსა და იმავე ტიპს მიეკუთვნება. მაგალითად, ქურდობის შემდეგ კაცმა ძარცვა, თაღლითობა ან ყაჩაღობა ჩაიდინა და ა.შ.

არაერთგვაროვანია ისეთი დანაშაულები, რომლებიც სულ სხვადასხვა სიკეთეს ხელყოფენ. მაგალითად, ქურდობის შემდეგ კაცმა განზრახ მკვლელობა ან გაუპატიურება ჩაიდინა და სხვ.[41]

მე-15 მუხლი, 1960 წლის კოდექსისაგან განსხვავებით, ერთგვარად

[41] იხ. გ. ტყეშელიაძე, პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, მე-60 გვ. ასე დაყოფა არა მხოლოდ ჩვეულებრივ გამეორებას, არამედ დანაშაულის რეციდივსაც ახასიათებს.

აკონკრეტებს დანაშაულის გამეორების ცნებას, როცა ადგენს, რომ „არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას". მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ო" პუნქტით დაწესებულია პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის არაერთგზის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის. ამ პუნქტით ქმედების კვალიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავეს, ესე იგი იმას, ვინც სხვას ჯანმრთელობა განზრახ მძიმედ დაუზიანა, ადრე ჩადენილი ჰქონდა ასეთივე დანაშაული. მაგრამ გამეორებად (არაერთგზისობად) ვერ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როცა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ჩადენამდე ადამიანს ჩადენილი ჰქონდა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება ან განზრახ მკვლელობა და ა.შ. მაგრამ, თუ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას წინ უძღოდა 108-ე ან 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა, დამნაშავე პასუხს აგებს 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ჰ" პუნქტით. 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" პუნქტით პასუხისმგებლობას იწვევს თავისუფლების უკანონო აღკვეთა არაერთგზის. მე-15 მუხლის თანახმად, ამ პუნქტით ვერ დაკვალიფიცირდება ისეთი შემთხვევა, როცა კაცს ადრე ჩადენილი ჰქონდა დანაშაული ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდება (144-ე მუხლი) და შემდეგ ჩაიდინა უკანონო თავისუფლების აღკვეთა (143-ე მუხლი).

კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გამეორებად (არაერთგზისად), როცა ეს პირდაპირაა კანონით დადგენილი. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე შენიშვნის თანახმად, „ამ კოდექსის 177–186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა".

ყურადღებას იპყრობს კოდექსის 109-ე მუხლის „ო" პუნქტი, რომლითაც პასუხისმგებლობაა დაწესებული განზრახ მკვლელობისათვის „არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110–114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა)". ამ ტექსტის მიხედვით თუ ეიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ამ პუნქტით დაკვალიფიცირდება ისეთი შემთხვევაც, როცა წინათ ჩადენილი განზრახ მკვლელობა დაკვალიფიცირებული იყო 108-ე ან 109-ე მუხლებით და კაცმა კვლავ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა.

15.2. დანაშაულის გამეორებად (არაერთგზისობად) ვერ ჩაითვლება

ისეთი შემთხვევა, როცა წინა დანაშაულისათვის კაცი გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან კანონით დადგენილი წესით. ეს წესი დადგენილია სისხლის სამართლის კოდექსის 68–71-ე მუხლებით (იხ. ამ მუხლების განმარტება).

გამეორებად (არაერთგზისობად) არ ჩაითვლება არც ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენის დროს წინა დანაშაულისათვის კაცს ნასამართლობა მოსხნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა (ნახ. 79-ე მუხლის განმარტება).

15.3. როგორც ზემოთ ვნახეთ, დანაშაულის გამეორება (არაერთგზისობა) ორი სახის არის: 1) იგივეობრივი გამეორება, როცა ჩადენილია ერთი და იმავე მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული და 2) როცა ჩადენილი დანაშაულები სხვადასხვა მუხლებით ან მუხლის ნაწილებითაა გათვალისწინებული. დანაშაულის გამეორების ამ მეორე სახეს ერთგვაროვანი გამეორება ეწოდება, რადგან ერთგვაროვანი დანაშაულებია ჩადენილი (მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ.).

მაგრამ, თუ დანაშაულის იგივეობრივი გამეორების დროს ქმედება მხოლოდ ერთი მუხლით დაკვალიფიცირდება (ჩადენილი არაერთგზის), ერთგვაროვანი გამეორების დროს დანაშაულის კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით უნდა მოხდეს. მაგალითად, როცა კაცმა ყაჩაღობის მერე იქურდა, დანაშაულები დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტით (არაერთგზის ჩადენილი ქურდობა), თუ არ არის ამ დანაშაულთა სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშნები.

დაგვრჩა განსახილველი ის შემთხვევა, როცა კაცმა დანაშაული გაიმეორა, მაგრამ არც ერთ მუხლში, რომლებითაც ეს დანაშაულებია გათვალისწინებული, გამეორება (არაერთგზისობა) კანონმდებელმა მაკვალიფიცირებელ ნიშნად არ შეიტანა. შეუძლია თუ არა ამ შემთხვევაში სასამართლოს დანაშაულის გამეორების გამო დაამძიმოს დამნაშავის პასუხისმგებლობა? თანაც, შესაძლებელია თუ არა ასეთი დამძიმება როგორც იგივეობრივი, ისე ერთგვაროვანი გამეორების დროს?

მაგალითად, კაცი, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში), ახლა არასრულწლოვანით ვაჭრობს (143[2] მუხლი); არაერთგზის ჩადენილ დანაშაულად ეს ვერ ჩაითვლება, მაგრამ სასამართლოს ამ მუხლის შესაბამისი ნაწილის

სანქციის ფარგლებში შეუძლია დაამძიმოს დამნაშავის პასუხისმგებლობა. დამძიმების საფუძველი იქნება ერთგვაროვანი დანაშაულის გამეორება.

კოდექსის 137-ე მუხლის (გაუპატიურება) მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტით პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვისაც წინათ ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138–141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. მაგრამ, ვთქვათ, კაცს ადრე ჩადენილი ჰქონდა გაუპატიურება (137-ე მუხლი) და ამის შემდეგ ჩაიდინა 139-ე (სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება) ან 140-ე (სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან) მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. სასამართლოს ამ შემთხვევაშიც შეუძლია დაამძიმოს პასუხისმგებლობა შესაბამისი მუხლით დაწესებული სანქციის ფარგლებში.

მუხლი 16. დანაშაულთა ერთობლიობა

1. დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არცერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული. დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს.

2. თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით.

(საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი –"საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I, 2000, № 20, მუხ. 51).

16.1. დანაშაულთა სიმრავლის ერთ-ერთ სახეს დანაშაულთა ერთობლიობა წარმოადგენს. დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ორი ან მეტი ისეთი დანაშაულის ჩადენას, რომლებიც კოდექსის სხვადასხვა მუხლებით ან ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილებითაა გათვალისწინებული და არც ერთისათვის დამნაშავე ჯერ მსჯავრდებული არ ყოფილა.

დანაშაულთა ერთობლიობის ორი სახე არსებობს: 1) რეალური და 2) იდეალური. ძირითადად გავრცელებულია რეალური ერთობლიობა. რეალურია ისეთი ერთობლიობა, როცა ორი ან მეტი მოქმედებით ორი

ან მეტი დანაშაულია ჩადენილი. მაგალითად, კაცმა ჯერ ჩაიდინა ქურდობა (177-ე მუხლი) და შემდეგ განზრახ მკვლელობა (108-ე მუხლი). დანაშაულთა რეალური ერთობლიობისათვის ტიპურია, როცა პირველი დანაშაული მეორისაგან დროში დაცილებულია. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ორი ან მეტი დანაშაული დროში ერთმანეთს ემთხვეოდეს. მაგრამ მაინც რეალური ერთობლიობა იყოს. ეს ხდება მაშინ, როცა ორი ან მეტი დანაშაულიდან, თუ ყველა არა, ერთი მაინც დენადი დანაშაულია. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება და იმავე დროს ალიმენტის გადახდისაგან ჯიუტად თავის არიდება, ანდა დეზერტირობა და საზღვრის უკანონო დარღვევა (როცა დეზერტირი საზღვარგარეთ გარბის) და ა.შ. [42]

დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა გვაქვს მაშინ, როცა ერთი მოქმედებით ორი ან მეტი დანაშაულია ჩადენილი. მაგალითად, თოთხმეტ წელს მიუღწეველი ქალის გაუპატიურება, რითაც დამნაშავემ დაზარალებულს შიდსი შეჰყარა. ეს ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 („ვ“ პუნქტით) და მე-4 ნაწილებით.

დანაშაულთა ერთობლიობა ისეთი შემთხვევაა, როცა ჩადენილია რამდენიმე დანაშაული და დამნაშავე არც ერთისათვის ჯერ გასამართლებული არ არის. მაგრამ ზოგჯერ ერთი დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანის შემდეგ შეიძლება გაირკვეს, რომ დამნაშავეს ამ განაჩენის გამოტანამდე კიდევ აქვს ჩადენილი სხვა დანაშაული. ასეთი შემთხვევაც დანაშაულთა ერთობლიობად უნდა მივიჩნიოთ.[43] დანაშაულთა ერთობლიობა ტიპურად დანაშაულის გამეორებაა (არაერთგზისობა), მაგრამ ყოველი გამეორება არ შეიძლება მივიჩნიოთ ერთობლიობად. გამეორებისათვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია დროითი შუალედი პირველ და მეორე დანაშაულს შორის. თუმცა შესაძლებელია ორი ან მეტი დანაშაული ერთდროულად იყოს ჩადენილი. ასეთ დროს იქნება არა გამეორება, არამედ დანაშაულთა ერთობლიობა (მაგალითად, ჩადენილია ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება და განზრახ მკვლელობა და ა.შ.).

[42] ვერ დავეთანხმებით თ. დონჯაშვილის მტკიცებას, თითქოს „განსხვავებით დანაშაულთა იდეალური ერთობლიობისაგან რეალური ერთობლიობისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ჩადენილი ქმედებები არ ემთხვევა ერთმანეთს დროში“ (იხ. საქართველოს სისხლის სამართალი, 207-ე გვ.) სწორად მსჯელობს ამ საკითხზე რუსი ავტორი ა. იგნატოვი (იხ. Комментарий к Уголовному Кодексу Российской федерации, 3-ье изд., М., 2000, стр.24).

[43] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 235-ე გვ.

ერთობლიობა არ გვექნება მაშინ, როცა იგივეობრივი დანაშაულია ჩადენილი. მაგალითად, გამეორებით ქურდობა დაკვალიფიცირდება არა დანაშაულთა ერთობლიობით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით („ბ“ პუნქტი – ქურდობა ჩადენილი „არაერთგზის“).

მაგრამ ზოგჯერ გამეორებით ქურდობაც შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილია ქურდობა არაერთგზის და თუ ამავე დროს ქურდობის საგანია ისეთი სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მისაკუთრების მიზნით, რომლის ღირებულება ათი ათას ლარს აღემატება, ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ბ“ პუნქტებით (ქურდობა „არაერთგზის“ და „დიდი ოდენობით“).

16.2. იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია მოჩვენებითი ერთობლიობის ცნება. ასეთ დროს ერთი დანაშაული შეიძლება მოცული იყოს კოდექსის ორი ან მეტი მუხლით, მაგრამ ერთობლიობა არ გვექნება. ეს შემთხვევა გვხვდება ზოგადი და სპეციალური ნორმების ურთიერთობის დროს, როცა ჩადენილი ქმედება ზოგადი მუხლითაცაა მოცული და სპეციალურითაც. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი განზრახი მკვლელობის ზოგადი მუხლია, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მუხლი ყოველგვარ განზრახ მკვლელობას მოიცავს.

მაგრამ კანონმდებელი აყალიბებს აგრეთვე განზრახი მკვლელობის სპეციალურ შემადგენლობებს, რომლებითაც გამოყოფს განზრახი მკვლელობის ზოგიერთ მძიმე შემთხვევას ან უფრო მსუბუქ შემთხვევას და ამის მიხედვით ქმნის სპეციალურ შემადგენლობას. ამ დროს ზოგად და სპეციალურ შემადგენლობებს შორის კონკურენცია წარმოიშობა. მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად აქ დანაშაულთა ერთობლიობა გამორიცხულია. ზოგად და სპეციალურ მუხლებს შორის წარმოშობილ კონკურენციაში კი სპეციალური მუხლი იმარჯვებს. ქმედება ასეთ დროს უნდა დაკვალიფიცირდეს სპეციალური მუხლით. მაგალითად, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით დაკვალიფიცირდება არა დანაშაულთა ერთობლიობით კოდექსის 108-ე და 110-ე მუხლებით, არამედ მხოლოდ 110-ე მუხლით, რადგან ის 108-ე მუხლის მიმართ სპეციალური მუხლია. კოდექსის 144-ე მუხლი (მძევლად ხელში ჩაგდება) 143-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობის (თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა) სპეციალური შემთხვე-

ვაა. ამიტომ მძევლად ხელში ჩაგდება მხოლოდ 144-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.[44]

მიუხედავად ამისა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ეს პრინციპი ხშირად ირღვევა. ასეთი დარღვევა განსაკუთრებით ხშირია მაშინ, როცა ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილების დანაშაულთა ერთობლიობის წესით კვალიფიკაციასთან გვაქვს საქმე. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ აბაშის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 24 ივლისის განაჩენი ბ. ტყებუჩავას მიმართ. განაჩენით ბ. ტყებუჩავას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, მეორე ნაწილის „ბ" და „გ" პუნქტებით და მესამე ნაწილის „გ" პუნქტით დაედო მსჯავრი. ეს კვალიფიკაცია ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 14 თებერვლის განაჩენით არ შეცვლილა. მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის საფუძველზე ხსენებული განაჩენი განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ, რომელმაც 2003 წლის 6 მაისის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო პალატის განაჩენით განსაზღვრული კვალიფიკაცია უცვლელი დატოვა.[45]

ქმედების ასეთი კვალიფიკაცია სწორი არ არის. 177-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაცია აქ სრულიად ზედმეტია. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლით დანაშაულთა ერთობლიობის წესით სავსებით შესაძლებელია ქმედების ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილებით კვალიფიკაცია, მაგრამ აქ არც ერთ შემთხვევაში არ იგულისხმება მუხლის პირველი ნაწილი. 177-ე მუხლის პირველი ნაწილი ზოგადი ნორმაა, რომელიც ქურდობის ყველა შემთხვევას მოიცავს. რაც შეეხება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებებს, ისინი სპეციალური შემთხვევებია. ამიტომ აქ საკითხი „ზოგადი და სპეციალური ნორმების" ურთიერთობის წესის მიხედვით უნდა გადაწყდეს.

ზოგადი და სპეციალური ნორმებით გათვალისწინებული შემადგენლობების ერთობლიობით დაკვალიფიცირება იმიტომ არის მიუღებელი, რომ ამით ირღვევა ne bis in idem-ის პრინციპი. სამწუხაროდ, ჩვენს

[44] მ. ტურავა არ არის მართალი, როცა წერს, თითქოს „მძევლად ხელში ჩაგდება" (144-ე მუხლი) იდეალურ ერთობლიობაშია „თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან" (იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, 2002, 53-ე გვ.).

[45] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №5, 561–563-ე გვ.

სასამართლო პრაქტიკაში ასეთი შეცდომები არცთუ იშვიათია.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 თებერვლის განაჩენით ბ.ჭ-იას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" და „გ" პუნქტებით და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და "გ" პუნქტებით დაედო მსჯავრი. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 3 მაისის განაჩენით ხსენებული განაჩენი არ შეცვლილა. რაიონული სასამართლოს განაჩენი ბ.ჭ-იას ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში არ შეცვლილა არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის განჩინებითაც.[46]

მაგრამ ეს კვალიფიკაცია სწორი არ არის. 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტი, რომლითაც, დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის სხვა პუნქტებთან ერთად, დაკვალიფიცირებულია ბ.ჭ-იას დანაშაულებრივი ქმედება, დაზარალებულის „მნიშვნელოვან დაზიანებას" ითვალისწინებს. 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" პუნქტი კი, რომლითაც ასევე დაკვალიფიცირებულია ბ.ჭ-იას ქმედება, „დიდი ოდენობით" ზიანს მოიცავს.

ერთი სიტყვით, მივიღეთ ის, რომ ერთი და იგივე შედეგი, უფრო ზუსტად, მოპარული ნივთის ღირებულების მიხედვით, ქმედება 177-ე მუხლის ორი პუნქტით – მე-2 ნაწილის „გ" და მე-3 ნაწილის „ბ" პუნქტებით დაკვალიფიცირდა და დამნაშავეს ეს ნიშანი ორჯერ შეერაცხა ბრალად. ეს არის ერთი და იმავე შედეგისათვის კაცის ორჯერ გასამართლება, რაც მიუღებელია თანამედროვე სისხლის სამართლისათვის.

როცა ქმედება 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" პუნქტით (ქურდობა „დიდი ოდენობით" ქონებისა) კვალიფიცირდება, მაშინ ამ ქმედების დამატებით 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტით („მნიშვნელოვანი ზიანი") დაკვალიფიცირება დაუშვებელია. „დიდი ოდენობა" თავისთავად მოიცავს „მნიშვნელოვან ზიანს" და ამიტომ ამ ნიშნების ცალ-ცალკე შეფასება არ შეიძლება. 177-ე მუხლის პირველი შენიშვნის მიხედვით „დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით." რაც შეეხება „მნიშვნელოვან ზიანს," ამ ცნებაში ათი ათას მანეთზე ნაკლები ღირებულების ნივთი იგულისხმება. ამიტომ ნიშანი „დიდი ოდენობა" მოიცავს „მნიშვნელოვან ზიანს".

დ. ივანოვს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 31 მაისის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის

[46] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №4, 1009–1011-ე გვ.

კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ" და ,,გ" პუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" და ,,დ" პუნქტებით დაედო მსჯავრი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2002 წლის 5 დეკემბრის განაჩენით რაიონული სასამართლოს განაჩენი დ. ივანოვის მიმართ არ შეცვლილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის 2003 წლის 20 თებერვლის განჩინებით თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2002 წლის 5 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა მხოლოდ იმ ნაწილში, რომ დ. ივანოვის დანაშაულებრივი ქმედება, დამთავრებული დანაშაულის ნაცვლად, სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის საფუძველზე დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირდა.

ქმედების ასეთი გადაკვალიფიცირება, რასაკვირველია, სწორი იყო. მაგრამ რაიონული და სააპელაციო სასამართლოს განაჩენებში დ. ივანოვის მიმართ იყო სხვა შეცდომაც, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ უყურადღებოდ დატოვა.

საქმე ის არის, რომ დ.ივანოვი ქურდობის ჩადენამდე ხუთჯერ იყო ნასამართლევი და განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტადაც კი იყო ცნობილი. ამის გამო მისი ქმედება სწორად იყო დაკვალიფიცირებული 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,დ" პუნქტით (,,ქურდობა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის").

მაგრამ არ იყო სწორი, როცა დ. ივანოვის ქმედება დამატებით 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ" პუნქტითაც (ქურდობა ჩადენილი ,,არაერთგზის") იყო დაკვალიფიცირებული. არსებითად აქაც საქმე გვაქვს დანაშაულის ერთი და იმავე მაკვალიფიცირებელი ნიშნისათვის ადამიანის ორჯერ გასამართლებასთან, რაც ne bis in idem-ის პრინციპს ეწინააღმდეგება. ,,ორჯერ არ მეტჯერ" ნასამართლევისაგან ქურდობა იგივეა, რაც ქურდობა ,,არაერთგზის." 177-ე მუხლის ამ ორ პუნქტს შორის განსხვავება არაარსებითია. ერთი სიტყვით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ" პუნქტი მოცულია ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ,,დ" პუნქტით და ამიტომ ასეთ შემთხვევაში ქმედება მხოლოდ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,დ" პუნქტით უნდა დაკვალიფიცირდეს.

საბრალდებო დასკვნით ბ. ბერიძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" პუნქტით ბინაში შეღწევით

ქურდობისათვის დაედო ბრალი. ბ. ბერიძემ თ. ოთიაშვილის ბინა გაქურდა, საიდანაც 1825 ლარის ღირებულების ნივთები წაიღო. ქონების ეს ღირებულება, ეჭვი არ არის, მნიშვნელოვან ზიანად უნდა მივიჩნიოთ. მიუხედავად ამისა, საბრალდებო დასკვნაზე დაყრდნობით რუსთავის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 ივლისის განაჩენით ბ. ბერიძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" პუნქტით (ბინაში შეღწევით ქურდობა) დაედო მსჯავრი. გამოძიებამ და სასამართლომ უარი თქვა ბ. ბერიძის ქმედების 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ" პუნქტით კვალიფიკაციაზე. გარდა ამისა, ბ. ბერიძემ ეს ბინა მეორედ გაქურდა, რაც ასევე უნდა ასახულიყო კვალიფიკაციაში და ქმედება 177 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ" პუნქტითაც (არაერთგზის ქურდობა) დაკვალიფიცირებულიყო. ასე რომ, ხსენებული სასამართლოს განაჩენი ბ. ბერიძის მიმართ აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მოთხოვნას.

ასეთივე შეცდომა გვხვდება ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 ივლისის განაჩენშიც, რომლითაც კ. მოდებაძეს, მ. გვიმრაძეს და ნ. ძინძიბაძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" პუნქტით (ბინაში შეღწევით ქურდობა) დაედო მსჯავრი. კ. მოდებაძე, მ. გვიმრაძე და ნ. ძინძიბაძე წინასწარი შეთანხმებით შევიდნენ ბ. ბერიძის სააგარაკო სახლში და იქიდან 900 ლარად ღირებული გენერატორი გამოიტანეს. სახლში შესვლისას მათ, ამავე დროს, 30 ლარად ღირებული ფანჯრის გისოსი დააზიანეს. ასე რომ, საერთო ზარალი 930 ლარამდე ავიდა, რაც წინასწარმა გამოძიებამ ,,მნიშვნელოვან ზიანად" შეაფასა. ეს ქმედება საბრალდებო დასკვნით კ. მოდებაძის და მ. გვიმრაძის მიმართ სწორად დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" და ,,გ" პუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" პუნქტით.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ ეს სწორი კვალიფიკაცია შეცვალა. განაჩენში ნათქვამია: ,,ბრალდების კვალიფიკაციის განსაზღვრისას სასამართლო თვლის, რომ განსასჯელებს კობა მოდებაძეს და მალხაზ გვიმრაძეს ზედმეტად აქვთ წარდგენილი 177-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა" და ,,გ" პუნქტებით გათვალისწინებული ბრალდება, ნოდარ ძინძიბაძეს 177 მუხლის მეორე ნაწილის ,,ა", ,,ბ" და ,,გ" პუნქტებით წარდგენილი ბრალდება, რადგან სსკ 177-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,გ" პუნქტი მოიცავს ზემოაღნიშნული მუხლის მეორე ნაწილს თავისი შესაბამისი

პუნქტებით, რის გამოც მათი დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 177 მუხლის მეორე ნაწილის „გ" პუნქტით".

აქ შეცდომა ის არის, რომ, სასამართლოს აზრით, 177-ე მუხლით აღწერილი უფრო მძიმე შემადგენლობა (177-ე მუხლი მე-3 ნაწილის „გ" პუნქ.) თითქოს უნდა მოიცავდეს 177-ე მუხლის „მეორე ნაწილს თავისი შესაბამისი პუნქტებით". ქმედების ასეთი კვალიფიკაცია ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლს, რომლის მიხედვით დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილით „გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას."

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს 2002 წლის 4 ივნისის განაჩენით დ. სილაგაძესა და ბ. ფრუიძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტით დაედოთ მსჯავრი. 2001 წლის 5 აპრილს დ.სილაგაძემ და ბ. ფრუიძემ წინასწარი შეთანხმებით გაქურდეს თბილისის თერმული დაზიანებისა და პლასტიკური ქირურგიის ცენტრის სისხლის გადასხმის კაბინეტი, საიდანაც ვ. აზარაშვილის 50 ლარად ღირებული ხელჩანთა წაიღეს.

იმავე წლის 7 აპრილს მათ შეაღწიეს თბილისის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს საორდინატორო ოთახში, საიდანაც 30 ლარად ღირებული ხელჩანთა და 4 ლარი წაიღეს. წაღებული ნივთები მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანად შეფასდა.

საქმე გასაჩივრდა თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში, რომელმაც მსჯავრდებულებს რაიონული სასამართლოს განაჩენით მისჯილი 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნახევრა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში პროკურორი თავისი საკასაციო საჩივრით ითხოვდა სააპელაციო განაჩენის გაუქმებას „სასჯელის მეტის-მეტი სიმსუბუქის გამო".

სამწუხაროდ, პროკურორს არ გახსენებია, რომ, უპირველეს ყოვლისა, მას ქმედებათა მცდარი კვალიფიკაციის გამო ორივე განაჩენის (რაიონულის და სააპელაციოს) გაუქმება უნდა მოეთხოვა.

მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს ქურდობა წინასწარი შეთანხმებით, არაერთგზის დაზარალებულები მნიშვნელოვნად დააზიანეს. ამას უნდა დაემატოს ქურდობა სადგომში შეღწევით. ამიტომ მათი ქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ," „გ" და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტებით უნდა დაკვალიფიცირებულიყო. აქაც დარღვეულია საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მოთხოვნა.

აქ მოტანილი მაგალითებით აშკარაა, რომ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შეცდომები ქმედების ერთი მუხლის სხვადასხვა ნაწილებით კვალიფიკაციის დროს; ასევე ხშირად ცდებიან სასამართლოები ქმედების სპეციალობის ნიშნით კვალიფიკაციაში და ვერ ანსხვავებენ ამ შემთხვევებს დანაშაულთა ერთობლიობისაგან. საბოლოოდ ეს ne bis in idem-ის[47] პრინციპის დარღვევას და დამნაშავისათვის ერთი ქმედების ბრალად ორჯერ შერაცხვას იწვევს.

დანაშაულთა ერთობლიობის წესით ქმედების კვალიფიკაციის დროს სასჯელის დანიშვნის საკითხზე იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის განმარტება.

მუხლი 17. დანაშაულის რეციდივი

1. დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

2. საშიშ რეციდივად ითვლება, როდესაც:

ა) წინათ განზრახი დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას;

ბ) წინათ განზრახი მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი მძიმე დანაშაული.

3. განსაკუთრებით საშიშ რეციდივად ითვლება, როდესაც:

ა) წინათ განზახი ნაკლებად მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის სამჯერ ან მეტჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას;

ბ) წინათ განზრახი მძიმე დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ მსჯავრდებულმა ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი მძიმე დანაშაული;

გ) წინათ განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

4. დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის,

[47] იხ. ამ საკითხზე ჩემი პოლემიკური წერილები: „სასამართლო პრაქტიკის კომენტარი" და „არა, პლენუმი ამჯერად არ შემცდარა!" (ოთარ გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998).

აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია ამ კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

5. დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით და დადგენილ ფარგლებში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი.

17.1. რეციდივი (ლათ. recidivus) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რაიმე მოვლენის გამეორებას. სისხლის სამართალში რეციდივი დანაშაულის გამეორებას აღნიშნავს. მაგრამ ჩვეულებრივი გამეორებისაგან განსხვავებით, რეციდივი ისეთი გამეორებაა, როცა წინა დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული. მაშასადამე, წინა დანაშაულისათვის მსჯავრდება აქ გადამწყვეტია. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, დანაშაულის რეციდივი მხოლოდ განზრახი დანაშაულებისათვის არის დამახასიათებელი. განზრახვის ცნებაში იგულისხმება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვა. მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა უარი თქვა ტერმინზე „რეციდივისტი" და იყენებს მხოლოდ რეციდივის ცნებას, რაც მიგვაჩნია, რომ უფრო გამართლებულია. თუმცა, ამ ცნებაში მაინც დარჩა დიდი ხნის წინათ უარყოფილი „სოციოლოგიური სკოლის" კვალი...

მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულის რეციდივია ისეთი გამეორება, როცა წინათ განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული კვლავ ჩაიდენს განზრახ დანაშაულს. არა აქვს მნიშვნელობა იმას, წინათ კაცს იგივეობრივი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი თუ ერთგვაროვანი ან არაერთგვაროვანი, რადგან კანონის ტექსტში ამ საკითხზე არაფერია ნათქვამი. ამავე დროს არა აქვს მნიშვნელობა რა ჰქონდა კაცს მისჯილი ადრე და რას უსჯიან ახლა. დანაშაულის რეციდივი გვაქვს მხოლოდ მაშინ, როცა ნაკლებად მძიმე დანაშაულია ჩადენილი. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილით („გ" პუნქ.) პასუხს აგებს ის, ვინც ადრე ასეთივე დანაშაულის, ესე იგი უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის იყო მსჯავრდებული. კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილით („გ" პუნქ.) პასუხისმგებლობას იწვევს მომხმარებლის მოტყუება, როცა ეს ქმედება წინათ ასეთივე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა ჩაიდინა.

17.2. მე-17 მუხლის მეორე ნაწილი, დანაშაულის რეციდივისაგან განსხვავებით, საშიში რეციდივის ცნებას განსაზღვრავს. საშიშ რეციდივად მიჩნეულია ისეთი შემთხვევა, როცა კაცი ადრე არანაკლებ ორჯერ მა-

ინც იყო მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთით განზრახი დანაშაულისათვის და კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რომლის გამო მას თავისუფლების აღკვეთას უსჯიან. არა აქვს მნიშვნელობა, რა სახის დანაშაული ჩაიდინა კაცმა ადრე და რა სახისაა ახლად ჩადენილი დანაშაული (იგივეობრივი, ერთგვაროვანი თუ არაერთგვაროვანი). არც იმას ექცევა აქ ყურადღება, რა ზომის სასჯელი ჰქონდა მას მისჯილი ადრე და რა ზომის სასჯელი მიუსაჯა სასამართლომ ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის. ეს არის საშიში რეციდივის პირველი სახე, რომელიც მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტითაა განსაზღვრული.

საშიში რეციდივის მეორე სახე განსაზღვრულია მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტით. ამის მიხედვით საშიშ რეციდივად მიჩნეულია ისეთი შემთხვევა, როცა წინათ განზრახი მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი მძიმე დანაშაული.

მაშასადამე, წინათ და ახლად ჩადენილიც უნდა იყოს განზრახ მძიმე დანაშაული და მხოლოდ პირველ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს მისჯილი დამნაშავეს თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთის ზომას, ამას მნიშვნელობა არა აქვს (მძიმე დანაშაულის ცნების საკითხზე ნახეთ მე-12 მუხლის განმარტება). არც იმას აქვს მნიშვნელობა, რა სახის მძიმე დანაშაულია ჩადენილი (იგივეობრივი, ერთგვაროვანი თუ არაერთგვაროვანი).

სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენის ან გასაღებისათვის. ამ მუხლის მე-2 ნაწილით („ე" პუნქ.) პასუხს აგებს ის, ვინც ადრე ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის" და ახლა ჩაიდინა 186-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

მაგრამ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება იმ შემთხვევაში, როცა 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე" პუნქტით მითითებული დანაშაულებისათვის „ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევმა" ჩაიდინა არა 186-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი, არამედ ამავე მუხლის მეორე ნაწილით აღწერილი ქმედება. ვთქვათ, ხსენებული დანაშაულებისათვის „ორჯერ ან მეტჯერ" ნასამართლევმა შეიძინა ან გაასაღა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომობილი (მე-2 ნაწ. „გ" პუნქ.) ან ჩაიდინა ეს ქმედება არაერთგზის (მე-2 ნაწ. „ბ" პუნქ.) და სხვ. ასეთ დროს ქმედება

დაკვალიფიცირდება 186-ე მუხლის მე-2 ნაწილით და კვალიფიკაციაში აისახება შესაბამისი პუნქტები (არაერთგზის, ავტომობილის მიმართ და ა.შ.). 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის რამდენიმე პუნქტით ქმედების კვალიფიკაცია შემდეგ აისახება სასჯელის ზომის განსაზღვრაზე.

მაგრამ თუ ,,ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევი" ორგანიზებული ჯგუფის წევრია ან ,,სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით" სჩადის ამ დანაშაულს, ქმედება დაკვალიფიცირდება 186-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ერთობლიობით (შესაბამისი პუნქტების ასახვით). ეს შემთხვევაც იქნება საშიში რეციდივი, თუ წინათ კაცი ნასამართლევი იყო განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა და 186-ე მუხლითაც უსჯიან თავისუფლების აღკვეთას.

თუ ადრე განზრახი მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა 186-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, აქაც გვექნება დანაშაულის საშიში რეციდივი (იხ. მე-17 მუხლის ,,ბ" პუნქტი).

17.3. რეციდივის მესამე სახეა განსაკუთრებით საშიში რეციდივი. მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტით, განსაკუთრებით საშიშ რეციდივად ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როცა წინათ განზრახი ნაკლებად მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის სამჯერ ან მეტჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მას თავისუფლების აღკვეთას უსჯიან. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი მნიშვნელობას არ აძლევს იმას, რა ჰქონდა კაცს მისჯილი წინა დანაშაულებისათვის. მთავარია, რომ ახალი დანაშაულისათვის მას თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოს.

მეორე სახე განსაკუთრებით საშიში რეციდივისა (,,ბ" პუნქ.) გვექნება მაშინ, როცა წინათ განზრახი მძიმე დანაშაულისათვის არანაკლებ ორჯერ მსჯავრდებული ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული განზრახ დანაშაულს ჩაიდენს. აქ უკვე, როგორც ვხედავთ, აქცენტი დანაშაულის სიმძიმეზეა გადატანილი და სასჯელის სახეს და ზომას მნიშვნელობა არ ეძლევა. თუმცა ახალი დანაშაული შეიძლება ნაკლებად მძიმეც იყოს.

განსაკუთრებით საშიში რეციდივია (,,გ" პუნქ.) მაშინაც, როცა წინათ განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა. სასჯელის სახეს და

ზომას არც აქ ექცევა ყურადღება.

17.4. სასამართლომ განაჩენით მე-17 მუხლის საფუძველზე უნდა განსაზღვროს რეციდივის სახეობა. მაგრამ ამ დროს მას უფლება არა აქვს მხედველობაში მიიღოს თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდება. აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც კაცს მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ამ კოდექსის 79-ე მუხლის საფუძველზე.

17.5. ნებისმიერი სახის რეციდივი შესაძლებელია კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში განზრახი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად იყოს გათვალისწინებული. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა რეციდივი განზრახი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანს არ წარმოადგენს, მას სასამართლო მხედველობაში მიიღებს სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს. რაც უფრო მძიმეა რეციდივი, მით უფრო იმატებს სასჯელის ზომა, თუ არ გვაქვს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება (იხ. ამ საკითხზე 58-ე მუხლის განმარტება).

მუხლი 17[1]. რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი

1. რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებასა და სასჯელის მოხდის ვადა.

2. რეკეტულ დაჯგუფებად ითვლება თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება.

3. რეკეტირი არის პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავების გადაწყვეტაში.

(საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის №212 რს კანონი)

17¹.1. ტერმინი რეკეტი ჩვენს კანონმდებლობაში პირველად შემოვიდა 2004 წლის 24 ივნისის კანონით, ამიტომ დღემდე არ არსებობდა ან თითქმის არ არსებობდა ამ ტერმინის განმარტება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. ზოგადი წარმოდგენით ვიცოდით, რომ რეკეტი არის გამოძალვა. ეს რომ მართლაც ასეა, გამოჩნდა იქიდან, რომ მე-17¹ მუხლის საფუძველზე კანონმდებელმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლს დაუმატა მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად ისჯება „ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი რეკეტირის მიერ." 181-ე მუხლით კი გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა გამოძალვისათვის. თუმცა რეკეტის ცნება მე-17¹ მუხლით გამოძალვის ცნებას არ ემთხვევა.

17¹ მუხლის პირველ ნაწილში სიტყვა „შემოსავლის" უნდა ნიშნავდეს მატერიალურ, ქონებრივ შემოსავალს. „სხვაგვარ ქონებრივ სარგებელში" უნდა ვიგულისხმოთ ქონებრივი უფლება. ამ ქონებრივ შემოსავალს დამნაშავე სისტემატურად, ესე იგი მუდმივად უნდა იღებდეს დაზარალებულზე დამნაშავის ზემოქმედებით. კანონის თანახმად დამნაშავე დაზარალებულის მიმართ უნდა მოქმედებდეს „არაერთჯერადად და ორგანიზებულად." „არაერთჯერადობა" ამ შემთხვევაში ნიშნავს სულ მცირე ორჯერ მოქმედებას მაინც.

17¹ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებიდან ირკვევა, რომ რეკეტი დამნაშავეთა ჯგუფია, რომელთანაც დაკავშირებულია რეკეტირი. ამიტომ ამ მუხლის პირველ ნაწილში გამოყენებული სიტყვა „ორგანიზებული საქმიანობა" გულისხმობს „ორგანიზებული ჯგუფის" საქმიანობას, რაც განსაზღვრულია კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილით. თანაც, კანონის მიხედვით, აუცილებელია, რომ „არაერთჯერადობა" და „ორგანიზებულობა" ერთმანეთს დაემთხვეს, რადგან მათ შორის არის მაკავშირებელი გრამატიკული ნიშანი „და".

17¹ მუხლის პირველი ნაწილის ძალით რეკეტისათვის კაცი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ ეს საქმიანობა „განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში." ამიტომ, თუკი ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი საქმიანობა მხოლოდ ერთხელ განხორციელდა, მაშინ მოქმედი პასუხს აგებს 181-ე მუხლის არა მე-3, არამედ შესაბამისად ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით. ამ ხუთწლიან ვადაში არ შედის „რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა."

17¹.2. აქ მოცემულია რეკეტული დაჯგუფების ცნება. რეკეტული

დაჯგუფება, ამის მიხედვით, შეიძლება იყოს ფიზიკურ პირთა ჯგუფი. ამ შემთხვევაში ჯგუფად უნდა ჩაითვალოს ერთზე მეტი, ესე იგი ორი ადამიანი მაინც. რეკეტულ დაჯგუფებად ჩაითვლება აგრეთვე „თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი." კანონი რეკეტულ დაჯგუფებად მიიჩნევს აგრეთვე „ფიზიკურ ანდა იურიდიულ პირთა ნებისმიერ გაერთიანებას". კანონიდან მხოლოდ არ ჩანს, რა ღონისძიება შეიძლება იქნეს გამოყენებული „იურიდიული პირის" მიმართ. როგორც ჩანს, კანონმდებელი ამ საკითხზე მომავალში იმსჯელებს.

17¹.3. ამ მუხლის მე-3 ნაწილში კანონმდებელი განსაზღვრავს რეკეტირის ცნებას. რეკეტირი ამ მუხლის მიხედვით არის არა მარტო ის, ვინც დამოუკიდებლად ან სხვასთან ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას, არამედ რეკეტირია აგრეთვე ამ დაჯგუფების ყოველი წევრი, თუ „მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა."

რეკეტირია ისიც, ვინც წყვეტს რეკეტულ დაჯგუფებათა შორის ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირს შორის წარმოშობილ დავას. აქ საქმე ეხება დანაშაულის ამსრულებელს. ყველა ის, ვინც ამ მუხლის მე-3 ნაწილის აღწერილობაში მოხვდება, იქნება დანაშაულის ამსრულებელი და არა თანამონაწილე ვიწრო აზრით (წამქეზებელი, დამხმარე).

თავი VI
დაუმთავრებელი დანაშაული

მუხლი 18. დანაშაულის მომზადება

1. დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა.

2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის.

3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ მუხლზე მითითებით.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი –„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I, 2000, №18, მუხ. 45)

18.1. მე-18 მუხლი დანაშაულის მომზადების ცნებას ზოგადად განსაზღვრავს. დანაშაულის მომზადებად კანონის მიხედვით დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნაა მიჩნეული. პრაქტიკულად ამ ზოგად ცნებაში იგულისხმება ყოველგვარი კონკრეტული ქმედება, რომელიც დანაშაულის ჩასადენად რაიმე პირობას ქმნის. ამიტომ დანაშაულის მომზადებად არ ჩაითვლება მხოლოდ განზრახვის გამომჟღავნება, როცა კაცმა გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ჯერ კონკრეტულად არაფერი მოუმოქმედია თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად. იურიდიულ ლიტერატურაში განზრახი დანაშაულის ჩადენის ოთხ სტადიას გამოყოფენ: 1) განზრახვის გამომჟღავნება, 2) დანაშაულის მომზადება, 3) დანაშაულის მცდელობა და 4) დამთავრებული დანაშაული.

იურიდიულ ლიტერატურაში უდავოდ ითვლება, რომ განზრახვის გამომჟღავნება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს; თანამედროვე სისხლის სამართალი ქმედების სისხლის სამართალია. ადამიანი ისჯება არა აზრის გამოთქმისათვის, არამედ კონკრეტული ქმედებისათვის, რომელიც საფრთხეს უქმნის ან აზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. განზრახვის გამომჟღავნება მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როცა ის საფრთხეს უქმნის ან აზიანებს კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს. მაგალითად, კაცი დანაშაულის ჩადენამდე შეპირდა დამნაშავეს, რომ დაფარავს დანაშაულს. შეპირება განზრახვის გამომჟღავნებაა და არა აქვს მნიშვნელობა, შეპირება შესრულდა თუ არა.[48]

„პირობების განზრახ შექმნა" იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის მომზადება ისევე, როგორც მცდელობა დამახასიათებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის. დანაშაულის მომზადება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დროის ფაქტორს თუ მივიღებთ მხედველობაში, განზრახვა შეიძლება დავყოთ უცრად აღმოცენებულ და წინასწარ მოფიქრებულ განზრახვად. დანაშაულის მომზადება შესაძლებელია მაშინ, როცა წინასწარ მოფიქრებულ განზრახვასთან გვაქვს საქმე.

„პირობების შექმნა" ფართო ცნებაა და მრავალგვარ მოქმედებას მოიცავს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია კოდექსის კერძო ნაწილით

[48] სწორად მსჯელობს თ. წერეთელი. მისი აზრით, განზრახვის გამომჟღავნება „არ უნდა წარმოადგენდეს ხელის შეწყობას დანაშაულებრივი განზრახვის რეალურად განხორციელებისათვის, სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება განზრახვის გამომჟღავნება მომზადებისაგან" (იხ. თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, 77-ე გვ.).

გათვალისწინებული ამა თუ იმ დანაშაულის ობიექტური მხარე. რა ხერხით თუ საშუალებით შეიძლება მისი ჩადენა.

იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ პირობების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იარაღის ან საშუალების დამზადებას ან შეძენას თუ მომარჯვებას დანაშაულის ჩასადენად. ზოგჯერ ერთმანეთისაგან ანსხვავებენ იარაღს და საშუალებას (ამ საკითხზე იხ. 52-ე მუხლის განმარტება). იარაღი ან საშუალება შეიძლება იყოს ყოველგვარი საგანი. მაგალითად, მკვლელობის ჩასადენად კაცმა შეიძლება იყიდოს ან ინახოვროს ცეცხლსასროლი იარაღი, დანა, ან დაამზადოს საწამლავი და სხვ.

ქურდობის ჩასადენად კაცმა შეიძლება გააკეთოს კიბე ან მოიტანოს კიბე ბინასთან მისი გაქურდვის მიზნით, დაამზადოს იმავე მიზნით გასაღები ან სხვა საგანი კარის გასაღებად, დაამზადოს ხელსაწყო ყალბი ფულის მოსაჭრელად და სხვ. ერთი სიტყვით, ყველა დანაშაულის ჩასადენად სპეციფიკური იარაღი თუ საშუალებაა საჭირო.

როცა დანაშაულის იარაღის დამზადება-შეძენაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ამ იარაღით კონკრეტული დანაშაულის ჩადენა. იარაღის მოპოვება დანაშაულის მომზადებად მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება, როცა ეს იარაღი წინასწარ ჩაფიქრებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვისაა შეძენილი ან დამზადებული. მაგალითად, კაცმა იშოვა ცეცხლსასროლი იარაღი, რაიმე საქმეში გამომადგებაო, მაგრამ ჯერ დაკონკრეტებული არა აქვს, რას ჩაიდენს ამით, მკვლელობას, ყაჩაღობას თუ სხვა დანაშაულს.[49] ასეთი შეძენა იარაღის, რასაკვირველია, დანაშაულის მომზადებად ვერ ჩაითვლება.

მომზადებად ვერ ჩაითვლება ისეთი შემთხვევაც, როცა კაცმა იარაღი, მართალია, საყაჩაღოდ შეიძინა, მაგრამ თავდასხმის ობიექტი ჯერ არ გამოუნახავს, არ დაუკონკრეტებია. ასეთი ქმედება, თუ იარაღი უკანონოდაა შეძენილი, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით დაკვალიფიცირდება (ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ შეძენა).

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა დამნაშავეთა ჯგუფმა იქირავა ოთახი, მოისყიდა კავშირგაბმულობის მუშაკი და უნებართვოდ დაიწყო ერთ-ერთი კერძო ფირმის სატელეფონო საუბრების მოსმენა. ამით დაადგინეს, რომ ამა და ამ დროს ამა და ამ

[49] Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, М., 2000, стр. 50.

მანქანით გადაჰქონდათ დიდძალი ვალუტა. დახვდნენ მანქანას და ყაჩაღური თავდასხმის შედეგად ეს ფული მთლიანად წაართვეს მოლარეს. ოთახის დაქირავება, მოსასმენი აპარატის მოწყობა და სხვისი საუბრის ფარული მოსმენა დამოუკიდებელი დანაშაულია. მაგრამ ამავე დროს ეს მოქმედებები ყაჩაღობის მოსამზადებელი მოქმედებებია. დამნაშავენი რომ ფარული საუბრების მოსმენის დროს დაეპატიმრებინათ, ისინი, სხვა დამთავრებულ დანაშაულთან ერთად, პასუხს აგებდნენ ყაჩაღობის მომზადებისათვის.

მაგრამ დანაშაულის ჩასადენად „პირობების შექმნა" მარტო იარაღის ან საშუალების გამოძებნა-დამზადებას როდი გულისხმობს. მოსამზადებელ მოქმედებად მიიჩნევენ აგრეთვე დანაშაულის ჩადენისათვის აუცილებელი ცნობების შეგროვებას, დაზარალებულის დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელ ადგილას გატყუებას, ჩასაფრებას, სადაც უნდა გამოიაროს კაცმა, რომელსაც ყაჩაღურად თავს დაესხმიან, დაცული ობიექტის დარაჯის დათრობას და ა.შ.[50]

მოსამზადებელ მოქმედებად ითვლება აგრეთვე დანაშაულის თანამონაწილეთა გამოძებნა.[51] მომზადებად ჩაითვლება ის შემთხვევა, როცა მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე კაცს შორის, როგორ ჩაიდინონ დანაშაული, ვთქვათ, ბინის გაქურდვა, ვინ შევიდეს ბინაში, ვინ დადგეს მეთვალყურედ. ასევე დაკვალიფიცირდება ქმედება მაშინაც, როცა კაცი, ვისაც გადაწყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა, ეძებს დამხმარეს, ვთქვათ, დამფარავს და სხვ.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ამ მხრივ უშედეგო წაქეზების საკითხი. თ. წერეთელი უშედეგო წაქეზებას და დახმარებას დანაშაულის მომზადებად აკვალიფიცირებს.[52] ეს მოსაზრება საეჭვოდ მისაღებია.

მაგრამ ვერ დავეთანხმებით თ. წერეთელს, როცა იგი რუსი იურისტის ა. ტრაინინის თვალსაზრისზე დაყრდნობით ამტკიცებს, თითქოს „მოსამზადებელი მოქმედების დროს მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური ელემენტი – განზრახვა, ხოლო ობიექტურ სფეროში – მოქმედება, რომელიც არ არის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი".[53]

[50] თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, მე-80–81-ე გვ.

[51] თ. წერეთელი, იქვე.

[52] თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, 81–82-ე გვ.; უშედეგო წაქეზების კვალიფიკაცია დანაშაულის მომზადებად მოცემულია ჩემი ალტერნატიული პროექტის 24-ე მუხლში. (იხ. ოთარ გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, 278-ე გვ.).

[53] თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, 83-ე გვ.

თუ მოქმედება არ ქმნის (დანაშაულის) ქმედების შემადგენლობას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სისხლის სამართალი ქმედების სისხლის სამართალი არ ყოფილა და რომ ადამიანი შეიძლება დავსაჯოთ აზრის გამოთქმისათვის ანუ, როგორც ზემოთ ვთქვით, განზრახვის გამომჟღავნებისათვის. ქმედების შემადგენლობის მოცულობას განსაზღვრავს კანონმდებელი. თუკი კანონმდებელმა დასჯადად გამოაცხადა კაცის მოკვლის მიზნით იარაღის ან საშუალების დამზადება, მაშინ ეს მოქმედება მკვლელობის შემადგენლობის ნიშნადაც უნდა ვაღიაროთ.

18.2. მოსამზადებელი მოქმედება განზრახი დანაშაულის განვითარების ადრეული სტადიაა და ის საკმაოდ დაცილებულია დამთავრების სტადიას. ამიტომ არის, რომ დანაშაულის მომზადება ყველა შემთხვევაში არ იწვევს პასუხისმგებლობას. იმ სამი კატეგორიის დანაშაულიდან, რომლებიც კოდექსის მე-12 მუხლითაა დადგენილი, პასუხისმგებლობას მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება იწვევს.

ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა დანაშაულის მომზადებისათვის პასუხისმგებლობას საერთოდ არ აწესებს. ამ საკითხზე დიდი დისკუსია მიმდინარეობდა საბჭოელ იურისტთა შორის მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, როცა 1958 წლის 25 დეკემბრის საკავშირო კანონი მზადდებოდა. კრიმინალისტთა შორის, რომლებიც მოსამზადებელი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის გაუქმებას მოითხოვდა, ქართველი მეცნიერებიც – თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილიც იყვნენ.[54]

ეს საკითხი მწვავედ იდგა აგრეთვე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელ კომისიაში. საბოლოოდ გადაწყდა, რომ მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის დაგვეწესებინა პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკაში საქმე დანაშაულის მომზადებისათვის ძალიან იშვიათად აღიძვრება.

ზოგჯერ კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულის მომზადებას, როცა ასეთი ქმედება დიდ საფრთხეს ქმნის, დამოუკიდებელ დანაშაულად აცხადებს. ამის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ბანდიტიზმი. სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით ბანდიტიზმის შემადგენ-

[54] თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი საკითხი, „საბჭოთა სამართალი", 1957, №1, 47–48-ე გვ. მომზადების დროს – წერს თ. წერეთელი, – „შეუძლებელია ვილაპარაკოთ სამართლით დაცული სიკეთისათვის რეალური საფრთხის შექმნაზე" (იხ. თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, 90-ე გვ.).

ლობა ასეა ფორმულირებული: „მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით...“ და ა.შ. მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნა ვინმეზე თავდასხმის მიზნით ფაქტობრივად დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედებაა. მაგრამ კანონმდებელმა ეს მოქმედება თავისი მომეტებული საშიშროების გამო დამოუკიდებელ დანაშაულად გამოაცხადა.

დანაშაულის ასეთივე დამოუკიდებელი შემადგენლობაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 404-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით პასუხის მგებლობას იწვევს „აგრესიული ომის დაგეგმვა ან მომზადება“.

ორივე ეს დანაშაული – ბანდიტიზმიც და აგრესიული ომის მომზადებაც – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად პასუხისმგებლობას არ იწვევს ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების მომზადება. მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა მსგავსად, შეტანილია ზოგიერთი ისეთი მუხლი, რომლებიც ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა მოსამზადებელ მოქმედებას დამოუკიდებელ შემადგენლობად ითვალისწინებენ.

მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 271-ე მუხლის მე-2 ნაწილით სამიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას იწვევს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის „სპეციალური სადგომის მოწყობა ანდა ასეთ სადგომში მისი უკანონოდ მოხმარების ორგანიზება“.

405-ე მუხლით სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ საქვეყნოდ მოწოდება. ორივე აქ დასახელებულ შემთხვევაში მოსამზადებელი მოქმედებები დამთავრებულ დანაშაულებად არის გამოცხადებული.

აქ შეიძლება ერთი მეტად პრაქტიკული საკითხიც დავაყენოთ. თუკი კოდექსის ცალკეული მუხლების კონსტრუქციას მივაქცევთ ყურადღებას, დავინახავთ, რომ არცთუ იშვიათად ძნელია მოსამზადებელ სტადიაზე იმის გარკვევა, რომელი კატეგორიის დანაშაულისათვის ემზადებოდა კაცი, როდესაც იარაღი ან საშუალება შეიძინა თუ დაამზადა. როცა, მაგალითად, ადამიანი ცეცხლსასროლ იარაღს იძენს განზრახი მკვლელობის მიზნით, მაშინ საკითხი ადვილი გასარკვევია. კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლებით მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებია გათვალისწინებული.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თავისუფლების უკანონო აღკვეთის მიმართ

(143-ე მუხლი), ეს მუხლი სამნაწილიანია და მხოლოდ მესამე ნაწილით არის გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემადგენლობა. 143-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია თავისუფლების უკანონო აღკვეთა „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“ („ა“ პუნქ.). მესამე ნაწილის მაკვალიფიცირებლად შეტანილია დანაშაულის ჩადენა „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“ („ა“ პუნქ.). მოსამზადებელ სტადიაზე ალბათ ძნელი გასარკვევი იქნება, როგორი ჯგუფი შეიქმნა ვინმეს თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის. ყოველ შემთხვევაში, აქ შეიძლება ძლიერი ეჭვი წარმოიშვას იმ საკითხზე, რა კვალიფიკაციას მიიღებდა ეს დანაშაული დამთავრების სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და საქმის წარმოება შეწყდეს საქართველოს სსს კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე.

დაგვრჩა განსახილველი კიდევ ერთი პრაქტიკული საკითხი. სასურველია, რომ სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის მომზადებისათვის აღიძრას იმ შემთხვევაში, როცა მოსამზადებელი მოქმედება უფრო ახლოს არის მცდელობის სტადიასთან, თუმცა დანაშაულის მცდელობას მას ჯერ კიდევ ვერ დავარქმევთ. სასურველია აგრეთვე, რომ მოსამზადებელი მოქმედებისათვის დამნაშავე მხოლოდ მაშინ დაისაჯოს, როცა ის მიზნად ისახავდა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენას (განზრახ მკვლელობა, მძევლად ხელში ჩაგდება და ა.შ.). ის პრაქტიკა, რომ მოსამზადებელი მოქმედება უფრო მეტად მაშინ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას, როცა ასეთი მოქმედება ახლოსაა დანაშაულის მცდელობასთან, საბჭოური რეჟიმის დროსაც არსებობდა.[55]

18.3. დანაშაულის მომზადების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-18 მუხლით და კერძო ნაწილის იმ მუხლით, რომლის ჩადენისათვის დამნაშავე ემზადებოდა. მაგალითად, მე-18, 108-ე მუხლით ან მე-18, 109-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით.

მუხლი 19. დანაშაულის მცდელობა

1. დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

[55] თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, 88-ე გვ. აქვე მოტანილია მაგალითი მაშინდელი ბელორუსიის რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკიდან.

2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდელობისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ მუხლზე მითითებით.

19.1. დანაშაულის მცდელობა, როგორც თვითონ ტერმინი მიგვანიშნებს, განზრახი ქმედებაა და დანაშაულის ჩასადენად უშუალოდაა მიმართული; თუმცა დანაშაული არ სრულდება სხვადასხვა, ზოგჯერ დამნაშავის, ზოგჯერ მისგან დამოუკიდებელი მიზეზით.

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, 1999 წლის კოდექსში დანაშაულის მცდელობის ცნება სხვაგვარად არის განსაზღვრული. 1960 წლის კოდექსის მე-17 მუხლის მიხედვით დანაშაულის მცდელობა არის განზრახი მოქმედება, რომელიც უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ შედეგი ვერ განხორციელდა „დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო".

მოქმედი კოდექსის მე-19 მუხლში სიტყვები „დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო" აღარ გვხვდება. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის მცდელობა ყველა შემთხვევაში გვექნება, როცა განზრახული შედეგი ვერ განხორციელდა, მიუხედავად მიზეზისა, რომელმაც ხელი შეუშალა ამ შედეგის გამოწვევას. მე-19 მუხლის ფორმულირების მიხედვით მცდელობა გვაქვს მაშინაც, როცა დამნაშავე შეიპყრეს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი და ამის გამო დანაშაული ბოლომდე ვერ მიიყვანა, და მაშინაც, როცა მან თავისი ნებით აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე.[56] ამიტომ გაუგებრობაზეა აგებული ის აზრი, თითქოს „არსებობს დაუმთავრებელი დანაშაულის სამი სახე: 1) დანაშაულის მზადება მუხ. 18. 2) დანაშაულის მცდელობა მუხ. 19.3) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მუხ. 21".[57] დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე

[56] რუსეთის ფედერაციის 1996 წ. სისხლის სამართლის კოდექსმა შეინარჩუნა ძველი, საბჭოური პრინციპი და დანაშაულის მცდელობად მიიჩნევს ისეთ ქმედებას, რომელიც უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა „დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო". ამ ფორმულირების მიხედვით სრულიად ზედმეტი ხდება დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი.

[57] იხ. პეტრე დაუთაშვილი, ალექსანდრე კვამილავა, სისხლის სამართალი. (ზოგადი ნაწილი), 2003, 88-ე გვ.

ხდება და ამიტომ ამ შემთხვევაში დაუმთავრებელი დანაშაულის დამოუკიდებელ სახესთან როდი გვაქვს საქმე. საწუხაროა, რომ 1960 წლის კოდექსის მე-17 მუხლის მცდარი ფორმულირება ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში დღესაც პოპულარულია. მაგალითად, ასეთსავე შეცდომას უშვებს თემურ ფანჯიკიძე, როცა ამტკიცებს, თითქოს დანაშაულის მცდელობის დროს „დანაშაულის ბოლომდე მიყვანა არ ხერხდება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იმიტომ რომ, თუ პირი თავისი ნებით შეწყვეტს დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, სახეზე გვექნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება (მუხლი 21)".[58] დანაშაულის მცდელობა მოსამზადებელ მოქმედებასა და დამთავრებულ დანაშაულს შორისაა. მოსამზადებელი მოქმედებისაგან ეს იმით განსხვავდება, რომ მცდელობა უშუალოდ არის მიმართული დანაშაულის ჩასადენად. მაშასადამე, დანაშაულის მცდელობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი მოქმედებაა, ხოლო მომზადება აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის. რაც შეეხება დამთავრებულ დანაშაულს, აქ საფრთხე უკვე რეალიზებულია. „დამთავრებული დანაშაულის დროს – ამბობს თ. წერეთელი, – არსებობს არა მარტო ობიექტის დაზიანების საფრთხე, არამედ უკვე რეალიზებული ზიანი, ხოლო დანაშაულის მომზადების დროს ობიექტის დაზიანების უშუალო საფრთხე ჯერ კიდევ არ არსებობს".[59]

დამთავრებული დანაშაული, როგორც ვთქვით, უკვე რეალიზებული საფრთხეა. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. დანაშაულის დამთავრება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი ქმედება კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში. ზოგჯერ კანონმდებელს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში დანაშაულის დამთავრების მომენტი წინა ეტაპზე, კერძოდ, დანაშაულის მცდელობის სტადიაზე გადააქვს. მაგალითად, ყაჩაღობა 179-ე მუხლის თანახმად არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად. მაშასადამე, თავდასხმა, რომელიც არსებითად მცდელობა უნდა იყოს, ამ მუხლის მიხედვით უკვე დამთავრებული დანაშაულია.

[58] თემურ ფანჯიკიძე, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), 2003, 58-ე გვ. წინააღმდეგობრივია თამაზ დონჯაშვილის მსჯელობა, როცა ის, ერთი მხრივ, ამტკიცებს, თითქოს „მცდელობად ითვლება ასევე ისეთი მოქმედება, რომელსაც არ მოყვა მართლსაწინააღმდეგო შედეგი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო", ხოლო, მეორე მხრივ, წერს, რომ „არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ ფაქტს, თუ ვისი მიზეზით არ იყო დანაშაული ბოლომდე მიყვანილი" (იხ. თამაზ დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, 222–223-ე გვ.).

[59] თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, 102-ე გვ.

მაგრამ ეს დებულება მაინც არ ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ მომზადებაც და მცდელობაც საფრთხის შემქმნელი მოქმედებებია. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ მომზადება აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის, ხოლო მცდელობა კონკრეტულ საფრთხეს. თანაც საფრთხე ობიექტური ხასიათისაა და ,,მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობას" (თ.წერეთელი) წარმოადგენს.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა. ეს პირდაპირაა აღნიშნული მე-19 მუხლში. მაგრამ, როგორც ვიცით, განზრახვა ორი სახისაა – პირდაპირი და არაპირდაპირი. ტრადიციულად ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო აზრი, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. მაგრამ უკანასკნელ წლებში თანდათანობით იწყო დამკვიდრება იმ აზრმა, რომ დანაშაულის მცდელობა არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება.

დანაშაულის მცდელობის ასეთმა გაგებამ, როგორც ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც მოიკიდა ფეხი. გამოითქვა შეხედულება, რომ ,,ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, მცდელობა შეიძლება არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაშიც." სამწუხაროდ, ამ სიტყვების ავტორი მ. ტურავა არ ასაბუთებს კოდექსის რომელი მუხლიდან გამომდინარეობს ეს აზრი.[60]

ასეთი აზრი არ გამომდინარეობს კოდექსის მე-19 მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა, რომელიც ,,უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად." სიტყვები ,,უშუალოდ" და ,,მიმართული" პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.[61]

არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით რომ მცდელობა არ შეიძლება, ამან აიძულა კანონმდებელი კოდექსის კერძო ნაწილში შემოეტანა 127-ე და 128-ე მუხლები.

[60] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, 2002, 39-ე გვ. ამ დაუსაბუთებელ აზრს ასევე დაუსაბუთებლად იმეორებს თ. დონჯაშვილი (იხ. მისი საქართველოს სისხლის სამართალი, 225-ე გვ.). მაგრამ ცოტა ქვემოთ იგი ამის საწინააღმდეგოდ წერს, რომ სასამართლო შეცდომების თავიდან აცილების მიზნით პრაქტიკაში საჭიროა დაცული იქნეს პრინციპი – ,,არაპირდაპირი განზრახვის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ფაქტიურად განხორციელებული შედეგის მიხედვით", თ. დონჯაშვილი, მით. ნაშრომი. 226-ე გვ.

[61] ,,მცდელობა გამორიცხულია აგრეთვე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროსაც, – წერდა თ. წერეთელი, – რადგან ამ შემთხვევაში დამნაშავის ნება არ არის უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი შედეგების განხორციელებაზე" (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები, 119-ე გვ.).

127-ე მუხლით პასუხისმგებლობას იწვევს ,,სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად." ,,სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება" არსებითად მცდელობის სტადიაა. მაგრამ ვინაიდან არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა პასუხისმგებლობას არ იწვევს, კანონმდებელმა ეს ხარვეზი შეავსო საფრთხის შემქმნელი დელიქტით.

მაგრამ როგორ დაისჯება დამნაშავე ,,სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში" ჩაყენებული რომ დაიღუპოს? დამნაშავე ამ შემთხვევაში პასუხს აგებს კოდექსის 108-ე მუხლით არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობისათვის, თუ არ არის 109-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი რაიმე სხვა გარემოება.

კიდევ უფრო ნათელს ჰფენს ამ საკითხს კოდექსის 128-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობის ანალიზი. თუ 127-ე მუხლით ,,საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება" მოქმედებით ხდება, 128-ე მუხლით ისჯება ის, ვინც დაუხმარებლად მიატოვა (უმოქმედობა) ,,სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში" მყოფი, თუკი მას თავდაცვის ,,შესაძლებლობა არ ჰქონდა". ამავე დროს, მიმტოვებელს უნდა ეცალებოდეს მიტოვებულზე ზრუნვა.

არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ კანონმდებელი ამ მუხლს 127-ე მუხლის მსგავსად delictum sui generis სახით კოდექსში აღარ შემოიტანდა და საკითხიც ძალიან იოლად გადაწყდებოდა. ქმედება დაკვალიფიცირდებოდა განზრახ მკვლელობის მცდელობად სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლებით. ერთი სიტყვით, 127-ე და 128-ე მუხლები ავსებენ იმ ხარვეზს, რასაც არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობა ქმნის.[62] მაგრამ ამას ვერ ვიტყვით 129-ე მუხლზე, რომლითაც დამნაშავე პასუხს აგებს, თუ ის არ დაეხმარება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს. დამნაშავეს ამ შემთხვევაში დახმარების არავითარი სპეციალური მოვალეობა არ აკისრია და ამიტომ, შედეგიც რომ განხორციელდეს, ის მაინც დაუხმარებლობისათვის აგებს პასუხს და არა ამ შედეგისათვის. სწორედ ესაა განსხვავება 128-ე და 129-ე მუხლებს შორის.

როგორი უნდა იყოს თანაფარდობა ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა

[62] საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლის (დღევანდელი 128-ე მუხლი) სუბიექტურ მხარეს როცა ეხება, ვ. მაყაშვილი წერს: ,,დაზარალებულის სიკვდილის მიმართ სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს ფსიქიკური დამოკიდებულება მხოლოდ ევენტუალური განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით" (იხ. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, 140-ე გვ.).

შორის დანაშაულის მცდელობის დროს? მიჩნეულია, რომ დანაშაულის მცდელობის დროს ეს თანაფარდობა დარღვეულია სუბიექტური მხარის სასარგებლოდ. სუბიექტური მხარე ყოველთვის უფრო მეტია, ობიექტურთან შედარებით, მას აკლია შემადგენლობის ისეთი არსებითი ნიშანი, როგორიცაა შედეგი, რომელიც მოცული იყო დამნაშავის განზრახვით.[63]

მაგრამ თანაფარდობა ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა შორის მარტო მცდელობის დროს კი არ არის დარღვეული. არ არის გამორიცხული, რომ ეს თანაფარდობა დამთავრებული დანაშაულის დროსაც იყოს დარღვეული, რაც სასამართლო პრაქტიკაში შეცდომების წყაროც შეიძლება გახდეს.

მთავარია ვიცოდეთ დამთავრებული დანაშაულის ცნება. ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ აღწერს კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობას კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში. ზოგჯერ კანონმდებელი დანაშაულის დამთავრებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას შედეგის განხორციელებას აძლევს. მაგალითად, კოდექსის 108-ე მუხლი ასეა ფორმულირებული – „განზრახ მკვლელობა". აქ შედეგის განხორციელება, ესე იგი მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა აუცილებელია დანაშაულის დამთავრებისათვის. 179-ე მუხლი ყაჩაღობას ასე აღწერს: „ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით..." მაშასადამე, აქ „თავდასხმა" უკვე დასრულებული დანაშაულია; ნივთის დაუფლებას დანაშაულის დამთავრებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამ შემთხვევაში სუბიექტური მხარე უფრო ფართოა, ობიექტურთან შედარებით. განზრახვა არა მარტო ნივთის დაუფლებას მოიცავს, არამედ მის გამოყენებასაც (მაგალითად, წართმეული ფულის დახარჯვას და სხვ.), მაგრამ დანაშაული მაინც დასრულებულია.

109-ე მუხლით ისჯება განზრახ მკვლელობა „ორი ან მეტი პირისა." („ა" პუნქ.). ვთქვათ, დამნაშავემ ჩაიფიქრა ხუთი კაცის მოკვლა, მაგრამ მოკლა ორი და სამი გადარჩა. დანაშაული მაინც დასრულებულია, რადგან 109-ე მუხლის დისპოზიცია შესრულდა. ორი კაცი მოკვდა. ის, რომ სამი გადარჩა, ამას დამთავრებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. აქაც სუბიექტური მხარე უფრო ფართოა, ობიექტურთან შედარებით.

როგორც ვხედავთ, სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა შორის თანაფარდობა დამთავრებული დანაშაულის დროსაც შეიძლება იყოს დარღვეული. ამიტომ მცდელობა და დამთავრებული დანაშაული რომ

[63] თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, 37-ე გვ.

ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ, საჭიროა პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ, როგორ არის აღწერილი ქმედება კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იყო ერთი საქმე, რომელიც ქმედების კვალიფიკაციის თვალსაზრისით ცხარე კამათის საგანი გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმზე.

თბილისის საქსოვ ფაბრიკაში ღამით ქურდები შეიპარნენ, გაავსეს ორი ტომარა საქსოვი ძაფით და ფაბრიკის ეზოში გამოიტანეს. მათ ერთი ტომრის ფაბრიკის ეზოს გარეთ, ქუჩაში გატანა მოახერხეს, მაგრამ სანამ მეორე ტომარას გაიტანდნენ, ისინი დაუკავეს. ეს ქმედება 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირდა (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობა დიდი ოდენობით). სასამართლომ განაჩენით დანაშაული დამთავრებულად მიიჩნია.

ამ განაჩენის გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ უზენაესი სასამართლოს პლენუმში პროტესტი შეიტანა და კოდექსის მე-17 მუხლზე მითითებით ქმედების დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირება იშუამდგომლა.

პროტესტის ავტორი ამ კვალიფიკაციას იმით ასაბუთებდა, რომ დამნაშავეთა განზრახვა მთლიანად ვერ განხორციელდა. მათი მიზანი იყო ორი ტომარა ნართის მოპარვა, მაგრამ მხოლოდ ერთის დაუფლება შეძლეს. პლენუმზე გამოსული პროტესტის მოწინააღმდეგენი, მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორიც, სავსებით საფუძვლიანად ასაბუთებდნენ, რომ სასამართლომ სწორად დაკვალიფიცირა ქმედება დამთავრებულ დანაშაულად. სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებდა დიდი ოდენობით ქონების ქურდობისათვის. დიდ ოდენობად ითვლებოდა ორი ათას ხუთასი მანეთის და მეტი ღირებულების ქონება. იმ ტომრებში კი, რომლების გატანასაც ქურდები ფაბრიკის ტერიტორიიდან ცდილობდნენ, სულ ექვსი ათასი მანეთის ღირებულება აღმოჩნდა. თითოეულ ტომარაში კი სამ-სამი ათასი მანეთის ღირებულების ძაფი იყო, ესე იგი ხუთასი მანეთით მეტი, ვიდრე ეს კოდექსის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით ქმედების კვალიფიკაციისათვის იყო საჭირო.

მაშასადამე, ერთი ტომრის გატანა ფაბრიკის ეზოს გარეთ საკმარისი იყო დამთავრებული დანაშაულისათვის; რაც შეეხება მეორე ტომარას, ის, მართალია, მოცული იყო დამნაშავეთა განზრახვით, მაგრამ ქმედების

დამთავრებულ დანაშაულად დაკვალიფიცირებისათვის იმ ტომრის რეალური დაუფლება სრულიად ზედმეტი იყო. ამ მოსაზრების მოსმენის შემდეგ პროტესტი უსიტყვოდ მოხსნეს.[64]

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 4 მარტის განაჩენით დ. პაპავას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტით დაედო მსჯავრი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2002 წლის 16 მაისის განაჩენით დამცველის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე მსჯავრდებულის ქმედება ქურდობის მცდელობად გადაკვალიფიცირდა. სასამართლო ქმედების მცდელობად დაკვალიფიცირებას იმით ასაბუთებს, რომ „დ. პაპავას ნივთის დაუფლება-განკარგვაში ხელი შეუშალა მესამე პირმა, პოლიციელმა, რომელმაც დანაშაულის ჩადენისთანავე დააკავა იგი, რითაც მოუსპო ნაქურდალი ნივთის დაუფლების და განკარგვის საშუალება".

წინასწარი გამოძიების და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად დადგინდა, რომ დ. პაპავამ მ. კიკნაძეს ჯიბიდან საფულე ამოაცალა. განაჩენი იშველიებს დაზარალებულის სიტყვებს, რომ „როგორც კი საფულე ამოაცალეს, ქურდი მაშინვე იქნა დაკავებული". (იხ. განაჩენი).

სასამართლოს არა აქვს სწორად გაგებული ნივთის დაუფლების მომენტი. ნივთის დაუფლება ნიშნავს იმას, რომ ეს ნივთი დაზარალებულის ჯიბიდან ამოღებულია, დაზარალებული ფიზიკურად მას აღარ ფლობს და ნივთს უკვე ქურდი დაეპატრონა. ნივთი ქურდის ჯიბეშია. ნივთის დაუფლებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, რომ ქურდი მაშინვე დააკავეს. „ქურდობა – წერდა თ. წერეთელი, – დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ქონება ამოღებულია მესაკუთრის ან მესამე პირის მფლობელობიდან და გადასულია ბოროტმოქმედის მფლობელობაში".[65]

ამ დანაშაულს თავისებურება აქვს ბინის ან სხვა საცავის გაქურდვისას. ბინაში შეღწევის დროს ქურდობა არ იქნება დამთავრებული, ვიდრე ქურდი ბინიდან არ გამოვა. ბინიდან გამოსვლისთანავე ქურდი ნივთს დაუფლებულია და მისი იქვე დაკავება არ ნიშნავს, რომ ქურდობა დამთავრებული არ არის.

[64] იხ. დაწვრილებით ოთარ გამყრელიძე, დანაშაულის მცდელობა თუ დამთავრებული დანაშაული, ჟურნ. „მართლმსაჯულების მაცნე", 2000, №4, მე-10 გვ.

[65] თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, 50-ე გვ.

ეს პრინციპი არ მოქმედებს ტრანსპორტის მიმართ, ესე იგი იმ შემთხვევის მიმართ, როცა ქურდობა ტრანსპორტში ხდება. დ. პაპავამ ქურდობა ავტობუსში ჩაიდინა. ამიტომ, როგორც კი მან დაზარალებულს საფულე ამოაცალა, იგი ნივთს დაეუფლა.

სასამართლოს არც ნივთის განკარგვის ცნება აქვს სწორად გაგებული. როცა ქურდი ნივთს დაეუფლება, მას უკვე აქვს მისი განკარგვის შესაძლებლობა. ის გარემოება, რომ შემთხვევით ქურდი პოლიციელმა შენიშნა, ამას ქურდობის დამთავრებისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

მაგალითად. ბინაში შესული ქურდიც ეუფლება ნივთს და ჯიბეში იდებს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის იმგვარი დაუფლება, რომ მას ნივთის განკარგვის შესაძლებლობა ჰქონდეს, ის ჯერ კიდევ დაზარალებულის ბინაშია.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა დ. ივანოვის სისხლის სამართლის საქმე. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 31 მაისის განაჩენით დ. ივანოვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" და „გ" პუნქტებით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ" და „დ" პუნქტებით დაედო მსჯავრი.

დ. ივანოვი 2001 წლის 17 ოქტომბერს შევიდა ქ. თბილისის უზნაძის ქუჩაზე მდებარე მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში და მითვისების მიზნით ჩანთაში ჩააწყო „პროგრამული მართვის ჩარხის და რობოტის 11 ცალი პლატი", რომელთა საერთო ღირებულება 120 ლარი იყო. დ. ივანოვი პოლიციამ შენობაშივე დააკავა. სასამართლომ მისი ქმედება დამთავრებულ დანაშაულად დააკვალიფიცირა. ეს კვალიფიკაცია სწორი არ იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის 2003 წლის 20 თებერვლის განჩინებით დ. ივანოვის ქმედება მცდელობად დაკვალიფიცირდა. განჩინებაში ნათქვამია: „საქმის მასალებით დადგენილია და განაჩენითაც არ არის უარყოფილი ის, რომ მსჯავრდებული დ. ივანოვი პოლიციის მუშაკებმა ნაქურდალ პლატებთან ერთად დააკავეს შემთხვევის ადგილზე – მანქანათმშენებლობის კოლეჯის შენობაში. ასეთ ვითარებაში პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ დ. ივანოვს არ ჰქონდა ნაქურდალი ქონების სარგებლობის ან განკარგვის რეალური შესაძლებლობა".[66]

[66] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №2, 231-ე გვ.

მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შემთხვევაც, როცა ქურდობა დამთავრებულია შენობიდან გამოუსვლელად. საბჭოური რეჟიმის დროს იყო ასეთი შემთხვევა: არყის სახდელი ქარხნის რამდენიმე მუშამ მოიპარა არაყი, გააცეს დიდი ჭურჭელი და გადაინახეს ქარხნის ტერიტორიაზე. თავისთავად, ამ ტერიტორიიდან ნაქურდალის გარეთ გამოუტანლად ქურდობა არ შეიძლებოდა დამთავრებული ყოფილიყო, მაგრამ მათ ეს არ სჭირდებოდათ, რადგან დროდადრო მიდიოდნენ გადამალულ ჭურჭელთან და არაყს მიირთმევდნენ. ეს დამთავრებული ქურდობა იყო.

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია დანაშაულის მცდელობის დაყოფა დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად. თუმცა კოდექსის მე-19 მუხლი მცდელობის ასეთ დაყოფას არ იცნობს. დაუმთავრებელია ისეთი მცდელობა, როცა დამნაშავემ დაიწყო დანაშაულის აღსრულება, მაგრამ თავისი მოქმედება ბოლომდე ვერ მიიყვანა. მაგალითად, დამნაშავეს ხელიდან გააგდებინეს დანა, რომელიც მან მსხვერპლს დასარტყმელად მოულერა.

დამთავრებულია მცდელობა, როცა დამნაშავემ ყველაფერი გააკეთა, რაც „მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა...“.[67] მაგალითად, დამნაშავემ მსხვერპლს მოკვლის მიზნით, საწამლავი მისცა და ელოდება მის სიკვდილს, ან კიდევ. დამნაშავემ მსხვერპლი აქაფებულ მდინარეში გადააგდო და ელოდება მის დახრჩობას. ეს დაყოფა აშკარად ხელოვნურია.

თუ საწამლავის მიცემით ან მსხვერპლის წყალში გადაგდებით მცდელობა დამთავრდა, მაშინ დანაშაულის განვითარების რაღა სტადიაა მსხვერპლის წყალში გადაგდებიდან მის დახრჩობამდე ან იმ მომენტამდე, ვიდრე ის წყალს თავს დააღწევს თვითონ თუ ვინმეს მეშვეობით? მცდელობის სტადია გრძელდება მანამ, სანამ მსხვერპლი დაიხრჩობა და მცდელობა დამთავრებულ დანაშაულში გადაიზრდება ან ის სიკვდილს საბოლოოდ გადარჩება. ამიტომ დანაშაულის მცდელობის დაყოფა დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად პრაქტიკულად გაუმართლებელია. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღოს როგორი საფრთხე შეუქმნა დამნაშავემ სამართლებრივ სიკეთეს და რამდენად მიახლოებული იყო მცდელობა დამთავრებულ დანაშაულთან.

[67] თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, 152-ე გვ.

შემდეგი საკითხი, რომელიც დანაშაულის მცდელობის პრობლემატიკაში წამოიჭრება და რომელსაც არცთუ მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, უვარგისი მცდელობის საკითხია. უვარგისი მცდელობის ორ სახეს გამოჰყოფენ: 1) უვარგისი საშუალებით მცდელობა და 2) უვარგისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მცდელობა. მაგალითად, მკვლელი შეცდომით იყენებს ისეთ იარაღს, საიდანაც ვაზნა ამოღებულია. საწამლავად იყენებს სიცოცხლისათვის უვნებელ ფხვნილს და სხვ. „მცდელობად უვარგისი საშუალებებით – წერს თ. წერეთელი, – ითვლება დანაშაულის ჩასადენად ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებსაც თავისი ობიექტური თვისებების მიხედვით არ შეუძლიათ გამოიწვიონ დანაშაულებრივი შედეგი“.[68]

უვარგისი სამართლებრივი სიკეთე მხოლოდ მოჩვენებითი სიკეთეა და ამიტომ დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად გამოუსადეგარია. ასეთია, მაგალითად, მკვდარი კაცი, რომელიც დამნაშავეს ცოცხალი ჰგონია და მოკვლის მიზნით თოფს ესვრის. ქრთამის მიცემის უვარგისი მცდელობა გვექნება მაშინ, როცა თაღლითი მექრთამეობაში შუამავლობას ჩემულობს და ქრთამის მიმცემისაგან გადაცემულ ფულს თვითონ ითვისებს. მცდელობის უვარგისობა სასამართლომ საგანგებოდ უნდა დაადგინოს და მხედველობაში მიიღოს სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს.

19.2. მცდელობის შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია უნდა განისაზღვროს მე-19 მუხლით და სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლით, სადაც აღწერილია იმ დანაშაულის შემადგენლობა, რომლის ჩადენის მცდელობა მოხდა რეალურად.

მუხლი 20. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის

პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასიხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

დანაშაულის მცდელობის ის სახე, რომელიც ამ მუხლით არის აღწერილი, ახლოს დგას უვარგის მცდელობასთან, მაგრამ მისგან იმით

[68] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 118-ე გვ.

განსხვავდება, რომ უვარგისი მცდელობა მოქმედის შეცდომას ემყარება მაშინ, როცა მე-20 მუხლით გათვალისწინებული მცდელობა კაცის „უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის“ ნაყოფია. სწორედ ეს ნიშანია აქ მოქმედის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

„უმეცრება“ მოქმედის ცნობიერების ისეთი ჩამორჩენილობაა, როცა ის დანაშაულებრივი შედეგის მიღწევას იმ საშუალებით ცდილობს, რომელიც არათუ ამ კონკრეტულ ვითარებაში, საერთოდ უვარგისია გამოიწვიოს ეს შედეგი. მაგალითად, პირადი მტრის ხატზე (?) გადაცემა იმ მიზნით, რომ ის ავარიაში მოყვეს და დაიღუპოს, ან კიდევ: ვინმემ მოკვლის მიზნით კაცი გააგზავნა ზღვაზე დასასვენებელ სახლში იმ იმედით, რომ ის ზღვაში დაიხრჩობა და სხვ.

„სხვა პიროვნული ნაკლი“ შეიძლება იყოს, მაგალითად, პიროვნების სრული უძლურება, მიაღწიოს დასახულ დანაშაულებრივ მიზანს და ა.შ.

მუხლი 21. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

1. პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი.

2. პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.

3. დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება.

4. თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიურმა დამხმარემ თავიანთი მოქმედებით ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრება, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება აგრეთვე იმას, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ I. 2000, №18, მუხ. 45).

21.1. ამ მუხლით პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება დამნაშავე, თუ ის დანაშაულებრივ საქმიანობას ნებაყოფლობით შეწყვეტს. ასეთი საქმიანობის შეწყვეტა უნდა მოხდეს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე. ნებაყოფლობითობა ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე ამას აკეთებს საკუთარი ნებით, ყოველგვარი გარეგანი იძულების გარეშე.

დანაშაულებრივი საქმიანობის ნებაყოფლობით შეწყვეტა ქმედების სამართლებრივ შეფასებაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს. მოქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, ადამიანი მკვლელობის მიზნით ზეაღმართულ დანიან ხელს თავისი ნებით დაუშვებს ძირს, თუ მისდა უნებურად – გარეგანი ძალის ზეგავლენით.[69] ამიტომ არის, რომ სიტყვები – დანაშაული ბოლომდე არ იყო მიყვანილი „დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“, რომელიც გვხვდებოდა 1960 წლის კოდექსის მე-17 მუხლში, მოქმედი კოდექსის მე-19 მუხლიდან ამოღებულია.

ერთი სიტყვით, დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს დანაშაული ჩადენილია. ამიტომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება; ამით კანონმდებელი დამნაშავეს უკანდახევის საშუალებას აძლევს; გამოჩენილი გერმანელი იურისტის ა. ფოიერბახის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, კანონმდებელი დამნაშავეს „ოქროს ხიდს“ უშენებს

[69] საბჭოურ ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრით ნებაყოფლობით შეწყვეტილი დანაშაულებრივი მოქმედების დაუსჯადობის საფუძველია ის, რომ ამ მოქმედებამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. ამ თვალსაზრისის დაწვრილებითი კრიტიკა იხილეთ ჩემს წიგნში: „დანაშაულის შეალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა“, 152–156-ე გვ.

უკან დასაბრუნებლად იმ შემთხვევისათვის, თუ ის დანაშაულის გაგრძელებაზე უარს იტყვის („ოქროს ხიდის“ თეორია).[70]

ყველაზე მეტ სირთულეს პრაქტიკაში მაინც დანაშაულის შეწყვეტის ნებაყოფლობითობის საკითხი იწვევს. ნებაყოფლობითობა უშუალო კავშირშია დანაშაულის შეწყვეტის მოტივის საკითხთან. რა მოტივი ამოძრავებს ამ დროს დამნაშავეს? მიღებულია, რომ მნიშვნელობა არა აქვს, რა მოტივით, ზნეობრივით თუ უზნეოთი ხელმძღვანელობს ამ დროს ადამიანი. ზოგჯერ დამნაშავე შიშის მოტივით შეიძლება ხელმძღვანელობდეს. განასხვავებენ აბსტრაქტულ და კონკრეტულ შიშს. აბსტრაქტულია შიში მაშინ, როცა დანაშაულის ჩადენას ხელს კონკრეტულად არაფერი უშლის, მაგრამ დამნაშავეს მოულოდნელად შეიპყრობს დასჯის შიში და უარს იტყვის დანაშაულის გაგრძელებაზე. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტასთან და დამნაშავე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება. პრაქტიკაში იყო ასეთი შემთხვევა. ქალმა გზაზე მანქანა გააჩერა და მძღოლს შესაბამის დასახლებულ პუნქტამდე მიყვანა თხოვა. მძღოლმა ქალი ჩაისვა, მაგრამ შემდეგ გზიდან გადაუხვია, მანქანა ტყეში შეიყვანა და ქალს გაუპატიურება დაუპირა. ქალი, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, დაემუქრა, თავს თუ არ დამანებებ, ჩემს ქმარს ვეტყვიო. მძღოლმა დანაშაული აღარ გააგრძელა. ეს არის დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავეს ხელს არაფერი უშლიდა და შეეძლო დანაშაული ბოლომდე მიეყვანა.

კონკრეტულია შიში, როცა დამნაშავეს მხილების უშუალო საფრთხე შეექმნა. სასამართლო პრაქტიკაში იყო ასეთი შემთხვევა. ო.-მ შეწყვიტა ჩ.-ის გაუპატიურების მცდელობა, რადგან შენიშნა, რომ იქვე ახლოს ხუთი კაცი მუშაობდა, რომლებსაც შეეძლოთ შეემჩნიათ მისი დანაშაული. ო.-მ კონკრეტული შიშის მოტივით შეწყვიტა დანაშაული და ამიტომ ის პასუხისმგებლობისაგან არ გაუთავისუფლებიათ.[71]

[70] მ. ტურავა წერს, რომ „დამთავრებული მცდელობის შემთხვევებში პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაბუთებულია ე.წ. „ოქროს ხიდის“ თეორიით“ (იხ. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, 2002, 59-ე გვ.). ამ სიტყვებს ზუსტად იმეორებს თ. დონჯაშვილი (იხ. მისი „საქართველოს სისხლის სამართალი,“ 231-ე გვ.). საკითხავია, რატომ მიიცდამიინც დამთავრებული მცდელობის შემთხვევაშია დასაბუთებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება „ოქროს ხიდის“ თეორიით? დაუმთავრებელმა მცდელობამ რაღა დააშავა? „ოქროს ხიდის“ თეორია გამოიყენება არა მარტო დამთავრებული, არამედ ყოველგვარი მცდელობის დროს.

[71] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 126–127-ე გვ.

ნებაყოფლობითობის გარდა, აუცილებელია იმის დადგენა, რომ დამნაშავემ დაწყებული დანაშაული დროებით კი არ მიატოვა, არამედ საბოლოოდ შეწყვიტა ის. თუ დადგინდება, რომ დამნაშავემ დაწყებული დანაშაულის დამთავრება უფრო მოხერხებული დროისათვის გადადო, მაშინ ის პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება.

21.2. დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს დამნაშავეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს. მაგალითად, დამნაშავემ მოკვლის მიზნით ტყვია ესროლა მსხვერპლს და დაჭრა. შემდეგ აღარ უსვრია, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მკვლელობის მცდელობისათვის, მაგრამ პასუხს აგებს ჯანმრთელობის დაზიანებისათვის. ვინმემ მტრის მოკვლის მიზნით უკანონოდ შეიძინა პისტოლეტი, მაგრამ მკვლელობა მცდელობის სტადიაზე გადაიფიქრა. ის პასუხს აგებს მხოლოდ პისტოლეტის უკანონოდ შეძენისათვის, ხოლო, თუ ის პისტოლეტს ნებაყოფლობით ჩააბარებს შესაბამის ორგანოებს, გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნის საფუძველზე.

კაცმა ესროლა თოფი მსხვერპლს მოკვლის მიზნით, მაგრამ ვერ მოარტყა. მეორე სროლაზე კი ნებაყოფლობით თქვა უარი. ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მკვლელობის მცდელობისათვის და პასუხს აგებს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით სხვისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენებისათვის. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა მსხვერპლის სიცოცხლის მიმართ დამნაშავეს პირდაპირი განზრახვა აქვს.

ვინმე შევიდა სხვის ბინაში ქურდობის ან ძარცვის მიზნით, მაგრამ შესვლის შემდეგ ნებაყოფლობით შეწყვიტა დანაშაული. ის პასუხს არ აგებს ქურდობისათვის, მაგრამ დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით (ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა).

21.3. აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით ერთპიროვნულ ამსრულებელზე, რომელიც თვითონ ახორციელებს ქმედების შემადგენლობას, მაგრამ თავისებურება ახლავს ამ საკითხს თანამონაწილეობის დროს. როცა ამსრულებელი თანამონაწილისაგან დამოუკიდებლად შეწყვეტს დანაშაულს, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება მხოლოდ ამსრულებელი და არა თანამონაწილე, რადგან 21-ე მუხლით გათავისუფლება წმინდა პერსონალურ საფუძველს ემყარება.

თანამონაწილე, ვთქვათ, წამქეზებელი, თუ მანამ გადაწყვეტს დანაშაულზე ხელის აღებას, ვიდრე ბოლომდე დაარწმუნებს ამსრულებელს, რომ ჩაიდინოს დანაშაული, ე.ი. წააქეზებს მას, მაშინ ხელის აღება დანაშაულზე უმოქმედობით შეიძლება. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა თანამონაწილემ ყველაფერი გააკეთა თავის მხრივ და ახლა მხოლოდ ამსრულებელზეა დამოკიდებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, ასეთ დროს დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტისათვის თანამონაწილეს დასჭირდება აქტიურობა. მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა იმოქმედოს ამსრულებელზე და ან უნდა გადაარწმუნოს ის, რომ აღარ ჩაიდინოს დანაშაული, „დროულად შეატყობინოს ხელისუფლების ორგანოს" ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი მას. „სხვაგვარად ხელის შეშლა" იქნება. მაგალითად, მსხვერპლის გაფრთხილება, რომ მის წინააღმდეგ დანაშაულია მომზადებული და სხვ.

რაც მთავარია, ამსრულებელზე ზემოქმედებით თანამონაწილემ ხელი უნდა შეუშალოს დანაშაულის დასრულებას. ეს დებულება უგამონაკლისოდ ეხება წამქეზებელსა და ორგანიზატორს. რაც შეეხება დანაშაულის დამხმარეს, მას ყოველთვის როდი მოეთხოვება დანაშაულის დასრულებისათვის ხელის შეშლა. ამ მხრივ თავის დროზე კრიტიკის საგანი გახდა 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც წამქეზებლისა და ორგანიზატორის თანაბრად მოითხოვდა ყველა დამხმარისაგან მიეღო „ზომები დანაშაულის ასაცდენად, თუ ამასთანავე დანაშაული ბოლომდე არ იყო მიყვანილი".

ეს შეცდომა 1999 წლის კოდექსში გამოსწორებულია. დამხმარე ორი სახისაა: 1) ფსიქიკური და 2) ფიზიკური. ფსიქიკური დახმარების ერთ-ერთი სახეა ამსრულებლის რჩევა-დარიგება. ამიტომ დამხმარემ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ ამსრულებელმა არ ისარგებლოს ამ დარიგებით. ამ თვალსაზრისით დამხმარე წამქეზებელს უთანაბრდება და ამიტომ, წამქეზებლის მსგავსად, მასაც მოეთხოვება, რომ ბოლომდე არ მიიყვანოს დანაშაული. სწორედ ასეთ დამხმარეს გულისხმობს 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი, როცა ადგენს, რომ „დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ.... ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს... არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა".

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ისეთი სახის ფსიქიკურ დახმარებაზე, როგორიცაა ამსრულებლისათვის რაიმე ქმედების შეპირება. ასეთია, მაგალითად, დანაშაულის დაფარვის დაპირება. მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტისათვის საკმარისია,

თუ დამხმარემ „ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება".[72] დამხმარეს ამ შემთხვევაში არ ევალება შედეგის თავიდან აცილება. სამაგიეროდ, ის ვალდებულია დაპირებაზე ამსრულებელს დანაშაულის დაწყებამდე უთხრას უარი.

როგორ უნდა გავიგოთ პრაქტიკულად „დანაშაულის დაწყება?" თუ „დანაშაულის დაწყების" მომენტად დანაშაულის მომზადებას ჩავთვლით, მაშინ „შეპირება" უკვე მომზადებაა. ამიტომ შეპირებაზე უარი შესაძლებელია მომზადების შემდეგაც. მაგრამ იმ მომენტამდე, ვიდრე ამსრულებელს ჯერ კიდევ შეუძლია უკან დახევა. დანაშაულის დაფარვის შეპირებაზე უარით დამხმარე ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის სტიმულს უკარგავს. იმ სტიმულს, რომელიც მან ამსრულებელს დაფარვის შეპირებით მისცა.

ის, ვინც წინასწარ დაჰპირდა ქურდს დანაშაულის დაფარვას, ნებაყოფლობით წყვეტს დანაშაულს და ატყობინებს ამას ამსრულებელს იმ დროს, როცა იგი დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტისათვის სხვისი ბინის კარის გატეხვას აპირებდა. შეტყობინება აქ აუცილებელია, მაგრამ შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როცა შეტყობინება აუცილებელი არ არის და საკმარისია არ შესრულდეს შეპირებული მოქმედება. ეს ხდება მაშინ, როცა შეპირებული მოქმედება დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია. მაგალითად, მოახლე დაპირდა ქურდებს, რომ ღამით სახლის კარს ღიას დატოვებდა, მაგრამ პირობა არ შეასრულა. ქურდებმა სხვა გზით მოახერხეს ბინაში შეღწევა. მოახლე გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

პირველ მაგალითში, როცა საქმე გვაქვს დანაშაულის დაფარვის დაპირებასთან, აუცილებელია ამსრულებლისათვის იმის შეტყობინება, რომ შეპირება არ შესრულდება. შეტყობინება აქ იმიტომ არის აუცილებელი, რომ დაფარვა დანაშაულის ჩადენის შემდეგ უნდა მოხდეს და ამიტომ ის არ არის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი. დანაშაულის აუცილებელი ელემენტია დაფარვის შეპირება.

უფრო მარტივად წყდება საკითხი ფიზიკური დახმარების დროს. 21-ე

[72] ამ დებულების საწინააღმდეგოდ თ. დონჯაშვილი წერს, თითქოს ის, ვინც წინასწარ შეპირდა ამსრულებელს დანაშაულის დაფარვას, დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტისათვის „ვალდებულია აქტიური (!?) მოქმედებებით აღკვეთოს დანაშაული...." (იხ. თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, 234-ე გვ.). ასეთ ვალდებულებას ამ შემთხვევისათვის კანონმდებელი, ცხადია, არ აწესებს და, როცა დააწესოს, სწორი არ იქნება.

მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ფიზიკურ დამხმარეს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან „დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება".[73] მაგალითად, ვინმემ თავის მეგობარს ათხოვა თოფი მკვლელობის მიზნით, სახლის გასაღები, უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილის დასამწყვდევად და სხვ.

21.4. 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ ვერ მოახერხეს დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა, მათი მცდელობა, რომ ამსრულებელს დანაშაული ბოლომდე არ მიეყვანა, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს შემამსუბუქებელ გარემოებად და შესაბამისად მათ სასჯელი შეუმსუბუქოს.

ორგანიზატორსა და წამქეზებელს ყველა შემთხვევაში ევალებათ ამსრულებლის საქმიანობაში ჩაერიონ და დანაშაული ბოლომდე არ მიაყვანინონ, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით ფსიქიკურ დამხმარეზე. როგორც ზემოთ ვნახეთ, ფსიქიკურ დამხმარეს ზოგჯერ, ფიზიკური დამხმარის მსგავსად, ევალება მხოლოდ შეპირებაზე უარის თქმა (წინასწარ შეპირებული დაფარვა), ანდა არ შეასრულოს დაპირებული მოქმედება (ნახ. ზემოთ კარის ღიად დატოვების შეპირების მაგალითი) და სხვ. ფსიქიკური დამხმარე მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს დანაშაულის დამთავრებისათვის, თუ მან ამსრულებელს ურჩია, დაარიგა ის, როგორ უნდა ჩაედინა დანაშაული.

მეორე მხრივ, 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება ზოგჯერ ფიზიკური დამხმარის მიმართაც შეიძლება. მაგალითად, ფიზიკური დამხმარე ეცადა, მაგრამ ვერ დაიბრუნა ამსრულებლისათვის გადაცემული იარაღი ან საშუალება.

ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლომ განიხილა საქმე, რომლის მიხედვით დამნაშავეთა ჯგუფმა უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი წაიყვანეს ერთ-ერთ სოფელში, სადაც შეგულებული ჰქონდათ ბინა. ამ ბინის პატრონმა მათ წინასწარ გასაღები მისცა. შემდეგ გადაიფიქრა და დამნაშავეებს გასაღების უკან დაბრუნება მოთხოვა. მაგრამ ეს ვეღარ მოახერხა. დამნაშავეებმა მას გასაღები აღარ დაუბრუნეს. გასაღების მიმცემი, რასაკვირველია, დაისაჯა, მაგრამ გასაღების უკან დაბრუნების მცდელობა მისთვის სასჯელის შემსუბუქების საფუძველი გახდა.

21.5. 21-ე მუხლის მე-5 ნაწილით არ დაისჯება ის, ვინც დანაშაულის „შედეგის განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი". მაგალითად, დამნაშავემ მსხვერპლი მოკვლის მიზნით აჭაფებულ მდინარეში გადააგდო, შემდეგ გადაიფიქრა მოკვლა, გადახტა მდინარეში და მსხვერპლი სიკვდილს გადაარჩინა. ვინმემ მსხვერპლს საწამლავი მისცა მოკვლის მიზნით, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და საწამლავის საწინააღმდეგო წამლის მიცემით მსხვერპლი სიკვდილს გადაარჩინა და სხვ.

21-ე მუხლის მე-5 ნაწილი დანაშაულის მცდელობის დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად დაყოფის თეორიის ზეგავლენის ნაყოფია. ასეთი დაყოფის ზოგიერთ მომხრეს მიაჩნდა, რომ დამთავრებული მცდელობის დროს დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა შეუძლებელია.

მეორე მხრივ, ის ავტორები, რომლებიც მცდელობის ზემოხსენებული დაყოფის თეორიას იზიარებენ, გვიმტკიცებენ, თითქოს დამთავრებული მცდელობის დროს დანაშაულის ნებაყოფლობითი შეწყვეტა მხოლოდ მოქმედებით შეიძლება. ეს დებულება სწორი არ არის. მაგალითად, დამნაშავემ მოკვლის მიზნით თოფი ესროლა მსხვერპლს და აცილა, მაგრამ მეორედ აღარ ესროლა, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დამთავრებულ მცდელობასთან.[74] მაგრამ, როგორც ვხედავთ, დანაშაული უმოქმედობით შეწყდა.

ცალკე განხილვის საგანია დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა თანაამსრულებლობის და შუალობითი ამსრულებლობის დროს.

თანაამსრულებლობის დროს ეს უმთავრესად უმოქმედობითაა შესაძლებელი. მაგალითად, ერთმა გააკავა ქალი, ხოლო მეორე აუპატიურებდა. მაგრამ სქესობრივი აქტის მოხდენამდე გამკავებელმა ხელი უშვა ქალს და ამით ამსრულებელს დახმარება შეუწყვიტა, მაგრამ ამსრულებელმა დამოუკიდებლად შეძლო ქალის გაუპატიურება. თანაამსრულებელი

[73] თ. დონჯაშვილი წერს: „კანონმდებელი გამონაკლისს აკეთებს ფიზიკური დამხმარისათვის, რომელსაც აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე მან უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება" (იხ. მისი „საქართველოს სისხლის სამართალი", 234-ე გვ.). აქ ერთმანეთშია არეული ფსიქიკური და ფიზიკური დამხმარე. დამნაშავისათვის რაიმე „ქმედების შეპირება" ფსიქიკური დახმარებაა და არა ფიზიკური.

[74] მურად ტურავა, სისხლის სამართალი, 61-ე გვ. თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართალი, 231-ე გვ. ამის წინააღმდეგ ნახ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 127-ე გვ. Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации. 1971, 46-ე გვ.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება.

შეუალობითი ამსრულებლობის დროს, პირიქით, დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა მოქმედებას მოითხოვს. აქ იგულისხმება ისეთი ვითარება, როცა ამსრულებელმა უკვე აამოქმედა „ცოცხალი იარაღი". კაცმა, მაგალითად, მცირეწლოვანს გადასცა თოფი და დაარიგა, სად უნდა მივიდეს და ვის უნდა ესროლოს. დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა აქ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი დამნაშავე მცირეწლოვანს თოფს უკანვე გამოართმევს ან სხვაგვარად შეუშლის ხელს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას.

თავი VII
დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა

მუხლი 22. დანაშაულის ამსრულებლობა

ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად. უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

თანამედროვე სისხლის სამართალი სამი სახის ამსრულებლობას იცნობს: 1) უშუალო ამსრულებლობა, 2) თანაამსრულებლობა და 3) შუალობითი ამსრულებლობა.

უშუალო ამსრულებელი. უშუალოს უწოდებენ ისეთ ამსრულებელს, რომელიც თვითონ მარტო ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას. მაგალითად, დამნაშავე მარტო შედის სხვის ბინაში ქურდობის მიზნით, თვითონ აწვდის საწამლავს და კლავს კაცს, თვითონ აფალბებს დოკუმენტს და სხვ.

ხშირად დამნაშავის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის შუალედ რგოლად ჩართულია ფიზიკური საგანი, ბუნების მოვლენა ან ცხოველი. ამიტომ წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, აქ ადამიანის მოქმედება გაშუალებულია ცხოველის მოქმედებით ან ბუნებრივი მოვლენით. მაგრამ აქ ქმედების შემადგენლობას მაინც ერთი ადამიანი ასრულებს და ის უშუალო ამსრულებელია. ქართულ ლიტერატურაში იყო კურიოზული შემთხვევა, როცა ასეთ ქმედებას შუალობით ამსრულებლობად აკვალიფიცირებდნენ.[75]

შეიძლება გამოვყოთ უშუალო ამსრულებლობის ორი სახე: 1) ერთპიროვნული ამსრულებლობა, როცა მარტო ერთი ადამიანი მოქმედებს და 2) როცა, მართალია, დანაშაულს თანამონაწილენი სჩადიან, მაგრამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილ შემადგენლობას მაინც ერთი ადამიანი ასრულებს. პრაქტიკული თვალსაზრისით უშუალო ამსრულებლობის არც ერთი ეს სახე რაიმე სირთულეს არ წარმოშობს.

თანაამსრულებლობა. განასხვავებენ თანამონაწილეობას ვიწრო და ფართო გაგებით. ფართო გაგებით თანამონაწილეობა გულისხმობს თანამონაწილეობას როლების დაუნაწილებლად. ამ გაგებით ამსრულებელიც თანამონაწილეა. ასე რომ, ამ ცნებაში თანაამსრულებლობაც მოიაზრება. 22-ე მუხლის თანახმად თანაამსრულებელია ის, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში. „დანაშაულის ჩადენა" ნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის უშუალოდ აღსრულებას. ამიტომ თანაამსრულებლობა იგივე ამსრულებლობაა. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება თანაამსრულებელი თანამონაწილის, კერძოდ, დამხმარისაგან. ამიტომ არის, რომ ხშირად პრაქტიკაში თანაამსრულებელს დამხმარეში ურევენ ხოლმე.

ასეთი აღრევა გვხვდება განსაკუთრებით პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულებში, რომელთა შემადგენლობის ნიშნებია ძალადობა, მუქარა და სხვ. არ არის აუცილებელი, რომ ორივე ან სამივე თანაამსრულებელი შემადგენლობას მთლიანად ასრულებდეს. საკმარისია, რომ თანაამსრულებელმა შემადგენლობის ერთი ელემენტი მაინც შეასრულოს.

თ.ა-მ, ს.ა-მ და გ.დ.-მ ერთობლივად წააქციეს ა.ს და მოკვლის მიზნით გ.დ. ყელში უჭერდა ხელებს, ს.ა. თავში ქვას ურტყამდა, ხოლო თ.ა-მ მსხვერპლს მარცხენა მუხლის ფოსო, წვივი ხუთ ადგილას გადაუჭრა, გადაუჭრა აგრეთვე ვენები. მსხვერპლი სისხლის დენისაგან ადგილზევე გარდაიცვალა.

ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლომ ამსრულებლად ცნო მხოლოდ თ.ა., ესე იგი, ის, ვინც უშუალოდ მოკლა მსხვერპლი და მისი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით დააკვალიფიცირა. დანარჩენი ორი დამნაშავე კი სასამართლომ დამხმარე-

[75] ბ. ფურჯხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 1971, 92–93-ე გვ.

ებად ჩათვალა და ამის შესაბამისად ისინი მე-19, 105-ე მუხლებით (1960 წ. კოდექსი) დასაჯა.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ამ საქმის გამო ნათქვამია: ,,სამივე მსჯავრდებული მოქმედებდა ა.ს.-ს მოკვლის განზრახვით. დამდგარი შედეგი, ა.ს.-ს სიკვდილი, მათი ერთობლივი მოქმედების პროდუქტია და ამდენად მათი დანაშაულებრივი ქმედობა სასამართლოს განაჩენით სწორად არის დაკვალიფიცირებული".[76]

ჩვენ ეს კვალიფიკაცია სწორად არ მიგვაჩნია. სასამართლომ არასწორად ჩათვალა ს.ა. და ე.დ. დამხმარეებად. სინამდვილეში ისინი ამსრულებლები იყვნენ. მკვლელობის ამსრულებელი მარტო ის კი არ იყო, ვინც მსხვერპლს ვენები გადაუჭრა, არამედ ისიც, ვინც ყელში ხელს უჭერდა და ისიც, ვინც თავში ქვას ურტყამდა. ეს იყო მკვლელობის თანაამსრულებლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გაუპატიურება არის სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა ერთობლივად მოქმედი რამდენიმე დამნაშავიდან მხოლოდ ერთი მათგანი ახორციელებს სქესობრივ აქტს, ხოლო დანარჩენები მსხვერპლისადმი ფიზიკური ძალადობით ეხმარებიან თანამზრახველს სქესობრივი აქტის შესრულებაში. ერთი შეხედვით ისინი თითქოს დამხმარეები არიან. მაგრამ არსებითად ისინიც აღსრულებით მოქმედებებს სჩადიან, ახორციელებენ შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს – ფიზიკურ ძალადობას. ასევე გადაწყდება საკითხი მაშინაც, როცა დამნაშავე სქესობრივ აქტს უშუალოდ ახორციელებს, მეორე თანამზრახველი კი ემუქრება დაზარალებულს და აიძულებს მას, დაემორჩილოს მოძალადეს. აქაც თანაამსრულებლობასთან გვაქვს საქმე.

თანაამსრულებელია ისიც, ვინც მსხვერპლს უმწეო მდგომარეობაში მოიყვანს, ხოლო მეორე გააუპატიურებს. მსხვერპლის უმწეობაც შემადგენლობის ნიშანია.

ჭიათურის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 11 მაისის განაჩენით ი.შ-შვილს და ზ. ც-ძეს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლით და 117-ე მუხლის მესამე ნაწილით (1960 წლის კოდექსი) არასრულწლოვან ა.შ.-შვილის გაუპატიურებისათვის დახმარების გამო.

[76] ოთარ გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, 109–110-ე გვ.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 15 დეკემბრის განაჩენით ჭიათურის რაიონის სასამართლოს ხსენებული განაჩენი არ შეცვლილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 1 მარტის განჩინებაში ამ საქმის გამო ნათქვამია: ი.შ-შვილმა და ზ.ც.-ძემ ,,დაზარალებულს დაძალებით დაალევინეს ოჯახიდან წამოღებული არაყი და გზაში შეძენილი ლიქიორი. შემდეგ, მიუხედავად დაზარალებულის თხოვნისა, დაებრუნებინათ სახლში, ა.შ-შვილის მითითებით ცენტრალური გზიდან გადაუხვიეს და მანქანა გააჩერეს მიტოვებული შენობის მახლობლად მინდორში, გაჩერებული მანქანიდან ა.შ-შვილმა თანამზრახველების დახმარებით ი.კ-შვილი გადაიყვანა და შეიყვანა შენობაში, სადაც ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედებისა და მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით დაამყარა სქესობრივი კავშირი".[77]

როგორც ამ ტექსტიდან ჩანს, ი.შ-შვილისა და ზ.ც-ძის მოქმედებებით დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგალითად, მათ დაზარალებულს ,,დაძალებით დაალევინეს" არაყი და ლიქიორი. გარდა ამისა, ა.შ-შვილს ,,თანამზრახველების დახმარებით" დაზარალებული გადაუყვანია მანქანიდან და შეუყვანია შენობაში. ასე რომ, ა.შ-შვილსა და ზ.ც-ძეს აღსრულებითი მოქმედებები აქვთ ჩადენილი. ამიტომ მათი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირებულიყო 117-ე მუხლის მესამე ნაწილით მე-19 მუხლზე (თანამონაწილეობა, დახმარება) მიუთითებლად.

ეს საქმე საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ ერთ-ერთი დამნაშავე, კერძოდ, ა. შ-შვილი ქალია. ასე რომ, ქალიც შეიძლება იყოს გაუპატიურების თანაამსრულებელი.

სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება გამიზნითი დელიქტები, რომელთა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სპეციალური მიზანი. ასეთია, მაგალითად, სხვისი მოძრავი ნივთის მითვისების მიზანი (ქურდობა და სხვ.).

შესაძლებელია ქურდობის ორი მონაწილიდან ნივთის მითვისების მიზანი მხოლოდ ერთ მათგანს ჰქონდეს, მეორე კი დანაშაულის შემადგენლობის წმინდა ობიექტურ მხარეს ასრულებდეს. მიუხედავად ამისა, ქურდობის თანაამსრულებელია ისიც, ვისაც, თუმცა მითვისების მიზანი არა აქვს, მაგრამ იცის, რომ მეორე თანამზრახველი ამ მიზნით მოქმედებს და ეხმარება მას თავისი მოქმედებით.

[77] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2000, №5, 186-ე გვ.

1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლით პასუხისმგებლობა იყო დაწესებული ქალის მოტაცებისათვის მასთან ქორწინების მიზნით. ამჟამად ეს ქმედება პასუხისმგებლობას გამოიწვევს 1999 წლის კოდექსის 143-ე მუხლით.

ამ შემადგენლობის თავისებურება ის არის, რომ რამდენი კაციც უნდა მონაწილეობდეს ქალის მოტაცებაში, ქორწინების მიზანი მხოლოდ ერთ მათგანს უნდა ჰქონდეს. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ ის, ვისაც მოტაცებულ ქალთან ქორწინების მიზანი აქვს, ქალის ფაქტობრივ მოტაცებაში არც კი მონაწილეობდეს.

ამ თავისებურებამ წარსულში 1960 წლის კოდექსის 134-ე მუხლის გამოყენების პრაქტიკა საქართველოში მთლიანად გაამრუდა. ეს იმით გამოიხატა, რომ ამ დანაშაულის ამსრულებლად სასამართლოები მხოლოდ იმას მიიჩნევდნენ, ვისაც ქალთან ქორწინების მიზანი ჰქონდა.

ზ.დ.-მ წინადადება მისცა თ.-ს ცოლად გაჰყოლოდა, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ მამა-შვილი ბ.დ. და გ.დ. დაუხვდნენ გზაზე შინისაკენ მიმავალ თ.-ს, აიყვანეს ხელში და ასე მიიყვანეს სამანქანო გზასთან. მიუხედავად ქალის წინააღმდეგობისა, ძალით შესვეს ის ცხენზე, უკან ქალს მოუჯდა ზ.დ., ხოლო გ.დ.-მ და სხვებმა ხელი მოკიდეს დაზარალებულს ხელებზე და ასე ატარეს დაახლოებით 7-8 კილომეტრზე. შემდგომ გადმოსვეს ცხენიდან, ჩასვეს ავტომანქანაში და მიიყვანეს ვაჟის სახლში.

მესტიის რაიონის სასამართლომ ამსრულებლად ცნო მხოლოდ ზ.დ., ესე იგი ის, ვისაც ქალთან ქორწინების მიზანი ჰქონდა და მისი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლით (1960 წლის კოდექსი) დააკვალიფიცირა. რაც შეეხება ზ.დ.-ს მამას გ.დ.-ს, რომელმაც მეტად აქტიური როლი შეასრულა „სარძლოს" მოტაცებაში, სასამართლომ ის დამხმარედ ჩათვალა და მისი ქმედება 1960 წლის კოდექსის მე-19, 134-ე მუხლებით დააკვალიფიცირა.[78] ეს კვალიფიკაცია არ იყო სწორი. აქ ზ.დ.-ს მამა გ.დ. დანაშაულის თანაამსრულებელია. არ არის აუცილებელი, რომ ქალის მოტაცების ყველა თანაამსრულებელს ქორწინების მიზანი ჰქონდეს.

გ.ხ., გ.ბ. და ზ.დ. შეიჭრნენ დ.ბ.-ს სახლში არასრულწლოვან ჟ.ბ.-ს მოსატაცებლად. სამივე თანამზრახველი ერთობლივად მოქმედებდა, მაგრამ დაზარალებულის და მისი დედის აქტიური წინააღმდეგობის

[78] ოთარ გამყრელიძე, დანაშაულის შეულობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, 121-ე გვ.

გამო დანაშაულის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლეს. მიუხედავად იმისა, რომ სამივე თანამზრახველმა ერთგვაროვანი მოქმედებები შეასრულა, გეგეჭკორის (დღევანდელი მარტვილის) რაიონის სასამართლომ მხოლოდ გ.ს. ცნო ამსრულებლად, ვინაიდან მხოლოდ მას სურდა ქალთან ქორწინება და დააკვალიფიცირა მისი მოქმედება მე-17, 134-ე მუხლებით (ქალის მოტაცების მცდელობა 1960 წლის კოდექსით). დანარჩენი ორი დამნაშავე სასამართლომ ჩათვალა დამხმარეებად და მათი ქმედებები მე-17, 134-ე მუხლებით დააკვალიფიცირა.[79]

არც ეს კვალიფიკაციაა სწორი. აქაც, როგორც წინა მაგალითში ვნახეთ, საქმე გვაქვს ქორწინების მიზნით ქალის მოტაცების თანაამსრულებლობასთან.

ზოგჯერ უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა ხდება ავტომანქანით. მძღოლის მოქმედება ამ დროს უნდა დაკვალიფიცირდეს ამსრულებლობად და არა დახმარებად.

თავისებურება ახლავს თანაამსრულებლობას სპეციალურ დელიქტებში. სპეციალური დელიქტია ისეთი შემადგენლობა, რომლის ამსრულებლობა შეუძლია მხოლოდ სპეციალური მოვალეობით აღჭურვილს (მაგალითად, მოხელე, სამხედრო და სხვ.). ასეთი დანაშაულის თანაამსრულებლობა არ შეიძლება, როცა ერთი დამნაშავე სპეციალური მოვალეობითაა აღჭურვილი, ანუ სპეციალური ამსრულებელია (და არა სპეციალური სუბიექტი) და მეორე ასეთივე მოვალეობით არ არის აღჭურვილი.

მაგალითად, უკანონო განაჩენის გამოტანის თანაამსრულებლობა (336-ე მუხლი) შეუძლია მხოლოდ მოსამართლეს; 368-ე მუხლით მტკიცებულების განადგურებისათვის პასუხს აგებს „სამართალწარმოების მონაწილე". ამიტომ ამ დანაშაულის თანაამსრულებელი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არ არის „სამართალწარმოების მონაწილე" და სხვ.

არ შეიძლება ისეთი სპეციალური დელიქტის თანაამსრულებლობა, რომლის ჩადენა საკუთარი ხელით ხდება. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 389-ე მუხლით ისჯება დეზერტირობა. ამ დანაშაულის თანაამსრულებლობა არ შეიძლება. ათი დეზერტირიც რომ გაიქცეს სამხედრო ნაწილიდან ერთმანეთთან შეთანხმებით, თითოეული მათგანი პასუხს აგებს დანაშაულის ერთპიროვნული ამსრულებლობისათვის და არა დეზერტირობის თანაამსრულებლობისათვის.

[79] ოთარ გამყრელიძე, მით. ნაშრომი, 121–122-ე გვ. იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2002, №8.

საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, პატიმრობიდან ან ბადრაგირებისას გაქცევა (379-ე მუხლი), თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება (380-ე მუხლი). ამ დელიქტების არც თანაამსრულებლობა შეიძლება და არც შუალობითი ამსრულებლობა. ამ დანაშაულში შესაძლებელია მხოლოდ თანამონაწილეობა ვიწრო აზრით (წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი).

შემდეგი საკითხია თანაამსრულებლობა უმოქმედობის დროს. უმოქმედობა ორი სახისაა: 1) წმინდა და 2) შერეული უმოქმედობა. წმინდა უმოქმედობაა, მაგალითად, დაუხმარებლობა (129-ე მუხლი), ალიმენტის გადახდისათვის ვიუტად თავის არიდება (176-ე მუხლი), გადასახადისათვის თავის არიდება (218-ე მუხლი), უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა (383-ე მუხლი) და სხვ. ამ დელიქტების თანაამსრულებლობა არ შეიძლება, რადგან მათი ჩადენა დაკავშირებულია სპეციალური მოვალეობის შესრულებასთან. ეს მოვალეობა პერსონალურია და დელიქტის ბუნების განმსაზღვრელია. ამ მოვალეობის გადატანა სხვაზე არ შეიძლება. რახან მოვალეობა პერსონალურია, მისი დარღვევა მხოლოდ ერთ პიროვნებას შეუძლია და ორ პიროვნებაზე ან სამზე თანაამსრულებლობის სახით ეს არ განაწილდება.

სხვა მდგომარეობაა შერეული უმოქმედობის დროს. შერეული უმოქმედობის დელიქტია ისეთი დელიქტი, რომლის ჩადენა როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით შეიძლება. მაგალითად, უმოქმედობით მკვლელობა შერეული უმოქმედობის დელიქტია. დედას შეუძლია შვილი მოკლას მოქმედებითაც, ვთქვათ, დაახრჩოს ის და უმოქმედობითაც. კერძოდ, არ გამოკვებოს და მოკლას შიმშილით. უმოქმედობით მკვლელობის თანაამსრულებლობა აქ შეუძლიათ ცოლ-ქმარს, რომლებიც შეთანხმდებიან, რომ შვილი შიმშილით მოკლან.

როდესაც მშობლები არავითარ ზომებს არ ღებულობენ საფრთხეში მყოფი შვილის გადასარჩენად და განზრახ მკვლელობას სჩადიან, მაშინ ისინი მკვლელობის თანაამსრულებლებად იმიტომ კი არ ჩაითვლებიან, რომ ერთი მათგანის მოვალეობა მეორეზე გადავიდა, არამედ იმიტომ, რომ თითოეულმა მათგანმა დაარღვია თავისი მოვალეობა და ამით შვილი მოკლა. სწორედ ეს შედეგი, რომელიც მკვლელობის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია, საფუძვლად დაედო იმ დებულებას, რომ თითოეული მათგანის უმოქმედობა ერთობლივად აღებული მკვლელობის თანაამსრულებლობად უნდა შეფასდეს.

სუბიექტური მხრივ თანაამსრულებლობა განზრახი ქმედებაა. ზოგჯერ თანაამსრულებლები მოქმედებენ წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ წინასწარი შეთანხმება ყოველთვის აუცილებელი არ არის. აუცილებელია მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ისინი ერთსა და იმავე სისხლისსამართლებრივ უმართლობას სჩადიან.

თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარე ორ მომენტს მოიცავს: 1) შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება და 2) თანაამსრულებლის მხრიდან იმის ცოდნა, რომ ის სხვა თანაამსრულებელთან ერთად ახორციელებს კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ უმართლობას.

შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება თანაამსრულებლობის დროს, თანამონაწილეობის მსგავსად, მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი.

შუალობითი ამსრულებლობა. ისეთ შემთხვევას, როცა დამნაშავემ დანაშაულის (ქმედების) შემადგენლობა იმ ადამიანის მეშვეობით შეასრულა, რომელსაც პასუხისმგებლობა არ დაეკისრება სხვადასხვა გარემოების გამო ან პასუხს აგებს სხვა უმართლობისათვის, შუალობით ამსრულებლობად აკვალიფიცირებენ. ასეთ ადამიანს იურიდიულ ლიტერატურაში „ცოცხალ იარაღს" უწოდებენ.

22-ე მუხლი იძლევა იმ შემთხვევათა სანიშუშო ჩამონათვალს, რომელთა დროს წამქეზებლის ან დამხმარის მოქმედება თანამონაწილეობად კი არა, შუალობით ამსრულებლობად დაკვალიფიცირდება. ასეთი შემთხვევებია მცირეწლოვანის („ასაკი"), ფსიქიკურად დაავადებულის („შეურაცხაობა") ან სხვაგვარ მდგომარეობაში მყოფის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად („სხვა გარემოების გამო").

კანონის საერთო აზრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შუალობითი ამსრულებლობის დროს „ცოცხალი იარაღი" ანუ ადამიანი, რომელიც ქმედების შემადგენლობას უშუალოდ ასრულებს, შეურაცხია. „ცოცხალ იარაღს" ამ დროს არ შეერაცხება ბრალად ის უმართლობა, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი მისი მეშვეობით სჩადის.

შუალობითი ამსრულებელი ტიპურად წამქეზებლობის ფორმით მოქმედებს. ამიტომ წმინდა ობიექტური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, წამქეზებლობის დროს თანამონაწილეობასა და შუალობით ამსრულებლობას შორის განსხვავებას ვერ ვნახავთ. შუალობითი ამსრულებლობა გვექნება მხოლოდ მაშინ, როცა წამქეზებელმა იცის, რომ ის წაქეზებულს დანაშაულის ჩადენის „ცოცხალ იარაღად" იყენებს.

მაგრამ პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს შემთხვევა, როცა შუალობითი

ამსრულებელი გარეგნულად დამხმარის ფორმით გამოდის. მაგალითად, მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი მეგობარს სთხოვს იარაღს თავდაცვისათვის. მეგობარი ხედავს, რომ „თავდამსხმელი" მისი დაუძინებელი მტერია, აწვდის იარაღს მთხოვნელს და მისი მეშვეობით კლავს თავის მტერს.

შუალობითი ამსრულებელი შეიძლება მარტო მოქმედებდეს და აქეზებდეს ან ეხმარებოდეს „ცოცხალ იარაღს" შემადგენლობის განხორციელებაში (ერთპიროვნული ამსრულებელი). მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ შუალობითი ამსრულებლობის სახით ერთდროულად ორი ან მეტი ამსრულებელი სჩადიოდეს დანაშაულს.[80] მაგალითად, ერთი დამნაშავე აქეზებს მცირეწლოვანს დანაშაულის ჩასადენად, მეორე კი ურჩევს, როგორ იმოქმედოს უფრო მოხერხებულად (ფსიქიკური დამხმარე) ან იარაღს აწვდის (ფიზიკური დამხმარე) და სხვ. ამ შემთხვევას შეიძლება ვუწოდოთ დანაშაულის **თანაშუალობითი** ამსრულებლობა.

შუალობითი ამსრულებლობის სუბიექტური მხარე არაფრით არ განსხვავდება თანამონაწილეობის სუბიექტური მხარისაგან. შუალობითი ამსრულებელიც მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.

ზოგჯერ შუალობითი ამსრულებელი ცდება და ჰგონია, რომ ის, ვისაც იგი აქეზებს ან ეხმარება სავსებით ვარგისია შესაბამისი დანაშაულის ამსრულებლად. სინამდვილეში უშუალო ამსრულებელი სულით ავადმყოფი ან მცირეწლოვანი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში წამქეზებელი ან დამხმარე პასუხს აგებენ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის[81] 24-ე მუხლზე მითითებით.

შუალობითი ამსრულებლობისათვის აგებს პასუხს წამქეზებელი ან დამხმარე, როცა მას ჰგონია, რომ აქეზებს ან ეხმარება მცირეწლოვანს, სინამდვილეში კი ის სრულწლოვანი აღმოჩნდება.

შუალობითი ამსრულებლობა გვექნება მაშინაც, როცა „ცოცხალი იარაღი" და მსხვერპლი ერთ პიროვნებაშია შერწყმული. ამის ნიმუშია სულით ავადმყოფის თვითმკვლელობისათვის წაქეზება, როცა მას არა აქვს შეცნობილი თავისი მოქმედების სოციალური მნიშვნელობა.

შეიძლება თუ არა შუალობითი ამსრულებლობა საკუთარი ხელით ჩასადენ დანაშაულებში? საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულები სამი სახისაა: 1) წმინდა უმოქმედობის, 2) წმინდა მოქმედების და 3) შერეული სახის დანაშაულები. წმინდა უმოქმედობის დანაშაული ყოველთვის

[80] თ.წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 131-ე გვ., იხ. 86-ე სქოლიო.
[81] თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, 82-ე გვ.

რაიმე მოვალეობის შეუსრულებლობით გამოიხატება. მაგალითად, ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება (176-ე მუხლი), გადასახადისათვის თავის არიდება (218-ე მუხლი) და სხვ. ეს დანაშაულები პერსონალური მოვალეობის შეუსრულებლობასთან არის დაკავშირებული. ამიტომ მათი შუალობითი ამსრულებლობა არ შეიძლება.

წმინდა მოქმედების დანაშაულია, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, პატიმრობიდან ან ბადრაგირებისას გაქცევა (379-ე მუხლი).

შერეული სახის საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულებია სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებური დატოვება (388-ე მუხლი), დეზერტირობა (389-ე მუხლი). 388-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს არა მარტო სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისათვის, არამედ სამხედრო ნაწილში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობისათვის „ორ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით." 389-ე მუხლით დეზერტირობა გულისხმობს არა მარტო სამხედრო ნაწილის თვითნებურ დატოვებას, არამედ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობას.

ერთი სიტყვით, 379-ე მუხლით აღწერილი ქმედება წმინდა მოქმედების დანაშაულია, ხოლოდ 388-ე და 389-ე მუხლებით აღწერილი ქმედებები შერეული დანაშაულებია, მაგრამ სამივე დანაშაული, მიუხედავად ამისა, საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულია და ამიტომ მათი შუალობითი ამსრულებლობა არ შეიძლება. ასევე შეუძლებელია დასაღუპად განწირული სამხედრო ხომალდის დატოვების შუალობითი ამსრულებლობა (391-ე მუხლი). ესეც საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულია. ამ დანაშაულების ამსრულებლობა შეუძლებელია იმიტომ, რომ დამნაშავემ თავისი თავი ერთგვარ მდგომარეობაში უნდა მოაქციოს (თვითონ უნდა გაიქცეს, არ უნდა დაბრუნდეს), სწორედ თავისი თავი და არა სხვა ვინმე. (დეზერტირი საკუთარი ფეხებით გარბის, უთქვამს გამოჩენილ გერმანელ იურისტს კ. ბინდინგს).

ახლა განვიხილოთ შუალობითი ამსრულებლობის საკითხი სპეციალურ დანაშაულებში. სპეციალურია ისეთი დანაშაული, რომლის ამსრულებლობა სპეციალურ მოვალეობას მოითხოვს. მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაულის ამსრულებელს თანამდებობრივი მოვალეობა მოეთხოვება, სამხედრო დანაშაულის ამსრულებელი სამხედრო მოვალეობით უნდა იყოს აღჭურვილი და სხვ. ამ დანაშაულთა შუალობითი ამსრულებლობა არ შეუძლია იმას, ვისაც ეს მოვალეობა არ აკისრია. ეს იმიტომ ხდება,

რომ მოვალეობა პერსონალური ხასიათისაა და ერთი ადამიანის პერსონალური ნიშანი (მოვალეობა) არ შეიძლება გადავიდეს სხვაზე (წამქეზებელი, დამხმარე), ვისაც ეს მოვალეობა არ აკისრია. აქედან ის დასკვნა კეთდება, რომ იმას, ვისაც არ შეუძლია უშუალოდ აღასრულოს შემადგენლობა, ის ამ შემადგენლობას ვერც „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით ვერ აღასრულებს.

მაგრამ ეს კანონზომიერება ყოველთვის არ მართლდება. ამიტომ ნიშნები, რომლებიც გამორიცხავენ ამსრულებლის მიერ ამა თუ იმ დანაშაულის უშუალოდ ჩადენას, ორ ჯგუფად უნდა დაიყოს. პირველ ჯგუფში შევა ისეთი ნიშნები, რომლებიც ამსრულებელს რაიმე მოვალეობას აკისრებენ. მაგალითად, თანამდებობრივი ან სამხედრო მოვალეობა და სხვ. მეორე ჯგუფში შევა ფაქტობრივი ხასიათის ნიშნები. მაგალითად, რაიმე ფიზიკური ან პროფესიული ნაკლი (ვთქვათ, წერა-კითხვის ან მანქანის მართვის უცოდინარობა და სხვ.).

პირველი ჯგუფის ნიშნები გამორიცხავენ შუალობითი ამსრულებლობის შესაძლებლობას. პოლიციელთა ჯგუფი მიცემული იყო პასუხისგებაში პატიმართა მიმართ ცემა-წამებისათვის. მათი ქმედებები, სხვა მუხლებთან ერთად, დაკვალიფიცირებული იყო ავრეთვე საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე (წინასწარი შეცნობით უდანაშაულო პირის მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში) და 195-ე (ჩვენების მიცემის იძულება) მუხლებით.

ამ პოლიციელებს ბრალდებულები არც პასუხისგებაში მიუციათ და არც ჩვენება ჩამოურთმევიათ. მათ პატიმრებს მხოლოდ ახსნა-განმარტება დააწერინეს. მაგრამ ახსნა-განმარტების იძულებით ჩამორთმევა 195-ე მუხლით არ ისჯებოდა. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ, გამოძიების აზრით, პოლიციელები 192-ე და 195-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობების შუალობითი ამსრულებლები იყვნენ. ისინი ვითომ ცემით აიძულებდნენ პატიმრებს მიეცათ ისეთი ჩვენებები, რომლებიც გამოძიებას საფუძველს უქმნიდა მათი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისათვის. მაშასადამე, პოლიციელები იყვნენ ამ დანაშაულთა შუალობითი ამსრულებლები, ხოლო გამომძიებლები „ცოცხალი იარაღის“ როლში გამოდიოდნენ.

ასეთი კვალიფიკაცია, რასაკვირველია, სწორი არ იყო. ამიტომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ მსჯავრდებულებს ეს მუხლები საესებით დასაბუთებულად მოუხსნა.

მეორე მხრივ, თუ ადამიანს აქვს ისეთი ფიზიკური ან პროფესიული ნაკლი, რომელიც დანაშაულის უშუალოდ აღსრულებას უშლის ხელს, მაშინ ამ ნაკლის შევსება მას „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით შეუძლია.

მაგალითად, გაუპატიურების შუალობითი ამსრულებელი შეიძლება იყოს ქალი, ყალბი დოკუმენტის დამზადება „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით შეუძლია წერა-კითხვის უცოდინარსაც და ა.შ.

ვთქვათ, ქალი აქეზებს მცირეწლოვანს ქალის გაუპატიურებისათვის და ფიზიკურადაც ეხმარება მას. წამქეზებელი ამ შემთხვევაში გაუპატიურების შუალობითი ამსრულებელი იქნება.

მეორე მხრივ, შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა დამნაშავეს საერთოდ კი შეუძლია რომელიმე დანაშაულის უშუალოდ აღსრულება, მაგრამ მისთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელი და ადვილი იყოს მათი „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით განხორციელება. ასეთი დანაშაულია, მაგალითად, ყალბი დოკუმენტის დამზადება. ყალბი დოკუმენტი ყველას შეუძლია უშუალოდ თვითონ დაამზადოს სათანადო ხელსაწყოებისა და ერთგვარი ცოდნის მეოხებით. მაგრამ ზოგჯერ დამნაშავემ შეიძლება უფრო მოხერხებულად მიიჩნიოს ასეთი დოკუმენტის დაწესებულების მეოხებით დამზადება.

საბჭოური რეჟიმის დროს მოქმედებდა წესი, რომლის მიხედვით ახალგაზრდას, რომელიც საქართველოს გარეთ სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, არ ჰქონდა უფლება გადმოსულიყო და სწავლა გაეგრძელებინა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. არსებობდა ამ ინსტიტუტში გადმოსვლის ერთადერთი საშუალება, თუ სტუდენტი თბილისში მცხოვრებზე დაქორწინდებოდა.

ქ. პერმის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა, ვინმე ბერიძემ გადწყვიტა გადმოსულიყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სასწავლებლად. ამისათვის მან ასეთი ხერხი იხმარა. ვინმე პეტროპავლოვსკაიას ქალი 2000 მანეთად იქირავა და მმაჩის ორგანოში ქორწინების რეგისტრაციაში გასატარებლად მიიყვანა, თანაც ქალს შეჰპირდა, რომ ექვს თვეში განქორწინებას გაუფორმებდა. ამ ხერხით აღებული ქორწინების მოწმობით ბერიძემ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გადმოსვლა მოახერხა. შემოწმების შედეგად ეს ამბავი გამოვლინდა და ბერიძე ყალბი დოკუმენტის დამზადებისათვის პასუხისგებაში მისცეს. ბერიძე დანაშაულის შუალობითი ამსრულებელია. მან მოტყუებით "ცოცხალ იარაღად“ გამოიყენა მმაჩის ორგანოს თანამშრომელი და მისი მეშვეობით დაამზადა ყალბი დოკუმენტი, რაც შეეხება პეტროპავლოვსკაიას ქალს, ის დანაშაულის თანაამსრულებელი იყო. ამ შემთხვევაში თანაშუალობითი

ამსრულებელი. მმაჩის ორგანოს თანამშრომელი მოატყუეს, შეაცდინეს და ამიტომ იგი შეურაცხი იყო. მისი შეურაცხაობა საპატიო შეცდომას ეფუძნებოდა.

ზოგჯერ „ცოცხალი იარაღის" შეურაცხაობა ფსიქიკურ დაავადებას ეფუძნება. მ.ჯ-მ, რომელსაც საკუთარ ძმასთან, ა.ჯ.-სთან მტრობა ჰქონდა, სულით ავადმყოფი ხ.კ. მის მოსაკლავად წააქეზა. ამისათვის მან ხ.კ.-ს სანადირო თოფი გადასცა ოთხი ვაზნით და თან აღუთქვა, რომ, თუ ჩემს ძმას მოკლავ, გასამრჯელოდ ამ თოფს მიიღებო. ხ.კ.-მ მოკვლის მიზნით ორჯერ ესროლა თოფი ა.ჯ.-ს და დაჭრა. წითელწყაროს (დღევანდელი დედოფლისწყაროს) რაიონის სასამართლომ მ.ჯ.-ს ქმედება მკვლელობის მცდელობით დააკვალიფიცირა. მ.ჯ. დანაშაულის შუალობითი ამსრულებელია. ობიექტური მხრივ, მისი მოქმედება ერთდროულად წაქეზებითაც გამოიხატა და დახმარებითაც (დატენილი თოფის მიწოდება). ეს მაგალითი პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზეც, რომ შუალობითი ამსრულებლობა, მსგავსად თანამონაწილეობისა, აქცესორულია, ესე იგი დამოკიდებულია „ცოცხალი იარაღის" მოქმედებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ „ცოცხალი იარაღი" მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, შუალობითი ამსრულებლის მოქმედებაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირდება და ა.შ.

ზოგჯერ „ცოცხალ იარაღად" გამოყენებული შეურაცხია მცირეწლოვანობის გამო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე თოთხმეტი წელი არ შესრულებია.

მაგრამ ზოგიერთი დანაშაულის ამსრულებლობის სახით შერაცხვისათვის უფრო მაღალი ასაკია საჭირო. ასეთია, მაგალითად, მოვალეობის დანაშაული, რომლის ამსრულებლობა სპეციალური მოვალეობის დარღვევას მოითხოვს (თანამდებობრივი დანაშაული, სამხედრო დანაშაული და სხვ.). მაგრამ ამ დანაშაულებში შესაძლებელია თანამონაწილეობა თოთხმეტი წლის ასაკიდან. არის ზოგიერთი სხვა დანაშაულიც, რომლის ჩადენისათვის პასუხს აგებს მხოლოდ სრულწლოვანი, ესე იგი თვრამეტ წელს მიღწეული.

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით სრულწლოვანი დაისჯება გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედებისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან. ამ დანაშაულის ამსრულებელი აუცილებლად სრულწლოვანი უნდა იყოს. ამიტომ, იმ სრულწლოვანის ქმედება, რომელიც აქეზებს (ან ეხმარება/) არასრულწლოვანს გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტისათვის თექვსმეტ წელს მიუღწეველთან, დანაშაულის შუალობით ამსრულებლობად დაკვალიფიცირდება.

შუალობით ამსრულებლობად დაკვალიფიცირდება აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როცა ვინმე თავის მტერს მოკვლის მიზნით საწამლავს ჩაუყრის სასმელში, რომელსაც მსხვერპლი თავისი ხელით დალევს და მოკვდება. შუალობითი ამსრულებლობა გვექნება არა მარტო მაშინ, როცა დამნაშავე მსხვერპლს თვითონ შეაცდენს, არამედ მაშინაც, როცა იგი სხვის შეცდომას გამოიყენებს. კოლმეურნეობის მოლარეს ბანკიდან ჩეკის მიხედვით 15.000 მანეთი უნდა მიეღო. ბანკის მოლარემ შეცდომით მას, ნაცვლად 15.000 მანეთისა, 75.000 მანეთი მიუთვალა. კოლმეურნეობის მოლარემ ზედმეტად მიღებული 60.000 მანეთი მიითვისა.[82]

შუალობით ამსრულებლობად დაკვალიფიცირდება აგრეთვე დამნაშავის მოქმედება, როცა იგი აღუკვეთავს ადამიანს რაიმე მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას.[83] მაგალითად, დამნაშავემ შებორკა მაღაზიის დარაჯი, ხოლო მცირეწლოვანმა მაღაზია გაძარცვა. დარაჯის შემბორკავი ძარცვის შუალობითი ამსრულებელია.

22-ე მუხლის თანახმად შუალობითი ამსრულებლის მოქმედებასა (წაქეზება, დახმარება) და დანაშაულებრივ შედეგს შორის შუალედ რგოლად ჩართულია იმის მოქმედება, ვისაც „ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა." ამ ტექსტის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს „ცოცხალი იარაღი" არასოდეს აგებს პასუხს. მაგრამ აქ კანონმდებლის აზრი უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ. ზოგჯერ „ცოცხალი იარაღი" პასუხს აგებს, თუმცა არა იმ უმართლობისათვის, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი სჩადის. მაგალითად, ვინმე აქეზებს ნაცნობს, ესროლოს ბუჩქს, სადაც თითქოს კურდღელი ზის. სინამდვილეში იქ წამქეზებლის მტერია, რომელსაც მოხვდა ტყვია და მოკვდა. წამქეზებელი პასუხს აგებს განზრახი მკვლელობის უმართლობისათვის, ხოლო „ცოცხალი იარაღი" დაისჯება გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის.

შუალობითი ამსრულებლობა ყოველთვის განზრახი მოქმედებაა. განზრახვა ამ შემთხვევაში მხოლოდ პირდაპირია.

---

[82] М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, стр. 23.

[83] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 119-ე გვ.

მუხლი 23. დანაშაულში თანამონაწილეობა

დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ თანამონაწილეობას ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით თანამონაწილეობა ნიშნავს დანაშაულის თანამონაწილეობას როლების დაუნაწილებლად. ამ განსაზღვრების მიხედვით თანაამსრულებლობაც თანამონაწილეობაა.

ვიწრო გაგებით თანამონაწილეობა გულისხმობს დანაშაულის მონაწილეთა შორის როლების დანაწილებას (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). მაგრამ, თუ თანამონაწილეობას ფართოდ გავიგებთ, ამსრულებელს ამ შემთხვევაშიც თანამონაწილედ მოიხსენიებენ.

თანამონაწილეობის აქცესორობა. თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე. მაგალითად, თუ ამსრულებლის მოქმედება მომზადების ან მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, თანამონაწილეც პასუხს აგებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის მონაწილეობისათვის. თუ ამსრულებელმა დაასრულა დანაშაული, თანამონაწილეც დამთავრებული დანაშაულის მონაწილეობისათვის დაისჯება.

აუცილებელი თანამონაწილეობა. სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება დანაშაულის ისეთი შემადგენლობები, რომელთა განხორციელება მხოლოდ თანამონაწილეობით შეიძლება. მაგალითად, ქრთამის აღება და ქრთამის მიცემა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისათვის, ხოლო 339-ე მუხლით ისჯება ქრთამის მიცემა. ქრთამის აღება ქრთამის მიუცემლად არ შეიძლება. შესაძლებელია აგრეთვე ქრთამის მიცემის ან აღების წაქეზება ან დახმარება. ასე რომ, ეს დანაშაული აუცილებლობით მოითხოვს თანამონაწილეობას.

აუცილებელ თანამონაწილეობას გულისხმობს აგრეთვე ბანდიტიზმი (224-ე მუხლი). უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა (223-ე მუხლი), ადამიანით ვაჭრობა (143[1] მუხლი), არასრულწლოვანით ვაჭრობა (143[2] მუხლი) და სხვ.

ამ დანაშაულთა თავისებურება არის ის, რომ მათი დამთავრება შეუძლებელია თანამონაწილეობის გარეშე. ამ დანაშაულთა დამთავრება შეუძლებელია ერთპიროვნული ამსრულებლობის დროს. მაგალითად, ქრთამის მიმცემმა შეაძლია გასამრჯელო სახელმწიფო მოხელეს, რომელმაც ქრთამი არ აიღო. ეს იქნება ქრთამის მიცემის მცდელობა და სხვ.

ასევე იქნება ადამიანით ვაჭრობის დროსაც. ადამიანის ყიდვა და გაყიდვა დასრულებულია მხოლოდ მაშინ, როცა ორივე აქტი – ყიდვაც და გაყიდვაც შესრულდა. ორივე აქტი – ყიდვაც და გაყიდვაც დანაშაულია და სწორედ ამიტომ მოითხოვს ეს დელიქტი აუცილებლობით თანამონაწილეობას.

თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე. თანამედროვე სისხლის სამართალი თანამონაწილეობას განზრახ მოქმედებად მიიჩნევს. ყველა თანამონაწილე ერთიანი განზრახვით უნდა მოქმედებდეს. ცნობილია, რომ ობიექტური მხრივ ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივად უნდა იყოს დაკავშირებული დანაშაულებრივ შედეგთან (მიზეზობრიობის თეორია). მაგრამ თანამონაწილის დასჯადობა მარტო მიზეზობრიობას არ შეიძლება ეფუძნებოდეს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ გამართლებული იქნებოდა გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობა, რასაც თანამედროვე სისხლის სამართალი უარყოფს.

თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ერთიან უმართლობას გულისხმობს. ეს არის ერთიანი მიზნით დეტერმინირებული უმართლობა.[84] მაგალითად, განზრახ მკვლელობის უმართლობა, ქურდობის უმართლობა და სხვ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველას ერთი და იგივე მიზანი ჰქონდეს. საკმარისია, რომ ერთ ამსრულებელს ჰქონდეს სხვისი ნივთის მითვისების მიზანი, ხოლო მეორე, რომელსაც ეს მიზანი არა აქვს, ეხმარება თანაამსრულებელს ამ მიზნის განხორციელებისათვის. ორივე თანაამსრულებელი ერთ უმართლობას – ქურდობას ახორციელებს. თანამონაწილეობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი.

---

[84] უმართლობის საკითხზე იხ. ოთარ გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვითაც.[85]

მუხლი 24. თანამონაწილის სახეები

1. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

2. წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

3. დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

24.1. ორგანიზატორი დანაშაულის ერთ-ერთი თანამონაწილეა. თანამონაწილეობის ეს სახე პირველად გაჩნდა საბჭოთა რუსეთის 1958 წლის კანონში („საფუძვლები"). საიდანაც სავალდებულო წესით შემოვიდა 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (მე-19 მუხლი). მანამდე ორგანიზატორი დანაშაულის ამსრულებლად ითვლებოდა. ასევე კვალიფიცირდება ორგანიზატორის მოქმედება დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობაშიც.

ორგანიზატორის საქმიანობა სხვადასხვაგვარი მოქმედებით გამოიხატება. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე წინასწარ დაგეგმავს დანაშაულს. ორგანიზატორი შეიმუშავებს დანაშაულის ჩადენის გეგმას და სხვა მონაწილეებს აუხსნის როგორ უნდა იმოქმედონ. აქ უბრალოდ რჩევა როდი იგულისხმება, რაც ფსიქიკური დამხმარისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად,

[85] თ. წერეთელი წერს: „მ. შნეიდერს მოჰყავს ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დახმარების ასეთი მაგალითი: ვორონინმა ხათრი ვერ გაუტეხა თავის მეგობარს გლაზოვს და ათხოვა მას რევოლვერი, თუმცა იცოდა, რომ გლაზოვი აპირებდა დანილოვის მოკვლას. ვორონინს არ სურდა დანილოვის მკვლელობა. პირიქით, იგი ცდილობდა დაეშალა გლაზოვისათვის დანაშაულის ჩადენა, მაგრამ, როცა ვერ გადაათქმევინა, ათხოვა რევოლვერი კაცის მოსაკლავად. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ევენტუალურ განზრახვასთან" - დაასკვნის ავტორი (იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 195–196-ე გვ.). ავტორი აშკარად ცდება, როცა დამხმარის მოქმედებას ევენტუალურ განზრახვად აფასებს. მთავარი ის კი არ არის, დამხმარეს პირადად სურდა თუ არ სურდა მსვერპლის მოკვლა. მთავარია, რომ მან რევოლვერი ათხოვა კაცს, ვისაც მსვერპლის მოკვლის მიზანი ჰქონდა. ვინაიდან ამსრულებელი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით და ასრულებდა განზრახი მკვლელობის უმართლობას, დამხმარეც, როცა დათანხმდა ამსრულებლის თხოვნას და რევოლვერი გადასცა მას, ამავე უმართლობას სჩადის, ესე იგი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, რადგან დაეთანხმა მის განზრახვას.

ორგანიზატორმა შეიძლება იქირაოს ბინა, დააყენოს მოსასმენი აპარატი, შეუთანხმდეს კავშირგაბმულობის მუშაკებს და მათი დახმარებით მოუსმინოს შესაბამის ტელეფონებს, რომელთა მეშვეობით შემდეგ მოაწყობს ჯგუფურ თავდასხმას ვინმეზე დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.

ორგანიზატორი შეიძლება დანაშაულის ჩადენის ადგილზე არც იმყოფებოდეს. მაგრამ ზოგჯერ იგი დანაშაულის ჩადენის ადგილზეც შეიძლება იყოს და უშუალოდ ხელმძღვანელობდეს დამნაშავეთა საქმიანობას, თვალყურს ადევნებდეს მათ მოქმედებას და უთითებდეს როგორ უნდა მოიქცნენ.

რაც მთავარია, ორგანიზატორმა შეიძლება შექმნას ორგანიზებული ჯგუფი და ხელმძღვანელობდეს მის საქმიანობას.

„ორგანიზებული ჯგუფის" საკითხზე ნახეთ 27-ე მუხლის (მე-3 ნაწ.) განმარტება. სუბიექტური მხრივ ორგანიზატორის საქმიანობა განზრახი მოქმედებაა. ორგანიზატორი ყოველთვის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. თუმცა ქართულ ლიტერატურაში ორგანიზატორის არაპირდაპირი განზრახვით მოქმედების თეორიასაც დიდი გასავალი აქვს. თ. წერეთელი მიიჩნევს, რომ ორგანიზატორი ძირითადად პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. აქ იგულისხმება დანაშაული, რომლის უშუალო მონაწილეც ის არის, მაგრამ თ. წერეთელი არ გამორიცხავს ისეთ შემთხვევას, როცა ორგანიზატორი არაპირდაპირი განზრახვითაც მოქმედებს.

„თუ ვინმემ დაიქირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავად, – ამბობს თ. წერეთელი – იგი იმასაც ითვალისწინებს და უშვებს, რომ დაქირავებულმა მკვლელმა დაზარალებული შეიძლება გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით მკვლელობის მიმართ და ევენტუალური განზრახვით გაძარცვის მიმართ".[86]

ძარცვა გამიზნითი დელიქტია და ამიტომ თავისი ბუნებით ის ყოველთვის მოითხოვს პირდაპირ განზრახვას. ეს პრინციპი ვრცელდება არა მარტო ამსრულებელზე, არამედ თანამონაწილეზეც, მათ შორის, ორგანიზატორზეც.

ორგანიზატორი პასუხს აგებს ჯგუფური დანაშაულის მხოლოდ იმ ცალკეული ეპიზოდისათვის, რომელიც მისი განზრახვით იყო მოცული.[87]

[86] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 149-ე გვ. „ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით"–წერს თ. დონჯაშვილი, იხ. საქართველოს სისხლის სამართალი, 246-ე გვ.

[87] თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, 148–149-ე გვ.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვითაც.[85]

მუხლი 24. თანამონაწილის სახეები

1. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

2. წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

3. დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

24.1. ორგანიზატორი დანაშაულის ერთ-ერთი თანამონაწილეა. თანამონაწილეობის ეს სახე პირველად გაჩნდა საბჭოთა რუსეთის 1958 წლის კანონში („საფუძვლები"), საიდანაც სავალდებულო წესით შემოვიდა 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (მე-19 მუხლი). მანამდე ორგანიზატორი დანაშაულის ამსრულებლად ითვლებოდა. ასევე კვალიფიცირდება ორგანიზატორის მოქმედება დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობაშიც.

ორგანიზატორის საქმიანობა სხვადასხვაგვარი მოქმედებით გამოიხატება. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე წინასწარ დაგეგმავს დანაშაულს. ორგანიზატორი შეიმუშავებს დანაშაულის ჩადენის გეგმას და სხვა მონაწილეებს აუხსნის როგორ უნდა იმოქმედონ. აქ უბრალოდ რჩევა როდი იგულისხმება, რაც ფსიქიკური დამხმარისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად,

[85] თ. წერეთელი წერს: „მ. შნეიდერს მოჰყავს ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დახმარების ასეთი მაგალითი: ვორონინმა ხათრი ვერ გაუტეხა თავის მეგობარს გლაზოვს და ათხოვა მას რევოლვერი, თუმცა იცოდა, რომ გლაზოვი აპირებდა დანილოვის მოკვლას. ვორონინს არ სურდა დანილოვის მკვლელობა. პირიქით, იგი ცდილობდა დაეშალა გლაზოვისათვის დანაშაულის ჩადენა, მაგრამ, როცა ვერ გადაათქმევინა, ათხოვა რევოლვერი კაცის მოსაკლავად. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ევენტუალურ განზრახვასთან" - დაასკვნის ავტორი (იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 195–196-ე გვ.). ავტორი აშკარად ცდება, როცა დამხმარის მოქმედებას ევენტუალურ განზრახვად აფასებს. მთავარი ის კი არ არის, დამხმარეს პირადად სურდა თუ არ სურდა მსვერპლის მოკვლა. მთავარია, რომ მან რევოლვერი ათხოვა კაცს, ვისაც მსვერპლის მოკვლა ჰქონდა. ვინაიდან ამსრულებელი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით და ასრულებდა განზრახი მკვლელობის უმართლობას, დამხმარეც, როცა დათანხმდა ამსრულებლის თხოვნას და რევოლვერი გადასცა მას, ამავე უმართლობას სჩადის, ესე იგი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, რადგან დაეთანხმა მის განზრახვას.

ორგანიზატორმა შეიძლება იქირაოს ბინა, დააყენოს მოსასმენი აპარატი, შეუთანხმდეს კავშირგაბმულობის მუშაკებს და მათი დახმარებით მოუსმინოს შესაბამის ტელეფონებს, რომელთა მეშვეობით შემდეგ მოაწყობს ჯგუფურ თავდასხმას ვინმეზე დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.

ორგანიზატორი შეიძლება დანაშაულის ჩადენის ადგილზე არც იმყოფებოდეს. მაგრამ ზოგჯერ იგი დანაშაულის ჩადენის ადგილზეც შეიძლება იყოს და უშუალოდ ხელმძღვანელობდეს დამნაშავეთა საქმიანობას, თვალყურს ადევნებდეს მათ მოქმედებას და უთითებდეს როგორ უნდა მოიქცნენ.

რაც მთავარია, ორგანიზატორმა შეიძლება შექმნას ორგანიზებული ჯგუფი და ხელმძღვანელობდეს მის საქმიანობას.

„ორგანიზებული ჯგუფის" საკითხზე ნახეთ 27-ე მუხლის (მე-3 ნაწ.) განმარტება. სუბიექტური მხრივ ორგანიზატორის საქმიანობა განზრახი მოქმედებაა. ორგანიზატორი ყოველთვის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. თუმცა ქართულ ლიტერატურაში ორგანიზატორის არაპირდაპირი განზრახვით მოქმედების თეორიასაც დიდი გასავალი აქვს. თ. წერეთელი მიიჩნევს, რომ ორგანიზატორი ძირითადად პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. აქ იგულისხმება დანაშაული, რომლის უშუალო მონაწილეც ის არის, მაგრამ თ. წერეთელი არ გამორიცხავს ისეთ შემთხვევას, როცა ორგანიზატორი არაპირდაპირი განზრახვითაც მოქმედებს.

„თუ ვინმემ დაიქირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავად, – ამბობს თ. წერეთელი – იგი იმასაც ითვალისწინებს და უშვებს, რომ დაქირავებულმა მკვლელმა დაზარალებული შეიძლება გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით მკვლელობის მიმართ და ევენტუალური განზრახვით გაძარცვის მიმართ".[86]

ძარცვა გამიზნითი დელიქტია და ამიტომ თავისი ბუნებით ის ყოველთვის მოითხოვს პირდაპირ განზრახვას. ეს პრინციპი ვრცელდება არა მარტო ამსრულებელზე, არამედ თანამონაწილეზეც. მათ შორის, ორგანიზატორზეც.

ორგანიზატორი პასუხს აგებს ჯგუფური დანაშაულის მხოლოდ იმ ცალკეული ეპიზოდისათვის, რომელიც მისი განზრახვით იყო მოცული.[87]

[86] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 149-ე გვ. „ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით"—წერს თ. დონჯაშვილი, იხ. საქართველოს სისხლის სამართალი, 246-ე გვ.

[87] თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, 148–149-ე გვ.

24.2. დანაშაულის თანამონაწილეთა შორის წამქეზებელი ყველაზე უფრო რთული და მრავალმხრივი ფიგურაა. წაქეზება ყოველთვის სხვისი დაყოლიებაა დაანშაულის ჩასადენად. ამიტომ ფართო გაგებით წამქეზებლობა შუალობით ამსრულებლობასაც მოიცავს. მაგრამ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტი დანაშაულის თანამონაწილეობას გულისხმობს.

ზოგჯერ „სხვისი დაყოლიება" ისე ესმით, თითქოს ეს ნიშნავს ამსრულებლის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ წამქეზებლობა დანაშაულის დამხმარის წაქეზებით გამოიხატოს. მაგალითად, ვინმე აქეზებს ნაცნობს ათხოვოს თოფი მკვლელობის ამსრულებელს. ესეც სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად, რაც შესაბამისად უნდა შეფასდეს. ასევე შეიძლება ორგანიზატორის წაქეზებაც. ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მსჯელობა წამქეზებლის წაქეზების იურიდიულ კვალიფიკაციაზე.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს წამქეზებლობის განსხვავებას ინტელექტუალური ანუ ფსიქიკური დახმარებისაგან. წამქეზებელია ის, ვინც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადამწყვეტ მოტივს უქმნის. წამქეზებელმა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება უნდა მიაღებინოს. წამქეზებელმა უნდა შეუქმნას ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის „ისეთი ძლიერი მოტივი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიძგს გადაწყვეტილების მიღებისათვის".[88]

ფსიქიკური დამხმარის მოქმედება, წამქეზებლობასთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობისაა. ფსიქიკური დამხმარე ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას განუმტკიცებს.[89] მაგალითად, წამქეზებლის ზემოქმედებით კაცმა მკვლელობა გადაწყვიტა, მაგრამ ეძებს დამფარავს. გამოჩნდა დამხმარე, რომელმაც მას, მკვლელობის შემთხვევაში, დაფარვა აღუთქვა.

წაქეზება მიზეზობრივად არის დაკავშირებული იმ შედეგთან, რომელსაც ამსრულებელი ახორციელებს. ამსრულებლის მოქმედებისაგან განსხვავებით, წაქეზება ფსიქიკურ მიზეზობრიობას წარმოადგენს.

წაქეზებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ფსიქიკური საშუალება. ასეთია, მაგალითად, თხოვნა, დარწმუნება, მუქარა, ბრძანება და სხვ.

[88] თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, 156-ე გვ.
[89] თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, იქვე.

ზოგჯერ მუქარამ შეიძლება ისეთ ინტენსიობას მიაღწიოს, რომ გამორიცხოს ამსრულებლის პასუხისმგებლობა და უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შექმნას.

წამქეზებელი, მართალია, მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან, მაგრამ ეს როდია მისი დასჯადობის საფუძველი. წამქეზებელი ისჯება იმის გამო, რომ ის ამსრულებელთან ერთად ერთიან უმართლობას სჩადის. ერთიანი უმართლობა თანამონაწილეობის დროს ნიშნავს იმას, რომ ყველა თანამონაწილე მოქმედებს ერთიანი განზრახვით და ობიექტურად ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან.

„ერთიანი განზრახვა" ნიშნავს იმას, რომ წამქეზებელს (თანამონაწილეს) და ამსრულებელს ერთი და იგივე მიზანი უნდა ამოძრავებდეს. თუ, მაგალითად, თანამონაწილე მოქმედებს მკვლელობის მიზნით, ეს მიზანი უნდა ჰქონდეს ამსრულებელსაც, ანდა შეიძლება თანამონაწილეს ეს მიზანი არ ჰქონდეს, მაგრამ იცოდეს, რომ ამსრულებელი ამ მიზნით მოქმედებს და ეთანხმებოდეს მას.[90]

წამქეზებელმა შეიძლება შეაცდინოს (შეცდენის საკითხზე იხ. მე-9 მუხლის განმარტება) ამსრულებელი მისი მხილებისა და დასჯის მიზნით. ასეთ დროს საქმე გვაქვს დანაშაულის პროვოკაციასთან (აგენტ-პროვოკატორის მოქმედება). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ შემადგენლობას, რომლის მიხედვით ისჯება „დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით".[91]

[90] ზუსტი არ არის თ. დონჯაშვილის მტკიცება, თითქოს „წამქეზებლის მიზნები და მოტივები შეიძლება ემთხვეოდეს ამსრულებლის მიზნებსა და მოტივებს და შეიძლება არა" (თ. დონჯაშვილი, მით. ნაშრომი, 250-ე გვ; იხ. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით 25-ე მუხლის განმარტება).

[91] აგენტი-პროვოკატორის საქმიანობის კვალიფიკაცია ისტორიულად აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევდა იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში. საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში აგენტი-პროვოკატორის მოქმედება დანაშაულის წამქეზებლობად კვალიფიცირდებოდა, თუმცა საბჭოური საგამოძიებო პრაქტიკა აგენტ-პროვოკატორის მოქმედებას დანაშაულის გახსნისათვის ყოველთვის გამართლებულად მიიჩნევდა (იხ. ამ საკითხზე დაწვრილებით თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 163–169-ე გვ.). თვითონ თ. წერეთელი გმობდა აგენტ-პროვოკატორის მოქმედებას და მას დანაშაულის წამქეზებლად თვლიდა (იხ. იქვე). როგორც ჩანს, ამავე თვალსაზრისს ეყრდნობა თ. დონჯაშვილი (იხ. მისი საქართველოს სისხლის სამართალი, 250-ე გვ.).

„დანაშაულის პროვოკაცია" დასჯადია. უპირველეს ყოვლისა მაშინ, როცა პროვოკატორმა წააქეზა და ჩაადენინა დანაშაული სრულიად ალალმართალს, ვისაც დანაშაულის ჩადენა აზრადაც არ მოსვლია. არა აქვს მნიშვნელობა იმას, წაქეზებულმა დაასრულა დანაშაული თუ მცდელობის სტადიაზე შეჩერდა.

რაც მთავარია, დანაშაულის პროვოკატორი არ შეიძლება დაისაჯოს იმ დანაშაულის თანამონაწილეობისათვის, რომლისთვისაც წააქეზეს ამსრულებელი. რადგან წამქეზებელი (პროვოკატორი) და პროვოცირებული (წაქეზებული) სხვადასხვა უმართლობას აბორციელებენ. მაგალითად, როცა პროვოკატორი აქეზებს ვინმეს ქურდობისათვის, პროვოკატორის, ესე იგი წამქეზებლის, მოქმედება ხელყოფს წაქეზებულის პიროვნებას, სურს იგი ციხეში ჩააგდოს, ხოლო წაქეზებული, ესე იგი პროვოცირებული, ხელყოფს სხვის საკუთრებას.

სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული „დანაშაულის პროვოკაცია" უნდა განვასხვავოთ „დანაშაულის პროვოკაციისაგან," რომელიც კანონიერ მოქმედებად ითვლება საქართველოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონით. კანონიერად ითვლება აგენტი-პროვოკატორის მოქმედება მხოლოდ მაშინ, როცა იგი მიმართულია დანაშაულის აღკვეთისაკენ ან უკვე ჩადენილი დანაშაულის გამოსავლენად.

დანაშაულის აღკვეთა შეიძლება მოხდეს დანაშაულის მომზადების სტადიაზე მოქმედის დაყოლიებით, რომ უარი თქვას დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებაზე; საიდუმლო თანამშრომელმა უნდა დაარწმუნოს ის „დანაშაულის ჩადენის შეუძლებლობისა ან სისულელეში (უმიზნოაო!), უთხრას, თითქოს დანაშაულის ობიექტზე გაძლიერებული დაცვაა..."[92] და სხვ. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყოველად გაუმართლებელია დანაშაულის ჩადენისათვის ხელოვნურად ხელის შეწყობა.

ამ ოცდაათი წლის წინ თბილისში დანაშაულის პროვოკაციის ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა. თბილისის რკინიგზის სადგურის მილიციის სამმა თანამშრომელმა სადგურზე ქურდობის ფაქტის გამოვლენის მიზნით მოიალაპარაკა: ერთმა მათგანმა სახლიდან ოცდახუთ მანეთად ღირებული ჩემოდანი მოიტანა, მეორემ შვიდ მანეთად ღირებული ფარდა, რომელიც

[92] დარეჯან ლეკიაშვილი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები, 2001, 29-30-ე გვ. ავტორი წერს, რომ კანონი აგენტს „აძლევს დანაშაულის პროვოცირებისა თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის უფლებას" (53-ე გვ.), თუ იგი ჩართულია დანაშაულებრივ ჯგუფში უკვე ჩადენილი დანაშაულის გამოვლენის მიზნით.

ჩემოდანში ჩადეს. შეიტანეს ჩემოდანი სადგურის მოსაცდელ დარბაზში, სადაც ერთ-ერთ მგზავრს სთხოვეს, რომ თავი მოეძინარებინა და ჩემოდანს წინ დაუდგამდნენ. მგზავრი დაეთანხმა. მილიციელები კი სამალავში წავიდნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ რა მოხდებოდა. დარბაზში შემოვიდა ვინმე მამნიაშვილი, რომელმაც ჩაძინებული მგზავრი შენიშნა. იგი გაიქცა, გადაახტა ჩემოდანს, შემდეგ მეორე გამორბენა გააკეთა, კიდევ გადაახტა ჩემოდანს ხმაურით და, როცა დარწმუნდა, რომ მგზავრმა არ გაიღვიძა, დაავლო ხელი ჩემოდანს და წაიღო. ქურდი დარბაზიდან გასვლისას დააკავეს.

ასეთი პროვოკაცია ყოველად დაუშვებელია და ის უნდა დაისაჯოს. მსგავსი პროვოკაციები ხშირად ხდებოდა ძველი რეჟიმის დროს მილიციის კარგად მუშაობის წარმოჩენის მიზნით.

წაქეზება „აუცილებლობით გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას ფსიქიკაზე".[93] ამიტომ უმოქმედობით წაქეზება შეუძლებელია.

სუბიექტური მხრივ წაქეზება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება. თუმცა, ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ წაქეზება არაპირდაპირი განზრახვითაცაა შესაძლებელი. მაგალითები, რომლებიც ცალკეულ ავტორებს ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოაქვთ, აშკარად ხელოვნურია. მაგალითად, თ. წერეთელი იმოწმებს რუსი იურისტის ნ. ტაგანცევის სიტყვებს: „თუ ვინმე, განსაზღვრული ქმედობის ჩადენისას ან განსაზღვრული ამბის მოყოლის დროს ითვალისწინებს, რომ მისი ნაამბობის შედეგად რომელიმე მსმენელმა შეიძლება მის მიერ აღწერილი დანაშაულებრივი ქმედობა ჩაიდინოს, და გულგრილად ეკიდება ამას, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია შევურაცხოთ მას სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაული იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც ვურაცხავთ ასეთი გულგრილობის შედეგს უშუალო ბრალეულს".[94]

ჩვენ რომ ამ მოსაზრებას გავყვეთ, მაშინ ადამიანთა ურთიერთობა საერთოდ შეუძლებელი იქნება. განსაკუთრებით ითქმის ეს თანამედროვე ეპოქაზე, სადაც სიტყვისა და პრესის თავისუფლება არავითარ ცენზურას არ ემორჩილება. პრესაში ათასგვარი აზრი გამოითქმება, რომელმაც მკითხველს შეიძლება დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება მიაღებინოს. გარდა ამისა, არაპირდაპირი განზრახვით წაქეზების დადგენა პროცესუალური საშუალებებით ძლიერ ძნელი საქმეა. სხვა საკითხია, როცა რა-

[93] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 141-ე გვ.

[94] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 163-ე გვ.

იმე ამბის მოყოლა იმ მიზნით ხდება, რომ მსმენელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება აღუძრას. შეიძლება ითქვას, რომ აქ საქმე გვაქვს შენიღბულ, ფარულ წაქეზებასთან, რათა წამქეზებელი თვითონ არ გამოჩნდეს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში გვექნება პირდაპირი და არა არაპირდაპირი განზრახვით წაქეზება.

24.3. დანაშაულის თანამონაწილეობის მესამე სახეა დახმარება. დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. დახმარება ორი სახისაა: 1) ფიზიკური და 2) ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური.

ფიზიკური დახმარება უნდა განვასხვავოთ დანაშაულის ამსრულებლობისაგან. ზემოთ ჩვენ დაწვრილებით ვიმსჯელეთ ამ საკითხზე, როცა თანაამსრულებლობას განვმარტავდით. აქ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამსრულებელი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობას ახორციელებს მთლიანად ან ნაწილობრივ, დამხმარე კი შემადგენლობის არც ერთ ნაწილს არ ასრულებს.

ფიზიკური დახმარება ორი ძირითადი სახით შეიძლება გამოვლინდეს: 1) ამსრულებლისათვის საშუალების მიცემა და 2) დაბრკოლების თავიდან აცილება.

საშუალების მიცემად ითვლება უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის დროს ამსრულებლისათვის ბინის (სარდაფის) დათმობა მოტაცებულის დასამწყვდევად და ამ მიზნით ბინის გასაღების გადაცემა; საწამლავის მიცემა დამნაშავისათვის მკვლელობის მიზნით და სხვ.

დაბრკოლების თავიდან აცილებად კი ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც მკვლელობის მომენტში მეორე თანამზრახველი აკავებს მსხვერპლის ახლობელს და ამით უადვილებს დამნაშავეს დანაშაულის აღსრულებას; დახმარება იქნება აგრეთვე დარაჯის დათრობა, რაც გაუადვილებს ქურდს მაღაზიის გაქურდვას და სხვ.

მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება სხვა სახის დახმარებაც, მაგალითად, ერთი დადგება გარეთ მეთვალყურედ, ხოლო მეორე შევა სახლში საქურდლად.

ფსიქიკური დახმარებაა, მაგალითად, ამსრულებლის დარიგება, რჩევა, როგორ მოიქცეს, რომ დანაშაული გაუადვილდეს. დახმარებაა აგრეთვე დაპირება, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ საგნებს და სხვ.

ზოგჯერ ფსიქიკური დახმარება იმით გამოიხატება, რომ დამნაშავე ამსრულებელს განუმტკიცებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, უფრო მეტ გაბედულებას მატებს მას. სწორედ ამით განსხვავდება

ფსიქიკური დახმარება წამქეზებლობისაგან. „წამქეზებელი ჰქმნის გადამწყვეტ მოტივს ამსრულებლის გადაწყვეტილების მიღებისათვის“ (თ. წერეთელი) და ამიტომ ის უფრო საშიში ფიგურაა დამხმარესთან შედარებით.

დახმარება შეუძლებელია უმოქმედობით. მაგალითად, დედა კლავს შვილს, მამა ამას ხედავს, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებს. აქ მამის უმოქმედობა მიზეზობრივად არის დაკავშირებული შვილის მკვლელობასთან. აქ დედაც ამსრულებელია და მამაც. ერთი (დედა) მოქმედებით სჩადის მკვლელობას, მეორე (მამა) – უმოქმედობით.

სუბიექტური მხრივ დამხმარე განზრახ უნდა მოქმედებდეს. დამხმარე ისევე, როგორც ყველა თანამონაწილე, ამსრულებელთან ერთად ერთიან უმართლობას ახორციელებს, რაც მათი ქმედებების ერთიანი განზრახვით შეკავშირებას გულისხმობს. დამხმარე პირდაპირი განზრახვით მოქმედებს.

მუხლი 25. ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა

1. ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.

2. თანაამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მიუთითებლად.

3. ორგანიზატორის, წამქეზებელისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იმავდროულად დანაშაულის თანაამსრულებლები იყვნენ.

4. როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა.

5. პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისათვის ანდა ერთერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს,

რომელსაც იგი ახასიათებს.

6. ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს.

7. თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად.

25.1. თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა ერთ საერთო საფუძველს ემყარება. ეს საფუძველია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული „მართლსაწინააღმდეგო ქმედება" ანუ, უფრო მოხერხებულად რომ ვთქვათ, „სისხლისსამართლებრივი უმართლობა". ერთი საერთო უმართლობის გარეშე არ არსებობს თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა. უფრო ზუსტად, თანამონაწილე პასუხს აგებს იმ უმართლობისათვის, რასაც ამსრულებელი სჩადის.

ასეთია, მაგალითად, ქურდობის უმართლობა, მკვლელობის უმართლობა და სხვ. არ არის აუცილებელი, რომ ესა თუ ის უმართლობა კოდექსის კერძო ნაწილის ერთი მუხლით იყოს გათვალისწინებული. განზრახ მკვლელობის უმართლობა, როგორც ვიცით, რამდენიმე მუხლითაა მოცემული (108-ე-114-ე მუხლი). ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ თანამონაწილისა და ამსრულებლის ქმედებები სხვადასხვა მუხლებით დაკვალიფიცირდეს. ვთქვათ, წამქეზებლის ან დამხმარის მოქმედება დაკვალიფიცირდა 108-ე მუხლით, ხოლო ამსრულებლის – 109-თი. თანამონაწილე და ამსრულებელი ამ შემთხვევაში მაინც ერთ უმართლობას – განზრახ მკვლელობას სჩადიან.

უმართლობა არის დასჯადობის ობიექტური საფუძველი, ურომლისოდაც თანამონაწილის პასუხისმგებლობა წარმოუდგენელია. მაგრამ იმისათვის, რათა თავი დავაღწიოთ კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს, საჭიროა თითოეულმა თანამონაწილემ პასუხი აგოს პირადი, „საკუთარი ბრალისათვის". პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი თანამედროვე

ცივილიზებული ქვეყნების სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპია.

პირადი პასუხისმგებლობა თანამონაწილისა ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს იმ წვლილისათვის, რაც მან ერთიანი უმართლობის განხორციელებაში შეიტანა ობიექტური თუ სუბიექტური თვალსაზრისით. მაგალითად, დამხმარეს ობიექტურად და სუბიექტურად, სხვა თანამონაწილეებთან შედარებით, ნაკლები წვლილი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში. გაცილებით უფრო საშიში ფიგურაა წამქეზებელი, რომელიც, ფსიქიკური დამხმარისაგან განსხვავებით, გადამჭრელ მოტივს უქმნის ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მისაღებად. იგივე ითქმის ფიზიკურ დამხმარეზეც და სხვ.

თანამონაწილის ობიექტური მონაწილეობის ხარისხი უმართლობის განხორციელებაში მოქმედებს ბრალის ხარისხზეც. რაც მეტი ობიექტური წვლილი მიუძღვის თანამონაწილეს ობიექტურ უმართლობაში, მით მეტია მისი ბრალის ხარისხიც. მაგრამ ზოგჯერ ბრალის ხარისხი უმართლობის ხარისხისაგან დამოუკიდებლად მატულობს. მაგალითად, როცა მოკლულია ორი ადამიანი, უმართლობის ხარისხი მაღალია და ამის შესაბამისად მატულობს ბრალის ხარისხიც. ზოგჯერ კი, მართალია, ერთი კაცია მოკლული, მაგრამ მკვლელობის მოტივი მეტად გასაკიცხია და ამის საფუძველზე იზრდება ბრალის ხარისხი (ვთქვათ, ანგარების მოტივი). მაგალითად, ანგარებით მკვლელობა უფრო გასაკიცხია, ვიდრე შურისძიებით მკვლელობა, თუმცა ორივე შემთხვევაში ერთი ადამიანია მოკლული.

25.2. თანაამსრულებელი იგივე ამსრულებელია. ამიტომ მისი ქმედების კვალიფიკაციისათვის სრულიად საკმარისია კოდექსის კერძო ნაწილის მუხლზე მითითება და 24-ე მუხლის გამოყენება საჭირო არ არის.

25.3. ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლთან ერთად 24-ე მუხლზე მითითებით. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა თანამონაწილე ამავე დროს თანაამსრულებელიცაა, მაშინ 24-ე მუხლზე მითითება ზედმეტია და სრულიად საკმარისია კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლზე მითითება, რომლითაც აღწერილია ჩადენილი ქმედება.

25.4. დანაშაულის თანამონაწილეებისათვის დამახასიათებელია ის, რომ უმართლობას ზოგიერთი თანამონაწილე შეიძლება ნაწილობრივ ახორციელებდეს. აქ უნდა გამოვყოთ („მართლსაწინააღმდეგო ქმედების") უმართლობის დამაფუძნებელი ნიშნები. მაგალითად, მოკვლის მიზანი

მკვლელობის დროს (108-ე მუხლი), სხვისი მოძრავი ნივთის მითვისების მიზანი ქურდობის დროს (177-ე მუხლი) და სხვ.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა სხვისი მოკვლის მიზანი აქვს მხოლოდ ამსრულებელს, დამხმარეს ეს მიზანი არა აქვს, მაგრამ ანგარიშს უწევს ამსრულებელს და აძლევს მას იარაღს; ქურდობის დროს სხვისი ნივთის მითვისების მიზანი აქვს ამსრულებელს, მაგრამ ეს მიზანი არა აქვს თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს (წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი). ასეთ დროს თანაამსრულებელი და თანამონაწილეც პასუხს აგებენ განზრახ მკვლელობის ან ქურდობის უმართლობის ჩადენისათვის, თუ მათ იცოდნენ, რომ ამსრულებელი მოქმედებს ხსენებული უმართლობის ჩადენის მიზნით.

25.5. მაგრამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში პასუხისმგებლობის გაძლიერების ან შემსუბუქების მიზნით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ისეთი ნიშანი, რომელიც უმართლობას არ აფუძნებს და მხოლოდ პერსონალური ხასიათი აქვს. ასეთი ნიშანი შეერაცხება მხოლოდ იმას, ვისაც იგი ახასიათებს.

ასეთია, მაგალითად, ანგარების მოტივი განზრახ მკვლელობის დროს (109-ე მუხლის „ი" პუნქტი). ვინმე ეხმარება მკვლელს, რომელსაც სურს მემკვიდრეობის მიღება. ამ შემთხვევაში ამსრულებელი მოქმედებს ანგარებით და მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 109-ე მუხლის „ი" პუნქტით, ხოლო დამხმარე, თუ არ არსებობს სხვა მაკვალიფიცირებელი გარემოება, პასუხს აგებს 24-ე-108-ე მუხლებით. ვინაიდან ანგარება არ არის განზრახი მკვლელობის უმართლობის დამაფუძნებელი ნიშანი, ის ამსრულებლიდან თანამონაწილეზე ვერ გადავა და ვერ დაამძიმებს მის პასუხისმგებლობას. ანგარება პერსონალურად ამსრულებელს ახასიათებს და მხოლოდ მისი ბრალის ხარისხზე იმოქმედებს, ამსრულებლის ბრალს დაამძიმებს.

ქურდობის უმართლობის აუცილებელი ნიშანია სხვისი მოძრავი ნივთის მითვისების მიზანი, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ქურდი მოქმედებდეს ანგარებით. განსაკუთრებით ეს ითქმის ქურდობის თანამონაწილეზე. არ არის გამორიცხული, რომ ადამიანი ქურდობდეს ქვრივ-ობლების დახმარების მიზნით.[95] ამიტომ ანგარება აქაც პერსონალური ნიშანია და ამ ნიშნის არარსებობამ უნდა იმოქმედოს სასჯელის ზომაზე და შეამსუბუქოს პასუხისმგებლობა.

[95] ზ. წულაია ქონებრივ დანაშაულს რუსული ლიტერატურის ზეგავლენით ანგარებით დანაშაულს უწოდებს, რაც სწორად არ მიგვაჩნია (იხ. მისი სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, II ტომი, 2001, მე-16, 21-ე გვ.)

25.6. ასეთივე პერსონალური ნიშნებია გამეორება (არაერთგზისობა), რეციდივი დანაშაულისა, რაც პერსონალური ნიშანია და სხვა თანამონაწილის პასუხისმგებლობაზე არ იმოქმედებს. კანონი ლაპარაკობს იმ დანაშაულის თანამონაწილეობაზე, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ „სპეციალური სუბიექტი". ტერმინი „სპეციალური სუბიექტი" უთუოდ გულისხმობს „სპეციალურ ამსრულებელს", რომელსაც ის თვისებები გააჩნია, რაც ამ დანაშაულის ამსრულებლობისათვის არის საჭირო.

ის თვისებები, რომლებიც „სპეციალური ამსრულებლობისათვის" არის საჭირო, პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: 1) ნორმატიული თვისებები (ვთქვათ, თანამდებობრივი და სხვა მოვალეობა) და 2) ფიზიკური ან ინტელექტუალური თვისებები (მაგალითად, მამაკაცი ქალის გაუპატიურების დროს, წერა-კითხვის ცოდნა დოკუმენტის გაყალბებისათვის და სხვ.). დაწვრილებით ამ საკითხზე იხილეთ 22-ე მუხლის განმარტება (შეუძლებლობა).

25.7. თანამონაწილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამსრულებლის მოქმედების მიხედვით, ვინაიდან თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია. ამიტომ, თუკი ამსრულებლის მოქმედება მომზადების ან მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, თანამონაწილეც დანაშაულის მომზადების ან მცდელობის მონაწილეობისათვის აგებს პასუხს.

დანაშაულის მომზადებისათვის აგებს აგრეთვე პასუხს ის, ვინც ვერ შეძლო ამსრულებლის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ეს ვერ მოხერხდა წამქეზებლისაგან დამოუკიდებელი გარემოების გამო. თუ წამქეზებელმა თვითონ აიღო ხელი ამსრულებლის დაყოლიებაზე, მაშინ ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (იხ. 21-ე მუხლის განმარტება).

მუხლი 26. ამსრულებლის ექსცესი

1. ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.

2. ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

26.1. ამსრულებელია ის, ვინც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი შემადგენლობა მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც განახორციელა (დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. 22-ე მუხლის განმარტება).

სიტყვა ექსცესი ლათინური წარმოშობისაა და ეტიმოლოგიურად რაღაცის უკიდურესად გამოვლინებას ნიშნავს.

სისხლის სამართალი იცნობს ამსრულებლის ექსცესის ცნებას, რომლის მიხედვით ამსრულებელმა შეიძლება ჩაიდინოს ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც თანამონაწილის (თანაამსრულებლის) განზრახვით მოცული არ იყო. მაგალითად, ერთი შევიდა სახლში ქურდობის მიზნით, ხოლო მეორე თანამზრახველი გარეთ დადგა მეთვალყურედ. შიგნით შესულს შემთხვევით სახლის პატრონი დახვდა და წინააღმდეგობა გაუწია, რასაც სახლის პატრონის მკვლელობა მოჰყვა. გარეთ მეთვალყურედ მდგომს ეს მკვლელობა არ შეიძლება შეერაცხოს. ეს იქნება ამსრულებლის ექსცესი, რისთვისაც პასუხს აგებს მხოლოდ უშუალო მკვლელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 3 მაისის განაჩენით ა.მ-შვილს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, სხვა მუხლებთან ერთად, 109-ე მუხლის „ვ“, „ი“ და „ლ“ პუნქტებითაც.

ა.მ-შვილი, სხვა შეიარაღებულ თანამზრახველებთან ერთად, თავს დაესხა ლ.ხ-ელის ოჯახს 5000 აშშ-ის დოლარის წართმევის მიზნით, მაგრამ „რადგან ლ.ხ-ელს არ ჰქონდა მოთხოვნილი თანხა, თავდამსხმელები აგრძელებდნენ მის ცემას“. ვინაიდან ლ.ხ-ელი წინააღმდეგობას უწევდა თავდამსხმელებს, ა. მ-შვილმა ამსრულებლის ექსცესით, რაც არ იყო შეთანხმებული ჯგუფის სხვა წევრებთან... „ნაგანის“ სისტემის რევოლვერით....განზრახ მოკლა ლ.ხ-ელი“.[96] სხვა თანამზრახველებს ლ. ხ-ელის მკვლელობის თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა არ დაკისრებიათ, ვინაიდან ა. მ-შვილი მოქმედებდა ამსრულებლის ექსცესით.

ექსცესი ორი სახისაა, რაოდენობრივი და თვისობრივი. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული შემთხვევა თვისობრივი ექსცესი იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ ამსრულებელმა, სხვა თანამონაწილეთაგან განსხვავებით, თვისობრივად განსხვავებული დანაშაული ჩაიდინა. ყაჩაღობა განზრახ მკვლელობისაგან თვისობრივად განსხვავებული დანაშაულია.

[96] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №1, 72-ე გვ.

რაც შეეხება რაოდენობრივ ექცესს, იქ თანამონაწილეებთან შეთანხმებულ და ამსრულებლის ჩადენილ დანაშაულს შორის თვისობრივ განსხვავებას ვერ ვხედავთ. ამიტომ ამ შემთხვევას რაოდენობრივ ექსცესს უწოდებენ. მაგალითად, ერთი შევიდა ბინაში ქურდობის მიზნით, ხოლო მეორე თანამზრახველი დარჩა გარეთ მეთვალყურედ. მაგრამ ბინაში შესულმა, ქურდობის ნაცვლად, რასაც გარეთ დარჩენილი მოელოდა, ძარცვა ჩაიდინა. ბინაში შესული პასუხს აგებს ძარცვის ამსრულებლობისათვის, ხოლო გარეთ დარჩენილი დაისჯება ქურდობის თანამონაწილეობისათვის (დამხმარე), რადგან ძარცვა უფრო მეტია, ვიდრე ქურდობა, და თავისთავად მოიცავს ქურდობის ნიშნებს.[97]

მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, თითქოს ამსრულებლის ექსცესისათვის შეიძლება პასუხი აგოს თანამონაწილემ არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაში. „თუ თანამონაწილე ითვალისწინებდა ექსცესის შესაძლებლობას და შეგნებულად უშვებდა მას, –წერდა თ. წერეთელი – ე.ი. თუ თანამონაწილეს შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვა ჰქონდა, იგი პასუხს აგებს ამ შედეგისათვის, თუნდაც მას სპეციალური შეთანხმება არ ჰქონდეს“.[98]

ეს საკითხი სულ მთლად ადვილი გადასაწყვეტი არ არის. მაგალითად, ერთი შევიდა საქურდლად სხვის ბინაში, ხოლო მეორე დარჩა გარეთ მეთვალყურედ. თუ ის უშვებს, რომ ბინაში შესულმა, ქურდობის ნაცვლად, შეიძლება ძარცვა ჩაიდინოს, მაშინ არაპირდაპირი განზრახვა არ გვექნება, რადგან ძარცვა გამიზნითი დელიქტია და მისი ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით გამორიცხულია. ასევე ითქმის ყაჩაღობის მიმართაც და სხვ. თუკი გარეთ მყოფი ამ შემთხვევაში პასუხს აგებს ძარცვის ან ყაჩაღობისათვის, მისი მოქმედება უნდა ჩაითვალოს პირდაპირი განზრახვით ჩადენილად. წინააღმდეგ შემთხვევაში თანამონაწილე პასუხს არ აგებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

26.2. ამსრულებლის ექსცესისათვის თანამონაწილე თუ თანაამსრულებელი პასუხს არ აგებს. ექსცესისათვის პასუხს აგებს მხოლოდ ამსრულებელი.

მუხლი 27. ჯგუფური დანაშაული

1. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი

[97] იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 202-ე გვ.

[98] თ. წერეთელი, მით. ნაშრომი, 204-ე გვ.

ან მეტი ამსრულებელი.

2. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

3. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

4. ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.

27.1. 27-ე მუხლი ჯგუფური დანაშაულის ცნებას განსაზღვრავს. აქ დანაშაულებრივი ჯგუფის რამდენიმე ნაირსახეობაა მოცემული. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაული ჯგუფურადაა ჩადენილი, თუ მონაწილეთაგან ორი მაინც დანაშაულის ამსრულებელია. აქ თანაამსრულებლობა იგულისხმება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ორი ან მეტი თანაამსრულებლის გარდა, დანაშაულის ზოგიერთი მონაწილე წამქეზებლის, ორგანიზატორის ან დამხმარის როლს ასრულებდეს.

კოდექსის კერძო ნაწილის ზოგიერთ მუხლში დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშანია. მაგალითად, 109-ე მუხლის „თ" პუნქტით დაწესებულია პასუხისმგებლობა განზრახი მკვლელობისათვის „ჯგუფურად".

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 30 ივლისის განაჩენით კ. მეფარიშვილს და კ. შევარდნაძეს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ" (განზრახ მკვლელობა ჯგუფურად) და „ლ" (განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დფარვის მიზნით) პუნქტებით.

კ. მეფარიშვილი ა. საფარიანს „მკვლელობის მიზნით მივარდა, წააქცია ტახტზე და რამდენჯერმე ჩაარტყა დანა კისრის და ყელის მიდამოებში..... ვინაიდან დაჭრილი წინააღმდეგობას უწევდათ და გამოსცემდა სპეციფიკურ ხმებს, განზრახვის ბოლომდე სისრულეში მოყვანის მიზნით კ.შევარდნაძემ პირზე ხელი დააფარა, გაუკავა მარცხენა ხელი, მუხლით დააწვა მარჯვენა ხელზე, აიღო მეფარიშვილის დაგდებული დანა და რამდენჯერმე გამოუსვა ყელში, რის შემდეგაც მიაძახა კ. მეფარიშვილს, რომ ქალს ყელი გამოსჭრა და ის ვეღარაფერს იტყოდა".[99]

კ. მეფარიშვილმა და კ. შევარდნაძემ დანაშაული ჯგუფურად ჩაიდინეს, ისინი განზრახ მკვლელობის თანაამსრულებლები არიან და ამიტომ, სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მათი ქმედებები სწორად არის დაკვალიფიცირებული კოდექსის 109-ე მუხლის „თ" პუნქტით („ლ" პუნქტთან ერთად.).

27.2. მოტანილი მაგალითის მიხედვით განზრახ მკვლელობა ჩადენილია წინასწარ შეუთანხმებლად, მაგრამ შესაძლებელია დამნაშავეთა ჯგუფი წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდეს. თუ 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტს დავაკვირდებით, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ აქ თანაამსრულებლობა აუცილებელი არ არის და ჯგუფის წევრთა შორის მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს ამსრულებელი. თუმცა შესაძლებელია წინასწარი შეთანხმებით თანაამსრულებლებიც მოქმედებდნენ.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს 2002 წლის 4 ივნისის განაჩენით დ. სილაგაძეს და ბ. ფრუიძეს მსჯავრი დაედოთ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტით. 2001 წლის 5 აპრილს დ. სილაგაძე და ბ. ფრუიძე წინასწარი შეთანხმებით შევიდნენ თბილისის თერმულ დაზიანებათა და პლასტიკური ქირურგიის ცენტრის სისხლის გადასხმის კაბინეტში და მისაკუთრების მიზნით ფარულად წაიღეს თანამშრომლის ჩანთა, სადაც აღმოჩნდა ოცი ლარი და სხვა ნივთები.[100]

ეს ქმედება სწორად არ არის დაკვალიფიცირებული. ვინაიდან დ. სილაგაძე და ბ. ფრუიძე წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ, მათი ქმედება დამატებით უნდა დაკვალიფიცირებულიყო აგრეთვე 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტითაც (ქურდობა ჩადენილი „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ").

27.3. ორგანიზებული ჯგუფი 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ისეთი მყარი ჯგუფია, რომელიც რამდენიმე, ესე იგი ერთზე მეტი, დანა-

[99] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №12, 2046-ე გვ.

[100] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №1, მე-11 გვ.

შაულის ჩასადენად არის შექმნილი.

ორგანიზებული ჯგუფის ცნების ეს განსაზღვრება უნდა გამოვიყენოთ კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლებში, სადაც „ორგანიზებული ჯგუფი" დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია. მაგალითად, ქურდობა ორგანიზებული ჯგუფის მიერ (177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტი), ძარცვა ორგანიზებული ჯგუფის მიერ (178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტი) და სხვ.

ორგანიზებული ჯგუფი მყარი ჯგუფია, ხოლო სიმყარე, როგორც კანონის ტექსტიდან ჩანს, ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენადაა შექმნილი. ჯგუფი მყარია იმიტომ, რომ ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ იგი არ იშლება და დანაშაულებრივ საქმიანობას აგრძელებს. ამიტომ ორგანიზებული ჯგუფი გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ჩვეულებრივი ჯგუფი ან ჯგუფი, რომელიც წინასწარი შეთანხმებით მოქმედებს.

ორგანიზებული ჯგუფისათვის დამახასიათებელია არა მარტო სიმყარე, არამედ წინასწარი შეთანხმებაც. ასე რომ, ორგანიზებული ჯგუფისათვის თანამონაწილეობის ყოველგვარი გამოვლინება შეიძლება იყოს დამახასიათებელი, მათ შორის, თანაამსრულებლობაც.

ერთი სიტყვით, ორგანიზებული ჯგუფი წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის და თანაამსრულებელთა ჯგუფისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია 27-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, მხოლოდ სიმყარის ნიშნით განსხვავდება.

ამ თვალსაზრისით ორგანიზებული ჯგუფი 27-ე მუხლის მიხედვით იგივე ბანდაა. იტალიური სიტყვა „ბანდა" (banda, რუსული шайка, გერმანული die Bande) მყარი დანაშაულებრივი ჯგუფია, რადგან ის ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენად იქმნება. ამიტომ ვერ დავეთანხმებით თ. დონჯაშვილს, თითქოს „ორგანიზებული ჯგუფი იქმნება, როგორც წესი, რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის, მაშინ, როცა ბანდა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ერთი თავდასხმისათვის".[101]

ბანდას როცა ახსენებს, ავტორს მხედველობაში აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით აღწერილი „ბანდიტიზმის" შემადგენლობა, მაგრამ მას ავიწყდება, რომ თუ ორგანიზებული ჯგუფი „მყარი ჯგუფია," ასეთივე „მყარი შეიარაღებული ჯგუფია" ბანდა 224-ე მუხლით.

[101] თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, 268-ე გვ.

წინა გვერდზე, ორგანიზებული ჯგუფის ცნებას რომ ეხება, ავტორი წერს: „სიმყარე ნიშნავს, რომ ორგანიზებული ჯგუფი იქმნება დანაშაულებრივი საქმიანობისათვის, ე.ი. დანაშაულთა განუსაზღვრელი რაოდენობის ჩასადენად...".[102]

თუ სიმყარე ორგანიზებული ჯგუფისათვის ნიშნავს ჯგუფის შექმნას „დანაშაულთა განუსაზღვრელი რაოდენობის ჩასადენად," გაუგებარია, რატომ განმარტავთ „სიმყარეს" სხვაგვარად ბანდიტიზმის დროს (224-ე მუხლი) და ვამტკიცებთ, თითქოს ბანდა იქმნება ერთი დანაშაულის ჩასადენად!

ასე რომ, ორგანიზებული ჯგუფი და ბანდა სიმყარის ნიშნით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. განსხვავება მხოლოდ შეიარაღებაშია. 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი ნიშანი „ორგანიზებული ჯგუფი" იგივე ბანდაა. რაც შეეხება 224-ე მუხლს, იქაც ბანდაზეა ლაპარაკი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ მუხლში საქმე გვაქვს შეიარაღებულ ბანდასთან.

რასაკვირველია, ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან კიდევ სხვა ნიშნითაც განსხვავდება. 224-ე მუხლით ბანდის შექმნა უკვე დამთავრებული დანაშაულია, მაშინ როცა ორგანიზებული ჯგუფის შექმნა ქურდობის ან სხვა დანაშაულის ჩასადენად დანაშაულის მომზადებად დაკვალიფიცირდება.

მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ორგანიზებული ჯგუფი შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადენად. მაგალითად, ვინმემ ორგანიზაცია გაუკეთა ჯგუფს განზრახ მკვლელობის მიზნით, მკვლელობა მოხდა შურისძიების მოტივით. ცხადია, რომ ამ მოტივით მკვლელობის შემდეგ ჯგუფი დაიშლება და აღარ გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას. თუ ორგანიზებული ჯგუფი შექმნილია ერთი დანაშაულის ჩასადენად, მაშინ ჯგუფის წევრთა მოქმედება დაკვალიფიცირდება ჩვეულებრივ ჯგუფურ დანაშაუ-

[102] თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, 267-ე გვ. სხვაგვარად ესმით „სიმყარე" რუსულ ლიტერატურაში. „ორგანიზებული ჯგუფის სიმყარეში – ნათქვამია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის განმარტებაში – იგულისხმება მუდმივი კავშირები ჯგუფის წევრთა შორის და საქმიანობის სპეციფიკური მეთოდები ერთი ან რამდენიმე დანაშაულის მომზადებისა ან ჩადენისათვის" (იხ. Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, стр. 70). სიმყარის ცნების ასეთი განსაზღვრება დიდად გაართულებს პრაქტიკაში ამ ცნების დადგენას, მაშინ, როცა ჩვენი კოდექსის 27-ე მუხლით ორგანიზებული ჯგუფის დადგენა ძალიან ადვილია. თუ ჯგუფი შექმნილია რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, ის უკვე ორგანიზებულია.

ლად, ანდა „ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით“, თუკი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ასეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს ითვალისწინებს. ასეთი ჯგუფი არ იქნება მყარი ჯგუფი. მყარი ჯგუფისათვის დამახასიათებელია მრავალი დანაშაულის ჩადენა.

27.4. ორგანიზებული ჯგუფის შექმნის ან ხელმძღვანელობისათვის პასუხისმგებლობა ყველა შემთხვევაში ამ ჯგუფის შემქმნელს ან მის ხელმძღვანელს დაეკისრება.

ჯგუფის შემქმნელი (ხელმძღვანელი) პასუხს აგებს აგრეთვე ამ ჯგუფის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ ეს დანაშაული მოცული იყო მისი განზრახვით.

ჯგუფის წევრი პასუხს აგებს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაში იგი მონაწილეობდა.

ჯგუფის ყველა მონაწილის ქმედება დაკვალიფიცირდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ნიშნით, თუკი მან იცოდა, რომ ის ასეთი ჯგუფის წევრი იყო. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე დანაშაულის ჩამდენი არ ყოფილა ორგანიზებული ჯგუფის წევრი, მაშინ მისი ქმედება ამ ნიშნით არ დაკვალიფიცირდება.

სასამართლო პრაქტიკაში ორგანიზებული ჯგუფის საკითხში ხშირია შეცდომები. ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 28 თებერვლის განაჩენით უ. აფრიამაშვილს, ა. კრტიანს, რ. ლიაშენკოს, დ. გელაშვილს და ნ. ხმალაძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით და მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით დაედოთ მსჯავრი.

უ. აფრიამაშვილისა და ა. კრტიანის საკასაციო საჩივრების საფუძველზე ეს განაჩენი განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ, რომელმაც 2003 წლის 13 მაისის განჩინებით საჩივრები არ დააკმაყოფილა.[103]

მსჯავრდებულები წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ. მათ ოთხი ქურდობა ჰქონდათ ჩადენილი. ამიტომ ამ ნაწილში მათი ქმედებები 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით („წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“ ჩადენილი ქურდობა) დაკვალიფიცირდა. ეს კვალიფიკაცია მე სწორად არ მიმაჩნია.

სასამართლომ რატომღაც წინასწარი „შეთანხმების“ ფაქტს მიაქცია

[103] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, №5, 602–604-ე გვ.

ყურადღება და არ შეაფასა ის გარემოება, რომ დამნაშავეთა ჯგუფმა ოთხი ქურდობა ჩაიდინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მყარ დანაშაულებრივ ჯგუფთან გვაქვს საქმე. ამიტომ დამნაშავეთა ქმედება 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით უნდა დაკვალიფიცირებულიყო, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“ ქურდობისათვის (27-ე მუხლის მე-3 ნაწ.).

ყურადღებას იპყრობს ბ. ცომაიას ქმედებების კვალიფიკაცია. ბ. ცომაიამ ძმებ გასვიანებთან ერთად ქურდობების მთელი სერია ჩაიდინა. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 მაისის განაჩენით ბ. ცომაიას სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით და მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით დაედო მსჯავრი.

ერთი შეხედვით, ეს კვალიფიკაცია სწორია, თუკი დამტკიცებულად ჩავთვლით, რომ ბ. ცომაიამ ძმებ გასვიანებთან ერთად ნამდვილად ჩაიდინა ქურდობების მთელი სერია. ამიტომ წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ სავსებით სწორად მიიჩნია, რომ ქურდობა „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“ იყო ჩადენილი (177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტი) და არა წინასწარი შეთანხმებით“ (177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი).

მაგრამ ამ სწორ კვალიფიკაციას, ჩემი აზრით, ხელს ერთი არსებითი გარემოება უშლის. საქმე ის არის, რომ ჯგუფი, წინასწარ შეთანხმებული იყო ის თუ ორგანიზებული, სულ ერთია, სასამართლოს არ უნახავს. ძმები ლ. და ი. გასვიანები, რომლებთანაც ერთად თურმე ბ. ცომაია დანაშაულს სჩადიოდა, გაქცეულან და სასამართლო პროცესზე არ დასწრებიან. ამიტომ აქ დარღვეულია თანამედროვე საპროცესო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც უშუალობის პრინციპს უწოდებენ.

ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1994 წლის 11 მაისის განაჩენით მ-ს 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1-ლი პუნქტი), 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 238-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით დაედო მსჯავრი და ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მ. დასაჯეს იმის გამო, რომ მან ნ-სთან წინასწარი შეთანხმებით მითვისების მიზნით სხვისი ავტომანქანა გაიტაცა. წინასწარი გამოძიების დროს ნ-ს შერაცხვაუნარიანობის შემოწმების საკითხი დაისვა. ამის გასარკვევად ის გააგზავნეს ფსიქიატრიულ სააუდმყოფოში, საიდანაც

გაიქცა.[104]

მ. ისე გაასამართლეს წინასწარი შეთანხმებით ნ-სთან ავტომანქანის მითვისების მიზნით დაუფლებისათვის, რომ ნ. პროცესს არ დასწრებია. ეს მაშინ, როცა ნ-ს შერაცხადობა გასარკვევი და, მაშასადამე, საეჭვო იყო. თუკი ნ. შეურაცხი აღმოჩნდებოდა, მაშინ მ-ს ჯგუფური დანაშაულის ჩადენისათვის ვეღარ გაასამართლებდნენ. ერთი სიტყვით, ჯგუფის საკითხი აქაც, როგორც ზემოთ აღწერილ ბ. ცომაიას შემთხვევაშიც, საეჭვოდ რჩება. ეჭვი კი ბრალდებულის სასარგებლოდ მოქმედებს.

როდესაც სასამართლომ მ. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრად მიიჩნია ისე, რომ ნ. თვალითაც არ უნახავს, ამით მან ნ-ც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრად, ესე იგი დამნაშავედ აღიარა. აქ დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი, რომელიც უშუალობის პრინციპს ადგენს. ამ მუხლის თანახმად, ,,სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეულ იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით" (მე-3 ნაწ.).

თავი VIII
მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

მუხლი 28. აუცილებელი მოგერიება

1. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დაზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.

2. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას.

3. ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

[104] იხ. ოთარ გამყრელიძე, სასამართლო პრაქტიკის ერთი საკითხის განმარტებისათვის, ჟურნ. ,,მართლმსაჯულების მაცნე." 1998, №4, 37–39-ე გვ.

4. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

28.1. 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, 1999 წლის კოდექსში პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების ორკვალიანი სისტემა შემოვიდა. კოდექსის მე-8 თავი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს ითვალისწინებს, ხოლო მე-9 თავში ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებებია აღწერილი.

28-ე მუხლის პირველი ნაწილი აუცილებელი მოგერიების ცნებას განსაზღვრავს. აუცილებელი მოგერიება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა. აუცილებელი მოგერიება არის თავდამსხმელის დაზიანება რაიმე სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით.

თავდასხმა ორგვარი შეიძლება იყოს: 1) მართლზომიერი და 2) მართლსაწინააღმდეგო. არ შეიძლება თავდაცვა მართლზომიერი თავდასხმის დროს. მაგალითად, პოლიციელი კანონიერად აკავებს ეჭვმიტანილს. ასეთ შემთხვევაში ეჭვმიტანილს თავდაცვის უფლება არა აქვს. როცა თავდასხმა მართლსაწინააღმდეგოა, მაშინ თავდაცვა მართლზომიერია. მაგალითად, მოქალაქეს, რომელსაც ყაჩაღი ესხმის თავს, შეუძლია დაზიანოს და მოიგერიოს ის, მას ამის სრული უფლება აქვს.

მართლწინააღმდეგობა ნიშნავს ქმედების წინააღმდეგობას სამართალთან, როცა სამართალი კრძალავს ამ მოქმედებას ან უმოქმედობას, ესე იგი მოითხოვს მოქმედებას (დედა უნდა დაეხმაროს განსაცდელში მყოფ შვილს და სხვ.). მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხზე ნახეთ მე-7 მუხლის განმარტება.

აუცილებელი მოგერიება მოქალაქის უფლებაა და არა მოვალეობა. უფლებას მოქალაქე უნდა გამოიყენებს და უნდა არა. თუ მოქალაქე ამ უფლებას არ გამოიყენებს, იგი ამის გამო პასუხს არ აგებს, მაგრამ ეს დებულება, ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეზღუდულად უნდა გამოვიყენოთ.

28-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით აუცილებელი მოგერიება არის თავდამსხმელის დაზიანება ,,თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად". აქ ერთი სახელწოდების ქვეშ ორი სხვადასხვა მოვლენაა გაერთიანებული. აუცილებელი მოგერიება ისეთი შემთხვევაა, როცა ადამიანი თავის სიკეთეს იცავს. რაც შეეხება ,,სხვისი სამართლებ-

რივი სიკეთის დაცვას". ეს აუცილებელი დახმარებაა.

ამ ორი მოვლენის თავ-თავისი სახელწოდებით მოხსენიებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, როცა ადამიანი თავდამსხმელისაგან იცავს თავის სამართლებრივ სიკეთეს, ხელყოფილს შეუძლია გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების უფლება და დააზიანოს ხელმყოფი, მაგრამ მან შეიძლება ეს უფლება არ გამოიყენოს და ამისათვის ის პასუხს არ აგებს, რადგან ხელმყოფის დაზიანება მისი უფლებაა და არა მოვალეობა.

რაც შეეხება აუცილებელ დახმარებას, ესე იგი ისეთ შემთხვევას, როცა ,,სხვისი სამართლებრივი სიკეთე" საფრთხეშია, გვერდზე მყოფს ზოგჯერ შეიძლება წარმოეშვას ამ სიკეთის დაცვის არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაც. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლით ისჯება ,,დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება".

,,სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში" ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის შედეგად. ამ დროს გვერდზე მყოფს აუცილებელი მოგერიების უფლება კი არა, აუცილებელი დახმარების მოვალეობა წარმოეშობა, ვინაიდან მას ,,სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში" მყოფისათვის დახმარება სპეციალურად ევალება (კანონით, ოჯახური მდგომარეობით და სხვ.).

ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა 129-ე მუხლი, რომლითაც პასუხისმგებლობას იწვევს ,,სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე..."

ამ შემთხვევაში გვერდზე მყოფს არა აქვს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის დახმარების სპეციალური მოვალეობა, მაგრამ მას წარმოეშობა დახმარების ზოგადი სამართლებრივი მოვალეობა. გვერდზე მყოფი ვალდებულია ხელმყოფის დაზიანების გზით დაეხმაროს მას, ვისი მოკვლაც თავდამსხმელმა განიზრახა, რასაკვირველია იმ პირობით, თუ მას ეს შეეძლო თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შეუქმნელად, როგორც ამას 129-ე მუხლი ითვალისწინებს.

თუკი გვერდზე მყოფი აუცილებელი დახმარების მოვალეობას შეასრულებს და სხვისი სამართლებრივი სიკეთის (ამ შემთხვევაში სიცოცხლის) დაცვის მიზნით თავდამსხმელს დააზიანებს, იგი ამ ზიანისათვის პასუხს

არ აგებს. აუცილებელი დახმარების მოვალეობა აქვს აგრეთვე პოლიციელს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე. 1979 წლის 17 დეკემბრის მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის პირველი მუხლის განმარტებაში ნათქვამია: ,,მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი მუდმივად ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებიან საზოგადოებას და ყველა პირს იცავენ უკანონო ქმედებისაგან მათი პროფესიისათვის საჭირო პასუხისმგებლობისათვის მაღალი დონით".[105]

ეს მუხლი ავალდებულებს ,,მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირს," ესე იგი პოლიციელს, დაეხმაროს და დაიცვას სხვისი "უკანონო ქმედებისაგან" საფრთხეში მყოფი.

საქართველოს პოლიციის 1993 წლის 27 ივლისის კანონით პოლიციელი მოვალეა ,,ა) კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს მოქალაქეს სათანადო დახმარება" (მე-8 მუხლი). ეს მუხლი მოიცავს იმ შემთხვევასაც, როცა ადამიანი საფრთხეშია სხვისი უკანონო ხელყოფის გამო, ამიტომ პოლიციელი ვალდებულია დააზიანოს თავდამსხმელი, თუ სხვა საშუალებით არ ხერხდება მოქალაქის იმ სიკეთის გადარჩენა, რომელსაც საფრთხე ემუქრება.

პოლიციის კანონის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის ძალით პოლიციელს უფლება აქვს უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი ,,ა) მოქალაქისა და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას". აქ ,,სიტყვა" უფლება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას ეხება და გულისხმობს იმას, როდის შეიძლება ცეცხლსასროლი იარაღით აუცილებელი დახმარება, რაც პოლიციელის მოვალეობაა და არა უფლება.

აუცილებელი არ არის, რომ თავდასხმა იყოს დანაშაულებრივი, ესე იგი თავდამსხმელი ბრალეულად მოქმედებდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბრალეულად მოქმედებს თუ არა თავდამსხმელი, ამის დადგენა თავდასხმის მომენტში შეუძლებელია. უფრო მეტიც, ბრალს სასამართლო ადგენს. ამიტომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი ყველა შემთხვევაში თავს იცავს სხვისი უმართლობისაგან. მეორეც ის, რომ თავდამცველისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს

[105] საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბილისი, 1998, 504-ე გვ.

თავდამსხმელი ბრალეულად მოქმედებს თუ არა. მისთვის მთავარია, თავი დაიცვას თავდასხმისაგან. ამიტომ თავდაცვის მართლზომიერებისათვის სრულიად საკმარისია ის, რომ თავდამსხმელი სჩადიოდეს უმართლობას. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ აუცილებელი მოგერიება შესაძლებელია მაშინაც, როცა თავდამსხმელი შეურაცხია, მაგრამ სჩადის უმართლობას (არასრულწლოვანი, ფსიქიკურად დაავადებული და სხვ.).

აუცილებელი მოგერიება შესაძლებელია მაშინაც, როცა თავდამსხმელი შეცდომით თავს ესხმის ვინმეს. აქ ადამიანი რეალური საფრთხის წინაშეა. ამიტომ ეს შემთხვევა აუცილებელი მოგერიების წესების მიხედვით უნდა შეფასდეს.

რაც შეეხება მოჩვენებით მოგერიებას, ასეთი შემთხვევა შეცდომის პრინციპის მიხედვით უნდა გადაწყდეს. თუ მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფს შეცდომა არ ეპატიება, მან პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობისათვის.[106]

საღამოთი, როცა დაბნელდა, დ-ნის ეზოში ვიღაც შევიდა და სახლის პატრონის ძაღლის დაჭერას ცდილობდა. სახლის პატრონის შეკითხვაზე, ვინ ხარ და რა გინდაო, უცნობი არ პასუხობდა. დ-ნი შეშინდა და სახლიდან დანა გამოიტანა. უცნობს ძაღლი უკვე დაეჭირა. დ-ნმა იფიქრა ყაჩაღი თავს დამესხა, ჯერ ძაღლი დაიჭირა, მერე შინ შემომივარდებაო; თავდაცვის მიზნით უცნობს დანა დაარტყა და მძიმედ დააშავა. როგორც საბოლოოდ გაირკვა, უცნობი მთვრალი ყოფილა და ეზოში შემთხვევით, ყოველგვარი ავი ზრახვის გარეშე შეხეტიალებულა. სასამართლომ დ-ნის მოქმედება მოჩვენებით მოგერიებად მიიჩნია და მსჯავრი დასდო სხეულის გაუფრთხილებლობითი დაზიანებისათვის.[107]

შესაძლებელია თავდასხმა რეალური იყოს, მაგრამ თავდამსხმელი მოქმედებდეს სათამაშო იარაღით. ვთქვათ, ყაჩაღი თავს ესხმის ვინმეს სათამაშო, უვარგისი იარაღით. ასეთ დროს, თუ მომგერიებელი დააზიანებს თავდამსხმელს, ეს იქნება აუცილებელი მოგერიება, რადგან შეცდომა იარაღის ვარგისიანობაში მისთვის საპატიო შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

თავდასხმა შესაძლებელია არა მარტო მოქმედებით, არამედ უმოქმედობითაც. მაგალითად, ოთახში ჩაკეტილ კაცს, სადაც ის მისივე თანხმობით

[106] ვერ დავეთანხმებით ზ. წულაიას, რომელიც წერს, თითქოს „მკვლელობა მოჩვენებითი მოგერიებისას განიხილება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის საერთო წესის მიხედვით“ (იხ. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, 98-ე გვ.).

[107] თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 90-ე გვ.

მოხვდა, შეუძლია დააზიანოს მცველი, რომელიც მას გარეთ არ უშვებს და ამ გზით დააღწიოს თავი ტყვეობას.[108]

არ დაიშვება აუცილებელი მოგერიება აუცილებელი მოგერიების წინააღმდეგ, ვინაიდან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი მართლზომიერად მოქმედებს და უმართლობას არ სჩადის.

აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, თუ ხელყოფა ამწუთიერია, ესე იგი ეს-ესაა იწყება. მაგალითად, ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი). მაგალითად, ყაჩალმა მიუშვირა მსხვერპლს რევოლვერი და მოსთხოვა ნივთის გადაცემა. თავდასხმა აქ ამწუთიერია და, ბუნებრივია, მაშინვე წარმოშობს მოგერიების უფლებას.

აუცილებელი მოგერიების უფლებას, ყაჩაღობისაგან განსხვავებით, არ წარმოშობს გამოძალვა (181-ე მუხლი), სადაც მუქარა არის. მაგრამ არა ამწუთიერი. მუქარის აღსრულება გამოძალვის დროს იმ წუთში არ არის მოსალოდნელი. აქ გამომძალველი დროს აძლევს მსხვერპლს. ამიტომ ქონების გადაცემის მოთხოვნა 181-ე მუხლის მიხედვით მომთხოვნის დაზიანებას ვერ გაამართლებს.

ხელყოფის ამწუთიერება იმას როდი ნიშნავს, რომ თავდამსხმელი უნდა ელოდოს, როდის დაიწყებს მოქმედებას თავდამსხმელი. პეტრე პირველის „სამხედრო არტიკულში“ ნათქვამია: „თავდამცველი პირველ დარტყმას არ უნდა ელოდოს, თორემ შეიძლება ისეთი მოხვდეს, რომ წინააღმდეგობის თავიც აღარ ექნესო“.[109]

სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა რამდენიმე კაცი ღამით შეეიდა სახლში, სადაც იყვნენ ცოლი, ქმარი და ქმრის და. მოსულებმა მამაკაცს წინადადება მისცეს გაეტანებინა მათთვის და. როცა მამაკაცს შეატყვეს ყოყმანი, ერთ-ერთმა მოსულთაგანმა ნაბიჯი გადადგა წინ და ჯიბეში ხელი ჩაიყო. დამხვდურმა სწრაფად აიღო სანადირო თოფი და მოკლა წინმდგომი. დანარჩენები გაიქცნენ.

აქ თავდასხმა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, მაგრამ ის-ის იყო იწყებოდა. წუთით დაყოვნებასაც კი შეეძლო მძიმე შედეგი მოჰყოლოდა

[108] თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 52-ე გვ.

[109] იხ. თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, მით. ნაშრომი, 74-ე გვ.

ოჯახისათვის. ამიტომ ოჯახის უფროსის მოქმედება სავსებით დროული მოგერიება იყო.

აუცილებელი მოგერიების ვითარება აღარ გვაქვს მაშინ, როცა ხელყოფა წყდება. ხელყოფა წყდება მაშინ, როცა თავდამსხმელმა თავის მიზანს მიაღწია და სამართლებრივი სიკეთე დააზიანა. მაგალითად, როცა თავდასხმა ხდება მოკვლის მიზნით, ხელყოფა დასრულებულია მსხვერპლის სიკვდილისთანავე. ასევე დასრულებულია ხელყოფა, როცა თავდამსხმელი ქონებას დააზიანებს, თუ თავდამსხმელის მიზანიც ეს იყო. ამიტომ მკვლელობის ან ქონების დაზიანების შემდეგ თავდამსხმელის მოკვლა ან მისი სხვაგვარი დაზიანება ჩვეულებრივი დანაშაულია.

თავდასხმა შეწყვეტილია მაშინაც, როცა თავდამსხმელი გაჩერდა და აღარ აგრძელებს თავდასხმას. შეწყვეტა თავდასხმისა შეიძლება იძულებითაც, როცა თავდამსხმელი შეიპყრეს და მოქმედების გაგრძელების საშუალება აღარ მისცეს ან სხვა რაიმე გარემოებით თავდასხმის შეჩერება მოხდა. ასეთ დროს მოგერიების უფლება ისპობა და თავდამსხმელის დაზიანება არ შეიძლება.

თავდასხმა წყდება მაშინაც, როცა იარაღით თავდასხმის დროს მომგერიებელი თავდამსხმელს იარაღს წაართმევს. მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა იარაღის წართმევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს თავდასხმის დასრულებას. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა მომგერიებელი თავდამსხმელისათვის წართმეული იარაღით აზიანებს მას და ეს დაზიანება, ესე იგი მოგერიება, მართლზომიერია.

ამ ოცდაათიოდე წლის წინ კასპის პროკურატურაში აღძრული იყო განზრახ მკვლელობის საქმე. კასპის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებმა რუსეთში ვაშლი გაყიდა. ნავაჭრი თანხით იგი თბილისის აეროპორტში გვიან ღამით ჩამოფრინდა, იქირავა მანქანა და თავის სოფელში გაემგზავრა. გზაზე საუბრის შედეგად მძღოლმა ეტყობა გაიგო, რომ მგზავრს საკმაო ფული მოჰქონდა. ამიტომ მთავარი გზიდან გადაუხვია, მანქანა ხილის ბაღის პირას ჩააყენა, გადმოვიდა და საბარგული გახსნა. შემდეგ მგზავრს დაუძახა გადასულიყო და მიხმარებოდა რაღაცის გასწორებაში. როგორც კი მგზავრი გადავიდა და მძღოლისაკენ შებრუნდა, მან მაშინვე ნაგანის სისტემის რევოლვერი დაახალა. მგზავრი დაიჭრა და ინსტიქტურად ისე სწრაფად გადახტა თავდამსხმელისაკენ, რომ მან მეორე გასროლა ვეღარ მოასწრო.

გაიმართა ჭიდილი იარაღის საბოლოო დაუფლებისათვის. ამ შეტაკების დროს ორივე წაიქცა. თავდამსხმელი ცდილობდა იარაღის შენარჩუნებას, ხოლო მომგერიებელი ამ იარაღის წართმევას, რადგან მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. საბოლოოდ მომგერიებელმა წაართვა იარაღი თავდამსხმელს და ამ იარაღითვე მოკლა ის.

ეს საქმე წინასწარ გამოძიებაში შეწყდა ისე, რომ სასამართლომდე არ მისულა. აქ აშკარაა, რომ იარაღის წართმევით თავდასხმა არ დასრულებულა, რადგან ძალთა თანაფარდობა თითქმის თანაბარი იყო, მომგერიებელს სისხლი სდიოდა, გარშემო არავინ ჩანდა. ასეთ პირობებში იყო იმის საფრთხე, რომ თავდამსხმელი იარაღს ისევ წაართმევდა, ამიტომ მომგერიებლის მოქმედება მართლზომიერი იყო.

ა. მ-ძეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 17 სექტემბრის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1999 წლის კოდექსი) და 107-ე მუხლით (1960 წლის კოდექსი) აუცილებელი მოგერიების გადამეტებისათვის.

მანქანით მსვლელობის დროს დ. რ-ძემ და ა. ყ-შვილმა ა.მ-ძე ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი ფიზიკურად შეურაცხყვეს და მოკვლითაც დაემუქრნენ. მანქანა გაჩერდა. დ. რ-ძემ მოკვლის მუქარით ა. მ-ძეს პისტოლეტი მიუშვირა. ა. მ-ძემ სცადა პისტოლეტის წართმევა. დ. რ-ძემ რამდენჯერმე ისროლა. ერთი ტყვია მოხვდა ა. ყ-შვილს და იქვე გარდაიცვალა. მეორე ტყვიით დაიჭრა ა. მ-ძე. დაჭრილმა ა. მ-ძემ ისარგებლა დ. რ-ძის სიმთვრალით და მოახერხა მისთვის პისტოლეტის წართმევა, ესროლა და მოკლა, რადგანაც ა. მ-ძეს ეგონა, რომ დ. რ-ძეს კიდევ ჰქონდა მეორე იარაღი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 10 დეკემბრის განჩინებაში ამ საქმის გამო ნათქვამია: „დიდი პალატა თვლის, რომ ა. მ-ძის მხრიდან იარაღის წართმევით აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის შეწყვეტის პირობები ჯერ კიდევ არ არსებობდა. ა. მ-ძეზე თავდასხმა იყო მართლსაწინააღმდეგო, რეალური და იმწუთიერი. ა. მ-ძის მიერ დ. რ-ძისათვის იარაღის წართმევის შემდეგაც მისი სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე განელილი არ იყო...“.

ა.მ-ძემ იცოდა, რომ დ. რ-ძე იყო კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი, მას ეძებდა პოლიცია და ამიტომ ა. მ-ძეს ვარაუდით თავდამსხმელს შეიძლებოდა მეორე იარაღიც ჰქონოდა. გარდა ამისა, როგორც განჩინებაში ვკითხულობთ, „მანქანაში იმყოფებოდა მესამე პირი – გ. ბ-ძე.

რომელიც ასევე დ.რ-ძეს ახლდა და ა. მ-ძემ არ იცოდა შეიარაღებული იყო თუ არა აღნიშნული პიროვნება".[110]

ასე რომ, დ.რ-ძისათვის პისტოლეტის წართმევით თავდასხმა დამთავრებული არ იყო და ასეთ პირობებში ა. მ-ძის მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებად.

აუცილებელი მოგერიების უფლება აქვს არა მარტო ასაკოვან და ფსიქიკურად ჯანსაღ ადამიანს, არამედ მცირეწლოვანსაც და ფსიქიკურად დაავადებულსაც. თუ ფსიქიკურად დაავადებული ან მცირეწლოვანი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მიზნით, მათ მიმართ სხვა რაიმე ღონისძიების გამოყენება არ შეიძლება.

აუცილებელი მოგერიება შეიძლება მოქმედებით. მოგერიება ყოველთვის გულისხმობს თავდამსხმელის დაზიანებას. ზიანი ისეთი უნდა იყოს, რომელიც ქმედების მართლწინააღმდეგობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, თავდამსხმელის მოკვლა და სხვ.).

იშვიათი გამონაკლისის სახით მოგერიება შესაძლებელია უმოქმედობითაც. მაგალითად, მოქალაქეს თავს დაესხნენ და დაუწყეს ცემა. პატრონის დასაცავად თავდამსხმელებს ეცა მისი გაწვრთნილი ძაღლი და ერთერთი მათგანი დაზიანა. პატრონმა ზომები არ მიიღო ძაღლის შესაჩერებლად. თავდამცველმა უმოქმედობით დაიცვა თავი. სხვა შემთხვევაში იგი ვალდებული იყო ძაღლი გაეჩერებინა.[111]

აუცილებელი მოგერიება განზრახი მოქმედებაა. მომგერიებელი როცა თავდამსხმელს აზიანებს, სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით მოქმედებს, ხოლო აუცილებელი დახმარების დროს ადამიანს სხვისი დახმარების მიზანი აქვს.

28.2. აუცილებელი მოგერიება თავდამსხმელის დაზიანებას გულისხმობს. ამიტომ ზოგჯერ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ, თუკი მომგერიებელს თავდამსხმელის დაუზიანებლად შეუძლია აიცილოს თავიდან ზიანი, მან უნდა სხვა საშუალება გამოიყენოს. მაგრამ ამას კანონი არ მოითხოვს, რადგან ასეთი აზრი აუცილებელი მოგერიების ბუნებას არ შეესაბამება.

კანონის თანახმად, აუცილებელი მოგერიების, ესე იგი თავდამსხმელის

[110] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №2, 201–202-ე გვ.

[111] იხ. თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, მით. ნაშრომი, 114-ე გვ.

დაზიანების უფლება ადამიანს მაშინაც აქვს, როცა მას სხვა გზითაც შეუძლია „თავიდან აიცილოს ხელყოფა". მაგალითად, მომგერიებელს აქვს შესაძლებლობა, რომ გაიქცეს და ამით აიცილოს ხელყოფა. მართალია, მას შეუძლია ასე მოიქცეს, ეს მისი უფლებაა, მაგრამ არა ვალდებულება. მომგერიებელს გაქცევა არ ევალება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გაქცევა არ არის გარანტია თავდამსხმელისაგან თავის დაღწევისა; გაქცეული შეიძლება წაიქცეს ან ვერ აჯობოს სირბილში თავდამსხმელს და სხვ. სად აქტიური მოგერიება და სად შეშინებული გაქცეულის წინააღმდეგობა!

მეორეც ის, რომ თავდასხმა ტიპურად დანაშაულია. ამიტომ მომგერიებლისათვის გაქცევის ვალდებულების დაკისრება ხელს უწყობს დამნაშავეს. როცა დამნაშავემ იცის, რომ ადგილზევე გაუსწორდებიან, ეს აკავებს მას და დანაშაულის ჩადენის სტიმულს უკარგავს.

მომგერიებელს არ ევალება არა მარტო გაქცევა, არამედ სხვისათვის დახმარების თხოვნა. ადამიანს უფლება აქვს დააზიანოს თავდამსხმელი მაშინაც, როცა შეუძლია „საშველად მოუხმოს სხვას". მაგალითად, მომგერიებელს არ ევალება თხოვოს დახმარება ახლობელს, უცნობს, პოლიციელს და სხვ.

28.3. 28-ე მუხლის მე-3 ნაწილი გულისხმობს ისეთ თავდასხმას, რომლისაგან მოსალოდნელი ზიანი მოძრავი ნივთის ან სხვა სამართლებრივი სიკეთის წართმევასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ხელმყოფელი გარბის და თან მიაქვს ნაქურდალი, ნაძარცვი თუ ნაყაჩაღარი ქონება. აქ უნდა გავიხსენოთ თავდასხმის შეწყვეტის მომენტი, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. დანაშაულებრივი თავდასხმის დროს დანაშაულის დამთავრება ხელყოფის დამთავრებას ნიშნავს და ამ მომენტიდან ხელმყოფის დაზიანების უფლებაც აღარ არსებობს, რადგან ხელმყოფის დაზიანება ასეთ დროს სამართლებრივი სიკეთის დაცვას აღარ ემსახურება. მაგალითად, თუ მკვლელმა დაამთავრა დანაშაული, ესე იგი მსხვერპლი უკვე მოკვდა, აუცილებელი მოგერიების უფლებაც ისპობა. ასევე ხდება ქონების დაზიანების, გაუპატიურების და სხვა შემთხვევებშიც.

მაგრამ სისხლის სამართლის კანონმდებლობამ იცის ფორმალურად დამთავრებული დანაშაულები. ასეთია, მაგალითად, ქურდობა, ძარცვა და სხვ. ძარცვა და ქურდობა დამთავრებულია სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მომენტიდან. მაგრამ ნივთის ქურდის ხელში გადასვლა არ ნიშნავს ხელყოფის საბოლოო დამთავრებას და მოგერიების უფლების მოსპობას.

უფრო მეტიც, ყაჩაღობა დამთავრებულია ნივთის დაუფლებამდე თავდასხმის მომენტიდან, მაგრამ ყაჩაღის მხრიდან ნივთის დაუფლება დაზარალებულს მოგერიების უფლებას არ უსპობს. ხელმყოფის დაზიანება მართლზომიერი იქნება იმ შემთხვევაშიც, თუკი ეს წართმეული ნივთის დაბრუნებას ემსახურება.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა წართმეული სიკეთე თავდამსხმელმა სხვას გადასცა, ის კი გაიქცა და ადგილზე მხოლოდ თავდამსხმელი დარჩა. დაზარალებულს ამ თავდამსხმელის დაზიანების უფლება აღარ აქვს, რადგან ეს დაზიანება ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის უკან დაბრუნებას არ ემსახურება. სამაგიეროდ დაზარალებულს უფლება აქვს დააზიანოს ის, ვის ხელშიც სამართლებრივი სიკეთე აღმოჩნდა, თუკი ამით ის თავის სიკეთეს დაიბრუნებს.

ერთი სიტყვით, თუკი წართმეული სამართლებრივი სიკეთე ჯერ კიდევ აგერ არის, დაზარალებულის თვალწინაა და მისი დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლება, მომგერიებელს უფლება აქვს დააზიანოს თავდამსხმელი წართმეული სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად.

კანონის ტექსტში გვხვდება აგრეთვე სიტყვები ,,ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად". აქ იგულისხმება ადამიანი, რომელიც გაიტაცეს, ესე იგი ჩადენილია უკანონო თავისუფლების აღკვეთა. ასეთ შემთხვევაშიც ადამიანს უფლება აქვს დააზიანოს თავდამსხმელი უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილის გათავისუფლების მიზნით. ეს იქნება აუცილებელი დახმარება.

კანონმდებელი იმ შემთხვევაში მიიჩნევს გამართლებულად ხელმყოფის დაზიანებას, ,,თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შესაძლებელია." სიტყვები ,,უშუალოდ" და ,,დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება" ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს თავდამსხმელის დაზიანება სწრაფად უნდა მოხდეს. ,,უშუალოდ" და ,,დაუყოვნებლივ" არ გამორიცხავს თავდამსხმელის გამოდევნებას და მის დაზიანებას რამდენიმე ხნის შემდეგ.

სიტყვები ,,ხელმყოფის დაზიანება" ფართო ცნებაა და მასში ყოველგვარი დაზიანება, მათ შორის, სიცოცხლის მოსპობაც უნდა ვიგულისხმოთ. ყველაფერი დამოკიდებულია თავდასხმისა და თავდაცვის ინტენსივობაზე, ამიტომ არ არის აუცილებელი, რომ ქონება ყაჩაღური გზით იყოს წაღებული. ასეთი დაზიანება შესაძლებელია მაშინაც, როცა ეს ხდება იმ ქონების დასაბრუნებლად, რომელიც წაღებულია ქურდობის ან ძარცვის

გზით. რასაკვირველია, მხედველობაშია მისაღები ქონების ოდენობაც და მისი მნიშვნელობაც. მაგალითად, ქურდი არ აბრუნებს მოპარულ მანქანას, რომელიც ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, და ამის გამო თავდამსხმელი მას კლავს.

28.4. მომგერიებელმა თავდამსხმელის დაზიანების დროს არ უნდა გადაამეტოს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. აქ იგულისხმება თავდამსხმელის ისეთი დაზიანება, რაც აუცილებელია სამართლებრივი სიკეთის დასაცავად და მეტი არა. ერთი სიტყვით, არ უნდა იყოს დარღვეული თავდასხმისა და თავდაცვის თანაფარდობა. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ სიტყვა ,,აშკარას", რადგან არ კმარა მარტო თავდაცვის შეუსაბამობა თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. ეს შეუსაბამობა უნდა იყოს აშკარა. ესე იგი მკვეთრად გამოკვეთილი.

,,აშკარა შეუსაბამობა" თავდაცვასა და თავდასხმას შორის ყოველთვის როდი ნიშნავს უიარაღო თავდამსხმელის იარაღით მოგერიებას. ასეთ დროს უნდა შეფასდეს შექმნილი ვითარება და იმის მიხედვით გადაწყდეს, არის თუ არა აქ მოგერიების გადაცილება.

მაგალითად, თავდამსხმელი ფიზიკურად აშკარად ძლიერია და შეუძლია მოახრჩოს მომგერიებელი, ანდა ერთ კაცს რამდენიმე კაცი ესხმის თავს. ასეთ დროს მომგერიებელს უფლება აქვს თავდაცვისა და თავდასხმის საშიშროების აშკარა შეუსაბამობა იარაღის მეშვეობით გაათანაბროს. აქ მოგერიების ფარგლების გადამეტება არ გვექნება.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 19 მარტის განაჩენით გ.დ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლით. ვ.დ-მ გ.დ. წააქცია, წაქცეულს ზემოდან მოექცა და ცემდა. გ.დ. ვ.დ-ს ვერ იცილებდა და ამის გამო ფეხზე წამოდგომას ვერ ახერხებდა, რადგან, საქმის მასალებით თუ ვიმსჯელებთ, ვ.დ. მასზე გაცილებით ძლიერი იყო. თანაც, კამათისა და ჩხუბის ინიციატივა ა-ს და ვ.დ.-სგან მოდიოდა, რომლებმაც გ.დ. ძალით ჩაიყვანეს ეზოში და ჩხუბში ჩაითრიეს. ასეთ პირობებში გ.დ-მ ,,ბაბოჩკა" დანით დაჭრა თავდამსხმელი, რომელიც შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

განაჩენში ერთი სიტყვითაც არ არის ნათქვამი რატომ ჩათვალა სასამართლომ ეს ქმედება აუცილებელი მოგერიების გადამეტებით ჩა-

დენილ მკვლელობად და რატომ არ მოქმედებდა გ.დ. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. სინამდვილეში გ.დ-ს მოქმედება აუცილებელი მოგერიება იყო.

თავდასხმისა და თავდაცვის შეუსაბამობა არ გვექნება მაშინ, როცა მომგერიებელმა თავდამსხმელი უფრო მეტად დააზიანა[112] იმასთან შედარებით, რაც მას თავდამსხმელისაგან მოელოდა.

დ. მითაიშვილმა დ. ჭანტურიას ჯერ ჯოხით სცემა, შემდეგ კი დანით მსუბუქად დაჭრა თავში. იმავე დღეს ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. დ. მითაიშვილმა დ. ჭანტურიას ჯერ დედა შეაგინა, მერე უბიდან რკინის მოგრძო საგანი ამოიღო და მოუქნია; „დ. ჭანტურია აღმოჩნდა რეალური საფრთხის წინაშე. იმაში დარწმუნებულმა, რომ დ. მითაიშვილი კვლავ მიაყენებდა სხეულის დაზიანებას, გახსნა დანა და გადაამეტა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, ვინაიდან მისი მოქმედება არ შეესაბამებოდა მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებას“ (განაჩენის სიტყვები მოტანილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2002 წლის 5 ნოემბრის განჩინებიდან).[113]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა ეთანხმება ამ კვალიფიკაციას, მაგრამ არც განაჩენით და არც უზენაესი სასამართლოს განჩინებით ერთი სიტყვითაც არ არის დასაბუთებული, რით გამოიხატა დ. ჭანტურიას მხრიდან მოგერიების გადამეტება და თავდაცვა, რატომ „არ შეესაბამებოდა მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებას“.[114] როგორც ჩანს, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დ. ჭანტურიას მოელოდა „სხეულის დაზიანება“, მან კი თავდამსხმელი მოკლა.

სხვაგვარი აზრის გამოტანა განაჩენიდან და განჩინებიდან შეუძლებელია. მაგრამ როგორ უნდა მოქცეულიყო დ. ჭანტურია, რომ თავდამსხმელი მოეგერიებინა? არ დაერტყა დანა? მაშინ რა უნდა ექნა? გაქცევა

[112] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 103-ე გვ.

[113] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, №12, 1954-1955-ე გვ.

[114] სასამართლო პროცესუალურ დოკუმენტში არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ზოგადი ფორმულირებით „დაცვის აშკარა შეუსაბამობაზე ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან“ – ნათქვამია რუსეთის ფედერაციის 1996 წლის კოდექსის განმარტებაში (იხ. Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, 2002, стр. 77). დ. ჭანტურიას განჩინებაში ნათქვამია: „გახსნა დანა და გადაამეტა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.“ ეს არის და ეს.

მას არ ევალებოდა. ხოლო თუ დანას დაარტყამდა, როგორ მოეზომა თავდამსხმელის ისე დაჭრა, რომ ამას სიკვდილი არ მოჰყოლოდა? აი, ამაზე უნდა ეფიქრათ მოსამართლეებს. თუმცა, სასამართლო ასაბუთებს, რომ პირდაპირი განზრახვა თავდამსხმელის მოკვლისა მას არ ჰქონია. იგი მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით.

მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით (113-ე მუხლი) განასხვავებენ განზრახ მკვლელობისგან უეცარი ძლიერი სულიერი აღელვებით, რაც დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით არის გამოწვეული. მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისას მომგერიებელი ტიპურად უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაშია. ეს კონკურენცია უნდა გადაწყდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით განზრახი მკვლელობის სასარგებლოდ და ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს. ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს „აფექტის დროს ადგილი აქვს ძლიერ სულიერ აღელვებას, ხოლო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობისას მომგერიებელი იმყოფება ჩვეულებრივი სულიერი აღელვების მდგომარეობაში“.[115]

ეს აზრი სრულიად მიუღებელია. როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში მომგერიებელი იყოს „ჩვეულებრივი სულიერი აღელვების მდგომარეობაში“, როცა მას თავდამსხმელთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გამართული და მისი სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია. აფექტური მკვლელობის დროს კი მკვლელის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა.

აქ უფრო მეტიც შეიძლება ითქვას. განზრახ მკვლელობა ისეთ ვითარებაში, როცა აუცილებელი მოგერიების გადამეტებაც არ არის და ჩადენილია ჩვეულებრივი მკვლელობა, თუ სასამართლოზე დადგინდება, რომ მკვლელი მოქმედებდა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით. ვთქვათ, მომგერიებელმა თავდასხმა მოიგერია და თავდამსხმელზე შურისძიებით შეპყრობილმა, უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მოკლა ის.

მუხლი 29. დამნაშავის შეპყრობა

1. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებე-

[115] ბ. წულაია, სისხლის სამართალი, პირველი ტომი, 101-ე გვ.

ლი ზომის გადაუცილებლად.

2. დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან.

29.1. ტერმინი „დამნაშავის შეპყრობა" პირობითია, რადგან „დამნაშავე" არის ადამიანი, რომლის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი. შემპყრობმა კი შეიძლება არ იცოდეს, რომ შეპყრობილს ნამდვილად მიუძღვის ბრალი ჩადენილ უმართლობაში. შეიძლება შეიპყრონ მცირეწლოვანი, ფსიქიკურად დაავადებული ან სხვა გარემოების გამო შეურაცხი და ეს შემპყრობისათვის არ იყოს ცნობილი შეპყრობის დროს. ამიტომ „დამნაშავის შეპყრობის" ნაცვლად სასურველია გამოვიყენოთ ტერმინი „სამართალდამრღვევის შეპყრობა". ყოველ შემთხვევაში, შემპყრობს არ მოეთხოვება იმის ცოდნა, რომ შეპყრობილი ნამდვილად დამნაშავეა, რომ მას ბრალი მიუძღვის უმართლობის ჩადენაში. შემპყრობმა უნდა იცოდეს, რომ მან შეიპყრო სამართალდამრღვევი, სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩამდენი. უფრო ზუსტად, პროცესუალური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ეს ეჭვმიტანილის დაკავებაა. თუმცა ეს ტერმინიც პირობითია.

დამნაშავის ანუ სამართალდამრღვევის შეპყრობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა. ესე იგი მართლზომიერი მოქმედებაა.

დამნაშავის შეპყრობა მოქალაქის უფლებაა და არა მოვალეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქალაქე ამ უფლებას უნდა გამოიყენებს და უნდა არა. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე ამ უფლებას გამოიყენებს და სამართალდამრღვევს შეიპყრობს, ის სხვისი უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის პასუხს არ აგებს.

რა არის იმის საფუძველი, რომ სამართალდამრღვევის შეპყრობა არის მართლზომიერი და არა მართლსაწინააღმდეგო ქმედება? ამის საფუძველია შეპყრობის სუბიექტური მხარე. სამართალდამრღვევის შეპყრობა მხოლოდ მაშინაა მართლზომიერი, როცა შემპყრობი ამას აკეთებს შეპყრობილის პოლიციაში ან პროკურატურაში წარდგენის, სამართალდამრღვევის კანონის საფუძველზე დასჯის მიზნით.

იმ შემთხვევაში, როცა სამართალდამრღვევს შეიპყრობენ მისთვის სამაგიეროს გადახდის ან სხვა რაიმე მიზნით, მისი შეპყრობა არ შეიძლება მართლზომიერი იყოს; ასეთი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა და შემპყრობი პასუხს აგებს თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის.

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით ჩვეულებრივ მოქალაქე-ადამიანზე, რომელსაც სამართალდამრღვევის შეპყრობის უფლება აქვს. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც სამართალდამრღვევის შეპყრობის არა მარტო უფლება აქვთ, არამედ მოვალეობაც ეკისრებათ. მაგალითად, პოლიციელს თავისი სამსახურებრივი საქმიანობა ავალდებულებს შეიპყროს, დააკავოს სამართალდამრღვევი. ასეთ შემთხვევაში შეპყრობის მართლზომიერების პირობები პოლიციის კანონს ემყარება.

კანონის მიხედვით დამნაშავის შეპყრობა შეუძლია არა მხოლოდ დაზარალებულს, არამედ ნებისმიერ ნეიტრალურ ადამიანს, თუკი ეს შეპყრობა სამართალდამრღვევის პოლიციაში ან სხვა კომპეტენტურ ორგანოში წარდგენას ისახავს მიზნად.

ობიექტური მხრივ, სამართალდამრღვევის შეპყრობა შეიძლება მოქმედებით, თუმცა არ არის გამორიცხული შეპყრობა უმოქმედობითაც. თ. შავგულიძეს მოჰყავს მაგალითი, როცა სამართალდამრღვევი მონადირემ მგლის ხაფანგში ნახა გაბმული. მას შეუძლია გამოხსნას ის, მაგრამ ამას არ აკეთებს და შესაბამის ორგანოებს ატყობინებს.[116]

დამნაშავის შეპყრობა დანაშაულის ჩადენისთანავე ხდება, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ სამართალდამრღვევი გაიქცეს, დაიმალოს და შემდეგ შეიპყრონ. ასე რომ მოქალაქე, რომელმაც იცნო დამნაშავე, რომელსაც კარგა ხანია ეძებს პოლიცია და დააკავა, გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან 29-ე მუხლის საფუძველზე.

სამართალდამრღვევის შეპყრობა დანაშაულის დამთავრების შემდეგაა შესაძლებელი. დანაშაულის დამთავრება არ ნიშნავს მის იურიდიულ დამთავრებას. აქ იგულისხმება მისი აღკვეთა. მაგალითად, მომგერიებელმა წაართვა იარაღი თავდამსხმელს, რომელიც მის მოკვლას ცდილობდა, შეიპყრო ის და წარადგინა პოლიციაში.[117]

დამნაშავის შეპყრობა შეიძლება გადაიზარდოს აუცილებელ მოგერიებაში. ეს ხდება მაშინ, როცა დამნაშავე შემპყრობს არ დაემორჩილება და იქით შეუტევს მას. ასეთ დროს წარმოიშობა აუცილებელი მოგერიების

[116] თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 175-ე გვ.

[117] ვერ დავეთანხმებით თ. დონჯაშვილს, რომელიც წერს, თითქოს „179-ე მუხლის თანახმად, ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან. მაგრამ აუცილებელი მოგერიების ვითარება არ შეიძლება (წარმოიქმნას) თავდასხმის მომენტში". გამოდის, რომ თავდასხმის მომენტში ყაჩაღის დაზიანება დანაშაული ყოფილა. აუცილებელი მოგერიების უფლების ასეთი შეზღუდვა გაუმართლებელია (იხ. თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, მე-300 გვ.).

უფლება.

აუცილებელი მოგერიების ან აუცილებელი დახმარების შემთხვევაში მომგერიებელი იცავს თავს ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. რაც შეეხება დამნაშავის შეპყრობას, აქ შეპყრობის მიზანია: 1) მართლმსაჯულების ინტერესი, რომ დამნაშავე დაისაჯოს და 2) საზოგადოებრივი უშიშროება. ეს იმას ნიშნავს, რომ დაუსჯელი დამნაშავე კიდევ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და საზოგადოებას დააზიანებს.[118]

ამ საკითხის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს დამნაშავის შეპყრობის დროს მისი დაზიანების ზომის განსაზღვრისათვის. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა ითქვას, რომ შეპყრობა, ესე იგი თავისუფლების აღკვეთა, უკვე ზიანია, ადამიანის თავისუფლების ხელყოფაა. მაგრამ აქ მარტო ამ ზიანზე არ არის ლაპარაკი. შესაძლებელია შეპყრობა ვერ მოხერხდეს და ამისათვის საჭირო გახდეს კიდევ დამატებით სხვაგვარი ზიანი. ასეთი ზიანი, მეტი რომ არ ვთქვათ, შეიძლება იყოს ხელების გადაგრეხა, გათოკვა, ცემა, ესე იგი დარტყმა. არ არის გამორიცხული გაქცეული დამნაშავის შეჩერების და შეპყრობის მიზნით თოფის სროლა ფეხებში და სხვ. ერთი სიტყვით, არ უნდა იყოს გადაცილებული ზიანის „აუცილებელი ზომა", ესე იგი ის ზომა, რაც აუცილებელია დამნაშავის შეპყრობისათვის.

29.2. დამნაშავის დაზიანება მისი შეპყრობის მიზნით უნდა შეესაბამებოდეს იმ „აუცილებელ ზომას", რაც საჭიროა: 1) ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და 2) დამნაშავის შეპყრობისათვის.

როცა ეს თანაფარდობა დარღვეულია და ზიანი აშკარად არ შეესაბამება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელ ზომას, მაშინ დამზიანებელი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლით — ვჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის დამნაშავის შესაპყრობად აუცილებელი ზომის გადაცილებით.

იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავის შეპყრობას შედეგად მოჰყვა მკვლელობა, რომელიც აშკარად არ შეესაბამებოდა შეპყრობისათვის აუცილებელ ზომას, პასუხისმგებლობა დადგება 114-ე მუხლით.

სიტყვა „აშკარად," რომელიც 29-ე მუხლშია ნახსენები, არ გვხვდება არც 114-ე და არც 123-ე მუხლში. მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში, როცა ვადგენთ, გადაცილებულია თუ არა შეპყრობისათვის აუცილებელი

[118] თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, მით. ნაშრომი, 173-ე გვ.

ზომა, გადაცილება უნდა იყოს „აშკარა."

დამნაშავის დაზიანების მოცულობაზე ანუ შეპყრობის „აუცილებელ ზომაზე" როცა ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ შეპყრობის მიზანია მართლმსაჯულების ინტერესი. ამიტომ სამართალდამრღვევის მკვლელობა არ შეიძლება ამ მიზანს მოემსახუროს. ისედაც რომ ითქვას, შესაპყრობის მოკვლა შეპყრობა აღარ არის, შეპყრობა ცოცხალი ადამიანის ხელში ჩაგდებას ნიშნავს. ამიტომ ვერ დავეთანხმებით რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის განმარტების ავტორს, რომელიც წერს, თითქოს მოკვლა დასაშვებია ისეთი დამნაშავის შეპყრობისას, რომელსაც ჩადენილი აქვს მკვლელობა, ბანდიტობა, მძევლად ხელში ჩაგდება, ტერორი, ყაჩაღობა, გაუპატიურება და სხვა ძალადობითი დანაშაული.[119] ჩვენ მოკვლას აუცილებელი მოგერიების დროსაც კი მეტად კრიტიკულად ვუდგებით და ამიტომ დამნაშავის შეპყრობისას ასეთ მძიმე ზიანს ვერ დავეთანხმებით. საკითხის ასეთი გადაწყვეტა თვით დამნაშავის შეპყრობის ინსტიტუტის ბუნებას ეწინააღმდეგება.

შეპყრობისათვის „აუცილებელი ზომის" განსაზღვრის დროს, მეორე მხრივ, მხედველობაში დანაშაულის სიმძიმეც მიიღება. თუ ისეთი დანაშაულია ჩადენილი, რომელიც თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს, შეპყრობის საკითხიც არ უნდა დადგეს.

შეპყრობას აზრი არა აქვს მაშინაც, როცა ყველასათვის ნათელია, რომ დამნაშავე არსად გარბის და არავის ემალება.

როცა შეპყრობისათვის „აუცილებელი ზომის" გადაცილებაზეა საუბარი უნდა ვიცოდეთ, რომ გადაცილება ყველასათვის ნათელი, უდავო უნდა იყოს. თ. შავგულიძეს სასამართლო პრაქტიკიდან ასეთი მაგალითი მოჰყავს: „ჯიბის ქურდს კან-ს მოქალაქენი დაედევნენ. ქურდი შევარდა ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში და კიბეებზე აირბინა. ამ დროს ბანდა ესროლა და მძიმედ დაჭრა".[120] ქურდს უკვე აღარ შეეძლო გაქცევა. ამიტომ მისი დაზიანება არ იყო მართლზომიერი. აქ ქურდის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომა „აშკარად" გადაცილებულია.

დამნაშავის შეპყრობის დროს შეიძლება შეცდომა მოხდეს, ესე იგი შეპყრონ არა ნამდვილი დამნაშავე, არამედ უდანაშაულო. ასეთ დროს წედების კვალიფიკაცია მოხდება ფაქტობრივი შეცდომის წესის მიხედვით.

[119] Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, 2002, стр. 80-81

[120] იხ. თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, მით. ნაშრომი, 183-ე გვ.

თუ შეცდომა მისატევებელია, მაშინ შემპყრობი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება. თუ შეცდომა არ არის საპატიო, მაშინ შემპყრობი შეიძლება პასუხი აგოს გაუფრთხილებლობისათვის, თუკი ასეთი ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება.[121]

დამნაშავის შეპყრობას აქვს, აგრეთვე, ერთი მეტად მნიშვნელოვანი დამნაშავისთვისაც სასარგებლო დადებითი მხარე – როდესაც დაზარალებული და მისი მომხრეები ეცდებიან მის ჩაქოლვას, ამ დროს დამნაშავის პოლიციაში მიყვანა მისი გადარჩენაც არის და მასზე კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების გარანტიაც.

მუხლი 30. უკიდურესი აუცილებლობა

მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი ვინც სხვას დააზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I. 2000 წ., №18, მუხ. 45)

უკიდურესი აუცილებლობა, აუცილებელ მოგერიებასთან ერთად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ კლასიკურ გარემოებათა რიგს მიეკუთვნება. 30-ე მუხლით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობის ცნებაა განსაზღვრული.

აუცილებელი მოგერიებისა და აუცილებელი დახმარებისაგან განსხვავებით, უკიდურესი აუცილებლობის დროს ზიანდება არა საფრთხის წყარო, ესე იგი ის, ვისგანაც საფრთხე მომდინარეობს, არამედ სულ სხვა, ნეიტრალური სიკეთე.

თუმცა არის შემთხვევა, როცა საფრთხის წყარო კი ზიანდება, მაგრამ არა გვაქვს თავდასხმა, რაც აუცილებელი მოგერიებისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, ვინმემ თავის არაკეთილმოსურნეს ავი გაწვრთნილი ძაღლი მიუსია. ამ შემთხვევაში გვაქვს თავდასხმა და

[121] თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, 299-ე გვ.

ძაღლის მოკვლა აუცილებელი მოგერიების წესის მიხედვით უნდა შეფასდეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ავი ძაღლი თვითონ, პატრონისაგან დამოუკიდებლად შეუტევს ვინმეს, რომელიც ამ ძაღლს მოკლავს, მაშინ საქმე გვექნება უკიდურეს აუცილებლობასთან.[122]

მაშასადამე, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა ისეთი მდგომარეობაა, როცა ზიანდება არა თავდამსხმელი, არამედ სულ სხვა სუბიექტი.

მეორე, რაც უკიდურესი აუცილებლობისათვის არის დამახასიათებელი, საფრთხე ემუქრება სამართლებრივ სიკეთეს და აუცილებელია მისი დაცვა, გადარჩენა.

მესამეც, უკიდურესი აუცილებლობა საფრთხეში მყოფი სამართლებრივი სიკეთის ისეთი დაცვაა, როცა ეს ხორციელდება სხვა სიკეთის დაზიანების ხარჯზე. ამიტომ საფრთხეში მყოფი სიკეთის გადარჩენა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, ესე იგი მართლზომიერი, როცა დაზიანებული სიკეთე უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე.

როცა სხვა სიკეთის დაზიანებაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიგულისხმოთ სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ისეთი ქმედებით, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონით. უკიდურესი აუცილებლობა იმიტომ არის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, რომ ჩადენილია სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედება, დაზიანებულია სისხლის სამართლით დაცული სიკეთე, მაგრამ ეს მოხდა კანონით დაცული სხვა უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის გადარჩენის მიზნით.

მაგრამ სიკეთეთა ამ თანაფარდობაში არ შეიძლება შევიდეს ადამიანის სიცოცხლე. „ერთი ადამიანის განზრახი მკვლელობა არ შეიძლება გამართლებული იქნეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით მაშინაც კი, როდესაც ამის მეოხებით რამდენიმე კაცის სიცოცხლე იქნა გადარჩენილი".[123] უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის მოსპობა სხვა სიკეთის,

[122] არ არის სწორი ის აზრი, თითქოს „აუცილებელი მოგერიება დაკავშირებულია მხოლოდ დანაშაულთან". (იხ. პეტრე დათუაშვილი, ალექსანდრე კვაშილავა, სისხლის სამართალი, 116-ე გვ.). აუცილებელი მოგერიება შესაძლებელია მაშინაც, როცა თავდამსხმელი მოქმედებს უბრალოდ, ესე იგი არ სჩადის დანაშაულს. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების უფლება ადამიანს აქვს მცირეწლოვანის თავდასხმის დროსაც, რაც დანაშაულად არ დაკვალიფიცირდება. ამ დროს ჩადენილია სისხლისსამართლებრივი უმართლობა.

[123] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ჩემი ალტერნატიული პროექტი (31-ე მუხ., მე-2 ნაწ.), ჟურნ. „პარლამენტის უწყებანი", 1996 წლის 6 ნოემბერი. ოთარ გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი.

თუნდაც მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად იურიდიულად გაუმართლებელია.

ამიტომ ვერ დავეთანხმებით თ. წერეთელს, რომელიც წერდა, თითქოს ..სხვა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა შეიძლება ჩაითვალოს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი იყო მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.[124]

საკუთარი სიკეთის გადარჩენა სხვისი ისეთივე ღირებულების სიკეთის დაზიანების ხარჯზე მართლსაწინააღმდეგოა და ამიტომ პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს.

არ არის აუცილებელი, რომ სიკეთე, რომლის გადასარჩენად სხვის მატერიალურ სიკეთეს აზიანებენ, მატერიალური იყოს. მაგალითად, სიცოცხლის გადარჩენა შეიძლება სხვისი მატერიალური სიკეთის დაზიანების ხარჯზე. ამის ნიმუშია ცნობილი ნენცების საქმე, რომელიც განიხილა ჩუკოტსკის ნაციონალური ოლქის (რსფსრ) სასამართლომ.

ტუნდრაში დაკარგული ირმების საძებრად წასულ რამდენიმე ნენცს ტუნდრის ნისლით დაფარულ უკიდეგანო სივრცეში გზა აებნა და შიმშილით სიკვდილით საფრთხე დაემუქრა. ნენცები წააწყდნენ გეოლოგების მიტოვებულ საწყობს, გატეხეს ის და წამოიღეს საკვები. მათი ქმედება სასამართლომ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად ჩათვალა.[125]

უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხის წყარო სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს ბუნებრივი მოვლენებიდან. ასეთია, მაგალითად, სტიქიური მოვლენები, რომლებსაც მოსდევს ავადმყოფობა, შიმშილით სიკვდილი, ქონების განადგურება და სხვაგვარი სიკეთის მოსპობის საფრთხე. სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხე შეიძლება წარმოშვას სრულიად შემთხვევითმა გარემოებებმაც. მაგალითად, ვიღაცას შემთხვევით ონკანი დარჩა ღია. მისი ბინაში არყოფნის დროს წყალი მოვიდა და ქვედა სართულზე მეზობლის ძვირფას ავეჯს განადგურების საფრთხე შეუქმნა. ასეთი შემთხვევითი მოვლენაა აგრეთვე ირმების საძებრად წასვლა და სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა (ნენცების საქმე) და სხვ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, თანამედროვე მეცნიერებაში მართლ-

[124] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, 112-ე გვ.
[125] Курс Советского Уголовного Права, М., т. II, стр. 388-389.

საწინააღმდეგო უკიდურესი აუცილებლობის ორ სახეს გამოყოფენ: 1) დეფენზიურ ანუ თავდაცვით და 2) აგრესიულ ანუ თავდასხმით უკიდურეს აუცილებლობას.[126]

დეფენზიურია ისეთი უკიდურესი აუცილებლობა, რომლის დროსაც საფრთხის წყარო ზიანდება. ადამიანი ამ დროს თავს იცავს თვითონ წყაროს ზემოქმედებისაგან და მას აზიანებს, რათა თავისი სამართლებრივი სიკეთე დაიცვას. მაგალითად, ადამიანი კლავს ძაღლს, რომელიც მის ბავშვს ეცა საკბენად და დასაგლეჯად.

აგრესიულია ისეთი უკიდურესი აუცილებლობა, როცა ზიანდება ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც საფრთხე არ შეუქმნია და ამ თვალსაზრისით სრულიად ნეიტრალურია. მაგალითად, ნენცების საქმე, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, აგრესიული ანუ თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობის ნიმუშია. გეოლოგებს ნენცების სიცოცხლისათვის საფრთხე არ შეუქმნიათ.

უკიდურესი აუცილებლობის ასეთ დაყოფას თავდაცვით და თავდასხმით უკიდურეს აუცილებლობად აქვს პრაქტიკული დანიშნულება. თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დადგეს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მაშინ, როცა ასეთი ვალდებულება არ შეიძლება წარმოიშვას თავდაცვითი უკიდურესი აუცილებლობის დროს.

უკიდურესი აუცილებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, თუ დაზიანებული სიკეთე უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე.

ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ სიკეთის გადარჩენა შესაძლებელია რამდენიმე სიკეთის დაზიანების ხარჯზე. ასეთ დროს ადამიანმა უნდა დააზიანოს ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი სიკეთე. მაგრამ ასეთი აზრი არ გამომდინარეობს კანონიდან. კანონის თანახმად, შედარება უნდა მოხდეს მხოლოდ დაზიანებულ და გადარჩენილ სიკეთეთა შორის. მთავარია, რომ დაზიანებული სიკეთე იყოს ნაკლებმნიშვნელოვანი გადარჩენილთან შედარებით.

ამას გარდა, კანონის თანახმად, ამა თუ იმ სიკეთის დაზიანება უნდა იყოს ერთადერთი საშუალება შესაბამისი სიკეთის გადასარჩენად. თუ არსებობს სხვა რაიმე გზა ამ სიკეთის გადასარჩენად, მაშინ მეორე სიკეთის, თუნდაც ნაკლებმნიშვნელოვანის, დაზიანება გაუმართლებელია და

[126] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, 2002, 78-ე გვ.

ამიტომ დამზიანებელმა ამისათვის პასუხი უნდა აგოს.

როგორც აუცილებელი მოგერიების დროს ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ აუცილებელი მოგერიება და აუცილებელი დახმარება, უკიდურესი აუცილებლობაც უნდა დავყოთ ორ სახედ. პირველი სახე უკიდურესი აუცილებლობისა იქნება ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანი იცავს თავის პირად ინტერესს. მეორე სახეა ის შემთხვევა, როცა ადამიანი სხვის სამართლებრივ სიკეთეს იცავს. 30-ე მუხლში ნათქვამია, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს ადამიანი სხვას აზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ,,ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს". ასე რომ, აუცილებელი დახმარება უკიდურესი აუცილებლობის დროსაცაა შესაძლებელი.

მუხლი 31. მართლზომიერი რისკი

1. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დაზიანებს სამართლებრივ სიკეთეს.

2. რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

31.1. მართლზომიერი რისკი, როგორც ამ ტერმინიდან ჩანს, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა. რისკი მართლზომიერია მაშინ, როცა სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ,,საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში მოხდა". სიტყვა ,,რისკი" ფრანგული სიტყვაა (risque) და მოსალოდნელ საფრთხეს, საშიშროებას ნიშნავს.[127] ობიექტური თვალსაზრისით რისკის გამწვევი, უპირველეს ყოვლისა, რაიმე სიკეთის დაზიანების საფრთხეს ქმნის. ეს საფრთხე შეიძლება განხორციელდეს, ესე იგი სიკეთე დაზიანდეს, და შეიძლება არა. სუბიექტური თვალსაზრისით რისკის გამწვევმა უნდა იცოდეს, წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს, რომ თავისი მოქმედებით რაიმე სიკეთის დაზიანების საფრთხეს ქმნის.

მაგალითად, მძიმე ქირურგიული ოპერაცია პაციენტის სიცოცხლეს საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს, მაგრამ, თუ სხვა გამოსავალი არ არის, ასეთი ოპერაციის რისკი გამართლებულია. პაციენტის სიკვდილის შემთხვევაში ქირურგი პასუხს არ აგებს, თუ ოპერაციის დროს მას უპატიებელი შეცდომა არ მოსვლია.

31.2. რისკი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა სხვაგვარი მოქმედებით შეუძლებელი იყო. ყურადღებას იპყრობს ამ მხრივ ლ. ტოლსტოის პატარა მოთხრობა ,,ზვიგენი." გემიდან მეზღვაური ხედავს, რომ ზღაში მცურავ მის შვილს ელვის სისწრაფით უახლოვდება ზვიგენი. მეზღვაური გარისკავს, სასწრაფოდ ტყვიამფრქვევს მიუჯდება და ზვიგენს უმიზნებს. სროლის შემდეგ ბიჭი და ზვიგენი ტყვიამფრქვევიდან გამონაბოლქვმა ბოლმა დაფარა. მეზღვაურმა ამის გამო ვერ შენიშნა ვის მოხვდა ტყვია, ბიჭს თუ ზვიგენს და შიშისაგან, ვაი თუ შვილი მოვკალიო, გული შეუწუხდა. როცა მხედველობა აღდგა, გემიდან გულაღმა ამოტრიალებული ზვიგენი გამოჩნდა, ბიჭი კი ცურვით უახლოვდებოდა გემს.

ამ შემთხვევაში რისკმა გაამართლა. ბიჭი გადარჩა. მაგრამ რისკი გამართლებული იქნებოდა და მამა პასუხს არ აგებდა მაშინაც, ბიჭი რომ დაღუპულიყო, ესე იგი, ტყვია რომ ზვიგენის ნაცვლად, ბიჭს მოხვედროდა. რადგან გამოსავალი არ იყო, ბიჭი მაინც იღუპებოდა. რისკი რომ ისჯებოდეს. მაშინ მამა სასჯელის შიშით ზვიგენს აღარ ესროდა.[128] ამით კი ბიჭს დაღუპავდა. ამიტომ არის რისკი გამართლებული.

მაგრამ აქ იგივე საკითხი დგება, რაც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობის დროს. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლე ყველა სიკეთეზე მაღლა დგას და ამიტომ რისკი არ შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, როცა რაიმე სიკეთის გადარჩენის მიზნით საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს და იღუპება ის. ზემოთ მოტანილ მაგალითში ტყვიამფრქვევის სროლა გამართლებულია იმით, რომ ის მიზნად ისახავდა ზვიგენის მოკვლას ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. რისკი გაუმართლებელია, როცა რაიმე სიკეთის გადარჩენა ხდება ადამიანის სიცოცხლის დაღუპვის ხარჯზე. მაგალითად, არ შეიძლება გამართლება ისეთი რისკისა, როცა პოლიცია დამნაშავეთა დაკავების მიზნით ესვრის მანქანას, რომლითაც დაზარალებული (თავისუფლებააღკვეთილი) მიჰყავთ. აქ საფრთხე დაზარალებულის სიცოცხლეს ექმნება.

[127] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, 1989.

[128] ვერ დავეთანხმებით თ. ფანჯიკიძეს, რომელიც წერს, რომ ,,რისკს ენიჭება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რისკს შედეგად მოჰყვება სამართლებრივი სიკეთის დაზიანება". იხ. მისი ,,სისხლის სამართალი," 102-ე გვ.

სამედიცინო ოპერაციის დროს, როცა ამის შედეგად საფრთხე ექმნება პაციენტის სიცოცხლეს. ოპერაცია პაციენტის თანხმობით კეთდება.

ასევე საჭიროა პოლიციელის თანხმობა, როცა იგი საკუთარი სიცოცხლის დაღუპვის რისკის ფასად მოქმედებს დამნაშავის დასაკავებლად. ასეთ დროს პოლიციელის თანხმობა გამოიხატება მის განცხადებაში, რომლითაც იგი სამსახურში მიიღეს.

უკიდურესი აუცილებლობის მსგავსად, რისკი რაიმე სიკეთის დაზიანებისა უნდა იყოს ერთადერთი საშუალება მეორე უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის გადასარჩენად. თუ სიკეთის დაცვა შეიძლება სხვა სიკეთის დაზიანების რისკის გაუწევლად, მაშინ რისკი გაუმართლებელია.

რისკი გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა მოქმედი საფრთხეში აგდებს რაიმე სიკეთეს მისი გადარჩენის მიზნით. სწორედ ამით განსხვავდება მართლზომიერი რისკი მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობისაგან.

აქედან ის აზრი გამომდინარეობს, რომ სარისკო მოქმედება წინასწარ უნდა იქნეს მომზადებული და მიღებული უნდა იყოს ყველა ზომა სასარგებლო შედეგის მისაღწევად.

უკიდურესი აუცილებლობისაგან გამართლებული რისკი იმითაც განსხვავდება, რომ გამართლებული რისკი მიმართულია არა იმის სასარგებლოდ, ვინც რისკს ეწევა, არამედ სხვა ადამიანის ან საზოგადოების სასარგებლოდ.

მუხლი 32. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა მართლზომიერი ქმედების დროს

მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა ამ კოდექსში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ საკმაოდ აკმაყოფილებს ამ ქმედების მართლზომიერების პირობებს.

თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ქმედებები, რომლებიც პასუხისმგებლობას აწესებს, კოდექსში ყოველთვის ამომწურავადაა ჩამოთვლილი. ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილი არ არის, არ შეიძლება დანაშაული იყოს და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევ-

დეს.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იმ გარემოებებზე, რომლებიც პასუხისმგებლობას გამორიცხავს. პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა წრე კოდექსში არ შეიძლება ამომწურავი იყოს. კანონმდებელს შესაძლებელია გამორჩეს რომელიმე ასეთი გარემოება. ამიტომ აქ უკვე თავის სიტყვას ამბობს სამოსამართლო სამართალი. სასამართლომ თვითონ უნდა განსაზღვროს, რომ ესა თუ ის ქმედება, რომელიც მისი განხილვის საგანია, თუმცა კანონმდებელს არ დაუდგენია, მაგრამ მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს. ამიტომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება და გაათავისუფლოს მოქმედი პასუხისმგებლობისაგან.

სასამართლომ, 32-ე მუხლიც რომ არ იყოს კოდექსში, მაინც ამ პრინციპით უნდა იმოქმედოს და თვითონ უნდა დაადგინოს, რომელი გარემოება გამორიცხავს პასუხისმგებლობას და შეწყვიტოს საქმის წარმოება. მაგრამ 32-ე მუხლით კანონმდებელი პირდაპირ მიანიშნებს სასამართლოს ამ პრინციპის მნიშვნელობაზე და ამით უადვილებს საქმეს. ერთი სიტყვით, 32-ე მუხლში ნათქვამია, რომ სასამართლოს უფლება აქვს შეწყვიტოს საქმე და გაამართლოს ადამიანი იმ შემთხვევაშიც, როცა მან სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედება ჩაიდინა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არ არის. ასეთ გარემოებად შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, დაზარალებულის თანხმობა, მოვალეობათა კოლიზია და სხვ.

დაზარალებულის თანხმობა, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ჩვენ მოცემული არა გვაქვს, მაგრამ ასეთი გარემოება გვხვდება კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეულ მუხლებში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად. რახან კანონმდებელი კოდექსის ზოგად ნაწილში არ გვაძლევს დაზარალებულის თანხმობის ცნებას, ამ ცნების მოცულობის განსაზღვრა უკვე სასამართლოს საქმეა.

დაზარალებულის თანხმობა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა. მაგრამ თანხმობას არ ენიჭება უნივერსალური მნიშვნელობა. არის ისეთი სამართლებრივი სიკეთე, რომლის განკარგვის უფლება ადამიანს არა აქვს. ამ შემთხვევაში დაზარალებულის თანხმობა პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“ (1-ლი ნაწ.). პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს არა

მარტო მკვლელობა, არამედ სხეულის დაზიანებაც დაზარალებულის თანხმობით. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება სხეულის დაზიანება დაზარალებულის თანხმობით, თუ ის ქირურგიული ოპერაციის მიზნით ხდება.

დაზარალებულის თანხმობით განზრახ მკვლელობა, მართალია, პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, მაგრამ თანხმობა ამ დროს ყოველთვის ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით შემსუბუქებული პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული მკვლელობისათვის "მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით" (ევთანაზია). მაგრამ ცხოვრებაში შესაძლებელია შეგხვდეს მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით არა "მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით", არამედ სხვა მიზნით. ასეთ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება 108-ე მუხლით, ხოლო "მსხვერპლის თხოვნას" სასამართლო მხედველობაში მიიღებს სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად.

მეორე ისეთ გარემოებად, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველად შეიძლება იქნეს მიჩნეული, უნდა დავასახელოთ მოვალეობათა კოლიზია. ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს ისეთ ფაქტი, როცა ადამიანს ერთდროულად წარმოეშობა ორი მოვალეობა, რომელთა ერთდროულად შესრულება შეუძლებელია. ამ დროს ადამიანი ასრულებს ერთ მოვალეობას და მეორის შესრულებას ვერარ ასწრებს, რაც ზიანს იწვევს. ამის ტიპური მაგალითია ექიმის ერთდროული გამოძახება ორ სხვადასხვა ავადმყოფთან. ექიმი ვერ ასწრებს ორივესთან ერთდროულად მისვლას. იგი ერთ ავადმყოფს შველის, ხოლო მეორე იღუპება. ექიმი პასუხს არ აგებს მეორე მოვალეობის შეუსრულებლობისა და ავადმყოფის დაღუპვის გამო, რადგან იგი ამ დროს სხვა ავადმყოფთან იყო გამოძახებული და სხვა მოვალეობას ასრულებდა. მოვალეობათა კოლიზია შეიძლება მოხდეს არა მარტო სამედიცინო, არამედ ადამიანთა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

მოვალეობათა კოლიზიის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ კოროტჩენკოს საქმე. კოროტჩენკოს მანქანის მართვის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. ამ დროს სოფელში ქალს მშობიარობა დაეწყო. გამოუვალი მდგომარეობის გამო ოჯახმა დახმარებისათვის კოროტჩენკოს მიმართა. დიდი ყოყმანის შემდეგ იგი დათანხმდა და საჭეს მთვრალი მიუჯდა. გზაზე კოროტჩენკო ავტოინსპექციამ დააკავა. სასამართლომ კოროტჩენკო 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 241[1] მუხლით ავტომანქანის სიმთვრალეში მართვისათვის დასაჯა. კოროტჩენკოს დასჯა არ იყო სწორი. აქ საქმე გვქონდა მოვალეობათა კოლიზიასთან: მას ან მოძრაობის წესი უნდა დაერღვია და მანქანის საჭეს მთვრალი მიჯდომოდა, ანდა მელოგინეს არ უნდა მიხმარებოდა, რასაც შეიძლება მძიმე შედეგი მოყოლოდა. კოროტჩენკომ სწორი არჩევანი გააკეთა და ის მოვალეობა შეასრულა, რომლითაც მეტი სიკეთე გადაარჩინა.[129]

არ არის გამორიცხული, რომ ცხოვრებამ ამოატივტივოს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი სრულიად ახალი გარემოება, რომელიც დღემდე სამართლებრივი პრაქტიკისათვის უცხოა. მაგალითად, წარსულში ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის გაცნობისას საბრალდებო დასკვნაში ამოვიკითხე ერთი მეტად საყურადღებო ამბავი. ვიღაც კაცი ხალხმრავალ ქუჩაში იდგა, რევოლვერი მაღლა აეშვირა და ისროდა. მასთან სწრაფად მოვარდა გამვლელი, წაართვა რევოლვერი და პოლიციას ჩააბარა. მაშინდელი კანონმდებლობით რევოლვერის წართმევისათვის სპეციალური პასუხისმგებლობა იყო დაწესებული (1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლი, 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე მუხლი). როგორ უნდა შეფასდეს ეს ქმედება? აშკარაა, რომ აქ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ რომელთან? ეს არ არის არც აუცილებელი მოგერიება, არც უკიდურესი აუცილებლობა, არც დამნაშავის შეპყრობა. ის რაღაც ახალია. მე ამ გარემოებას "დამნაშავის განიარაღება" ვუწოდე. მოქალაქემ დამნაშავე, ამ შემთხვევაში "ხულიგანი", განაიარაღა და საზოგადოება აშკარა ზიანისაგან იხსნა.

---

[129] ჯამლეთ ბაბილაშვილი, პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის, 116-ე გვ. ავტორის აზრით, კოროტჩენკო მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.

თავი IX
ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი

მუხლი 33. შეურაცხაობა ასაკის გამო

ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.

1999 წლის 22 ივლისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიანი სისტემა პირველად შემოვიდა. წინა კოდექსისათვის ასეთი სისტემა უცხო იყო. 1960 წლის კოდექსმა იცოდა მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების (დღევანდელი ტერმინოლოგიით – მართლწინააღმდეგობის) გამომრიცხველი გარემოებანი. მოქმედი კოდექსის მე-8 თავში ცალკეა გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი, ხოლო მე-9 თავში მოცემულია ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. ეს არის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების ორკვალიანი სისტემა. ეს სისტემა პირდაპირ გამომდინარეობას დანაშაულის ცნების სამნიშნოვანი სტრუქტურიდან. კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად დანაშაული სისხლის სამართლის კანონით აღწერილი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებაა. ამიტომ, როცა ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილი ქმედება, მაგრამ ეს ქმედება არ ეწინააღმდეგება სამართალს, ესე იგი, არ არის მართლსაწინააღმდეგო რაღაც გარემოების გამო, მაშინ ვამბობთ, რომ გვაქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და სხვ.).

ზოგჯერ სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილი ქმედება, თუმცა მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ ეს ქმედება ამა თუ იმ გარემოების გამო ბრალად არ შეერაცხება მის ჩამდენს. სწორედ ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ ასეთ გარემოებას წარმოადგენს ასაკი, რომელიც 33-ე მუხლითაა გათვალისწინებული. ამით კანონმდებელი პირდაპირ ადგენს, რომ ასაკი, ესე იგი მცირეწლოვანება, ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა და არა დანაშაულის სუბიექტის ნიშანი, როგორც ეს მიღებულია იურიდიულ ლიტერატურაში.

მიუხედავად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შემოტანილი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების ორკვალიანი სისტემისა,

რომლის მიხედვით მცირეწლოვანება ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა, ქართველ იურისტთა უმრავლესობა ვერა და ვერ ელევა რუსულ იურიდიულ მწერლობაში დამკვიდრებულ იდეას, რომ ასაკი დანაშაულის სუბიექტის ნიშანია. ამ იდეის მიხედვით, „დანაშაულის სუბიექტია 14 წლის ასაკს მიღწეული ფიზიკური და შერაცხადი პირი“.[130]

მოქმედმა კოდექსმა ამ საკითხის ტრადიციულ გაგებაში სრული გარდატეხა შეიტანა. ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა ადამიანისა და ზოგიერთი სხვა გარემოებანი ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი გარემოებებია და არა სუბიექტის ნიშნები. აქ მხედველობაშია მისაღები ტერმინოლოგიური საკითხიც. ძველი დროიდან იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება ტერმინები: ასაკი და შეურაცხადობა (იგივეა, რაც ასაკი და შეურაცხაობა). ისე გამოდის, თითქოს ეს ტერმინები სხვადასხვა მოვლენებს გამოხატავდნენ. სინამდვილეში აქ ერთსა და იმავე მოვლენებთან გვაქვს საქმე. შეურაცხაობა ფართო ცნებაა და ის შეიძლება ეფუძნებოდეს სხვადასხვა მოვლენებს. შეურაცხია ყველა, ვისაც ამა თუ იმ გარემოების გამო მის მიერ ჩადენილი უმართლობა ბრალად არ შეერაცხება. ეს გარემოებებია, მაგალითად, მცირეწლოვანება, ფსიქიკური დაავადება, საპატიო შეცდომა, ტრაგიკული კოლიზია და სხვ.[131]

„ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება“, როგორც ეს 33-ე მუხლშია ნათქვამი, იგივეა, რაც „სისხლისსამართლებ-

---

[130] პეტრე დაუთაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი), 2003, მე-15 გვ., ზაურ წულაია, სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი), ტ. II, 2001, მე-20 გვ., ვალერი ბაბილაშვილი, სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, 2004, 265-ე გვ.

მოქმედი კოდექსის 33-ე მუხლმა ზოგიერთი ავტორი დააბნია და მათი პოზიციის გაორება გამოიწვია. მაგალითად, თემურ ფანჯიკიძე წერს: „საქართველოს სისხლის სამართლის თანახმად, დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტია მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელსაც შეუსრულდა თოთხმეტი წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალად არ შეერაცხება იმას, ვისაც ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი“ (იხ. თემურაზ ფანჯიკიძე, სისხლის სამართალი, 106-ე გვ.). მაშასადამე, ასაკი სუბიექტის ნიშანიც ყოფილა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებაც.

ასეთსავე პოზიციაზეა თამაზ დონჯაშვილი, რომლის აზრით აუცილებელი მოგერიების დროს „ხელმყოფი შეიძლება იყოს ადამიანი, ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა იგი დანაშაულის სუბიექტი, ე.ი. ხელმყოფი შეიძლება იყოს შეურაცხიც როგორც ასაკით, ისე ფსიქიკური მდგომარეობით“ (იხ. თამაზ დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, 275-ე გვ.). სწორად მსჯელობს ავტორი თავისი წიგნის სხვა ადგილას (იხ. 112-ე გვ.).

[131] დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ოთარ გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია,“ 2002, № 3-4.

რივი უმართლობა". ასე რომ, აზრი, რომელიც კანონმდებელმა ხუთი სიტყვით გამოთქვა, შეიძლებოდა ორი სიტყვით გამოგვეხატა. ტერმინი „სისხლისსამართლებრივი უმართლობა" ამ ბოლო ხანებში თანდათანობით მკვიდრდება ქართულ იურიდიულ მწერლობაში.

33-ე მუხლის ძალით სისხლისამართლებრივი უმართლობა არ შეერაცხება ბრალად იმას, ვინც ამ უმართლობის ჩადენის დროს ჯერ კიდევ არ იყო თოთხმეტი წლის ასაკში. მაშასადამე, ადამიანს თოთხმეტი წლის ასაკამდე ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უმართლობისათვის პასუხის მგებლობა არ დაეკისრება.[132] საგულისხმოა, რომ ბრალის გამომრიცხველ ისეთ გარემოებას, როგორიცაა ასაკი, კანონმდებელი თვითონ განსაზღვრავს და არ ანდობს ამ საკითხის გადაწყვეტას სასამართლოს. სასამართლოს ეკისრება მხოლოდ იმის დადგენის ვალდებულება, მიღწეული იყო თუ არა მოქმედი თოთხმეტი წლის ასაკს სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩადენის დროს.

კანონმდებელი ამ ნორმის დადგენისას ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, რომ თოთხმეტი წლის ასაკამდე მოქმედი პასუხს არ აგებს ასაკობრივი განუვითარებლობის გამო. მისი ინტელექტი და ნება ამ ასაკამდე ჯერ კიდევ არ არის ისე განვითარებული, ისე მომწიფებული, რომ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს.

სასამართლო პრაქტიკაში ასაკს ჩვეულებრივ შესაბამისი საბუთებით (დაბადების მოწმობა, პასპორტი და სხვ.) ადგენენ. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ სასამართლომ ასაკის განმსაზღვრელი საბუთი ვერ მოიპოვოს. შესაძლებელია საბუთი აღმოჩნდეს, მაგრამ ასაკი მაინც საეჭვოდ დარჩეს. ასეთ დროს ის ვალდებულია დანიშნოს სამედიცინო ექსპერტიზა (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 358-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" პუნქტი). მაგრამ სამედიცინო ექსპერტიზას არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს ასაკი. ექსპერტიზამ შეიძლება დაადგინოს, რომ სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩადენის დროს მოქმედი იმყოფებოდა, მაგალითად, ცამეტიდან თხუთმეტი

[132] 33-ე მუხლის თანახმად 14 წელს მიუღწეველი ყველა შემთხვევაში შეურაცხია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ 14 წელს მიღწეული ყველა შემთხვევაში შერაცხადია. კოდექსში გვხვდება მუხლი, რომლითაც აღწერილი უმართლობა ბრალად მხოლოდ სრულწლოვანს შეერაცხება. მაგალითად, 140-ე მუხლით ისჯება „სრულწლოვანის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბიანობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან..." აქ ლაპარაკია ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირზე.

წლის ასაკში. ამ შემთხვევაში სასამართლომ საკითხი მოქმედის სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს და ივარაუდოს, რომ ის ჯერ კიდევ არ არის თოთხმეტი წლის. როცა ასაკის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია და ამიტომ ეს საკითხი ძლიერ ეჭვს ბადებს, მაშინ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის ძალით „ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ" (მე-3 ნაწ.).

ასაკის დადგენის დროს კიდევ ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას. დაბადების დღე მხედველობაში არ მიიღება. ვთქვათ, სისხლისსამართლებრივი უმართლობა ჩადენილია დაბადების დღეს – 10 მაისს. მოქმედი პასუხს აგებს მეორე დღეს, 10 მაისის ღამის თორმეტი საათის შემდეგ, ესე იგი 11 მაისის მდგომარეობით.

მუხლი 34. შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან თუმცა შეეძლო მისი გაცნობიერება, მაგრამ არ ჰქონდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად.

2. სასამართლოს შეუძლია შეურაცხის მიმართ გამოიყენოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

3. არ დაისჯება ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი მოქმედება თუმცა შერაცხადმა ჩაიდინა, მაგრამ განაჩენის გამოტანამდე დაავადდა ფსიქიკურად, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ იგი შეიძლება დაისაჯოს.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I, 2000, №18, მუხ. 45; საქართველოს 2000 წლის 30 მაისის კანონი – "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" I, 2000, №20, მუხ. 51).

34.1. თუ 33-ე მუხლით მოქმედს ჩადენილი უმართლობა ბრალად არ შეერაცხება მცირეწლოვანების, ესე იგი ასაკობრივი განუვითარებლო-

ბის გამო. 34-ე მუხლით მისი შეურაცხაობა ფსიქიკურ დაავადებას ექ ყარება. ფსიქიკური დაავადება ისევე, როგორც მცირეწლოვანობა ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა და არა დანაშაულის სუბიექტის ნიშანი, როგორც ეს გაბატონებულია ჩვენს იურიდიულ მწერლობაში.

გარდა ამისა, ვინაიდან საბჭოთა კავშირის კანონმდებლობაში ტრადიციულად (იხ. 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსების ანალოგიური მუხლები) იმ მუხლს, რომელიც ფსიქიკური დაავადების გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას აწესებდა, „შეურაცხადობა“ ერქვა, იურიდიულ მწერლობაში დამკვიდრდა აზრი, რომ „შეურაცხადი“ („შეურაცხი“) ყოველთვის ფსიქიკურად დაავადებულია. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია ინერციით ახლაც გრძელდება. სინამდვილეში, როგორც ზემოთ ითქვა, "შეურაცხადობა“ უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს არა მარტო ფსიქიკურ დაავადებას, არამედ ასაკს, საპატიო შეცდომას და სხვა გარემოებებს, რომლებიც ბრალს გამორიცხავენ. თუმცა ჩვენს კანონმდებლობაში დღესაც შეიმჩნევა ძველი აზროვნების კვალი. მაგალითად, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში ნათქვამია: „ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“. დაკვირდით სიტყვებს „ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო“. ისე გამოდის, თითქოს „ასაკი“ და „შეურაცხაობა“ სხვადასხვა მოვლენებს გამოხატავენ, როგორც ჩანს, „შეურაცხაობაში“ აქ ტრადიციული ფსიქიკური დაავადება იგულისხმება, ეს გარემოება კი ეწინააღმდეგება კოდექსის 33-ე, 34-ე და მომდევნო მუხლების აზრს. როგორც ზემოთ ვთქვით, შეურაცხაობა ზოგადი ცნებაა, რაც ზოგჯერ ეფუძნება მცირეწლოვანებას (ასაკი), ზოგჯერ ფსიქიკურ დაავადებას და ა.შ.

34-ე მუხლში მოცემულია იმ ფსიქიკურ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც გამორიცხავენ მოქმედისათვის ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უმართლობის ბრალად შერაცხვას. აქ მოცემულია ამ დაავადებათა მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალი. ასეთი დაავადებებია, მაგალითად, ქრონიკული ფსიქიკური დაავადება, ესე იგი დაავადება, რომელსაც ქრონიკული ანუ მუდმივი ხასიათი აქვს, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობა, ჭკუასუსტობა და სხვ.

როგორც აქედან ვხედავთ, ეს ის დაავადებებია, რომლებიც იწვევენ ფსიქიკურ მოშლილობას. ადამიანის ფსიქიკა ორ მთავარ სფეროს მო-

ცავს: 1) ცნობიერებას[133] და 2) ნებელობას.

ცნობიერებასთან დაკავშირებით 34-ე მუხლში ნათქვამია, რომ შეურაცხია ის, ვისაც „ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა“. „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ ბრალის აუცილებელი ელემენტია. ადამიანი რომ გაკიცხო ჩადენილი ქცევის გამო, აუცილებელია დადგინდეს, რომ მან იცოდა თავისი ქცევის მართლწინააღმდეგობა, ესე იგი გასაკიცხობა და მაინც იმოქმედა. ანდა, მართალია, მას არ ჰქონდა შეცნობილი, რომ მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ შეეძლო ამის შეცნობა (გაუფრთხილებლობა), ჰქონდა ამის უნარი.

მაგრამ კანონმდებლის აზრი ამ შემთხვევაში ფართოდ უნდა გავიგოთ. ადამიანის ცნობიერება ფსიქიკური დაავადების გამო ზოგჯერ შეიძლება ისე იყოს მოშლილი, რომ მას თავისი მოქმედების არათუ მართლწინააღმდეგობის, არამედ ფაქტობრივი გარემოებების შეცნობის უნარიც კი არ ჰქონდეს. როცა ადამიანს არა აქვს უნარი შეიცნოს თავისი ქმედების ფაქტობრივი გარემოება, მაშინ ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის შეცნობის უნარზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.[134]

როცა ცნობიერების უნარი მოშლილია, მაშინ ნებელობაზე აღარ ვლაპარაკობთ, რადგან ფაქტობრივი გარემოების და მართლწინააღმდეგობის შეცნობის უნარი ნებელობის უნარის საფუძველია. თუ პირველი ელემენტი მოშლილია, მეორე ელემენტიც თავისთავად ვეღარ იმოქმედებს ნორმალურად. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ცნობიერება საერთოდ არ იყოს მოშლილი, ადამიანს ჰქონდეს ფაქტობრივი გარემოების და მართლწინააღმდეგობის შეცნობის სრული უნარი, მაგრამ მოშლილი ჰქონდეს ნებელობა (მაგალითად, კლეპტომანია და სხვ.). ნებელობის მოშლა იმას ნიშნავს, რომ ადამიანს წართმეული აქვს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა („არ ჰქონდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად“, 34-ე მუხლი), რაც გვართმევს მოქმედის გაკიცხვის უფლებას ჩადენილი უმართლობის გამო, და მაშასადამე, გამორიცხავს ბრალს.

ფსიქიკური დაავადების დასადგენად სამედიცინო ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

---

[133] თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერება იცნობს აგრეთვე არაცნობიერ ფსიქიკასაც განწყობის (დ. უზნაძე) სახით. (იხ. Миндия Угрехелидзе, Проблема неосторожной вины в уголовном праве, стр. 53).

[134] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი), 1976, 91-ე გვ.

გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას". ასეთ დროს სასამართლოს უფლება არა აქვს დასაჯოს მოქმედი. მაგრამ შეუძლია დაუნიშნოს მას სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. თუ ის მომავალში გამოჯანმრთელდება, შეიძლება დაისაჯოს.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება გულისხმობს მოქმედის მკურნალობას. ეს ღონისძიება სამკურნალო ღონისძიებაა. ამიტომაა, რომ იგი შეურაცხს ენიშნება. რაც შეეხება სასჯელს, ის მოქმედზე ახდენს აღმზრდელობით ზეგავლენას, მორალურად ზემოქმედებს ადამიანზე; ამიტომ სასჯელი ენიშნება მხოლოდ შერაცხადს. არ შეიძლება სასჯელი დაენიშნოს იმას, ვინც მის მნიშვნელობას ვერ იგებს.

ფსიქიკურად დაავადებული სასჯელის მოხდისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაშიც, თუ ის სასჯელის მოხდის დროს დაავადდება ამ ავადმყოფობით. ამ დროსაც მოქმედს შეიძლება დაენიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის 1 ნაწ.).

მუხლი 35. შეზღუდული შერაცხადობა

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

2. შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს და იგი შეიძლება გახდეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების დანიშვნის საფუძველი.

3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

(საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი – "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე." I. 2000. №18. მუხ. 45).

35.1. შეზღუდული შერაცხადობის ცნება 1999 წლის 22 ივლისის საქართველოს კოდექსმა პირველად შემოიტანა. ამ ცნებას არ იცნობდა 1960 წლის 30 დეკემბრის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის, რომ კოდექსს შემოაქვს შეზღუდული შერაცხადობის ცნების მხოლოდ ერთი ნაირსახეობა. ეს ის შემთხვევაა, როცა შერაცხვის უნარი ფსიქიკური დაავადებითაა შეზღუდული.

სინამდვილეში შეზღუდული შერაცხადობა სხვადასხვა სახისაა. მაგალითად, ვინაიდან მცირეწლოვანობა შეურაცხაობის ერთ-ერთი საფუძველია, არასრულწლოვანობა შეზღუდულ შერაცხადობად უნდა მივიჩნიოთ. მაშინ, როცა სრულწლოვანება სრული შერაცხადობის საფუძველს წარმოადგენს. რახან განზრახვა, ესე იგი ქმედების ფაქტობრივი მხარის და მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება, თუ სხვა რამ გარემოება არ უშლის ხელს, სრული შერაცხადობის საფუძველს ქმნის, მთელი გაუფრთხილებლობის სფერო შეზღუდულ შერაცხადობად უნდა ჩაითვალოს.

მაშასადამე, არასრულწლოვანობა და გაუფრთხილებლობა შეზღუდული შერაცხადობის სფეროებია, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი ამ ტერმინს ხსენებული სფეროების მიმართ არ იყენებს. სწორედ შემცირებული შერაცხადობის გამოა, რომ არასრულწლოვანი, სრულწლოვანთან შედარებით, უფრო მსუბუქად ისჯება. მაგალითად, არასრულწლოვანის მიმართ არ გამოიყენება უვადო თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება ვადიანი თავისუფლების აღკვეთას, ეს სასჯელი არასრულწლოვანის მიმართ სასამართლომ შეიძლება დანიშნოს არა უმეტეს ათი წლისა. ათ წელზე ზევით არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი წლის ვადით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლი). ასევე ითქმის არასრულწლოვანისათვის კანონით დაწესებული სხვა სასჯელების მიმართაც.

მსგავს მდგომარეობას ეხედავთ გაუფრთხილებლობის სფეროს მიმართაც. სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის ძალით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით დაწესებული სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას. რაც შეეხება გაუფრთხილებლობით დანაშაულს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის კანონით ზოგჯერ ათ წელზე მეტი თავისუფლების აღკვეთაც კი შეიძლება იყოს დადგენილი, ის ყოველთვის მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. ასე რომ, გაუფრთხილებლობითი დანაშაული არასდროს არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეულ მუხლებში ჩვენ ვხედავთ, რომ ამა თუ იმ დანაშაულის გაუფრთხილებლობითი ჩადენა გაცილებით უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს ასეთივე დანაშაულის განზრახ ჩადენასთან შედარებით. მაგალითად, რომ აღარაფერი ვთქვათ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლზე, 108-ე მუხლით განზრახი მკვლელობისათვის შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული, მაშინ, როცა 116-ე მუხლით გაუფრთხილებლობით მკვლელობა თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ეს იმის შედეგია, რომ გაუფრთხილებლობით მოქმედს ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უმართლობა შეზღუდულად შეერაცხება, ვიდრე ასეთივე უმართლობის განზრახ ჩადენა.

მოვიტანთ შეზღუდული შერაცხადობის კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც განზრახვის სფეროს განეკუთვნება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით ისჯება განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული „სულიერი აღელვება“ აქ იმდენად ძლიერია, რომ იგი ასუსტებს ჩადენილი უმართლობის ბრალად შერაცხვის უნარს, რაც კანონმდებელს აიძულებს მნიშვნელოვნად შეამსუბუქოს სასჯელის ზომა (111-ე მუხლის მეორე ნაწილით, თუ სულიერ აღელვებას ორი ან მეტი ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული).[137]

ერთი სიტყვით, შეზღუდული შერაცხადობის ერთ-ერთი სპეციალური შემთხვევა კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 35-ე მუხლით განსაზღვრა. შეზღუდული შერაცხადობის ზოგი შემთხვევა კი კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეულ მუხლებშია აღწერილი.

სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლით შეზღუდული შერაცხადობა, როგორც ვთქვით, ფსიქიკურ დაავადებას ეფუძნება. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა სრულწლოვანს, რომელმაც სისხლისსამართლებრივი უმართლობა ჩაიდინა, „არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა ეხელმძღვანელა მისთვის“. ვინაიდან მოქმედს არ შეეძლო „სრულად გაეცნობიერებინა“ ანდა „სრულად ეხელმძღვანელა“ თავისი ქცევისათვის, მისი

[137] იხ. ოთარ გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2002, 75–78-ე გვ.

შერაცხადობა შეზღუდულია, შემცირებულია. ეს გარემოება ამცირებს მოქმედის ბრალს ჩადენილი უმართლობის გამო. ასეთ პირობებში მოქმედი ნაკლებ გაკიცხვას იმსახურებს, ვიდრე სრული ან მომეტებული შერაცხადობის დროს.

ტერმინები სრული, მომეტებული და შეზღუდული შერაცხადობა ბრალის, ესე იგი გაკიცხვის სხვადასხვა ხარისხზე მიგვანიშნებენ. მაგრამ სანამ სასამართლო ბრალის ხარისხზე იმსჯელებდეს, მანამდე ჯერ ჩადენილი უმართლობის ხარისხი უნდა განსაზღვროს. ბრალის ხარისხის მსგავსად, უმართლობის ხარისხიც შეფასებითი კატეგორიაა. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ბრალი ტიპურად უმართლობას ემყარება, უმართლობის გარეშე ბრალი არ არსებობს. ამიტომ ტიპურად ბრალის ხარისხს უმართლობის ხარისხი განსაზღვრავს. მაგალითად, ერთი კაცის მკვლელობა ნაკლები ხარისხის უმართლობაა, ვიდრე ორი კაცის მკვლელობა. ამიტომ ერთი კაცის მკვლელს უფრო ნაკლები ხარისხის ბრალი მიუძღვის, ვიდრე ორი კაცის მკვლელს.

35.2. 35-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით შეზღუდული შერაცხადობა სასამართლომ უნდა გამოიყენოს სასჯელის დანიშვნის დროს. ვინაიდან შეზღუდული შერაცხადობა ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებაა, სასამართლო ამის საფუძველზე მოქმედს სასჯელის ზომას შეუმსუბუქებს ან შესაბამისად უფრო მსუბუქი სახეობის სასჯელს შეურჩევს.

ამავე დროს, სასჯელთან ერთად სასამართლოს შეუძლია მოქმედს იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებაც დაუნიშნოს (იხ. აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტი).

სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „102-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება აღსრულდება თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილას, ხოლო სხვა სასჯელით მსჯავრდებულის მიმართ ფსიქიატრიული დახმარების გამწევ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში“.

35.3. არ არის გამორიცხული, რომ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში იმყოფებოდეს არასრულწლოვანი. აქ შერაცხადობის ორმაგ შეზღუდვასთან გვექნება საქმე. არასრულწლოვანება, როგორც ზემოთ ვთქვით, შერაცხადობას თავისთავად ზღუდავს. იმ შემთხვევაში კი, როცა ამას ფსიქიკური დაავადებაც ემატება, შერაცხადობის ორმაგ შეზღუდვას ვიღებთ. ამ გარემოების გამო კანონმდებელი სასამართლოს უფლებას აძლევს მთლიანად გაათავისუფლოს არასრულწლოვანი

პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ სასამართლოს შეუძლია ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება დაუნიშნოს.

მუხლი 36. შეცდომა

1. ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალულია, არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატევებელია.

2. შეცდომა მისატევებელია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას.

3. როცა შეცდომა მისატევებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება ამ კოდექსით.

36.1. შეცდომა სისხლის სამართალში ისეთი შემთხვევაა, როცა მოქმედი თავისი ქცევის ფაქტობრივ ან სამართლებრივ მხარეს არასწორად აღიქვამს. სისხლის სამართალმა იცის აგრეთვე შეცდომა პიროვნებაში (error in persone), როცა მოქმედს ერთი პიროვნება მეორეში აერევა ხოლმე.

სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს სამართლებრივი შეცდომის მხოლოდ ერთ სახეს – შეცდომას აკრძალვაში. აკრძალული ქმედება მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. ამიტომ შეცდომა აკრძალვაში იმას ნიშნავს, რომ მოქმედმა არ იცის თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, იგი ცდება და ჰგონია, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალული არ არის.

სამწუხაროდ, მართლწინააღმდეგობა ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში საკმაოდ დაუმუშავებელი პრობლემაა. ამიტომ ჩვენში ბევრს ჰგონია, თითქოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება სისხლის სამართლის კანონს ეწინააღმდეგება. ხშირად ერთმანეთში ურევენ ხოლმე სისხლის სამართლის კანონწინააღმდეგობას და მართლწინააღმდეგობას. სამართლის ნორმა, რომელსაც დამნაშავე არღვევს და სისხლის სამართლის კანონი მათ ერთი და იგივე ჰგონიათ. მაგალითად, ალექსანდრე კვაშილავა წერს, რომ „დანაშაული მხოლოდ ის ფაქტიურად ჩადენილი ქმედებაა, რომელიც აკრძალულია სისხლისსამართლებრივი ნორმით. კერძოდ, აკრძალვას გამოხატავს სისხლისსამართლებრივი ნორმის სანქცია სასჯელის გამოყენების მუქარით".[138]

ამ აზრს ვერ დავეთანხმებით. სისხლის სამართლის კანონი კი არ კრძალავს ქმედებას, არამედ სჯის უკვე აკრძალული ქმედების ჩამდენს. დამნაშავე სისხლის სამართლის კანონს კი არ არღვევს, არამედ მოქმედებს ამ კანონის შესაბამისად. ასრულებს მას. როცა გამომძიებელი ბრალს დებს ვინმეს და იძიებს საქმეს, ის უნდა შეეცადოს დაუმტკიცოს ბრალდებულს, რომ იგი მოქმედებდა კანონის შესაბამისად, რომ მან ჩაიდინა ის ქმედება, რომელიც კანონითაა აღწერილი. ბრალდებული კი სულ იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ ის მოქმედებდა სისხლის სამართლის კანონის საწინააღმდეგოდ. ასე რომ, სისხლის სამართლის კანონწინააღმდეგობა და მართლწინააღმდეგობა ერთი და იგივე არ არის.

გავრცელებული გამოთქმა – კანონის უცოდინარობა ადამიანს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს, ეხება სისხლის სამართლის კანონს და არა ნორმას, რომელიც ქმედებას კრძალავს. კანონს ყოველთვის საკანონმდებლო ორგანო, ესე იგი პარლამენტი ადგენს და განსაზღვრავს მისი ძალაში შესვლის წესს. რაც შეეხება ნორმას, რომელსაც დამნაშავე არღვევს, მას შეიძლება სხვა ორგანოც გამოსცემდეს.[139]

სისხლის სამართლის კანონის უცოდინარობა განზრახვას არ გამორიცხავს. მაგრამ როცა ადამიანმა არ იცის, რომ არღვევს ნორმას, მაშინ ის სამართლებრივ სიკეთეს განზრახ არ ხელყოფს. ასეთ დროს ადამიანი ცდება და ჰგონია, რომ სჩადის სამართლით ნებადართულ ქმედებას. მართლწინააღმდეგობის რეალური შეცნობა ბრალის აუცილებელი ელემენტია განზრახვის დროს.

აკრძალვის თვალსაზრისით თუ შევხედავთ, საქართველოს სისხლის

---

[138] ალექსანდრე კვაშილავა, დანაშაულის კვალიფიკაციის თეორიული პრობლემები და სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიმოხილვა, მე-7 გვ.

„სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან – წერს თ. დონჯაშვილი – კანონით დადგენილი აკრძალვები ცნობილია ყველასა და თითოეულისათვის" (იხ. მისი დასახელებული წიგნი, 352-ე გვ.). სისხლის სამართლის კანონით „დადგენილი აკრძალვები", როგორც ვთქვით, არ არსებობს.

ნ. სარია წერს, რომ „საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების განმსაზღვრელი ნიშანია" (იხ. ნ. სარია, შეცდომის ცნება და მნიშვნელობა სისხლის სამართალში, 165-ე გვ. ავტორი ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ამ ტერმინს კანონმდებელი არც მე-7 და არც 36-ე მუხლში აღარ იყენებს.

[139] გ. ნაჭყებიას მიაჩნია, რომ „სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის უარყოფა სწორი არ არის". (იხ. გ. ნაჭყებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, 114-ე გვ.). თუმცა ამ დებულებას იგი შესაფერისად ვერ ასაბუთებს.

სამართლის კოდექსი ორ სფეროდ შეიძლება გავყოთ: 1) კლასიკური დელიქტები და 2) ეგრეთ წოდებული ბლანკეტური მუხლები. კლასიკურ დელიქტთა რიცხვს მიეკუთვნება. მაგალითად. მკვლელობა, გაუპატიურება. ქურდობა, ყაჩაღობა და სხვ. ბლანკეტური მუხლებისათვის დამახასიათებელია რაიმე წესის დარღვევა (276-ე მუხლი) და სხვ.

სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ქურდობისათვის. მაგრამ ქურდობის მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართლის კანონის გარეთაა. ქურდი არღვევს ნორმას, არ იპარო, მკვლელობის აკრძალვა გამოიხატება ნორმით – არა კაც ჰკლა და სხვ.

რაც შეეხება ბლანკეტურ მუხლებს, იქ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში სპეციალურად დადგენილი წესების დარღვევასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ავტოტრანსპორტით მოძრაობის დროს მძღოლმა უნდა დაიცვას სპეციალური წესი, რომელსაც სისხლის სამართლის კანონი არ ადგენს.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ 36-ე მუხლის თანახმად შეცდომა არის ქმედების აკრძალვის არცოდნა და არა იმ სისხლის სამართლის კანონის არცოდნა, რომლითაც ამ აკრძალვის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას.

აკრძალვაში შეცდომა 36-ე მუხლის მიხედვით ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატევებელია. აქედან გამომდინარეობს, რომ შეცდომა აკრძალვაში ყოველთვის გამორიცხავს განზრახვას, მაგრამ არ გამორიცხავს ბრალს მთლიანად. შეცდომა აკრძალვაში ბრალს იმ შემთხვევაში გამორიცხავს, როცა შეცდომა მისატევებელია.

36.2. შეცდომა მისატევებელია იმ შემთხვევაში, როცა შექმნილ ვითარებაში მოქმედმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ აკრძალულ ქმედებას სჩადიოდა. კანონმდებლის სიტყვები „შექმნილ ვითარებაში“ იმას მიგვანიშნებს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს, რა ვითარებაში მოქმედებდა ადამიანი. ამ დროს მხედველობაში მიიღება მოქმედის პიროვნული შესაძლებლობები და შექმნილი ვითარებაც, ესე იგი ის გარემო, ფაქტობრივი მდგომარეობა, სადაც სისხლისსამართლებრივი უმართლობა განხორციელდა.

36.3. თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ შეცდომა აკრძალვაში მისატევებელი არ არის, გამორიცხება სრული შერაცხვის შესაძლებლობა და მოქმედი პასუხს აგებს შეზღუდულად. ესე იგი გაუფრთხილებლობისათვის. ასეთ შემთხვევაში მოქმედს პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის შესაბამის მუხლში (იხ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 უფრო მეტ-ნაწილის მუხ., მე-4 ნაწ.).

მუხლი 37. ბრძანების ან განკარგულების შესრულება

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დააზიანა სამართლებრივი სიკეთე. ასეთი ზიანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც მართლსაწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება გასცა.

2. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების შესრულებისათვის პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საერთო წესით, თუ არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი სხვა გარემოება.

37.1. 37-ე მუხლის მიხედვით, ბრალის გამომრიცხველ გარემოებად ითვლება „სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების“ შესრულება, რომლის შედეგად დაზიანდა სამართლებრივი სიკეთე.[140] ბრძანება შეიძლება იყოს სავალდებულოც და არასავალდებულოც. არასავალდებულო ბრძანებაა ისეთი სიტყვიერი ან წერილობითი მიმართვა ვინმესათვის, რომელსაც იძლევა არაუფლებამოსილი, ესე იგი ის. ვინც ამ უფლებით შესაბამისი კანონით არაა აღჭურვილი. ასეთ შემთხვევაში ბრძანება წაქეზების ფორმაა. მაგალითად, ასაკით უფროსი ადამიანი არასრულწლოვანს კატეგორიული ტონით უბრძანებს, ესროლოს თავის მტერს თოფი და სხვ. სავალდებულო ბრძანებას გასცემს ის. ვინც ამ უფლებით სანგანგებოდაა აღჭურვილი.

მეორე მხრივ. ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ორი სახის სავალდებულო ბრძანება ან განკარგულება: 1) სამოქალაქო სამსახურში გაცემული ბრძანება და 2) სამხედრო სამსახურში გაცემული ბრძანება ან განკარგულება. ამ ორი სახის ბრძანებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. სამოქალაქო სამსახურში გაცემული ბრძანების შემსრულებელი უფრო

[140] ეს იდეა ქართულ იურიდიულ მწერლობაში ჯერ კიდევ მე-20 ს-ის სამოციანი წლებიდან იყო ცნობილი (იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 1965, 125-ე გვ. იხ. აგრეთვე ო. გამყრელიძე, დანაშაულის შეალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, 1974, 93-ე გვ.).

თავისუფალია ბრძანების შესრულების დროს, ვიდრე სამხედრო მსახური. ამიტომ მას უფრო მეტი მოეთხოვება. რაც შეეხება სამხედროს. მისი შერაცხადობა უფრო შეზღუდულია და ამის შესაბამისად ის პასუხსაც შეზღუდულად აგებს.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების მე-7 მუხლში ეწერა: „უფროსის ბრძანება კანონია ხელქვეითისათვის. ბრძანება უნდა შესრულდეს უსიტყვოდ, ზუსტად და ვადაში." ასეთი მკაცრი მოთხოვნა ბრძანების შესრულებისა, რაც ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისათვის არის მისაღები, მძიმე მდგომარეობაში აყენებს სამხედროს და მნიშვნელოვნად ზღუდავს მისი შერაცხვის უნარს. ხელქვეითს, განსაკუთრებით საბრძოლო ვითარებაში, ევალება უსიტყვოდ დაემორჩილოს უფროსის ბრძანებას და აღასრულოს ის. ასეთია ჯარის ცხოვრების წესი. სხვაგვარად შეიარაღებული ძალების საქმიანობა თავის სახეს დაკარგავს და ჯარი ხალხის უწესრიგო მასას დაემსგავსება.

ბრძანება სავალდებულოა, როცა იგი კანონიერია, ესე იგი გაცემულია შესაბამისი მოხელისაგან კანონით გათვალისწინებული ყველა რეკვიზიტის დაცვით. ბრძანება კანონიერად ჩაითვლება, თუ ის: 1) გაცემულია უფროსის მიერ თავისი ხელქვეითისადმი, 2) არ სცილდება ბრძანების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს, 3) არ შეიცავს რაიმე აშკარა დანაშაულებრივ მოთხოვნას. დაბოლოს, 4) გაცემულია სათანადო ფორმალობის დაცვით, თუ ამას კანონი აწესებს.[141]

თუ სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებას შედეგად სამართლებრივი სიკეთის დაზიანება მოჰყვა, ამ ზიანისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ ბრძანების ან განკარგულების გამცემს დაეკისრება. რაც შეეხება ბრძანების ამსრულებელს, ის ეგრეთ წოდებული „ცოცხალი იარაღის" როლს ასრულებს და ამიტომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება. ბრძანების გამცემი ამ შემთხვევაში დანაშაულის შუალობითი ამსრულებელია (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი). ასეთი დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს კანონმდებლის სიტყვებიდან: „ასეთი ზიანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც მართლსაწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება გასცა" (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი, პირველი ნაწილი).

37.2. ბრძანება, როგორც ვთქვით, შეიძლება იყოს კანონიერიც და უკანონოც. მაგრამ მის შემსრულებელს, ესე იგი ხელქვეითს ზოგჯერ შეიძლება არ ჰქონდეს წარმოდგენილი ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი. ასეთ დროს იგი ჯერ უნდა გაერკვეს ბრძანების კანონიერების და სამართლიანობის საკითხში და ამის შემდეგ შეასრულოს ის. მაგრამ ეს ყოველთვის როდია შესაძლებელი. განსაკუთრებით ეს ითქმის სამხედრო უფროსის ბრძანების მიმართ, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. სამხედრო სამსახურში ხელქვეითს არა აქვს შესაძლებლობა დაეჭვდეს ბრძანების დანაშაულებრივ-არადანაშაულებრივ ხასიათზე და დაიწყოს ამ თვალსაზრისით ბრძანების შემოწმება, ამის უფლებას მას სამხედრო დისციპლინის ხასიათი არ აძლევს.

პირიქით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 383-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დაწესებული უფროსის ბრძანების შეუსრულებლობისათვის, თუ ამ შეუსრულებლობამ „არსებითად დააზიანა სამხედრო სამსახურის ინტერესი" (იხ. პირველი ნაწილი). მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ თუ არსებითად არ დაზიანებულა „სამხედრო სამსახურის ინტერესი", ხელქვეითი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. იმ შემთხვევაში, როცა ბრძანების შეუსრულებლობას არსებითი ზიანი არ გამოუწვევია, ხელქვეითი პასუხს აგებს დისციპლინური წესით.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამხედრო სამსახურში ხელქვეითი ვალდებულია ყოველგვარი ბრძანება შეასრულოს და ის ამისათვის პასუხს არ აგებს. 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით „წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების შესრულებისათვის პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საერთო წესით". ასეთ შემთხვევაში ბრძანების გამცემი იქნება წამქეზებელი, ხოლო ხელქვეითი პასუხს აგებს დანაშაულის ამსრულებლობისათვის.

„წინასწარი შეცნობით" ან აშკარა დანაშაულებრივი ბრძანების შესრულების პრობლემა დიდ ინტერესს იწვევს საერთაშორისო სისხლის სამართალში. ეს საკითხი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დადგა. 1919 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე შექმნილ 15-თა კომისიის მოხსენებაში უფროსის ბრძანების შესრულების გამო ნათქვამი იყო: "ვადასტურებთ, რომ არც სამოქალაქო, არც სამხედრო ხელისუფალნი არ გათავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმის გამო, რომ ზემდგომი ხელისუფლება შეიძლება მსჯავრდებული

[141] ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, 91-ე გვ.

იქნეს იმავე დანაშაულისათვის".

ასევე მწვავედ დაისვა ეს საკითხი მე-2 მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდების მე-8 მუხლში, რომლითაც გერმანიის მთავარ სამხედრო დამნაშავეებს ასამართლებდნენ, ნათქვამია: „ის ფაქტი, რომ განსასჯელი მოქმედებდა მთავრობის განკარგულებით ან უფროსის ბრძანების შესაბამისად, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან".[142]

მუხლი 38. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს

ბრალეულად არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა ამ კოდექსში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ემყარება თანამედროვე სისხლის სამართლის იმ ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის მიხედვით დასჯად ქმედებათა ჩამონათვალი კოდექსში ამომწურავია, ამ ჩამონათვალის გაფართოების უფლება სასამართლოს არა აქვს, ხოლო პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს კანონმდებელი მხოლოდ სანიმუშოდ ჩამოთვლის. ცხოვრებაში შეიძლება შეგვხვდეს ბრალის გამომრიცხველი ისეთი გარემოება, რომელიც კოდექსში შეტანილი არ არის. ასეთ დროს მოქმედებას იწყებს ეგრეთ წოდებული სამოსამართლო სამართალი. მართალია, კანონმდებელი პირდაპირ არ ასახელებს ზოგიერთ ისეთ გარემოებას, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას, მაგრამ სასამართლო ამ დროს თვითონ ქმნის სამართალს, თვითონ ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამორიცხულია. 38-ე მუხლით კანონმდებელი სასამართლოს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ მას ამის უფლება აქვს.

სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელოთ ბრალის გამომრიცხველი ისეთი გარემოება, როგორიცაა ტრაგიკული კოლიზია, ანუ ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა. 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში იყო მუხლი – „საპატიო უკიდურესი აუცილებლობა", რომლის მიხედვით „ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს და სხვას დააზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვითონ დამზიანებლის ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფლებას, მოქმედებს ბრალის გარეშე, თუკი ეს საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით".[143] ამ მუხლის თანახმად სხვისი სიცოცხლის მოსპობა უკიდურესი აუცილებლობის დროს არასოდეს გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას. ამ დროს შეიძლება გამოირიცხოს მხოლოდ ბრალი. ამიტომ ეწოდება მას საპატიო უკიდურესი აუცილებლობა. ეს გარემოება საპატიოა მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვისი სიცოცხლის ხელყოფა ხდება საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის ხარჯზე.

სამწუხაროდ, პროექტის ეს მუხლი შემდეგ პარლამენტმა არ დაუკანონა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის სასამართლოს, როგორც უკვე ვთქვით, ასეთ ვითარებაში ადამიანი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე. ცხოვრებაში შეიძლება შეგვხვდეს სხვაგვარი, დღემდე უცნობი გარემოებაც, რომელიც გამორიცხავს ბრალს. ამ შემთხვევაშიც სასამართლო 38-ე მუხლზე დაყრდნობით გაათავისუფლებს მოქმედს პასუხისმგებლობისაგან.

[142] ო. გამყრელიძე, მით. ნაშრომი, 98-ე გვ.

[143] ეს ნორმა სამთავრობო პროექტში ჩემი ალტერნატიული პროექტიდან გადავიდა. იხ. 36-ე მუხლი, ოთარ გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, 283-ე გვ.